

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ჯამბულ აბუსელიძე

ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია

ისტორიის დოქტორის (Ph.D). აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. კახაბერ სურგულაძე.

ბათუმი - 2025

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ

წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი მე, ჯამბულ აბუსელიძე, ვაცხადებ, რომ წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჯამბულ აბუსელიძე.

ბათუმი, 10. 01. 2025.

შინაარსი

შესავალი-----	4
თავი I. საკითხის ისტორიოგრაფია-----	8
1.1 წყაროები და ისტორიოგრაფია-----	8
თავი II. ანტიკური რომის დიპლომატიის თავისებურება-----	24
2.1 დიპლომატიის არსი და დიპლომატიური სამსახურები -----	24
2.2 რომის დიპლომატიის მახასიათებელი-----	33
თავი III. მეფეთა ხანის რომის დიპლომატია-----	45
თავი IV. რესპუბლიკის პერიოდის რომის დიპლომატია-----	60
4.1 რომის დიპლომატიური ინსტიტუტები და საერთაშორისო კავშირების გაფართოება ძვ. წ. V-I ს-ში-----	60
4.2 აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობა და რომის დიპლომატია-----	75
4.3 პუნიკური ომები და რომის დიპლომატია-----	83
4.4 „აღმოსავლური პოლიტიკა“ და რომის დიპლომატია-----	105
4.5 „აფრიკული პოლიტიკა“ და რომის დიპლომატია-----	135
4.6 „გალიის ომი“ და კეისრის დიპლომატია (ძვ.წ. 58-51 წწ.) -----	144
დასკვნა-----	158
ბიბლიოგრაფია-----	166

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება: წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე კვლევის მიზანი იყო, რომ იგი ყოფილიყო ინოვაციურიც. სამეცნიერო წრეებში დიპლომატიის ისტორიის შესწავლა ყოველთვის მიდიოდა ანტიკური ხანიდან დაწყებული დღემდე. მათგან განსხვავებით ჩვენ, მსოფლიო მეცნიერებაში არსებული ტრადიციის გაანალიზებით, შევეცადეთ პრობლემა პირუკუდ შეგვესწავლა, ანუ თანამედროვე დიპლომატიიდან ანტიკურობამდე და ვიკვლევთ ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიას თავისი სპეციფიკით. აქვე განვმარტავთ, რომ ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის შესახებ ქართულ ანტიკურ მეცნიერებაში არ მოგვეპოვება მსგავსი შინაარსის სამეცნიერო კვლევა, რაც ვფიქრობთ, რომ სადისერტაციო კვლევას ორიგინალურს ხდის.

ნაშრომში ანტიკურ წყაროებზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით არის ცდა ანტიკური რომის მეფეთა ხანის და რესპუბლიკურ პერიოდში მიმდინარე ძირითადი ტენდენციების და მასთან დაკავშირებული დიპლომატიური მახასიათებლების წარმოჩენა. სადისერტაციო ნაშრომში ყურადღება დაეთმო ანტიკური რომის დიპლომატიის განვითარების კანონზომიერებების ჩვენებას.

მიზნები და ამოცანები: სადოქტორო ნაშრომის მიზანია ერთის მხრივ ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის, მისი ფორმირების, განვითარების და ფუნქციური კომპონენტების წარმოჩენა მათ შორის ომის და სხვა საკითხებში. მეორეს მხრივ, დაპყრობითი პოლიტიკის ფონზე დიპლომატიური ურთიერთკავშირების წარმოჩენა.

კვლევის ამოცანა: განვიხილოთ ანტიკურ რომში (მეფეთა ხანა და რესპუბლიკის პერიოდი) გამოვლენილი დიპლომატიური რეალობები. ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის აუცილებელი გახდა შემდეგი პრობლემების გადაჭრა:

- წარმოვაჩინოთ ზოგადად დიპლომატიის გაგების საკითხი ქართულ მეცნიერებაში. იგი იქნება ჩარჩო ანტიკური რომის დიპლომატიის არსის გაგებისთვის;
- ქართულ მეცნიერებაში პირველად წარმოვაჩინოთ ანტიკური რომის დიპლომატიის წარმმართველი ორგანოები, მათი ფუნქციების და ხერხების დახასიათება;
- განვსაზღვროთ ანტიკური რომის დიპლომატიურ ურთიერთობებში გამო-

ვლენილი პოლიტიკური ტენდენციები, რომელსაც იგი იყენებდა ახლო და შორეული მეზობლების მიმართ ურთიერთობებში;

➤ ისტორიული პარალელებით გამოვკვეთოთ ანტიკური რომის მიერ უცხო სახელმწიფოებთან სხვადასხვა ფორმით წარმოებული დიპლომატიური მოლაპარაკებები და წარმოვაჩინოთ რესპუბლიკის პერიოდის დიპლომატიის განსაკუთრებული ლობა;

➤ განსხვავებულობის ჩვენება მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის პოლიტიკას და დიპლომატიას შორის. კართაგენტან, ელინებთან და სხვა ქვეყნებთან მიმართებაში დიპლომატიური ურთიერთობის მეთოდების ჩვენება;

➤ მეზობელ სახელმწიფოებთან რელიგიისა და დიპლომატიის როლის წარმოჩენა.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანს წარმოადგენს ძვ.წ. VIII-I ს-ბის ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის წარმოჩენა, რაც თანამედროვე დიპლომატიის ერთ-ერთ ქვაკუთხედათ მიგვაჩნია. კვლევის ობიექტია: ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია, რომელიც მოიცავს: ა) ანტიკური რომის დიპლომატიას, როგორც ომისა და მშვიდობის დროს მოლაპარაკების ხელოვნებას; ბ) ელჩების მხრიდან ფიცის დადების წესს; გ) სენატისა და რომაელი ხალხის სახელით სხვადასხვა კავშირების დამყარებას, მოლაპარაკებების გამართვას და სხვადასხვა სახის შეთანხმებების დადებას; დ) დიპლომატიურ სამსახურს; ე) ორმაგი დიპლომატიის პოლიტიკას, დიპლომატიური იმუნიტეტის და წარმომადგენლობის წარმოშობის გარკვევას.

კვლევისას ანტიკური რომის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის დაპყრობითი პოლიტიკის ფონზე ნაჩვენები არის რომაული დიპლომატიის თავისებურებების ანალიზი.

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია: კვლევა ეფუძნება საისტორიო მეცნიერებაში აპრობირებულ ზოგად მეცნიერულ მეთოდს, რომელიც გულისხმობს ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის ერთიან კომპლექსით შესწავლას. სამეცნიერო ლიტერატურა დამუშავდა სამეცნიერო (ანალიზი, ინდუქცია და დედუქცია) და სპეციალური-სამეცნიერო საისტორიო მეთოდებით (ისტორიულ ქრონოლოგიური და საისტორიო ფაქტები), რომლებიც ადაპტირებულია საკვლევ ობიექტებთან. ასევე გამოყენებულია: 1) შედარებითი მეთოდით დიპლომატიური განვითარების პროცესებში

გამოვლინდა არსებული საერთო და განსაკუთრებული მახასიათებლები და მიზნები; 2) სისტემური მეთოდით მოხერხდა ანტიკური რომის დიპლომატიური სისტემის ანალიზი; 3) ზოგადი მეთოდებით (სინთეზი, აბსტრაქცია...) მოხერხდა ანტიკური რომის დიპლომატიური ფენომენის ყოვლისმომცველი შესწავლა.

დისერტაციის მეთოდოლოგიური საფუძველია საისტორიო მეცნიერებაში, პოლიტიკურ მეცნიერებაში და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში გავრცელებული ახალი თეორიული მიდგომების გამოყენება. სისტემურ კონცეფციებზე დაფუძნებული განსხვავებული მიდგომების სინთეზმა შესაძლებელი გახადა ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის შესწავლა. კონკრეტული მასალის შესწავლამ ისტორიული კრიტიკის პოზიციიდან მოითხოვდა წყაროების ანალიზი, მათი ინტერპრეტაცია ტრადიციული მეთოდებით და ტექნიკის გამოყენებით.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა: პრობლემის შესწავლის მნიშვნელობას ის გარემოებაც ზრდის, რომ თანამედროვე დიპლომატია თავისი სტრუქტურული შინაარსით იგივე პრინციპებით საზრდოობს, როგორც იგი იყო ანტიკურ რომში და ჩვენს შემთხვევაში მოიცავს შემდეგს: 1) ანტიკური რომის დიპლომატიის განვითარების, ფორმირების, მეთოდების და განხორციელების გამოვლენას; 2) ანტიკური რომის დიპლომატიის პროცესების განმსაზღვრელი ფაქტორების ურთიერთქმედების გააზრებას, რომელი ხალხის თვითრეალიზაციის თავისებურებების კონტექსტში; 3) სენატის როლის გამოვლენა საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში;

კვლევის ობიექტია: ანტიკური რომის მილიტარისტული პოლიტიკის ფონზე რომაული დიპლომატიის მიმართულების და საქმიანობის ჩვენება.

სამეცნიერო სიახლე:

➤ ნაშრომი მონოგრაფიულად არის პირველი ცდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ანტიკური რომის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის რომაული დიპლომატიის შესწავლაში;

➤ დიპლომატიური ინსტიტუტებით (სენატი...) იმ პოლიტიკური სურათის წარმოჩენა, რომელიც ანტიკური რომის მხრიდან მეზობელი ტომების თუ ხალხებთან წარმოებულმა დიპლომატიურმა საქმიანობამ განაპირობა. ნაშრომში ძვ.წ. VIII-I ს-ბის ჩათვლით ძირითადი დიპლომატიური ქმედებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი. საუბარია დიპლომატიური მოლაპარაკების მექანიზმებზე

და საერთაშორისო სამართლის გარკვეულ საკითხებსაც.

➤ სიახლედ მიგვაჩნია ანტიკური რომის მხრიდან კართაგენტან, ელინისტურ სახელმწიფოებთან და სხვა ტომებთან მიმართებაში რომის მხრიდან წარმოებულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში ფუნდამენტური განსხვავებების გამოვლენა.

➤ მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის დიპლომატიის ისტორიაში გარდამტეხ თარიღად მივიჩნევთ - ძვ.წ. 205, 149 და 58 წლებს. განმარტებულია ამ წლების დიპლომატიური პრაქტიკის თავისებურებები და ა.შ.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: სადისერტაციო ნაშრომი არის ცდა პირველად ქართულ მეცნიერებაში წარმოვაჩინოთ ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია და დიპლომატიური ინსტიტუტების და ურთიერთობების თავისებურებები. **კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა** უკავშირდება: 1) სამეცნიერო აუდიტორიისთვის ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის შესახებ ნაშრომის შექმნა; 2) კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია მსოფლიო ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობების სწავლებაში და დიპლომატიური საკითხების დამუშავებისას.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: საკვალიფიკაციო ნაშრომი 190 გვერდიანი კვლევაა. იგი შესდგება შესავალი ნაწილის, 4 თავის, 9 პარაგრაფის და დასკვნისგან. დაერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. საკითხის ისტორიოგრაფია

1.1. წყაროები და ისტორიოგრაფია

წყაროები: არსებული ანტიკური წყაროების მიმოხილვისას შევნიშნავთ, რომ რომაულ საისტორიო აზროვნებაში არ არსებობდა გაგება ცალკე დიპლომატიური საქმიანობის აღწერის თაობაზე, ამიტომაც საკითხთან დაკავშირებული ფაქტების ძიება ხდება მათი მხრიდან მილიტარისტული პოლიტიკის გადმოცემისას. ძვ.წ. VIII-I ს-ბის ანტიკური რომის დიპლომატიის გაშუქებისას გამოყენებული გვაქვს ძირითადი და მეორეხარისხოვანი წყაროები, რომლებიც მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის მონაკვეთს ეხება. ჩვენის მხრიდან დავსძენთ, რომ წყაროებში ასახულია ანტიკური რომის მხრიდან ცვალებადი დიპლომატიის წარმოების ფაქტები.

ნიშანდობლივია, რომ ანტიკური რომის დიპლომატიისადმი ინტერესი დღემდე არ კარგავს აქტუალობას. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის „ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია“ საკითხის შესწავლის ძირითადი წყაროებიც არაერთგვაროვანია, რადგან „რომაელებმა თავიანთი თორმეტ საუკუნოვანი არსებობისა და მსოფლიოზე ბატონობის შესახებ უმდიდრესი ლიტერატურა დატოვეს“ [ქავთარია, 2016:12].

ანტიკური რომის დიპლომატიის წყაროებში ასახულია ცვალებადი დიპლომატიური ურთიერთობები, სადაც გაცვლების თითქმის 60 % ცნობილია, მხოლოდ ერთი წყაროსთვის. ოთხზე მეტ წყაროში არის, დიპლომატიური მოქმედებები, რომლებიც გაცვლის მთლიან 10 % ზე ნაკლებია, ხოლო ზოგიერთი გამოწვევისი, აღწერილია ათეული ავტორის მიერ. სამეფო პერიოდის დიპლომატიის ისტორია, ძირითადად ტ. ლივიუსის და დ. ჰალიკარნასელის შრომებშია გამოვლენილი, მაშინ როდესაც რესპუბლიკის უკანასკნელ საუკუნეში, კეისრის დიპლომატიური გამარჯვება, შესამჩნევად ზრდის ამ პერიოდისთვის უნიკალური აქტების პროპორციას, ხოლო ძვ.წ. III საუკუნის ბოლომდე რომსა და ელინისტურ სამყაროს შორის ურთიერთობები ძირითადად დიპლომატიური მოქმედებებითაა ცნობილი [Auliard, 2006: 37], რომელმაც რომაული საზოგადოება და დიპლომატიაც ძირეულად შეცვალა [Eilers, 2009:2].

ყველაზე აქტიური საელჩოები მოიცავს განსაკუთრებულ ურთიერთობებს,

რომლებიც ფართოდ იქნა გამოყენებული ანტიკური დროიდან. ამ უაღრესად სიმბოლურ მისიებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც დიპლომატიურ ინციდენტებს განსაკუთრებით მაშინ მოიცავს, როდესაც რომელი ელჩები ძალადობის მსხვერპლი არიან. ეს მოვლენები უფრო თვითკმაყოფილი ხდება, რადგან *Ius Legationis*-ის დარღვევა შეიძლება იყოს შესანიშნავი *Casus Belli*, რომელიც თეორიულად ამართლებს ნებისმიერ, დაუყოვნებლივ შეიარაღებულ რეაგირებას. ასევე ფართოდაა წარმოდგენილი მოქმედებები, რომელსაც მოჰყვა ძვ.წ. 218 წ. კართაგენის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას. ისტორიკოსები ხაზს უსვამენ, რომ ეს იყო ომის გამოცხადების ერთადერთი მაგალითი და პირველი კონფლიქტი, რომელიც წესების შესაბამისად არ იყო გამოცხადებული. ალბათ, დიპლომატიური მოქმედებების სიმრავლეში უნდა დავინახოთ იმის დადასტურება, რომ ომის დაწყება არ მიეკუთვნებოდა კანონთან შეუსაბამობის გამოცხადებას. რაც შეეხება ძვ.წ. 168 წლის „პომპილიუსის“ ცნობილ ეპიზოდს, იგი წარმოადგენს დიპლომატიური პრაქტიკის ევოლუციის კიდევ ერთ განსაკუთრებულ და ემბლემურ ინციდენტს. საელჩოები, აძლიერებენ რომის იმიჯს, რომელიც ლოგიკურად აღწერილია ანტიკური ისტორიკოსების მიერ. ამგვარად, 12 ავტორი მოიხსენიებს ხელშეკრულებას, რომელმაც დაასრულა პირველი პუნიკური ომი. ეს მართლაც, პირველი გამარჯვებაა იტალიის გარე მტრებზე, რადგან იგი ხელშეკრულებით იყო სანქცირებული [Auliard, 2006:37-40].

ძირითადი წყაროებიდან რამდენიმეს შევხებით. გამოვყოფთ პოლიბიოსს (ძვ.წ. ?201-?20). ძვ.წ. 264-146 წლების რომის ისტორია აისახა, ბერძენი ისტორიკოსის პოლიბიოსის „მსოფლიო ისტორიის“ ტიპის თხზულებაში [სურგულაძე, 2013:36-38; Фриц, 2007:56]. იგი ეწვია საბერძნეთს, იტალიას...და. ა.შ. მანვე გადალახა ჰანიბალის გავლილი გზა აპენინებზე [Крыазе, 2008:531]. მისი ნაშრომი „მსოფლიო ისტორია“ მრავალმხრივია [Самохина, 2007:320]. ისტორიკოსი ისტორიაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიროვნებებს (სციპიონი, ჰანიბალი...), რომლებიც მისი აზრით კიდევ განსაზღვრავენ პოლიტიკურ მოვლენებს [სურგულაძე, 2013:36-38; Фриц, 2007:56].

ისტორიკოსი პირველი იყო ანტიკურ სამყაროში, რომელმაც ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი ისტორიოგრაფიული კონცეფცია. ისტორიის მამოძრავებელ ძალად მას მიაჩნდა „შემთხვევითობა“, რომელიც რომაელებს სათნოებისთვის მფარველობს და ისინი მიჰყავდა ერთიანი მიზნისკენ. სციპიონ აფრიკელთან სიახლოვემ მას

საშუალება მისცა გაცნობოდა ქვეყნის შიდა სამზარეულოს, რაც მის ნაშრომს წონად მნიშვნელობას აძლევდა. პოლიბიოსი საინტერესო პასაჟს ავითარებდა - ელჩების ამოცანაა „ბარბაროსების გამოსწორება“ (Polyb., *Historia universalis*, XXXIII. 10).

ეილერის თანახმად: „ანტიკურ რომში დიპლომატიის როლი იყო ფენომენალური რადგან, რომი არაერთხელ იმარჯვებდა მოლაპარაკებებით“ [Eilers, 2009:6]. მისივე ცნობით: „ელჩებმა პერსევის წინააღმდეგ, შესთავაზეს სამხედრო დახმარება“ (Polyb., *Historia universalis*, XXVIII. 13). ამ დროს ძვ.წ. 172 წ. კვინტუს მარკიუს ფილიპუსი ბალკანეთში იყო საელჩოს ხელმძღვანელი [Broughton, 1951:413]. „ფილიპუსმა განაცხადა, რომს არ სჭირდებოდა მოკავშირეები და რომაელ სარდლებს აპიუს კლავდიუსისთვის ძალების გაგზავნა აუკრძალა, რომელიც იმ მომენტში იმყოფებოდა ეპიროსში“ (Polyb., *Historia universalis*, XXVIII. 13).

რომაული დიპლომატიის შესახებ არაერთ ფაქტს გადმოსცემს ლივიუსი (ძვ.წ. 59–ახ.წ. 17). ისტორიკოსის კალამს ეკუთვნის 142 წიგნად დაწერილი „რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან“ (*Ab urbe condita*) [სურგულაძე, 2013:54-55], რომელიც მთავარი წყაროა, რესპუბლიკური პერიოდის [Бокщанин, 1981:60] რომაული პოლიტიკის და დიპლომატიისათვის [Беликов, 2003:10]. ლივიუსი პოპულარული მემკვიდრე იყო, რის გამოც იგი იმთავითვე რომაული საისტორიო აზროვნების მეტრად იქცა. ლივიუსის მიზანი იყო წარსულის სრული სურათის შექმნა, რაც მან მისი წარმოჩენა ერთიანი პოზიციიდან მოახერხა. ისტორიკოსის ისტორიული კონცეფციის მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება მორალური დაცემის თეორია.

ლივიუსი აღნიშნავს, რომაელი ხალხის სიმამაცეს და სიდიადეს [Ковалев, 2002: 45]. ლივიუსის ნაშრომის მთავარი მნიშვნელობა ისაა, რომ მხოლოდ მასში ვპოულობთ თანმიმდევრულ ტრადიციას რომაული ისტორიის ადრეული ეპოქის პირველი ორი პერიოდის შესახებ [Ковалев, 1986:31]. იგი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ იძლევა მდიდარ ინფორმაციას და ხატავს რომაელ გმირებს [Кузищина, 2000: 9].

ისტორიკოსი საბრძოლო მოვლენების გადმოცემისას დიპლომატიის არაერთ ფაქტებს ეხება („რომაელებისთვის როდოსელი ელჩების მილოცვა, სიფაქსთან ძვ.წ. 210 წლის პუბლიუს პოპილიუსის ელჩობა, ამ დროს იგი „წარგზავნილი იყო ელჩად [Broughton, 1951:281]. სიფაქსთან, რადგან მოკავშირეობა დაემყარებინა მასთან (Liv.,

Ab urbe condita, XXVII. 4. 7-9). ძვ.წ. 200 წლის ლუკრეციუსის ელჩობა კართაგენში...“ . განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი ინფორმაციები პუნიკური ომების დროინდელ რომაულ დიპლომატიაზე და ა.შ. სხვათა შორის, ისტორიკოსის განმარტებით, „ელჩის ფუნქცია იყო რომაელთა სახელმწიფოსთვის საკეთილდღეოდ საქმის კეთება“ (Liv., Ab urbe condita, XXXIV. 57).

ძვ.წ. 193 წ. გაიუს კორნელიუს ცეტეგი კართაგენსა და მასინისას შორის ტერიტორიული დავის მოსაგვარებლად გაემგზავრა. „საქმის განხილვისას... არც ერთი და არც მეორე არ ჩათვალეს მართალად და დატოვეს ყველაფერი ისე, როგორც იყო“ (Liv., Ab urbe condita, XXXIV. 62, 16). ნუმიდიის და კართაგენის დაპირისპირების პოლიტიკა დაიწყო, რომელიც 40 წელი მიმდინარეობდა [Трухина, 1986:89].

რომაული დიპლომატიის საინტერესო ფაქტები დაცულია აპიანე ალექსანდრიელის (?95-?170) „რომის ისტორია“-ში. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ენციკლოპედიური ცოდნის მხრივ იგი ჩამორჩება ლივიუსს ანდა ტაციტუსს, მაგრამ მის წიგნებში ისტორიკოსი მაღლა დგას ცალკეული პოლიტიკოსების და პარტიების საქმიანობის მიკერძოებულ შეფასებებზე. აპიანეს დამსახურება იყო ყოვლისმომცველი ისტორიის შექმნა, რომელიც მოიცავდა პერიოდს მარადიული ქალაქის დაარსებიდან უახლეს დრომდე, რასაც ისტორიკოსმა თავი კარგად გაართვა.

აპიანე იყო რომაული მმართველობისა და მონარქიის მტკიცე მხარდამჭერი [Кузищина, 2000:10]. ამიტომ მისთვის დემოკრატია სახელმწიფოების დაღუპვის მიზეზია [Заборовский, 1981:141].

აპიანე ნაშრომში ისტორიის თხრობას მეფეთა პერიოდიდან იწყებდა, სამწუხაროდ, მისი ნაშრომის მხოლოდ ექვსმა წიგნმა (ესპანური, ჰანიბალური, ლიბიური...) მოაღწია, რომლებშიც ანტიკური რომის მხრიდან წარმოებული ომების (ესპანეთი, კართაგენი, ნუმიდია...) ფონზე გადმოცემული იყო რომაელი მხედარმთავრების და მაგისტრანტების მხრიდან წარმოებული სხვადასხვა დიპლომატიური საქმიანობები, დადებული ხელშეკრულებები და ა.შ. ხოლო კ. მარქსის სიტყვებით, რომ ვთქვათ, „აპიანე გამოირჩევა სამოქალაქო ომების „მატერიალურ ხაზის“ გამოვლენით, რომელიც შედგება მცირე და დიდ მიწათმფლობელებს შორის ბრძოლაში [Кузищина, 2000: 10].

აპიანე ნაშრომებში აღწერს თუ რამდენად ვითარდება რომის ისტორია

[Немировский, 2004:40-41]. ასევე ხშირად ისეთ ინფორმაციას გვაწვდის, რომელიც სხვა წყაროებში არ არის ხელმისაწვდომი [Беликов, 2003:11].

რესპუბლიკის პერიოდში რომაული დიპლომატია ძირეულად შეიცვალა მართლაც, რომაელებმა ომების შემდეგ დადებული ხელშეკრულებების განახლება დაიწყეს [Eilers, 2009:1]. აგრეთვე, აპიანეს თანახმად: „იბერიაში მდ. ებრო არცერთ მხარეს არ უნდა გადაელახა, რადგან ეს შედიოდა რომაელთა და კართაგენელთა ხელშეკრულებაში“ (App., *Historia romana*, VII. 2).

ლუციუს ანეუს ფლორუსი (70-140) მეორეხარისხოვან ისტორიკოსად არის მიჩნეული, მაგრამ ნაშრომში - „700 წლის მანძილზე რომის ისტორიის ყველა ომების ეპიტომები“, მას გამოყენებული ჰქონდა მეფეთა ხანიდან დაწყებული ავგუსტუსის დრომდე საშინაო და საგარეო ომების შესახებ დღეისთვის დაკარგული არაერთი წყარო. ფლორუსს საინტერესო ხედვებიც ჰქონდა. მაგ., სამნიტებს და რომაელებს შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ იგი მიუთითებდა, რომ „პირდაპირი ჩარევა დაარღვევდა მათ შორის დადებულ ხელშეკრულებას“ (Flor., *Epitomae, Bellum Samniticum*, I. 11).

პუბლიუს (გაიუს) კორნელიუს ტაციტუსი (ახ.წ. ? 56-117 წწ). რომაული ლიტერატურის კლასიკოსის და საისტორიო მწერლობის მწვერვალი გახლდათ პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი [სურგულაძე, 2013:69-70]. ისტორიებისა და ანალების წერის დროს მას ძვ.წ. 112-113 წწ-ში. უმაღლესი სამოქალაქო თანამდებობა ეკავა [Hazel, 2002:297]. იგი 112-113 ან 113-114 წწ. აზიის პროვინციაში, როგორც იურისტი და ორატორი მოღვაწეობდა [Кнабе, 1981:54].

ნიშანდობლივია, რომ „სპეციალური მიზნებისათვის მნიშვნელოვანი იყო უცხო სახელმწიფოებიდან ელჩების ჩამოსვლა. რომისთვის ასეთი დიპლომატიური მისია კომუნიკაციისთვის იყო საჭირო“ [Eilers, 2009:2]. ტაციტუსის თანახმად: „გარამანტელებმა რომში საელჩო გაგზავნეს...“ „გარამანტელმა ელჩებმა მოახერხეს რომის სენატის დარწმუნება..., (Tac., *Annalium*, IV. 26).

პლუტარქე ქერონეელის (ძვ.წ. 46-ახ.წ. 126) „პარალელურ ბიოგრაფიებში“ ანტიკური რომის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდში მიმდინარე დიპლომატიური საქმიანობების შესახებ არაერთი ფაქტები აქვს დაფიქსირებული.

ანტიკური ტრადიცია მას 200-ზე მეტ თხზულებას მიაწერს, რომლებიც იყოფა

ისტორიულ და ფილოსოფიურ-ლიტერატურულად. მისი ისტორიული თხზულებებიდან აღსანიშნავია „პარალელური ბიოგრაფიები“ [სურგულაძე, 2013:59], რადგან „რომში ბიოგრაფიული ჟანრი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამ ტიპის ნამუშევრები გამოირჩეოდა მორალური ორიენტირებით. ისინი ყოველთვის შეიცავდნენ ინფორმაციას არა მხოლოდ მათი გმირების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, არამედ ისტორიის შესახებ“ [Кузищина, 2000:10]. პლუტარქე არ იყო იმდენად ისტორიკოსი, რამდენადაც მორალური ფილოსოფოსი. თვითონ ამბობდა, რომ წერს არა ისტორიას, არამედ ბიოგრაფიებს, საიდანაც მკითხველმა უნდა გამოიტანოს დასკვნა, თუ რას უნდა მიზამოს და რას უნდა ერიდოს [Ковалев, 2002:47].

ეილერსი აღნიშნავდა, რომ „პლუტარქესთვის დიპლომატიური მოვალეობების შესახებ რომის დიპლომატია იყო სამოქალაქო ცხოვრების ნაწილი, რადგან ცნობილი მოქალაქეები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ პროვინციულ ქალაქებში“ [Eilers, 2009:3]

ანტიკური წყაროების თანახმად: „მხარეებმა დროებითი ზავი დადეს და მხედართმთავრები მოსალაპარაკებლად შეიყარნენ“ (პლუტ., რომულუსი, I. 77-78).

დიონ კასიუსი (ახ.წ. 153-235 წწ). იმპერიის პერიოდის ისტორიკოსებიდან ცალკე საუბრის თემა გახლავთ დიონ კასიუსი. მას ეკუთვნის „რომის ისტორია“ [სურგულაძე, 2013:63-64]. დ. ჰალიკარნასელის მსგავსად, დ. კასიუსმა რომის ისტორია ბერძნულად დაწერა. ეს არის 80 წიგნისგან შედგენილი უზარმაზარი ნაშრომი. ძვ.წ. I-ლი საუკუნის 60-იანი წლების ისტორიის შემცველმა წიგნებმა ჩვენამდე მოაღწია, რომლებიც სამოქალაქო ომების პერიპეტიებს დეტალურად აშუქებენ. დიონმა შეაქო რომის რესპუბლიკა და იმავდროულად იმპერატორიც, რომელიც სენატთან შეთანხმებით რომს მართავდა [Кузищина, 2000:9]. მისმა თანამდებობებზე ყოფნამ აფრიკაში და დაღმაციაში გავლენა იქონია მის ნაშრომზე [Махлаюк, Марков, 2008:40-41].

რომის დიპლომატია გამოვლინდა, როდესაც „უცხო ქალაქი ერეოდა რომის ხელისუფლების კონსოლიდაციაში, რომლებიც თავიანთ გავლენას იყენებდნენ მათი ქალაქების სასარგებლოდ“ (Cas., Historia Romae, 39. 13-14). [Eilers, 2009:2].

დიონისე ჰალიკარნასელის (ძვ.წ. 54-7 წწ). „რომაული სიძველეები“ (20 წიგნი, მათგან სრულად არის შემონახული 9), შეიცავს უამრავ ღირებულ ინფორმაციას ძველი რომის ადრეული ისტორიისა და მმართველობის შესახებ. რომაელთა სიდიადით აღფრთოვანებული დიონისე იმავდროულად ცდილობდა ელინური გარემოდან წა-

რმოდგინა მათი წეს-ჩვეულებები და კანონები. იგი „რომაელებსა და ბერძნებს მონათესავე ხალხებად თვლის და ამით ხსნის რომის ისტორიის ბევრ ფენომენს“. [Кузищина, 2000:10]. მის ნაშრომში „რომაული სიძველეები“ ხშირად არის ნახსენები საელჩოები და ხელშეკრულებები [Маяк, 2005:253]. ისტორიკოსი ასევე ეხება დიპლომატიურ ჯაშუშობას [Данилов, 2011:6].

ნაშრომში ავტორი ხშირად ეხება საელჩოების და სხვადასხვა ხელშეკრულებების საკითხებს. ისტორიკოსის კრედო იყო, რომ რომაულ დიპლომატიაში „ელჩების უხამსად ან ძალადობრივად მიღება რომის სახელმწიფოსთვის იყო მიუღებელი [Eilers, 2009:6]. პალიკარნასელის თანახმად: „ტულუსისგან გამოგზავნილ ელჩებს მშვიდად უპასუხეს: რომ არ ჰქონდათ რომაელებთან ალიანსზე და მეგობრობაზე დადებული შეთანხმება“ (Halicarn., Antiquitatum romanarum, I. 27).

ძვ.წ. 280 წ. პუბლიუს კორნელიუს დოლაბელა მაქსიმუსი წარგზავნილი იყო გაგზავნილი ტყვეების გაცვლის შესახებ მოლაპარაკებებისთვის ელჩად პიროსთან (Halicarn., antiquitatum roman, XIX. 12. 2).

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი (ახ.წ. 75-140 წწ). იგი ცხოვრობდა იმპერიის ეპოქაში. მისი ნაშრომი „12 კეისრის ცხოვრება“. ავტორს მოჰყავს დოკუმენტური ხასიათის ტექსტები...“ [Беликов, 2003:15]. ნაშრომი „12 კეისრის ცხოვრება“ არის იულიუს კეისრისა და პირველი თერთმეტი რომაელი პრინცეპსის ბიოგრაფიების კრებული. სვეტონიუსი იმპერატორების ცხოვრებებს აღწერდა არა ქრონოლოგიით, არამედ თემატიკის პრინციპით. მისი ნაშრომი საუკეთესო წყაროდ რჩება კეისრის მხრიდან გალიის პროკონსულობისას წარმოებულ დიპლომატიურ დემარშების (კონგრესი, სხვადასხვა ტომებთან მოლაპარაკებები...) წარმოჩენის საქმეში. სვეტონიუსით ხდება ანალოგიურ საკითხზე პლუტარქეს და კეისრის ნაშრომის შევსება

გაიუს სალუსტიუს კრისპი (ძვ.წ. 86-35). „იუგურთას ომში“ აღწერილს ძვ.წ. 111-105 წლების მოვლენებს, როდესაც რომაელები ჩაერივნენ ნუმიდიის სამეფოს საშინაო საქმეში. ნაშრომის ღირებულებას ისიც ზრდიდა, რომ სალუსტიუსი წყაროდ იყენებდა ომში მონაწილეების (რუფუსი, სულა) მემუარებს და როგორც თვითონ აღნიშნავდა „მეფე ჰიემფსალის წიგნის“ თარგმანს. ჩანს მემუარების გავლენით იყო მისი კრიტიკულ დამოკიდებულება გაიუს მარიუსის მიმართ. ისტორიკოსის წყალობით ვიცით იუგურთას, მეტელუსის, მარიუსის და სულას მხრიდან წარმოებული დიპლო-

მატიური დემარშების ნიუანსები. თვით ავტორი შენიშნავდა, რომ რომაული დიპლომატია საჭიროების შემთხვევაში „ადმინისტრაციული ხასიათითაც გამოირჩეოდა“. ხოლო მისი იდეალი იყო „ზომიერად დემოკრატიული რესპუბლიკა“ [Кузищина, 2000:10].

მარკუს ტულიუს ციკერონი(ძვ.წ. 106-43 წწ).რომის ისტორია საინტერესოდ არის წარმოდგენილი ორატორის და საზოგადო მოღვაწის მარკუს ტულიუს ციკერონის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში. ველიუს პასტეკულუსი წერდა: ციკერონის ხსოვნა მარადიულია. შესაძლოა კაცობრიობა უფრო ადრე გაქრეს ვიდრე მისი სახელი [სურგულაძე, 2013:42]. იგი არ იყო ისტორიკოსი, თუმცა თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში ეხებოდა ძველი რომის ისტორიის საკითხებს [Ковалев, 2002: 49].

ციკერონის წერილებს დიდი ლიტერატურული და ისტორიული მნიშვნელობა აქვთ...“ „წარმოგვიდგენს პირველი საუკუნის რომის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ნათელ სურათებს...“ [ურუმაძე, 1974:295]. პოკროვსკის თანახმად: „ციკერონის სიტყვები ის ცენტრია, რომლის გარშემო ჯგუფდებოდა ყველა მისი მრავალმხრივი ინტერესი, როგორც მეცნიერულ-ფილოსოფიური ასევე პოლიტიკური“ [Покровский, 1914:5]. „წარჩინებულმა იურისტმა და პოლიტიკურმა ორატორმა...“ „იმდროინდელი პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის შესახებ ინფორმაცია გადმოგვცა ტრაქტატებში: „კანონების შესახებ“; „სახელმწიფოს შესახებ“ და ა.შ. ეს ტრაქტატები რომის ისტორიის მოვლენების შესახებ უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროა“ [Кузищина, 2000:10].

ეილერსის თანახმად: „ზოგჯერ რომაული დიპლომატია იძულებული იყო ჩარეულიყო სხვა უფლებამოსილებით, რომელიც ძალაუფლებას გულისხმობდა“ [Eilers, 2009:6]. ციკერონის თანახმად: „მეფე უნდა ყოფილიყო არა თავისუფლად არჩეული არამედ, ვისაც დამსახურების მიხედვით შენარჩუნებული ჰქონდა ძალაუფლება“(Cic.,De re publica,II.12).„მეფის არჩევის შემდეგ კურია მეფეს იმპერიუმი სპეციალური კანონით lex curiata de imperio გადასცემდა ძალაუფლებას“ (Cic., De re publica, II. 13).

გვიანდელი რესპუბლიკის დიპლომატიური საქმიანობის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იულიუს კეისრის (ძვ.წ. 100-44) ისტორიულ ავტობიოგრაფიული

ხასიათის ნაშრომს „კომენტარები გალიის ომის შესახებ“. ზოგადად, „მრავალმხრივი იყო კეისრის ლიტერატურული მოღვაწეობა“ [სურგულაძე, 2013:45].

მართალია, კეისარი პროფესიონალი ისტორიკოსი არ იყო, მაგრამ აღნიშნულ ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ძვ.წ. I ს-ის შუა წლების რომის ისტორიის შესწავლისათვის [სურგულაძე, 2013:47]. „კომენტარები“ რვა წიგნად შექმნილი თხზულებაა. მასში ლაკონური ენით, მესამე პირში, აღწერილია ძვ.წ. 58–50 წლებში კეისრის პროკონსულობა გალიის პროვინციაში. თხზულებაში კეისარი გალის, გერმანიისა და ბრიტანეთის შესახებ აფიქსირებს ფასდაუდებელ გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ მასალას. „კომენტარები“-ს მიხედვით შეგვიძლია წარმოვაჩინოთ კეისრის დიპლომატიური მანევრები. გალურ ძალებთან დაპირისპირებაში იგი არაერთხელ მიმართავდა ტაქტიკურ ხრიკებს და ილეთებს. ნაშრომში სჩანს პროკონსულის მოლაპარაკებები ჰელვეტებთან, ედუების. არიოვისტთან, სხვებთან და რაც მთავარია ამ ნაშრომით შეგვიძლია ვისაუბროთ ე.წ. „გალური კონგრესის“ თაობაზე, სადაც ყოველმხრივ გამოჩნდა პროკონსულის დიპლომატიური უნარები. „მან თითოეულ სამხედრო კამპანიაში ფაქტობრივად, შეუსწავლელი ტერიტორიების ფართომასშტაბიანი გამოკვლევა ჩაატარა [Дилите, 2003:274].

რომაული დიპლომატიის მუდმივი ინტერესი, ისტორიული მომენტების გააზრების წინაპირობა მას შემდეგ გახდა, როდესაც კეისარი ბრძოლების პროცესში მოლაპარაკებებს იყენებდა [Eilers, 2009:6]. კეისრის თანახმად: „ედუებმა კეისარს ელჩები გაუგზავნეს დახმარების სათხოვნელად: „ისინი რომელი ხალხის წინაშე მუდამ თავდაუზოგავები იყვნენ...“ (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I.11).

რომის დიპლომატიური ინსტიტუტის, კერძოდ ელჩების საქმიანობის შესახებ საინტერესო წყაროა იმპერიის პერიოდის იურისტის დომიციუს ულპიანუსის (?170–223) ადმინისტრაციული ხასიათის ტრაქტატი „პროკონსულთა მოვალეობის შესახებ“. სადაც ავტორი აღნიშნავს: „რომის დიპლომატიამ კონტექსტთან მიმართებაში ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ლეგატებს“ [Eilers, 2009:7]. მართალია, იმპერიის ხანაში პროკონსულის ინსტიტუტმა ცვლილება განიცადა, მაგრამ ნაწილობრივ იგი ინარჩუნებდა რესპუბლიკის დროინდელ მოვალეობებს. მაგ., პროკონსული უფლებამოსილი იყო ხშირად დამოუკიდებლად ეწარმოებინა მეზობელ სუბიექტებთან დამოუკიდებელი დიპლომატიური საქმიანობა. ულპიანუსის მიხედვით პროკონსულები დი-

პლომატიური საქმიანობას ლეგატები აკონტროლებდნენ (Ulp., De officiis proconsulis, I. 2143).

ისტორიოგრაფია. ანტიკური რომის თემატიკის შესწავლა ქართულ მეცნიერებაში ძირითადად მიდიოდა პოლიტიკური ისტორიის კუთხით. ამას მისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა აზროვნება იგნორირებას უწევდა დიპლომატიური მომენტების წინა პლანზე წამოწევის და მისი ნიუანსების შესწავლის საკითხებს. ასეთი მიდგომის გამო, ქართულ მეცნიერებაში, არ მოგვეპოვება ნაშრომი, რომელშიც ნაჩვენებია იქნებოდა ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის ზოგადი და კონკრეტული მხარეები. კვლევაში გამოყენებულია ქართული ანტიკური რომის ისტორიული სკოლის წარმომადგენლების ზოგადი ხასიათის ნაშრომები (ალ. წერეთელი, 1957, 1961, 1992; ლ. სანიკიძე, 1963, 1970, 1989; გ. ქავთარია, 1979, 2016, 2020; კ. სურგულაძე, 2019...), მაგრამ ვიტყვით, რომ მათი კვლევის ობიექტი იყო პოლიტიკური და სამხედრო ისტორიის წარმოჩენა. კი, მათში არის საუბარი სენატის როლზე, წარმოჩენილი სხვადასხვა მოლაპარაკებები, მაგრამ არ სჩანს კონკრეტული რომაული დიპლომატიის დადებით და უარყოფით მხარეებზე, საელჩოების ფუნქციებზე და ა.შ. ყოველივეს გამო ქართულ სამეცნიერო წრეებში ანტიკური რომის მხრიდან წარმოებული დიპლომატიური ურთიერთობების ნიუანსები უცნობი რჩებოდა. წინამდებარე კვლევა აღნიშნული ხარვეზის შევსების ცდაა, სადაც დიპლომატიის თანამედროვე გაგებიდან არის ანტიკური რომის ისტორიის ტრადიციული მომენტების გააზრების ცდა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ იგი ინოვაციურია.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი ნაწილი დაეთმო ზოგადად დიპლომატიის არსის განმარტებას და ყურადღება გამახვილებულია ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის მომენტებზე. ეს მომენტი საინტერესოა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისათვისაც, რადგან იგი შეჯამებას უკეთებს ქართულ მეცნიერებაში მის შესახებ არსებულ თეორიულ მსჯელობებს, მოტანილია წონადი მეცნიერების (რ. აარონი, ჰ. მორგენტაუ, ჰ. ნიკოლსონი, ე. სატოუ...) შეხედულებები. აქვე ვიტყვით, რომ კვლევისას ჩვენთვის ბაზისი იყო ჰ. კისინჯერის (1923–2023) პოზიცია და მიგვაჩნია, რომ დიპლომატია უნდა განვიხილოთ, როგორც „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელიც „წარმოიქმნება გამოცდილებისა და ძალისხმევის შედეგად, ომისა და მშვიდობის ძალებს შორის ძალთა ბალანსის დროს“.

დისერტაციის დანარჩენი ნაწილი ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის საკვანძო მომენტების შესწავლას დაეთმო. შევნიშნავთ, რომ ამოსავალი მომენტი არის ევროპულ საისტორიო მეცნიერებაში არსებული სამეცნიერო ნაშრომები. რადგან ანტიკური რომის მხრიდან მიმდინარე დიპლომატიური საქმიანობები რომაული მილიტარისტული პოლიტიკის წინსწრები ანდა შემდგომი პერიოდის გამოვლენა იყო, ამიტომაც ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე დაპყრობების სურათის წარმოსაჩენად გამოყენებულია XIX–XX ს–ბში საისტორიო მეცნიერებაში არსებული სამეცნიერო ტრადიცია, რომელშიც რიგ საკითხებზე მოცემულია ახლებური ინტერპრეტაცია.

ნაშრომში გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ბაზა ფართოა, სულ 340 წყარო თუ ლიტერატურა, რომლებიც არსებობს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ საისტორიო მეცნიერებაში. ეს საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა სკოლებში წარმოვაჩინოთ საკითხის შესწავლის მდგომარეობის ისტორია. აქ შევნიშნავთ, რომ რომაული მილიტარიზმის და დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიის შესწავლის საკითხზე გავლენას ახდენდა ამა თუ იმ ქვეყანაში დომინირებული იდეოლოგია. ასე იყო მაგ., სსრ კავშირში, სადაც მარქსისტული იდეოლოგიის გამო მთავარი ყურადღება გადატანილი იყო პოლიტიკურ მომენტებზე და კლასთა ბრძოლის საკითხების კვლევაზე. რაც შეეხება დიპლომატიური ურთიერთობების ნიუანსებს, მათზე პოლიტიკის ჭრილში საუბრობდნენ ანდა ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამიტომაც იყო, რომ ნ. მაშკინის, ს. კოვალიოვის და სხვების ნაშრომებში მთავარი ადგილი პოლიტიკური ურთიერთობის და ისტორიის საკითხების თხრობას ექცეოდა.

საილუსტრაციოდ მოგვყავს რუსულ ისტორიოგრაფიაში ზოგადი სახის ცნობილი პუბლიკაცია „დიპლომატიის ისტორია“ (ტ. 1, 1959), სადაც საუბრია ანტიკური რომის დიპლომატიის მახასიათებლებზე და დიპლომატიურ ორგანოებზე. მეფეთა პერიოდის ელჩების და საელჩოების მხრიდან წარმოებულ დიპლომატიურ საქმიანობაზე, ნახსენებია „ფეციალის კოლეგიის“ და სენატის, როგორც დიპლომატიური ორგანიზაციების და მათი როლი უცხო ქვეყნებთან ურთიერთობების საკითხში. ყურადღება გამახვილებულია რესპუბლიკის პერიოდში წარმოებულ დიპლომატიის სხვადასხვა მომენტებზე (ანტიკური რომის საერთაშორისო ურთიერთობები, ჰანიბალის კავშირი მეფე ფილიპე V-თან, რომის დიპლომატიური გამარჯვება ელად-

აში, რომელი ელჩების გამოსვლა აქეის ლიგაში. ასევე აფრიკასა და ეგვიპტეში წარმოებული დიპლომატია. ცალკე ადგილი დათმობილია კეისრის გალურ დიპლომატიას). ამის მიუხედავად, პუბლიკაციის ნაკლად მიგვაჩნია: ელჩების მდგომარეობაზე და საელჩო სამართალზე ნაკლები ყურადღების დათმობა, ანტიკურ რომსა და სხვა ქვეყნების შორის არსებულ დიპლომატიურ საქმიანობებში მსგავსება-განსხვავების ჩვენება, რომელი დიპლომატიის უარყოფითი მხარეების წარმოჩენა, გალური კონგრესის პანეგირიკა და ა.შ.

ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის შესწავლის მიმართ რუსული ისტორიოგრაფიის მთავარი შტრიხები. მაგ., ს. უტჩენკომ (1908-1976) შემოგვთავაზა ფორმულა: სენატი + ხალხი, რაც სიახლე იყო, თუმცა მეცნიერის მტკიცება, რომ კეისრის „სურვილი სახელმწიფოს გაერთიანება და მთელი თავისუფალი მოსახლეობისთვის თანაბარი უფლებების მინიჭება“ [Утченко, 1952:96-99], იყო მისი საშინაო დიპლომატიის ერთგვარი კრედო, პანეგირიკის სფეროში გადადიოდა. ჩვენ ისტორიულ ფონად გამეყოფთ: ი. მაიაკმა, ძვ.წ. III-II ს-ბში რომი-ელინისტურ სამყაროს შორის ელჩებისა და საელჩოების საკითხს შეეხო. ვ. კაშჩევმა. რომელი ელჩების სტატუსი და პოზიცია წარმოაჩინა ე. დანილოვას. ავტორის მხრიდან სიახლე იყო საელჩოების განხილვა სადაზვერვო ფუნქციების განხორციელების თვალსაზრისით. ლ. შმელევა მიიჩნევდა, რომ „დიპლომატიური ფუნქციის შემსრულებელი ორგანოების სისტემა ჩამოყალიბდა მეფეთა ხანაში“ [Шмелева, 2010:150]. მეცნიერის შენიშვნით, „დიპლომატიური საქმიანობა კანონმდებლობით გაიწერა ნუმას მეფობისას, რომლის დროსაც ჩამოყალიბდა საელჩოების მარეგულირებელი წესები“ [Шмелева, 2010:150].

რომაული დიპლომატიური საქმიანობის გააზრება ხდება პოლიტიკური ისტორიის და მილიტარისტული პოლიტიკის გააზრების ფონზე. ამ მხრივ, XIX-XX ს-ბში ევროპულ მეცნიერებაში ანტიკური რომის ისტორიაზე წონადი ნაშრომები შეიქმნა. შევნიშნავთ, რომ აღნიშნული საკითხების შესწავლაზე გავლენას ახდენდა დომინირებული იდეოლოგია. მაგ., გერმანულ და იტალიურ ისტორიოგრაფიაში ფაშისტური იდეოლოგიის გამო პოპულარული იყო ძლიერი პიროვნების კულტი, ამიტომაც იქ აქტიურად მიდიოდა ანტიკური რომის და განსაკუთრებით კეისრის პანეგირიკა. ამ მხრივ ჩვენ ისტორიულ ფონად გამოვყოფთ, ნობელის პრემიის მფლობელს თეოდორ მომზენს (1817-1903), რომლის ნაშრომი ბაზისად იქცა ევროპულ მეცნიერებაში

ანტიკური რომის ისტორიის შესწავლის საქმეში. უდაოა, რომ გერმანელმა მეცნიერმა დეტალურად შეისწავლა ძვ.წ. VIII-I ს-ბის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის ისტორია, მიმდინარე დიპლომატიური ტენდენციები, სენატის როლი და ა.შ. იგი აღნიშნავდა, რომ „ეს ინსტიტუტი არ იყო დამოკიდებული არც მეფეზე და არც მოქალაქეების კრებაზე. სენატს ჰქონდა უფლება ყველა გადაწყვეტილება აეწონა-დაეწონა და უარი ეთქვა მოქალაქეების მიერ მეფის წინადადების დადგენილების დამტკიცებაზე“ [Моммзен, 1997:89-92].

რესპუბლიკის პერიოდის რომაული დიპლომატია მომზენის აზრით „გამოირჩეოდა გამძლეობით, ეშმაკობითა და თანმიმდევრულობით და არა მოქმედების სისწრაფით“ [Моммзен, 1997:546-548]. სამნიტებთან მიმართებაში მომზენი წერდა: „რომაელი ელჩები სამნიტებთან მიდიოდნენ შეტყობინებით და მოთხოვნით, რომ მეგობარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ძალით არ შეჭრილიყვნენ“ [Моммзен, 1997:348]. კართაგენი-რომის ურთიერთობებზე საუბრისას მკვლევარს მიაჩნდა, რომ რომის დიპლომატიამ კართაგენი იძულებული გახადა გაეყვანა არა მარტო დასავლეთით ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ურთიერთობებიდან, არამედ „პოლიტიკური სისტემიდანაც“ [Моммзен, 1997:540]. რაც შეეხება რესპუბლიკურ სენატს, მეცნიერი შენიშნავდა, რომ იგი „იყო არა აგრესორი, არამედ მშვიდობისმყოფელი ორგანო“ [Беликов, 2003: 21]. სხვა დეტალებიდან ვიტყვით, რომ „კეისრის მითის“ წყალობით, რომელი მომზენისთვის იდეალური პოლიტიკოსია, რის გამოც იგი ვერ ხედავდა მის უარყოფით მხარეებს, შესაბამისად მისი მხრიდან წარმოებული დიპლომატიაც იდეალურიც იყო.

ანტიკური რომის ისტორიის შესწავლის კუთხით ევროპული სამეცნიერო ბაზა მდიდარია, სადაც ზოგადი სახის (გ. ფერერო...), ანდა ცალკეულ მომენტების (გ. ბუასიე, რ. საიმი...) და პიროვნებების (გ. შასკლეტონ-ბაილეი...) შესახებ არაერთი წონადი ნაშრომების დასახელება შეიძლება. პრობლემის ობიექტიდან გამომდინარე, შევნიშნავთ, რომ კლასიკურ კვლევებში განებივრებული არ ვართ ზოგადი ხასიათის ნაშრომებით, რომლებშიც ერთიანი სურათით შესწავლილი იქნებოდა ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია, რომელი ელჩების საქმიანობა, საელჩო სამართალი და ა.შ., რაც საშუალებას მოგვცემს მეფეთა ხანის და რესპუბლიკურ პერიოდის აღნიშნული ინსტიტუტების ფორმირებას და ცვლილებას თვალყური მივადევნოთ. ანტიკურ რო-

მში ელჩების თანამდებობა და მათი დიპლომატიური საქმიანობა შეისწავლეს პ. ვილიამსმა, მ. იენამ, ჟ-ლ. ფერარიმ და სხვ. მაგ., პ. ვილემსის ნაშრომში – „რომაული სახელმწიფო სამართალი“, გადმოცემულია გვიანდელი რესპუბლიკისა და იმპერიის პერიოდში რომში საელჩოს კანონის ზოგადი დებულებები. მ. იენამ და ჟ-ლ. ფერარიმ აღწერეს ელჩების პოზიციები და რომის გვიანდელი პერიოდის დიპლომატიური საქმიანობის გარკვეული ასპექტები.

პ. მარტინი ნაშრომში – „სამეფო ძალაუფლების იდეა რომში. სამეფო და მონარქიული ცდუნებები, კლასიკური ანტიკურობა“, საუბრობდა მეფეების მხრიდან განხორციელებულ დიპლომატიურ ურთიერთობებზე. ავტორს მიაჩნია, რომ „რომულუსის მიერ დაფუძნებული დიპლომატიური ურთიერთობები წარმოშობილ კონფლიქტებთან თითქმის არასოდეს ჰქონდა პირდაპირ კავშირში“ [Martin, 1996:151]. მეცნიერს საბინებთან შერიგების საქმეში ქალების ჩართვა, რომის მხრიდან „პირველ დიპლომატიურ აქტად“ [Martin, 1996:204-207]. მიაჩნია. მეცნიერი „ლათინებთან დაახლოებას, ჰერნიკებთან და ვოლსკებთან ალიანსების მიებას, ეკვებთან მშვიდობის და ეტრუსკებთან ხელშეკრულების განახლებებს ტარკვინიუს „ამაყის“ დიპლომატიურ ინიციატივებად მიაჩნია“ [Martin, 1996:172-174].

პ. ბურტონმა ნაშრომში „რომაული დიპლომატია“, წამოწია ე.წ. „იძულებითი დიპლომატიის“ საკითხი. მეცნიერი აღნიშნავდა: „რომაელი მეფეები დიპლომატიის გზით კონფლიქტებს თავიდან იცილებდნენ, რომელშიც წინდახედულობას და სიფრთხილეს ავლენდნენ, ხოლო „იძულებითი დიპლომატიის“ მეშვეობით ომებსაც იგებდნენ“ [Burton, 2018:2]. აქ კარგი იქნებოდა მეცნიერს ტერმინის შინაარსი გაეხსნა. პუნიკურ ომებზე საუბრისას, ბურტონმა ყურადღება მიაქცია ომამდელ დიპლომატიურ მოქმედებებს. იგი წერდა: „ყველა მხარის დიპლომატიური ინციდენტების და პოლიტიკური მანევრების გამო კართაგენი და რომი ჩაკეტილი აღმოჩნდნენ“ [Burton, 2018:2]. მეცნიერი მიუთითებდა: „ძვ.წ. 264 წელს რომი-კართაგენს შორის დაპირისპირება დაიწყო, როგორც მცირე დიპლომატიური ბრძოლა, რომლის დროსაც ერთ-ერთი მათგანი ბევრად უფრო მცირე ძალას, სიცილიის ქ. მესანას დაეხმარა“ [Burton, 2018:2]. სამწუხაროდ ავტორი არ საუბრობს ძვ.წ. 241 წლის „ლუტაციუსის ხელშეკრულების“ დეტალებზე. ამის მიუხედავად, მეცნიერის მხრიდან პრაქტიკაში „იძულებითი დიპლომატიის“ შემოტანამ და პუნიკურ ომამდე არსებული „დიპლომატიური

ომების“ წარმოჩენა სიახლეს წარმოადგენდა.

ლ. პელოქუინმა ნაშრომში („ფეციალები და დინამიური კონსერვატიზმი რომაულ რელიგიაში“) შეისწავლა „ფეციალები“-ს როლი დიპლომატიურ საქმიანობებში, მათი ადგილი ხელშეკრულებების დადების პროცესში. მეცნიერმა აღნიშნა მათი მონაწილეობა ფიდესთან (ძვ.წ. 763; ძვ.წ. 715) და ალბელებთან (ძვ.წ. 672; ძვ.წ. 641) დადებულ ხელშეკრულებებში. პელოქუინის აზრით, რესპუბლიკის პერიოდში რომი „წინააღმდეგობრივ დიპლომატიას“ აწარმოებდა. მეცნიერი თვლიდა, რომ „ფეციალები კისრულობდნენ უცხოელი ელჩების დაცვას. რადგან რომის მხრიდან საზღვარგარეთის ქვეყნებთან რთული დიპლომატიის გამო, უკანასკნელების დაცვა მეტ ყურადღებას ითხოვდა“ [Peloquin, 2022:23].

კლ. ეილერსი („დიპლომატები და დიპლომატია რომაულ სამყაროში“) აღნიშნავდა, რომ „თანამედროვე დიპლომატიისგან განსხვავებით რომაულ სამყაროში მმართველების ქცევებზე გავლენას დიპლომატიური მოქმედებები და რიტუალები ახდენდნენ“ [Eilers, 2009:5]. იგი შენიშნავდა, რომ „ინტერესების დაცვისთვის რომს საზღვარგარეთ მუდმივი წარმომადგენლობა არ ჰყავდა. ამის მიუხედავად, იტალიკებთან და ბერძნულ სახელმწიფოებთან იგი დიპლომატიური მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ხოლო მათი გაუთვალისწინებლობა გაუგებრობებს იწვევდა, როგორც ეს ჩნდებოდა იტალიკ მოკავშირეებთან“ [Eilers, 2009:9]. ეილერსის შენიშნავდა, „რესპუბლიკის პერიოდის რომაულ დიპლომატიაში ძირეული ცვალა მას შემდეგ იწყება, რაც რომაელებმა ომების შემდეგ დადებული ხელშეკრულებების განახლება დაიწყეს“ [Eilers, 2009:9], ხოლო კეისრის დიპლომატიის მნიშვნელობის შესახებ მეცნიერი წერდა, რომ „რომაული დიპლომატიის მუდმივი ინტერესი, ისტორიული მომენტების გააზრების წინაპირობა მას შემდეგ გახდა, როდესაც კეისარმა ბრძოლების პროცესში მოლაპარაკებების გამოყენება დაიწყო“ [Eilers, 2009:9].

კლ. ოლიარდი („რომაული დიპლომატია, დაპყრობის ინსტრუმენტი“) ანტიკური რომის დიპლომატიის საკითხების კვლევისას შეეხო მეფეთა ხანიდან დაწყებულ სამნიტურ ომებამდე მონაკვეთს. მეცნიერი შენიშნავდა, რომ „დიპლომატიური ვალდებულების შესრულება მეფის პირადი საქმე იყო, რამაც დიპლომატიური პრაქტიკის ჩამოყალიბება გამოიწვია, რომელიც ძალაუფლების დელეგირების, საელჩოების მიღების და გაგზავნის მოქმედებებთან იყო დაკავშირებული“ [Auliard, 2006:101].

რესპუბლიკის პერიოდის დიპლომატიის შესახებ ოლიარდი მიუთითებდა, რომ „რესპუბლიკის პირველი წლების დიპლომატიაში ძვ.წ. V საუკუნე შეიძლება განისაზღვროს არათანაბარი ხანგრძლივობის ორი თვალსაჩინო დიპლომატიური მოვლენით: 1) ძვ.წ. 486 წელს ჰერნიკებთან დადებული ხელშეკრულებით, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ იშვიათ საბუთს, რომელსაც მომდევნო ათწლეულებში იცავდნენ და 2) ძვ.წ. 454 წელს დეცემვირატის დროს. ამავე პერიოდის პირველი 25 წლის მანძილზე 59 დიპლომატიური გაცვლა განხორციელდა, ხოლო „ბოლო ტარკვინიუსის მმართველობის დროს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება აძლიერებდა იმ აზრს, რომ ქალაქის მმართველობაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებამ გადაწყვიტა არ დაერღვევინებინა დიპლომატიური პრაქტიკა, თუმცა იტალიის გარეთ 5 გაცვლის დროს, 3 გეოპოლიტიკური ჯგუფი დაუკავშირდა კართაგენს დასავლეთ ბერძნებს და დელფოს“ [Auliard, 2006:113]. იგი აგრეთვე, წერდა „ომსა და მოლაპარაკებაში ჩართულმა დიპლომატიურმა მისიებმა თანასწორობა გამოავლინეს, ხოლო დახმარების მოთხოვნა და სამშვიდობო მისია იყო არათანაბარი. ამრიგად, 16 ურთიერთობა 7 სხვადასხვა მისიას შეესაბამებოდა. ძვ.წ. 486 წლის შემდეგ ლათინებმა და ჰერნიკებმა ერთად გაგზავნეს საელჩოს დელეგაციები, რომლებიც საფრთხეებზე იყვნენ პასუხისმგებელნი“ [Auliard, 2006:139].

ზემოთქმულის გარდა, მეცნიერს სიახლის სახით შემოაქვს „ძალთა ბალანსის“ საკითხი ოლიარდი აღნიშნავდა, რომ „ძვ.წ. 480 წელს რომაულმა დიპლომატიურმა მისიებმა, გავლენა მოახდინეს დიპლომატიაზე და მნიშვნელოვნად შეცვალა „ძალთა ბალანსი“ [Auliard, 2006:140]. მკვლევარი მიდის დასკვნამდე, რომ „როგორც არ უნდა ყოფილიყო ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სენატს შეეძლო პასუხი გაეცა ან დაუყოვნებლივ ჩარევის გადაწყვეტილება მიეღო“ [Auliard, 2006:140].

თავი II. ანტიკური რომის დიპლომატიის თავისებურება

2.1 დიპლომატიის არსი და დიპლომატიური სამსახურები

დიპლომატიის არსი არის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის განხორციელება, რომლის მიზანია ეროვნული ინტერესების დაცვა, სახელმწიფო ადასტურებს თავის საერთაშორისო პოზიციებს და მშვიდობიანი მოლაპარაკებებით გავლენას ახდენს სხვა საერთაშორისო აქტორების პოზიციაზე, დეკლარაციების, შეხვედრების, სამიტებისა თუ მოლაპარაკების გზით, რომელიც შეიძლება წარიმართოს ორმხრივ, მრავალმხრივ ან საყოველთაო დონეზე, რომელიც „მრავალმხრივ დიპლომატიას“ გულისხმობს. მხარეთა შეთანხმების შედეგად მოლაპარაკებებმა შეიძლება მიგვიყვანოს გარკვეულ მიღწევამდე [Aron, 1984:6; Morgenthau, 1948:105; Nicolson, 1954:10; Raynaud, 2006:303-304; Satow, 1932:87].

ნიშანდობლივია, რომ „თანამედროვე ეპოქაში დიპლომატია, საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიკოსების, იურისტების, პოლიტოლოგების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ფილოსოფოსების და ა.შ. როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში აქტუალური კვლევის საკითხია. ისტორიკოსები იკვლევენ დიპლომატიის წარმომავლობის რელიგიურ და ადამიანურ ფაქტორებს. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები აანალიზებენ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს და პრაქტიკას. ეკონომისტები საუბრობენ ეკონომიკური დიპლომატიის გლობალიზაციაზე. სოციოლოგები დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე, როგორც ადამიანების ცხოვრების წესის გაერთიანებაზე მიუთითებენ. პოლიტოლოგები სახელმწიფოს დიპლომატიურ ურთიერთდამოკიდებულებაზე და მისი როლის გაზრდაზე საუბრობენ. იურიდიული მეცნიერების იურისპრუდენციის წარმომადგენლებმა დაამკვიდრეს და სავალდებულო გახადეს დიპლომატიური სამართალი, როგორც საზოგადოებისთვის სავალდებულო ნორმა და სახელმწიფო დონეზე უზრუნველყოფა“ [აბუსელიძე, 2021: 279; Thomas, 2010:3; Meerts, 2015:1; Saner, Yiu, 2003:10].

ფილოსოფოსების აზრით: „დიპლომატიის გაგება ეთიკისა და აქტივობით შეიმცნება. თუმცა ეს ეთიკა ფილოსოფიურ წინაპირობაში, წარმოდგენილია მისი მეტაფიზიკური სახით და დიპლომატიურ ასპექტში, ცალმხრივი არა დინამიკური და არა დიალექტიკური, მანიქეური მნიშვნელობა აქვს“ [Vlajki, 2016:37; Ferragu, 2014:95;

Литвак, 2019:67]. მაგ., მშვიდობა არის რაღაც რაც არის კარგი და მორალური, ხოლო „ძალადობა და ზოროტეა არ არის კარგი და ამორალურია“ [Vlajki, 2016:37].

გლობალისტები მიუთითებენ რომ „დიპლომატიაში დროის ცვლილების გამო თუ გლობალიზაციის არსი იცვლება, მაშინ ეს ფაქტი საკვანძო მნიშვნელობისაა და საფუძვლიანია, რომ დიპლომატებმა ადრე თუ გვიან განახორციელონ სხვა სახის პოლიტიკა, რომელიც სისტემაში არსებობს“ [Neumann, 2007:3].

ნიშანდობლივია, რომ „დიპლომატია სათავეს იღებს საგარეო ურთიერთობის, საგარეო პოლიტიკის არსებობის დღიდან, მაგრამ მსოფლიოს სახელმწიფოთა ყოველ-დღიურ საქმიანობაში დიპლომატიას განსაკუთრებული მნიშვნელობა XVI-XVIII საუკუნეებში მიენიჭა. იმ დროიდან, როდესაც მეფეთა კარზე გამოჩნდნენ მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლები“ [ჭიპაშვილი, 1993:13].

დღევანდელ ენაში სიტყვა „დიპლომატია“ უყურადღებოდ არის მიღებული და განსხვავებულად აღინიშნება: ერთ მომენტში იგი როგორც „საგარეო პოლიტიკის“ სინონიმად გამოიყენება, სხვა მომენტში ეს ნიშნავს „უარყოფას“, ან როდესაც ვამბობთ „პრობლემა არის ეს“, რომელიც შეიძლება მოგვარდეს „დიპლომატიური გზით“. მეოთხე მნიშვნელობა საგარეო სამსახურს უკავშირდება, ხოლო მეხუთე ინტერპრეტაციით არის მისი აბსტრაქტული თვისება, რომელიც საუკეთესო გაგებით საერთაშორისო მოლაპარაკების წარმართვის უნარს, ხოლო მისი ყველაზე ცუდი გაგებით ტაქტიკის მზაკვრულ ასპექტებს გულისხმობს [Nicolson, 1939:13-14].

პირველი დიპლომატები იყვნენ ანგელოზები, ისინი, როგორც ანგელოზები ან მაცნეები მსახურობდნენ ცასა და დედამიწას შორის [Nicolson, 1939:17], ხოლო „ევოლუციის პარალელურად შემდგომი ფაქტორი: მაცნედან ორატორამდე და ორატორიიდან პროფესიონალი დიპლომატია - თანდათანობით გაჩნდა. ეს ფაქტორი თავად სიტყვა დიპლომატიის წარმოშობას უკავშირდებოდა“ [Nicolson, 1939:26], რომელიც წარმოიშვა ბერძნული „Diploma“-დან. (მის ქვეშ ელადაში მოიაზრებდნენ შეტყუებულ ფიცარს, დაფებს ტექსტით) [ჭიპაშვილი, 2007:34], რაც ოფიციალურ დოკუმენტებს ნიშნავდა. თუმცა, თავად ამ სიტყვის გამოყენება მოგვიანებით, ინგლისში XVII საუკუნის დასაწყისში დაიწყო. მაგალითად პირველად კონცეფცია „დიპლომატია“ 1645 წლით თარიღდება და იგი დარწმუნების და მოლაპარაკების ტექნიკას გულისხმობდა, ხოლო 1693 წელს ლაიბნიცმა გამოაქვეყნა დიპლომატიური სამართ-

ლის კოდექსი და გამოიყენა სიტყვა „დიპლომატიური“ (ლათ. diplomaticus) [Попов, 2004:13]. ამის შემდეგ იგი „საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებას“ ნიშნავს [Lee, Hocking, 2011:2; Caroy, 1961:12].

„დიპლომატია“, როგორც სახელმწიფოს საგარეო საქმიანობის განმსაზღვრელი სიტყვა მე 16-17 საუკუნეების მიჯნაზე შემოვიდა ხმარებაში, როდესაც გაჩნდა მუდმივმოქმედი დიპლომატიური წარმომადგენლობები [ჭიპაშვილი, 2007:34].

ტერმინი „დიპლომატიის“ პირველი გამოყენება 1791 წლით თარიღდება [Auliard, 2006:11] და საერთაშორისო დონეზე პოლიტიკურ ურთიერთობებს გულისხმობდა [Robert, Feilleux, 2009:1]. თუმცა ერთი სიტყვით, ცნება „დიპლომატია“ ფ. კალიერმა გამოიყენა [Попов, 2004:13] და მას მოლაპარაკების პროფესიასთან აიგივებდა [De Callières, 1919:11].

ცნობილი მეცნიერი ლ. რობერტი დიპლომატიას საზღვარგარეთ მთავრობის ინტერესების წარმოდგენის ხელოვნებასთან, საერთაშორისო ურთიერთობებთან და სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების განხორციელებასთან აიგივებდა [Robert, 1980: 232]. რაც შეეხება ტერმინ „დიპლომატია“-ს იგი პირველად მოიხსენია საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ს ელჩმა ფრანსუა კალიერმა (1645-1717 წწ). წიგნში „სახელმწიფოებთან მოლაპარაკებათა წარმოების მეთოდები“ (1716) [ჭიპაშვილი, 2007:34]. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „დიპლომატიის“ განსაზღვრა ერთი წინადადებით შეუძლებელია. თვითონ სიტყვა „დიპლომატიასთან“ ახლოს კონსილიუმი იქნებოდა სწორი [Ainsi, Croizat, 1992:66]. ენათმეცნიერების უმეტესობის აზრით, ამ სიტყვის მნიშვნელობა კონსულტაციით, მსჯელობით შემოიფარგლებოდა [Maurice, 1951:139].

ძველ ენებში, ტერმინმა „დიპლომატია“-მ, არარსებობის მიუხედავად, მაინც დატოვა იდენტიფიცირებადი კვალი, ხოლო სპეციფიკური ლექსიკის წყალობით იგი „ლეგატს“ განსაზღვრავდა [Maurice, 1951:350].

დიპლომატიის შინაარსი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და შესაბამისად მას მრავალი განმარტებაც აქვს. შეიძლება ითქვას, დიპლომატია ყალიბდება ცვალებად მსოფლიო წესრიგში არსებული საჭიროების მიხედვით. ჩვენ, წარმოვადგენთ მსოფლიოში ცნობილ მეცნიერების განმარტებას: პ. ბარბერი ნაშრომში „დიპლომატია“ აღნიშნავს „დიპლომატია მშვიდობიანი მართვაა საერთაშორისო ურთიერთობებში“

[Barber, 1979].

ე. სატოუს ნაშრომის „დიპლომატიური პრაქტიკის გზამკვლევი“ -ს თანახმად: „დიპლომატია არის გონებისა და ტაქტის გამოყენება საგარეო ურთიერთობათა წარმოების საქმეში“ [Catoy, 1961]. ჰ. ნიკოლსონი ნაშრომში „დიპლომატიის ხელოვნება“ აღნიშნავს: დიპლომატიის მიზანია „საერთაშორისო ნდობის შექმნა“ [Никольсон, 1962]. ჰ. ბული ნაშრომში „შესავალი: მარტინ უაიტი და საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლა“ დიპლომატიას განმარტავს, როგორც „წესრიგის ბუნებას მსოფლიო პოლიტიკაში“ [Bull, 1977]. მ. ჰოლისი და ს. სმიტი ნაშრომში „საერთაშორისო ურთიერთობის ახსნა და გაგება მიიჩნევენ, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის გაგებისა და ახსნის განვითარებათა დისციპლინას“ [Smith, Hollis, 1990]. ჰ. კისინჯერი ნაშრომში „დიპლომატია“ ხსნის დიპლომატიას როგორც ახალ მსოფლიო წესრიგს და აღნიშნავს, რომ „თანამედროვე დიპლომატია წარმოიქმნება გამოცდილებისა და ძალისხმევის შედეგად, ომისა და მშვიდობის ძალებს შორის ძალთა ბალანსის დროს“ [Kissinger, 1995].

მეცნიერების დ. ლი და დ. ჰადსონისათვის დიპლომატია სახელმწიფოსთან კულტურის და ეკონომიკის დამაკავშირებელი საშუალებაა [Hudson, Lee, 2004:343]. სოციოლოგი მ.მანი განსაზღვრავს „სოციალური ძალის“ ოთხ „წყაროს“, რომელსაც დიპლომატიის ოთხ სახეს უწოდებენ ესენია: პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო სისტემები [Holmes, Rofe, 2016:10-11]. ჯ. ქენანისთვის საერთაშორისო ურთიერთობათა კონცეფციაში დიპლომატიის გამოყენება აუცილებლობის იდეაა [რონდელი, 2006:70-71], „დახვეწილ დიპლომატიას დიდი შესაძლებლობები აქვს“ [Kennan, 1977:29]. იგი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს დიპლომატიურ მანევრირებას [რონდელი, 2006:71]. ვ.ი. პოპოვის თანახმად: „დიპლომატია არის საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერება. სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა და საგარეო ურთიერთობების სპეციალური ორგანოების: საგარეო საქმეთა სამინისტროს, დიპლომატიური წარმომადგენლობების. ასევე დიპლომატების მონაწილეობა ქვეყნის კურსის განსაზღვრაში მოლაპარაკების ხელოვნება. მშვიდობიანი საშუალებებით საგარეო პოლიტიკის წარმოება და მისი განხორციელება რომლის მთავარი მიზანია და ამოცანაა სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესების დაცვა“ [Попов, 2004:572]. ა. გრომიკო განმარტავს, რომ „დიპლომატია არის სახელმწიფო მეთაურების, მთავრო-

ბების და საგარეო ურთიერთობების სპეციალური ორგანოების საქმიანობა. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების მიღწევა, ასევე საზღვარგარეთ სახელმწიფოს უფლებებისა და ინტერესების დაცვა“ [Громыко, 1971:479].

ჯ.ფ. ველას თანახმად: „თანამედროვე დიპლომატია დისკუსიის ზოგადი ჩარჩოა და ადგენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ ძირითად ცვლილებას“. ვ. პეტროვსკის თანახმად: „დიპლომატია ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რომელიც მოიცავს ისეთ ტექნოლოგიურ პროგრესს რომელიც ამცირებს სახელმწიფო სუვერენიტეტს“ [Kurbalija, 1998:2]. დ. კაპლერის აზრით: „ამ საუკუნის დასაწყისიდან დიპლომატიის ევოლუცია კვლევითია“, ის იკვლევს დიპლომატიის ახალ განვითარებებს, მეთოდებს და ინსტრუმენტებს, რომლებიც ახასიათებს ცივი ომის შემდგომ პერიოდს. ე.გოლდშტეინი განსაზღვრავს დიპლომატიური პროტოკოლის სფეროში თანამედროვე მოვლენებს. პ.შარპი ფოკუსირებულია თანამედროვე დიპლომატიის ორ ტენდენციაზე: 1) მზარდ ინსტიტუციონალიზებულ მულტილატერალიზმზე და 2) დიპლომატების მუშაობის ტენდენციაზე. პ. სმიტი განსაზღვრავს: „სახალხო დიპლომატიის ძირითად როლებს: აშშ-ის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საგარეო პოლიტიკის ჩათვლით“ [Kurbalija, 1998:4]. ს.სტრეინჯის აზრით: „ზოგადად, დიპლომატია საერთაშორისო ურთიერთობების პოსტ-ბიპოლარული სისტემაში ტრანსნაციონალური გახდა“ [Strange, 1992:14]. რ. ბარსტონის თანახმად: „დიპლომატია მოიცავს სახელმწიფო წარმომადგენლების სიტყვიერ ან წერილობით კომუნიკაციას, რომლის მიზანია საერთაშორისო სისტემის მოვლენებზე მოახდინოს გავლენა“ [Barston, 2006:1; Robert, 2016:205]. მე-17 საუკუნის ბოლოს და მე-18 საუკუნის დასაწყისში დიპლომატია ელჩის და საგარეო პოლიტიკის მიზნად იქცა [Adair, 1929: 87], ხოლო გროციუსთან და პუფენდორფთან დიპლომატია სამართლის სფეროში უფრო მოწინავეა ვიდრე დიპლომატიის განხილვა [Mattingly, 1955:275-276].

აღსანიშნავია, რომ XXI საუკუნის დიპლომატია პრევენციული მიზნის მისაღწევად და მასზე ზემოქმედებისთვის იყენებს მეთოდებს, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიანი და მომგებიანი ურთიერთობების შექმნას.

დიპლომატიურმა მეთოდებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ვენის 1961 წლის კონვენციის შემდეგ, ხოლო თანამედროვე დიპლომატიის მეთოდებში „მმართველობის“ დიპლომატია, განვითარდა ოთხ სფეროში: 1) Ad hoc-ში; 2) გაეროს

გლობალურ კონფერენციებში; 3) მანდატიანი ძალების მიერ უსაფრთხოების „მიდა“ ოპერაციებში; და 4) გაეროს კომისიებში [Barston, 2006:11].

თანამედროვე დიპლომატიის ფორმებია: ა) სახელმწიფოს ინტერესების წარმოდგენა საზღვარგარეთ; ბ) საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა; გ) დიპლომატიურ კონგრესებში და კონფერენციებში მონაწილეობა; დ) დიპლომატიური მიმოწერა; ე) ხელშეკრულებების მომზადება და დადება; ვ) საერთაშორისო აქტებისა და დოკუმენტების ოფიციალური გამოქვეყნება [Пакуш, 2020:8]. ზ) პერსონების წარდგენები, დიპლომატიური წოდებები და მისიის ხელმძღვანელები [კუბლაშვილი, თუხარელი, ლორია, 2018:14-17].

თანამედროვე დიპლომატიაში ევოლუციის სხვადასხვა ეტაპს გამოყოფენ, ესენია: XX საუკუნის დიპლომატიაში გამოიყოფა: ე.წ. მიტერანის დიპლომატია [Cole, 1994:135]. დალაი-ლამას დიპლომატია ტიბეტში [ლამა, 2013:291-293]. უ. ჩერჩილის დიპლომატია [ჯენკინსი, 2011:167-169]. შ. დე გოლის დიპლომატია [ჰეთი, 2012:285-287].

XIX საუკუნის დიპლომატია ორგანიზაციული ფორმებით და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებით ხასიათდება და იგი მოიცავდა: ვენის კონგრესის მომზადებას. საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპებს და დიპლომატიურ საქმიანობას. 1815 წლის ვენის დებულებას და აახენის 1818 წლის ოქმის დიპლომატიურ ოქმში სიახლეს დიპლომატიური საქმიანობის პროფესიონალიზაციის შესახებ. ასევე დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურს [Holmes, Rofe, 2016:23; Bruns, 2014:29].

ნაპოლეონის ომებით გამოწვეული განადგურების შედეგად, ევროპამ გადაწყვიტა მშვიდობისთვის ეზრუნა არა ომებით, არამედ დიპლომატიით. აგრეთვე, ეს წარმოადგენდა ვენის კონგრესის მიზანს, რომელიც იყო დიპლომატიური „ბრძოლის ველი“ [Berstein, Milza, 1995: 9-10].

1814–1815 წწ. იყო საერთაშორისო დიპლომატიური შეხვედრების სერია [Artz, 1934:110], რომელმაც გამოიწვია, ის რომ თანამედროვე ისტორიაში, პირველად კოდიფიკაციის მიზნით დიპლომატიური იმუნიტეტები და პრივილეგიები ჩამოყალიბდა. 1815 წ. ვენის კონფერენციამ არსებული ჩვეულებითი სამართლის უმეტესი ნაწილი დაამტკიცა და ამიერიდან დიპლომატიაც საბოლოოდ შევიდა სეკულარულ სფ-

ეროში [Spies, 2019:70].

XVIII ს-ში დაწინაურდა ფრანგული „კლასიკური“ დიპლომატია [Jönsson, Hall, 2005:11] რომელიც გულისხმობდა სუვერენული სახელმწიფო-ცენტრალური სისტემის ჩამოყალიბებას [Spies, 2019:63].

XVII-XVI სს-ში. ევროპული სამეფოები ცდილობდნენ ბრძოლებით მოეპოვებინათ ძალაუფლება, ხოლო პოლიტიკა გაემიჯნათ რელიგიისგან. ამან გამოიწვია ის, რომ 1618 წელს დაიწყო ოცდაათწლიანი ომი, რომელიც 1648 წ. 24 ოქტომბერს ვესტფალიის ხელშეკრულებით დასრულდა [Clodfelter, 2017:40].

ბიზანტიის იმპერიის განადგურებასთან ერთად ოსმალეთის საშიშროება გაიზარდა დასავლეთის მიმართ. ოსმალეთის იმპერია წარმოადგენდა ისლამური რელიგიის წარმატებას. ისლამმა ყოვლისმომცველი მსოფლმხედველობით და ნორმატიულობით ღრმად იმოქმედა დიპლომატიაზე [Spies, 2019:61]. მ. ნ. შოუს თანახმად: „ისლამი... ჰუმანურ წესებს ითვალისწინებდა“ [Shaw, 2008:18], ხოლო ისლამის დიპლომატიური სამართალი სტუმართმოყვარეობას ეფუძნებოდა [Spies, 2019:61].

XVI საუკუნეში ჩრდილოეთ იტალიაში ჩნდება დიპლომატიური ტექნიკა და იდეები [Jönsson, Hall, 2005:11]. ამ დროის დიპლომატია მოიცავდა: პაპისა და ვენეციის უნიას, ფლორენციის და ვენეციის დიპლომატიას. ნ. მაკიაველის დიპლომატიას [კაპონი, 2013: 174-175].

XV-V სს-ში. თუ რომელიმე უცხო სახელმწიფო თავს დაესხმებოდა ბიზანტიას ითვლებოდა, რომ ისინი ომს აწარმოებდნენ თვით ღმერთთან. ბიზანტიური დიპლომატის საბოლოო მეთოდი იყო ერთმანეთის წინააღმდეგ მეზობლების დაყოფის პოლიტიკა. ამ მიზნის ეფექტურად შესრულებისთვის დიპლომატიური პრაქტიკა გადამწყვეტ ადგილს იკავებდა აქედან გამომდინარე, ბიზანტიამ შეიმუშავა ე.წ. „საგარეო დაზვერვა“ [Nicolson, 1939:17].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ „სახელმწიფო ძლიერია არა მხოლოდ თავისი ეკონომიკური, მეცნიერული, სამხედრო და ტექნიკური პოტენციალით, არამედ მისი დიპლომატიური სამსახურით“ [Пакуш, 2020:4].

ჟ. კამბონის თანახმად: „დიპლომატიური საქმიანობა განისაზღვრება, როგორც მოლაპარაკებების ასევე ხელშეკრულების გაფორმების ხელოვნება, რომელიც ხალხს

მაღლის გამოყენების გარეშე ურთიერთობების საშუალებას აძლევს“ [Камбих, 1945:87]. ამიტომ უძველესი დროიდან ხალხები და სახელმწიფოები დიპლომატიას თავიანთი ინტერესების დასაცავად იყენებდნენ. დღეისათვის მთელ მსოფლიოში დიპლომატიური სამსახურების გარკვეული უნიფიცირება მოხდა [რონდელი, 2009: 122]. როცა თანამედროვე სახელმწიფოების „საგარეო პოლიტიკური ელიტის“ შესახებ საუბრობენ, ჩვეულებრივ ქვეყნის ხელმძღვანელობა, საგარეო საქმეთა სამინისტრო იგულისხმება. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საჭიროა გამოვყოთ ე.წ. „ფორმალური საგარეო პოლიტიკური ელიტა“ [რონდელი, 2009:114-115; Baehr, 1980:226-227]. მათი აზრით აგრეთვე არსებობს ე.წ. „არაფორმალური საგარეო პოლიტიკური ელიტა“. გ. ალმონდი ამ ჯგუფს [რონდელი, 2009:115] „პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის ელიტას უწოდებს“ [Almond, 1960: 239], ხოლო „მ.დ. კროსმა ევროპული აქტორების დიპლომატიური კორპუსი გამოიკვლია და დაამტკიცა, რომ დიპლომატიური კორპუსი წარმოადგენს ეპისტემიურ საზოგადოებას“ [Cross, 2007:1].

ორ სახელმწიფოს შორის ნორმალურ პოლიტიკურ ურთიერთობათა დამყარება როგორც წესი, იწვევს დიპლომატიური წარმომადგენლობის ურთიერთგაცვლას. დიპლომატიური წარმომადგენლობა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში გაგზავნილი მუდმივი საზღვარგარეთული ორგანოა [ალექსიძე, 2015:214-215], ხოლო „როდესაც გამგზავნი სახელმწიფო მიმღებ სახელმწიფოში ერთზე მეტ დიპლომატიურ მისიას ინარჩუნებს, მეორე ხარისხოვანი მისიები უნდა დაეყრდნოს საელჩოს იერარქიულ უფლებამოსილებას“ [Rozental, Buenrostro, 2013:230].

XX საუკუნის დასაწყისში იწყება დიპლომატიური და საკონსულო სამსახურის შერწყმის პროცესი. ამ პროცესმა რიგ ქვეყნებში გამოიწვია, ერთიანი ასე ვთქვათ, საგარეო პოლიტიკის სამსახურის შექმნა. მაგრამ უკვე ამ პერიოდში აღინიშნება საკონსულო და დიპლომატიური წარმომადგენლობების ფუნქციების გაერთიანების ტენდენცია [ლეგაშვილი, 1999:58].

XIX საუკუნისთვის დიპლომატია იყო დამკვიდრებული ევროპის სხვადასხვა საჯარო სამსახურებში [Spies, 2019:65].

1815 წლის ვენის კონგრესის შემდეგ დიპლომატიური სამსახური აღიარებული იქნა, როგორც სახელმწიფო მოღვაწის ან პოლიტიკოსის პროფესია. გამოთქმა „დიპლომატია“ მრავალი წლის განმავლობაში კაცთა გონებაში წარსული ხელშეკრულებების

ანალიზთან და საერთაშორისო მოლაპარაკებების ისტორიის შესწავლასთან ასოცირდება [Nicolson, 1939:28].

1815 წლის 19 მარტის რეგლამენტმა და ეგს-ლა-ჩაპელის კონგრესის რეგულაციამ დიპლომატიური სამსახურები, ოთხი კატეგორიით განსაზღვრა 1) ელჩები, პაპის ლეგატები და პაპის ნუნციები; 2) საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი მინისტრები; 3) რეზიდენტი მინისტრები და 4) მოვალეობის შემსრულებლები [Nicolson, 1939: 33].

ინგლისში ადრეული ფეოდალიზმის პერიოდში სპეციალური პირი განაგებდა უცხოურ კორესპონდენციებს. 1782 წელს ჩამოყალიბდა საგარეო საქმეთა სამინისტრო. ბევრ სახელმწიფოში ამ დროიდან იწყება დიპლომატიური და საკონსულო სამსახურების გამიჯვნა [ჭიპაშვილი, 2007:38].

XVII საუკუნის მეორე ნახევრისთვის, რეზიდენტი ელჩის საქმიანობა თითქმის უნივერსალური პრაქტიკა იყო, ხოლო XVIII საუკუნის რომში დიპლომატიური თემები იქნებოდა [Spies, 2019:64]. შესაბამისად, „დიპლომატიური საქმიანობა გაფართოვდა“ [Spies, 2019:64]. პირველი მუდმივი წარმომადგენელი მილანის ჰერცოგმა 1450 წელს დანიშნა. პირველ წარმომადგენლებს ელჩების ნაცვლად რეზიდენტ ორატორებს უწოდებდნენ, რომელმაც მოგვიანებით, იტალიის პოლიტიკურ ერთეულებს შორის რეზიდენტი ელჩის (De Officio Legati) ინსტიტუტის დანერგვა გამოიწვია, რომლის პრაქტიკა თანდათან გავრცელდა დანარჩენ ევროპაზე. პირველად მუდმივი დელეგაცია იტალიაში XV საუკუნეში გამოჩნდა [Noël, 1948:139].

XV საუკუნიდან იტალიის სახელმწიფოებმა დაიწყეს მუდმივი ელჩების დანიშვნა [Nicolson, 1939:26]. ასევე იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებში დიპლომატები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ და სპეციალურ დავალებებზე იგზავნებოდნენ [Langhorne, 1998:152].

იტალიაში XIII-XIV სს-ში გაჩნდა დიპლომატ-სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ იმ კომბინაციებითა და ალიანსებით, რომლითაც შეეძლოთ დომინანტური გამხდარიყვნენ [Nicolson, 1939:30].

ბიზანტიის იმპერია იყო რომის ისტორიული მემკვიდრე, რომელიც დიპლომატიას და არა ომს ანიჭებდა მნიშვნელობას [Hamilton, Langhorne, 2011:16]. შესაბამისად, დიპლომატიურ სამსახურს დიდ ყურადღებას აქცედნენ [ჭიპაშვილი, 2007:37].

ბიზანტიის იმპერატორები სრულყოფილად იყენებდნენ რომის იმპერიის დიპლომატიური ხელოვნების მეთოდებს, რომელიც მოიცავდა: 1) მეტოქეობის გაღვივებით ბარბაროსების დასუსტებას და 2) სასაზღვრო ტომებთან მცხოვრებ ხალხებთან მეგობრობის შექმნას. სწორედ ამ გზით ვითარდებოდა პროფესიონალი დიპლომატის ტიპი ან ხასიათი. ისევე, როგორც ორატორულმა ტიპმა შეცვალა მაცნეს პრიმიტიული ტიპი. აგრეთვე, ორატორულმა დიპლომატიამ გზა დაუთმო უკვე გაწვრთნილ დამკვირვებელ დიპლომატიას [Nicolson, 1939:23-25].

2.2 რომის დიპლომატიის მახასიათებელი.

ნიშანდობლივია, რომ მეფეთა ხანაში დიპლომატიის მწარმოებელი იყო მეფე. შესაბამისად, „დიპლომატიურ ურთიერთობებსაც თავად მეფეები აწარმოებდნენ“ [Потемкина, 1941:15]. მეფეების მიერ საგანგებოდ წარგზავნილ ელჩზე თავდასხმა სამეფოზე თავდასხმად აღიქმებოდა. ჩვენ მეფეთა ხანაში გამოვყოფთ რომის დიპლომატიის შემდეგ მახასიათებელს: ა) იმულებითს და ძალაზე დაფუძნებულ დიპლომატიას; ბ) მშვიდობიან და რელიგიურ დიპლომატიას; გ) დიპლომატიურ (ელჩის) ფიცს და დამოუკიდებელ დიპლომატიას და დ) ეშმაკურ დიპლომატიას.

ჩვენი აზრით, ანტიკური რომის დიპლომატიის მახასიათებელი მოიცავდა დიპლომატიურ სამსახურებსაც. „პირველად დიპლომატიური სამსახური, ადრეულ სამეფო ხანაში გაჩნდა“, [Панищев, 2021:88], რომელიც მოიცავდა: 1) მოლაპარაკებების პირველ გამოცდილებას; 2) რომის დიპლომატიური და საკონსულო სამართლის პრინციპების ფორმირებას; 3) მეფეების და სენატორების დიპლომატიურ პრეროგატივებს; 4) დიპლომატების პროტოტიპებს: მაცნეებს და ორატორებს; 5) ელჩების დანიშვნისა და მიღების ფორმებს; 6) ელჩების პასუხისმგებლობის პროცედურას და 7) დიპლომატების სამართლებრივი სტატუსის დასაწყისს [Barston, 2006:1], ხოლო „საგარეო საკითხებში მომუშავე ორგანოს ფეციალს სამშვიდობო მოლაპარაკების წარმართვის უფლებაც ჰქონდათ. ამ ქმედებებს სპეციალური რიტუალებიც ახლდა. კერძოდ,

ხელშეკრულების დადებისას მსხვერპლს სწირავდნენ“ [Маїорова, 1998:78]. ასევე ძველ რომში დიდი თავისებურებით გამოირჩეოდა ელჩად მივლინების პრაქტიკა. ელჩების შერჩევაში მონაწილეობას პრეტორიც იღებდა [ჭიპაშვილი, 2007:37].

ძვ.წ. V-I სს-ში. რომაელები რესპუბლიკის პერიოდის სახელმწიფო ადმინისტრაციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას დიპლომატიას არ ანიჭებდნენ, რადგან მათ ინტერესს სამხედრო ძალა წარმოადგენდა, რადგან რომაელები უკვე განთქმულნი იყვნენ საკუთარი საბრძოლო უნარებით და სამხედრო ძალით. ამიტომ იმდროინდელი რომის დიპლომატია არ ითვლებოდა ძლიერ იარაღად. თუმცა, ეს არ მიუთითებდა დიპლომატიის აბსოლუტურ არარსებობაზე.

ჩვენი აზრით, რესპუბლიკის პერიოდის დიპლომატიის მახასიათებლიდან გამოირჩევა: ა) „ორმაგი“ დიპლომატია; ბ) სენატის დიპლომატიური როლი, რომელიც სახელმწიფო მმართველობასთან ერთად იცვლებოდა. თუმცა, იგი იყო საგარეო საკითხების გადაწყვეტის განსაკუთრებული სახელმწიფო ინსტიტუტი, ხოლო სენატის მიერ დანიშნულ ელჩს დისკრეციული უფლება ჰქონდა; გ) დაპყრობილ ხალხთან მეგობრობის და მოკავშირეობის შესახებ დადებული ხელშეკრულებები; დ) რომის კავშირების გაფართოებასთან დაკავშირებული პოლიტიკური და დიპლომატიური მოლაპარაკებები და ამ დროს დამკვიდრებული „დაჰყავი და იბატონეს“ იდეა; ე) ელადის თავისუფლების იდეის გამოყენება; ვ) გალიის კონგრესის შექმნა, როგორც დიპლომატიური მოლაპარაკების ნოუჰაუ.

ზემოთ წარმოჩენილი დიპლომატიის ისტორიიდან გამომდინარე, თანამედროვე დიპლომატია მშვიდობის ფუნდამენტია, რომლის მთავარი მიზანი ომის თავიდან აცილებაა. სწორედ ეს განასხვავებს თანამედროვე დიპლომატიას ანტიკური რომის დიპლომატიისგან. თუმცა, მსგავსებაც შეინიშნება, რომელიც ძირითადად დიპლომატიური პრაქტიკის წარმოებაში გამოვლინდა.

ანტიკურ სამყაროში არსებობდა სპორტული თამაშები, რომელმაც ძველი რომიც მოიცვა. ჩვენი აზრით, რომი თამაშებს დიპლომატიური ურთიერთობებისთვის იყენებდა. ამიტომ ანტიკური ხანიდან თანამედროვეობამდე სპორტული თამაშები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. ლივიუსის თანახმად: „ძველი რომის მეფემ ტარკვინიუს პრისკუსმა... პირველად აქამდე არნახული სიმდიდრის თამაშები მოაწყო. ამ დროიდან რომში შემოვიდა ყოველწლიური თამაშების ჩატარების ტრადიცია,

ამ თამაშებს რომაული ანუ დიდი ეწოდა“ (Liv., Ab Urbe condita, I, 35. 42).

სპორტული თამაშები ანტიკური რომის დიპლომატიის ერთ-ერთი სახე იყო მართლაც, თუ სპორტული დიპლომატია ელინებმა იცოდნენ, მაშინ ამ მხრივ, გამოწვევის არც ანტიკური რომი გახლდათ, რადგან რომაელებმა „უცხო ხალხის და სახელმწიფოების ურთიერთობაში თამაშები მთავარ პრინციპად აქცია“ [Нечедов, 1996: 389]. ფუტრელის თანახმად: „ისეთი სპორტის სახეობები, როგორიცაა: სირბილი, შუბის სროლა და ჭიდაობა დაფასებული იყო ძველ რომაელებში, რადგან თამაშები დიპლომატიის ხასიათსაც ატარებდა. ამ დროიდან რომი მოკავშირეს აღარ ეძებს, არც მეზობელ სახელმწიფოებში და არც დაპყრობილ მოსახლეობაში. რომი დიპლომატიას იყენებდა არა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის საწარმოებლად არამედ ნებისმიერ სპორტულ შეჯიბრებაში. თამაშები არა მხოლოდ მოუწოდებდა ღვთიურ მხარდაჭერას, არამედ, უზრუნველყოფდა სახელმწიფოს კეთილდღეობას“ [Futrell, 2006:1-3].

სპორტული თამაშები რომაელებისთვის არ წარმოადგენდა მხოლოდ გართობას ან დაკარგული პრივილეგიის აღდგენას, არამედ მას დიპლომატიურ პასუხისმგებლობასაც აკისრებდა, სწორედ ამ მიზნით იყო განპირობებული, რომ თამაშებში არა მხოლოდ რომელი, არამედ არა რომელიც მონაწილეობდა, მათ შორის იყო „ჭიდაობაში გამორჩეული, არა რომელი ლუციუს სეპტიმიუს ფლავიანუს ფლავილატუსი, რომელიც ლიკიის რეგიონიდან იყო“ [Goldhill, 2001:57]. აგრეთვე, უკიდურეს შემთხვევაში სპორტული თამაშები იყო ერთადერთი საშუალება, რომლითაც რომაელ მართველებს საშუალება ეძლეოდათ მოლაპარაკებები ეწარმოებინათ. შესაბამისად, სპორტული თამაშების „ეფექტური საშუალება იყო დიპლომატიური მოლაპარაკების წარმოებისთვის“ [Нечедов, 1996:389].

რესპუბლიკის პერიოდში ყოველწლიურად იმართებოდა: პლებური, აპოლონის, კიბელეს, ფლორის და სულას ტრიუმფის თამაშები [Гиро, 1913:606]. ამიტომ სპორტულმა თამაშებმა „რომი აიძულა მეზობელი ხალხის და მრავალი ქალაქის სტატუსი შეეცვალა. მათ შორის იყო კოლონიები“ [Auliard, 2006:227].

ძველ რომში სპორტული თამაშების მასობრივი სანახაობისათვის აგებული იყო კოლოსეუმები, ცირკები და სხვადასხვა სახის დარბაზები, სადაც იმართებოდა შეჯიბრებები [მაგანია, 2004:19]. რესპუბლიკის პერიოდში ცირკს, იყენებდნენ გლადიატორთა ბრძოლებისთვის [Hardy, 1960:99], ხოლო იმპერიის პერიოდში მას დიპლომატები

ამომრჩევლების დაინტერესებისთვის იყენებდნენ [Mouritsen, 2001:97].

ძვ.წ. 187 წ. ლივიუსის თანახმად: „მარკუს ფულვიუს ნობილიორმა, გამარჯვების აღსანიშნავად, 10 დღიანი თამაშები მოაწყო. მის საპატივსაცემოდ მნახველები საბერძნეთიდან ჩამოვიდნენ და რომაელებისთვის პირველად გაიმართა შეჯიბრება“ (Liv., Ab Urbe condita, XXXIX, 22).

მაქსველის და ჰოუველის შეხედულებით: „თამაშები მასების ყურადღების გადატანას ემსახურებოდა“ [Maxwell, Howell, 1984:66], რომელშიც „სხვადასხვა ქვეყნის უცხოელი მრბოლელები გამოდიოდნენ. ხშირად მათ რიგებში არისტოკრატებიც გამოდიოდნენ“ [მაგანია, 2004:20].

რომში იმართებოდა სხვა სახის თამაშებიც. იმპერატორმა ავგუსტუსმა მოაწყო შეჯიბრება, რომელიც ოლიმპიური თამაშების მსგავსად ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იგი მხოლოდ ერთხელ ჩატარდა. მოგვიანებით იმპერატორმა ნერონმა სცადა მსგავსი თამაშების ჩატარება რომელსაც „ნერონეა“ უწოდეს, მაგრამ მასაც არ ეწერა დიდი დღე. იგი სულ ორჯერ ჩატარეს [მაგანია, 2004: 20-21].

ამრიგად, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული გარემოებების და ფაქტების გათვალისწინებით უმნიშვნელოვანესია გავიაზროთ, რომ ძველი რომის დიპლომატიამ, სპორტული თამაშები სახელმწიფო რანგში აიყვანა და იგი უკვე აღარ წარმოადგენდა გასართობ საშუალებას, პირიქით მას სახელმწიფო დიპლომატიური ინტერესების განხორციელება დაეკისრა. სინამდვილე იყო ის გარემოება, რომ სიახლე გამოვლინდა, სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებაში.

ანტიკური რომის დიპლომატია თავისებურებებით გამოირჩეოდა რომელთაგან აღსანიშნავია: რიტუალები, ცერემონიები და სიმბოლოები. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო დიპლომატიურ პრაქტიკაში ელჩისთვის ბეჭდის ტარება იყო სავალდებულო. რომაელები ბეჭედს დიპლომატიური მოვლენების, ურთიერთობების და განზრახვების შესახებ ლეგიტიმურობას და ისეთ ანთროპომორფულ თვისებებს ანიჭებდნენ როგორიცაა: იდენტობა, ინტერესები და მიზანმიმართულობა. ამიტომ, ბეჭედს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ანტიკური რომის დიპლომატიაში.

ლივიუსის ცნობით: „ბეჭდების ტარების ჩვეულება საბინებმა შეიტანეს, როგორც ამბობენ: საბინებს მარცხენა ხელის მაჯაზე ოქრო და ლამაზი ქვებით მოჭედილი ბეჭედი ეკეთათ“ (Liv., Ab urbe condita, I. 11). საბინები მარცხენა ხელებსა და თითებზე ბეჭდებს და სამაჯურებს ატარებდნენ, მაშინ ისინი ოქროთი იმშვენებდნენ თავს (Halicarn., Antiquitatum romanarum, II. 38).

ფლორუსის თანახმად: „ოქროს ბეჭდის ტარება ტარკვინიუს პრისკუსის მეფობის დროს ეტრურიიდან შევიდა“ (Flor., Epitomae, I.5), „დროთა განმავლობაში ყველა სენატორისთვის, მთავარი მაგისტრისთვის და ბოლოს ელჩისთვის ჩვეული გახდა ოქროს ბეჭდის ტარება“ (Liv., Ab urbe condita, XXIII.12). ოქროს ბეჭდის ტარების ამ უფლებას Jus annuli aurei, ან jus annulorum ეწოდა. რომში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სენატორების, მაგისტრატების და ელჩების ექსკლუზიურ პრივილეგიად დარჩა, ხოლო ყველა სხვა პირი აგრძელებდა რკინის ბეჭდის ტარებას (App., Historia romana, III. 34).

ანტიკური რომაელი ელჩების გარდა, ბეჭედი დიპლომატიასთან ერთად რწმენასთან ასოცირდებოდა. წინასწარმეტყველი მუჰამედიც „ალლაჰის მოციქული ატარებდა ბეჭედს“ [Тирмизи, 2013:37. Аш-Шамаил-иль Мухаммадия, Хадис 88], ხოლო „დაწერილ წერილს ბეჭედი სჭირდებოდა“ [Kunz, 1917:141]. შესაბამისად, უცხო ქვეყნების მმართველებთან: ირანის შაჰთან და ბიზანტიის კეისართან ვერცხლის ბეჭედზე ამოტვიფრული „მუჰამედი-ალლაჰის მოციქული“ წარწერით აგზავნიდა დალუქულ წერილებს [Тирмизи, 2013:37. Аш-Шамаил-иль Мухаммадия, Хадис 88. 89. 90].

ალლაჰის მოციქულს მუჰამედს ვერცხლის ბეჭედი ეკეთა, რომელზეც ეწერა: [Тирмизи, 2013:37. Аш-Шамаил-иль Мухаммадия, Хадис 85. 87. 90]. „მუჰამედი არის ალლაჰის მოციქული“ [სურა ალ ფეთიჰ, აიათი 48:29]. ბეჭედი, რომელსაც მუჰამედი ატარებდა იყო ვერცხლის, ხოლო მამაკაცებს ოქროს ბეჭდის ტარება აუკრძალა [Тирмизи, 2013:37-39. Аш-Шамаил-иль Мухаммадия, Хадис 87. 95. 96. 97. 98. 101. 102].

ბიზანტიელი ელჩების ბეჭედი ფართო რგოლისგან შედგებოდა. დიპლომატი, რომელიც ელჩად ცხადდებოდა სპეციალური ხელმოწერილი სერტიფიკატი ეძლეოდა. იგი ამავდროულად იყო სამეფო რეგალიის ნაწილიც და დაკავშირებული იყო ელჩად ხელდასმის რიტუალთან [Оиконому, 2017:341].

ამრიგად, დიპლომატიის მოვალეობის შესრულების პროცესში ელჩისთვის ბეჭედი იყო აუცილებელი ნაწილი წინააღმდეგ შემთხვევაში დიპლომატიურ მოვალეობებს ვერ შეასრულებდა ელჩი. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიელები ოქროს მოყვარულები იყვნენ და ოქროს ბეჭდის ტარების პრაქტიკა მათ ანტიკური რომიდან ისესხეს, რაც შემდგომში ფართო გამოყენების საგნად იქცა [აბუსელიძე, 2022:127].

ანტიკურ რომში არსებობდა ე.წ. „ფეციალების კოლეგია“ (ლათ. Collegium facialists) [Сепреев, 1959:61], რომელიც „ყველაზე მნიშვნელოვანი დიპლომატიური, რელიგიური და პოლიტიკური ინსტიტუტი იყო, რადგან მომავალ ფეციალებს ან პოლიტიკური თანამდებობის პირებს უხსნიდა გზას“ [Peloquin, 2022:3].

ფეციალები წარმოიშვნენ რომის მონარქიულ პერიოდში [Peloquin, 2022:5].

შმელევას თანახმად: „მაიაკი მიუთითებს, ნუმა პომპილიუსამდე რომაელებს შორის იყვნენ მეფეები, რომლებსაც ფეციალების ფუნქციები ჰქონდათ და ისინი მეზობლებთან ურთიერთობდნენ, და რომ ნუმა პომპილიუსმა გამოყო ამ ტიპის საქმიანობა“ [Шмелева, 2010:152]. მაიაკის ცნობით: „მინდობილი განსაკუთრებული ადამიანების წინაშე ასრულებს თვის მოვალეობებს“ [Маяк, 1983:248].

ანტიკური წყაროების თანახმად: „ნუმამ კიდევ სხვა ბევრი წმინდა სამსახური შემოიღო. ამათგან მოვიხსენიებ ორს სალიებისა და ფეციალების სამსახურებს... ფეციალები მშვიდობის მცველნი იყვნენ, და ვგონებ სახელიც კი თავიანთი საქმიანობიდან მიიღეს, რადგან დავისა და განხეთქილების შეწყვეტას სიტყვის მეშვეობით ცდილობდნენ“ (პლუტ., ნუმა, II. 358).

ლივიუსის თანახმად: „ფეციალების კოლეგია“ ნუმა პომპილიუსმა დააარსა (Liv., Ab urbe condita, I.21.4). ჰალიკარნასელი აღნიშნავს, რომ „რომაელებს ნუმას მეფობამდე ფეციალების კოლეგია არ ჰქონდათ“ (Halicarn., Antiquitatum romanarum, II. 72. 2).

„ფეციალების კოლეგია“ 20 ადამიანისგან შედგებოდა. მისი წევრი უნდა ყოფილიყო ტომის უძველესი და სახელოვანი გვარიდან [Сепреев, 1959:61], მათგან მთავარი იყო ორი პირველი ვებინარი/ვერბენარიუსი, რომელმაც კაპიტოლიუმიდან წმინდა ბალახი მოიტანა, ხოლო მეორე „წმინდა მამა“ (pater patratus), რომელსაც ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება ჰქონდა. „Pater patratus“ რომელიც ხალხის სახელით ლაპარაკობდა და მოქმედებდა [Ковалев, 1986:258]. იეგერის თანახმად: „არსებობდა, 5 სასულიერო პირი (პონტიფიკოსები), ერთი უმაღლესი წარმომად-

გენლით (pontifex maximus) ავგურით სათავეში, რომელთა შორის იყვნენ ფეციალები“ [Йереп, 2001:385-386].

ფეციალების არჩევა კოოპტაციით ხდებოდა და თითოეულ წევრს კოლეგიაში ასარჩევად სამი აქტი უნდა დაეკმაყოფილებინა: 1) პირველი იყო კანდიდატის დასახელება და ფიცის დადება; 2) მეორე „Cooptatio“, წარმოდგენილ კანდიდატებს შორის არჩევანის გაკეთება იყო; 3) მესამე „Inauguratio“ ანუ არჩეულის ინიციატია იყო. ასევე „ფეციალების კოლეგიის“ ხელმძღვანელსაც ირჩევდნენ რომელსაც „მაგისტერ ფეციალიუმი“ ერქვა [Бейс, 2005:51]. შაიდის ცნობით: „ფეციალები პოლიტიკური და იურიდიული ხასიათის საქმიანობას ეწეოდნენ“ [Шаид, 2006:385].

„ფეციალების კოლეგიის“ ერთ-ერთი ფუნქცია იყო რომის დიპლომატიური საქმიანობის ორგანიზაცია, რადგან ფეციალების უფლებამოსილებები საერთაშორისო ხელშეკრულების დაცვასაც მოიცავდა [Серегеев, 1959:61], „ფეციალები ხელს აწერდნენ ხელშეკრულებასაც და ჯადოსნურ სიტყვებს წარმოთქვამდნენ“ (Liv., Ab urbe condita, I.20.24.32). „წმინდა მამა“ ხელშეკრულების ტექსტს კითხულობდა, რომელსაც ფეციალი სპეციალური ფიცით ადასტურებდა, ხოლო დარღვევისათვის ყველანაირ უბედურებას ითვალისწინებდა“ (Liv., Ab urbe condita, I.20.24.32). [Серегеев, 1959:61-62],

ციცერონის თანახმად: „ფეციალ-შემსრულებელთა“ გარდა არსებობდა „ფეციალ-კონსულტანტები“, რომლებიც რჩევას აძლევდა უცოდინრებს და სახელმწიფოს სახელით წეს-ჩვეულებებს ახორციელებდნენ. ციცერონის ცნობით: „ყველა რომაელი სიკეთისკენ უნდა იბრძოდეს და თავიდან აიცილოს შეცდომები“ (Cic., Leg., II. 8. 20).

„ფეციალების კოლეგია“ ისეთ ისტორიულ ცვლილებასთან იყო დაპატირებული როგორიცაა: ლაციუმის ქალაქებს შორის მშვიდობის შეთანხმება, რესპუბლიკის დროს საკონსულტაციო ორგანოს როლით და ბოლოს, იმპერიის პერიოდში რომის იმპერატორთან ინტეგრირებით“ [Peloquin, 2022:3].

მეფეთა პერიოდში ფეციალების ფუნქციები მეფეს ეკუთვოდა. თუმცა, მისი გარკვეული ნაწილი, რომელიც დიპლომატიურ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული ფეციალებს გადაეცა [Шмелева, 2012:177]. „მეფეთა პერიოდში სასამართლო ფუნქციას ფეციალები ახორციელებდნენ და რომაელების წმინდა კანონებს იცავდნენ“ [Шаид, 2006:385]. თ. მომზენი აღნიშნავდა, რომ „მეფეთა პერიოდში ელჩები ყველაზე ხშირად ფეციალები იყვნენ“ [Моммзен, 2001:79].

მეფეთა პერიოდში ფეციალების დიპლომატიური საქმიანობა მოიცავდა:

1) ფიდესთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას. (ძვ.წ. 715 წ. და ძვ.წ. 763 წ) (Halicarn., *Antiquitatum romanarum*, II. 72. 3). [Peloquin, 2022:58].

2) ალბელბთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას.(ძვ.წ. 672 წ. და ძვ.წ. 641 წ)(Liv.,*Ab urbe condita*,I.24.3).[Peloquin, 2022:58].ლივიუსის თანახმად: „რომაელებს და ალბელბს შორის შემდეგი პირობებით დაიდო ხელშეკრულება: რომლის მოქალაქეებიც მოიგებდნენ ბრძოლას ხალხს მშვიდობიანად მართავდა“(Liv., *Ab urbe condita*, I. 24). ლივიუსი მიუთითებდა, რომ „ეს ხელშეკრულება იყო ყველაზე ძველი“ (Liv., *Ab urbe condita*, I.24.4).[Шмелева, 2010:151]„ფეციალი მეფე ტულუს მიმართავდა: შენ მიბრძანებ მე, მეფეო... დავდო ხელშეკრულება“. ფეციალი შელოცვისთვის წარმოთქვამდა. „მისმინე, იუპიტერო... უსმინე, ალბელ ხალხს“ ამ პირობებიდან გამომდინარე, გამოცხადდა ფიცი და ხელშეკრულება დაიდო“(Liv., *Ab urbe condita*, I. 24.4).

ნიშანდობლივია, რომ „არცერთი მნიშვნელოვანი წამოწყება არ შეიძლებოდა დაწყებულიყო ან დასრულებულიყო ფეციალის გარეშე“ (Liv., *Ab urbe condita*, I. 32). [Сергеев, 1959:61], „თუ ფეციალები წინააღმდეგნი იყვნენ... არც მეფეს არ ჰქონდათ ნება, იარაღი აეღოთ ხელში“. „სარდალს... ფეციალებისაგან უნდა მიეღო ომის სამართლიანობის დასტური...“ (პლუტ., ნუმა, II. 358). ვ. სერგეევი აღნიშნავს, რომ „ფეციალები მეზობელი ხალხის საზღვარზე დავის მოსაგვარებლად ან ომის გამოცხადების დროს მიდიოდნენ [Сергеев, 1959:61], მოლაპარაკებები ევალეობდა ოთხკაციან სპეციალურ კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობდა „წმინდა მამა“ „კომისია...რიტუალებს ასრულებდა. შემდეგ რომში ბრუნდებოდა და პასუხს 30 ან 33 დღის განმავლობაში ელოდა“ (Liv., *Ab urbe condita*, I. 32. 5-14). [Кофанов, 2001:68]. ლივიუსის თანახმად: „აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ სენატს გადაეგზავნებოდა საქმე... ფეციალები შედეგებს სენატს მოახსენებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ყველა აუცილებელი რიტუალი დასრულდა და თუ სენატი და რომაელი ხალხი შეთანხმდებოდნენ, მაშინ ისინი ომს აცხადებდნენ“ (Liv., *Ab urbe condita*, VI.22.4.VII.19.10). სენატს ჰქონდა უფლება „ვეტო“ გამოეყენებინა [Моммзен, 1997:89-92].თუმცა „სენატი ომის საკითხთან დაკავშირებით ღია კენჭისყრით იღებდა გადაწყვეტილებას“ (Liv., *Ab urbe condita*, VII. 19. 10). „ამის შემდეგ „წმინდა მამა“ უკანასკნელად მიდიოდა მტრული

ქალაქის საზღვარზე და სისხლიან ისრებს ესროდა მტრის მიწას“ (Liv., Ab urbe condita, I.32.5-14). [Кофанов, 2001:68]. პლუტარქეს თანახმად: „ფეციალები მიდიოდნენ ხელის უსამართლოდ აღმმართველებთან...“ „მოწმეებად ღმერთებს უხმობდნენ: ამის შემდეგ იმ ჯიუტებს ომს უცხადებდნენ“ (პლუტ., ნუმა, II. 358). დიონისეს თანახმად: „რომაელები ომს არანაირი უსამართლობით არ იწყებდნენ“ (Halicarn., Antiquitatum Romanarum, II. 72. 4).

შაიდის თანახმად: „რომაულ სამყაროში საერო და რელიგიურ ცხოვრებას შორის არ იყო განსხვავება. საჯარო მოქმედება რელიგიური იყო და რელიგიური მოქმედებაც იყო საჯარო. ასეთ მოქმედებებს მოჰყვა მაგისტრატების ფუნქციების გაფართოება. ისინი უკვე ღმერთთან ურთიერთობდნენ“ [Scheid, 2003:130], ხოლო ადამიანებს და ღმერთს შორის ურთიერთობებს მაგისტრატები მართავდნენ. რომის ადრეულ რესპუბლიკაში ფეციალების ფუნქციები მაგისტრატების მიერ იყო მონოპოლიზებული და მათთვის მემკვიდრეობითი რელიგიური ავტორიტეტი იყო დამახასიათებელი. შესაბამისად, რელიგიურმა ძალაუფლებამ საშუალება მისცა ჩარეულიყვნენ მოსახლეობის გადაწყვეტილებებში [Mouritsen, 2017:22-23].

რესპუბლიკის პერიოდში „ფეციალები კისრულობდნენ უცხოელი ელჩების დაცვას. ამიტომ მათი ყურადღება განსაკუთრებული აქცენტს იწვევდა, რადგან რომი საზღვარგარეთის ქვეყნებთან უფრო და უფრო რთულ დიპლომატიას აწარმოებდა“ [Peloquin, 2022:23].

რესპუბლიკის პერიოდში „ძვ.წ. IV ს-ში. მაგისტრატებსა და სამნიტებს შორის შეთანხმების დადების დროს ფეციალები ახლდნენ“ [Шмелева, 2010:153]. „სამშვიდობო ხელშეკრულების დასადავად, ფეციალები იყვნენ ელჩები“ (Cic., Leg., II, 21) .

ძვ.წ. III საუკუნიდან ფეციალების ადგილს სენატის ელჩები და ლეგატები იკავებდნენ, [Кашеев, 1993:137]. ამ დროიდან „ღმერთთან კონსულტაციის და „აუსპიციის“ უფლება პატრიციელი სენატორების კუთვნილებაში გადავიდა. რაც იმას ნიშნავდა, რომ მეფის „აუსპიცია“ პატრიციებს გადაეცა. შესაბამისად, სენატი გახდა უმაღლესი რელიგიური ავტორიტეტი და ამ სფეროში წარმოშობილ ყველა დავას აგვარებდა [Mouritsen, 2017:22-23], სენატის ელჩებს „ომის პირობითი გამოცხადების უფლება ჰქონდათ, რომელიც სენატის და რომაელი ხალხის მიერ წინასწარ იყო დამტკიცებული [Кашеев, 1993:137].

ძვ.წ. 280 წლიდან ფეციალების მიერ ომის დასაწყებად დაწესებული რიტუალური სროლა გაუქმდა, რადგან მტრის საზღვრები ახლა ძალიან შორს იყო, ხოლო ომი „ბელონას ტაძრის“ შენობიდან ცხადდებოდა, რომლის უკანა კედელთან რომელი მმართველები იღებდნენ უცხოელ ელჩებს [Буровский, 2013:54]. აგრეთვე, „ფეციალები წყვეტდნენ ექსტრადიციის საკითხებს. ლივიუსის თანახმად, „ფეციალმა წარმოთქვა: რადგან პოსტიმიუსმა, მოკავშირეთა ხელშეკრულების დარღვევის გამო უკანონოდ მოიქცა, მე და რომაელი ხალხი პოსტიმიუსს გადმოგცემთ“ (Liv., Ab urbe condita, IX. 10). იუდინის თანახმად: „ძვ.წ. 187 წ. ეპიროსელი ელჩები რომში შეღწევას ცდილობდნენ“ [Юдин, 2010:75]. ამიტომ რომმა „ფეციალები ეპიროსის მეფეს გაუგზავნა“ (Liv., Ab urbe condita, XXXVI. 35. 8).

რესპუბლიკის პერიოდში ფეციალების დიპლომატიური საქმიანობა მოიცავდა:

1) ფეციალების მიერ ვეისტან ომის გამოცხადებას (ძვ.წ. 437 წ. და ძვ.წ. 427 წ.) (Liv., Ab urbe condita, IV.30.13). [Peloquin, 2022:59].

2) რეპეტერეს შესასრულებლად ფეციალების გაგზავნას ვეისტან და ძვ.წ. 407 წელს მშვიდობიანი ზავის დადებას ვეისტან (Liv., Ab urbe condita, IV.58.1). [Peloquin, 2022:59].

3) ფეციალებზე უარის თქმის შედეგად ომის გამოცხადებას და ძვ.წ. 366 წელს ომს ჰერნიკების წინააღმდეგ (Liv., Ab urbe condita, VII.6.7). [Peloquin, 2022:60].

4) პირველ სამნიტურ ომს (ძვ.წ. 343 წ.). ფეციალებმა რეპეტერე მას შემდეგ შეასრულეს როდესაც სამნიტები თავს დაესხნენ კამპანიას (Liv., Ab urbe condita, VII.32.1). [Peloquin, 2022:60].

5) მეორე სამნიტურ ომს (ძვ.წ. 326 წ.). (Liv., Ab urbe condita, VIII. 39). [Peloquin, 2022:60].

6) მესამე სამნიტურ ომს (ძვ.წ. 298 წ.). ფეციალები შეხვდნენ სამნიტ ელჩებს, რომლებიც უბედურებასთან დაკავშირებით აფრთხილებდნენ (Liv., Ab urbe condita, X.12.2). [Peloquin, 2022:62].

7) მეორე პუნიკური ომის დასრულების (ძვ.წ. 201 წ.). დროს ფეციალები აფრიკაში სამშვიდობო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაგზავნეს (Liv., Ab urbe condita, XXX.43.9). [Peloquin, 2022:62].

8) მეორე მაკედონიური ომის (ძვ.წ. 200 წ.). დასაწყებად ფეციალებმა ფილიპე

V-ის წინააღმდეგ კონსულს ურჩიეს ომის გამოცხადების სათანადო პროცედურებთან დაკავშირებით დეკლარაცია გაეცნოთ ფილიპესთვის (Liv., Ab urbe condita, XXXI.8.3). [Peloquin, 2022:63]. მიუხედავად ამისა, „რესპუბლიკური პერიოდის ბოლოს არა მარტო ფეციალებმა, არამედ სენატმაც დაკარგა მნიშვნელობა, რადგან სენატის თანხმობის გარეშე კასიუსმა და ლუკულუსმა ომი გამოაცხადეს [Мишулин, 1944:103].

სამეცნიერო ლიტერატურაში ცალსახად განსაზღვრულია ფეციალების ფუნქცია. მაგ., თ. მომზენის აზრით: „ფეციალების კოლეგიის“ მიზანი იყო მეზობლებთან დადებული ხელშეკრულების შინაარსის შენარჩუნება. საერთაშორისო სამართლის სფეროში ფეციალები იყვნენ ის რაც, ღვთაებრივი უფლების სფეროში პონტიფიკოსები და ამიტომ, ამ უკანასკნელთა მსგავსად, მათ უფლება ჰქონდათ არ მიეღოთ გადაწყვეტილებები“ [Моммзен, 2001:185]. მაიოროვა მიუთითებდა, რომ „იტალიაში უძველესი დროიდან არსებობდნენ ფეციალები, რომლებიც გარკვეულ რიტუალებს ასრულებდნენ“ [Майорова, 2000:59]. კოფანოვი თვლიდა, რომ „ფეციალები იყვნენ ელჩები, რომლებიც სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე მსჯელობდნენ“ [Кофанов, 2001:67]. ფრანგი მეცნიერის დუმეზილის მიხედვით: „ფეციალები დაკავებულნი იყვნენ საერთაშორისო ურთიერთობებით“ [Дюмезиль, 1986:115]. სტროგეტსკი აღნიშნავდა, რომ „რომაელებმა ძალიან ადრე დაიწყეს ადამიანის უფლების (ius humanum) განცალკევება ღვთაებრივი უფლებიდან (ius divinum)“ [Строгетский, 2014:30-31]. სამოხინა მიუთითებდა, რომ „მეფეთა ხანის დროიდან ფეციალების დიპლომატიური საქმიანობა რომაულ საჯარო სამართალში იყო გათვალისწინებული“ [Самохина, 2004:79-80].

ნიშანდობლივია, რომ „ანტიკურობამ მუდმივი დიპლომატიური მისიები არ იცოდა. რომაელები კონკრეტული მიზნებისთვის აგზავნიდნენ და იღებდნენ დროებით ელჩებს. მაგ., ტულუს ჰოსტილიუსის დროს ალბელებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ელჩები გაუგზავნეს“ (Liv., Ab urbe condita, I. 22.4). [Шмелева, 2010: 151-152]. ლივიუსის თანახმად: „ელჩებმა პირველებმა მოითხოვეს ზარალის ანაზღაურება თუმცა უარი მიიღეს. ამიტომ ალბელებს ომი გამოუცხადეს“ (Liv., Ab urbe condita, I.22.4-5. 5, III. 3.3). თავდაპირველად, მეფეს ელჩის გაგზავნის უფლება ჰქონდა და ელჩებად ფეციალები იყვნენ [Сергеев, 1959:63], ელჩებს მშვიდობის დადება და საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტა ჰქონდათ მიზნად [Шмелева, 2010:153].

ლივიუსის თანახმად: „ელჩებს ერქვათ „ორატორები“, (Liv., Ab urbe condita, I. 15. 5; II.13.7; V. 16.1; IX. 43.21; X. 11; XXI. 24. 3; XXV. 29. 1; XXXII. 16.14; XXXV. 51. 6.) და ლეგატები“ (Liv., Ab urbe condita, VII. 38. 4; X. 45. 4), ხოლო „საგანგებო დავალების შესასრულებლად შექმნილ ელჩების ჯგუფს ე.წ. „ლეგაციებს“ უწოდებდნენ (Liv., Ab urbe condita, I.10.1; IV.52.7; XXI.9.3), ხოლო „კადუცეატორები“ იყვნენ პირები, რომლებიც სიტყვიერ ან არაფორმალურ მისიებში, უცხო ქალაქებში და ხალხში იგზავნებოდნენ“ (Liv., Ab urbe condita, XXVI. 17. 5; XXXI. 38. 9; XXXII. 32. 5; XXXVII. 45. 4).

ელჩები ღმერთებისა და ius gentium-ის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ამიტომ „ისინი ხელშეუხებლად ითვლებოდნენ“ (Liv., Ab urbe condita, II.4.3-7; 22; 3-4; XXI.25, 6-7; XXX. 25), ხოლო „ელჩების საქმიანობას უზრუნველყოფდა „Ius Legatorum“ და „Ius gentium“-ი ნორმები [Шмелёва, 2016:785]. ბარტოშეკის თანახმად: „ეს ნორმები არის რომაელი ელჩების სტატუსის და საქმიანობის დებულება“ [Бартошек, 1989:448].

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანტიკურ რომში „ჩნდება საერთაშორისო უფლებების საწყისები, რომლებიც „jus fetiale“-ს კანონში იყო გათვალისწინებული [Шмелева, 2010:154].

თავი III. მეფეთა ხანის რომის დიპლომატია

მეფეთა ხანის რომი, თავისი მმართველობის ფორმით, მონარქიული სახელმწიფო იყო. ლაციუმში მეტ-ნაკლებად ყველ ქალაქი ფლობდა ვრცელ ტერიტორიას, რომელთა შორის, რასის ან ენის ერთგვაროვნებაზე დაყრდნობით კავშირები (ფედერაციები) იყო ჩამოყალიბებული. ამ ალიანსების მიუხედავად, ქალაქების ერთმანეთთან დაპირისპირება ომებს იწვევდა. რომი ისევე როგორც სხვა ქალაქები, ამ გაუთავებელ ბრძოლებში იყო ჩართული [Ферреро, 1925:7-8]. ამ ბრძოლებმა ხელი შეუწყო „რომის ერთ პოლისად ჩამოყალიბებას“ [Маяк, 1983:56].

ტრადიცია რომაელებსა და საბინებს შორის კონფლიქტებით მოიცავს მეფეთა ხანას რამაც ლათინურ-საბინური დაპირისპირების სახე მიიღო [Poucet, 1975:195]. რომაელების მიერ ლათინებსა და საბინებს შორის დაწყებულმა დაპირისპირებამ საგარეო ურთიერთობების გაფართოებაც გამოიწვია [Коптев, 1994:72], ხოლო „საბინების შესახებ ადრეული ლეგენდები რომაელებსა და საბინებს შორის იმ ურთიერთობებს ასახავს, რომელიც ძვ.წ. VIII საუკუნიდან ვითარდებოდა“ [Poucet, 1975:195]. საბინებთან ომის გადაჭრა დიპლომატიური გზით ხდებოდა, ხოლო „რომის პოლიტიკური განვითარება დაახლოებით ძვ.წ. VI საუკუნიდან დაიწყო. მტკიცე და ეგოისტური პოლიტიკის წყალობით რომი პირველი წამყვანი ძალა ხდება ლაციუმში, შემდეგ კი - სრულიად იტალიის მრავალეროვნულ ცენტრში, ასევე ქალაქებისა და ტომების ლიგებში. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის თვალსაზრისით, ამ ლიგებში ჩამოყალიბება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან ლიგები ხელშეკრულებების სისტემაზე იყო აგებული. ამ ხელშეკრულებების დახმარებით რომმა თავის გარშემო მუდმივი „მეგობრებისა“ და „მოკავშირეების“ ბირთვი შექმნა“ [Ростовцев, 2013:81].

ნიშანდობლივია, რომი „ორი მეზობელი ლათინური და საბინური თემის სინეკიზმის შედეგად წარმოიშვა, რომელიც იძლევა საფუძველს ვისაუბროთ რომის დიპლომატიის გამოცდილებაზე“ [Шмелева, 2010:150]. შესაბამისად, „მეფეთა ხანაში რომაულ აზროვნებაში გამოჩნდა დიპლომატიის სხვადასხვა ფორმებიც ხოლო თუ „რომაული სახელმწიფოებრიობის დასაწყისს დავუკავშირებთ საკუთრების უძველესი ფორმის გაჩენას, მაშინ პატრიციებსა და პლებებს შორის კლასობრივი ბრძოლის

ეპოქის რომაული საზოგადოება უნდა ჩაითვალოს პროტო-სახელმწიფოდ“ [Johnson, Earle, 1987:209], „სამეფო იერარქიულად ორგანიზებული საზოგადოებაა, რომელსაც მკაცრი ადმინისტრაციული აპარატი არ გააჩნია, რომელიც თან ახლავს სახელმწიფოს“ [Earle, 1978:2]. ამ პერიოდისთვის დიპლომატიას მცირე ადგილი ჰქონდა. „სამყაროში, სადაც სისტემატური დაპირისპირების სხვადასხვა ფორმები არსებობდა“ [Frézouls, 1995:470-471].

რომის ტერიტორია ტიბრის ორივე ნაპირით იყო შემოსაზღვრული, მარჯვენა ნაპირზე რომაელთა კუთვნილი „შვიდი სოფელი“ მდებარეობდა. უძველესი დროიდან ტიბრი ლათინურ ტომებს ემსახურებოდა და ჩრდილოელი მეზობლების თავდასხმებისგან იცავდა“ [Моммзен, 1997:63], ხოლო „მთელი იტალია ლიგურიამდე, ემილიიდან და რომამდე დასახლებული იყო ისე, როგორც მდ. პოს ხეობა. ლიგურიელებით და კელტებით იყო მოფენილი და გამაგრებული პატარა ქალაქი რომი“ [Фепперо, 1925:7].

ქალაქის საწყისი ისტორიიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ „ველურებით“ და „ქურდებით“ დასახლებულ რომში დიპლომატიის ძალადობრივი პრინციპები მოქმედებდა. „იმდროინდელი რომი, რომელსაც...ყაჩაღთა ბუდე უწოდებდნენ“ [ქავთარია, 2016:83]. ბარბაროსებისგან და ჩამოსახლებულებისგან იზრდებოდა და მათ საერთო იდენტობასაც რომი უზრუნველყოფდა [Hope, 1997:118; Milavec, 2020:91-92]. რომზე შემოვლელი სიმაგრეებიც არ გამოირჩეოდა სიმტკიცით. რომულუსი ამ ნაკლს თავისებურად ხსნიდა. მისი აზრით, მტერთან ბრძოლის დროს მთავარი როლი უნდა დაკისრებოდა არა გალავანს, არამედ იმას ვინც მის შიგნით იდგა [ქავთარია, 2016: 83].

რომის დიპლომატიის ისტორია ისეთივე ძველია, როგორც პირველი შეთანხმებები, ხელშეკრულებები და ალიანსები, სადაც ომი და დიპლომატია ერთმანეთთან იყო დაკავშირებული [Weisbrode, 2014:14-15]. შესაბამისად, „სახელმწიფოებს ან პოლიტიკურ ლიდერებს შორის ურთიერთობას და მათ მიზნებს: ომის გამოცხადებას, ხელშეკრულების დადებას, და მშვიდობას დიპლომატია განსაზღვრავდა“ [Ainsi, Croizat, 1992:66], ხოლო „დიპლომატიური ურთიერთობების განსახორციელებლად შესაბამისი ორგანოები იყო საჭირო. რომელთა ჩამოყალიბება სამეფო პერიოდში დაიწყო“ [Шмелева, 2010:150].

ანტიკური ტრადიციის თანახმად, სამეფო მოიცავდა შვიდი მეფის: რომულუსის ძვ.წ. 753-716 წწ. ნუმა პომპილიუსის ძვ.წ. 715-672 წწ. ტულუს ჰოსტილიუსის ძვ.წ. 672-640 წწ. ანკუს მარციუსის ძვ.წ. 640-616 წწ. ლუციუს ტარკვინიუს პრისკუსის (ძველი)ძვ.წ. 616-578 წწ. სერვიუს ტულუსის ძვ.წ. 578-535 წწ და ლუციუს ტარკვინიუსის (ამაყი) ძვ.წ. 534-510/509 წწ. მოღვაწეობას და მათ საქმეებს (App., *Historia romana*, I.18).

ტრადიციის თანახმად: „ნუმა პომპილიუსის და განდევნილი ტარკვინიუსის გარდა რომის მეფეები იმ სიკვდილით არ გარდაცვლილან, რომლებიც მათ წინააღმდეგ რომაულ მოგონებებს გაახსენებდა“ [Фрезеро, 1983:145].

აპიანეს თანახმად: „რომულუსი რომს პატრიარქალურად მართავდა (App., *Historia romana*, I. 18). პლუტარქეს ცნობით: „ასი საუკეთესო მოქალაქე რომულუსმა დანიშნა მრჩეველად, რომელთაც პატრიციუსები დაარქვა...“ (პლუტ., რომულუსი, 67). მეორე, პირველზე უარესად კი არ მეფობდა არამედ მან საუკეთესოდაც კი იმეფა და სიცოცხლეს უკეთესად დაასრულა. მესამე ჭექა-ქუხილმა მოკლა. მეოთხემ სიცოცხლე ავადმყოფობის გამო დაასრულა. მეხუთე მკვლელმა მწყემსებმა მოკლეს. მეექვსემ იძულებითი მოკვლით დაასრულა სიცოცხლე. მეშვიდეს ჩამოართვეს სამეფო ძალაუფლება და უკანონო ქმედების გამო ქალაქიდან გააძევეს“ (App., *Historia romana*, I. 18).

ანტიკური წყაროების თანახმად: რომულუსისადმი სიყვარულის ლტოლვით, გამუდმებით ითხოვდა მეფეს. იგი „უნდა ყოფილიყო არა თავისუფლად არჩეული არამედ ის ვისაც დამსახურების მიხედვით შენარჩუნებული ჰქონდა ძალაუფლება“ (Cic., *De re publica*, II. 12). ისტორიკოსის ცნობით: „სენატი, ასი წევრისაგან შედგებოდა და 10 დეკურიად იყოფოდა და ყოველი დეკურიიდან თითო სენატორი ინიშნებოდა. მათ ერთად შექმნეს ათკაციანი საბჭო ინტერრექსის ტიტულით, რომელთაგან თავის მხრივ თითოეული ხუთი დღის განმავლობაში ფლობდა სამეფო ძალაუფლებას და მის სიმბოლოებს და თუ 5 დღის შემდეგ ახალი მეფე არ დაინიშნებოდა, არჩევანი თავიდან იწყებოდა“ (Liv., *Ab urbe condita*, I. 17). დიონისეს თანახმად: „ინტერრექსები ერთმანეთში თანხმდებოდნენ, თუ ვის სთავაზობდნენ სამეფო თანამდებობას“ (Halicarn., *Antiquitatum romanarum*, IV. 30). მეფის არჩევის შემდეგ კურია მეფეს იმპერი-იმპერიუმის სპეციალური კანონით *lex curiata de imperio* გადასცემდა ძალაუფლებას (Cic., *De re publica*, II. 13).

პლუტარქეს ცნობით: „მეფე არჩევისთანავე თანამდებობას არ იკავებდა... ხალხი კი ელოდა მეფის არჩევას მანამდე ვიდრე ავგური არ გამოაცხადებდა ღმერთების თანხმობას და სასიხარულო ნიშნებს“ (პლუტ., ნუმა, II. 349-350).

რომაული ტრადიციით, პირებს, რომლებზეც მამის ხელისუფლება ვრცელდებოდა აგნატები ეწოდებოდა, ხოლო სისხლის ნათესაობით დაკავშირებულებს - კოგნატები [წერეთელი, 1992:26]. აღსანიშნავია, რომ „რომში სამეფო ძალაუფლება მამიდან შვილზე არ გადადიოდა, თუმცა „მამა“-ს „patri“ საზოგადოებაში ძლიერი ადგილი ეკავა. სენატი მეფეებს ღირსეულთაგან ირჩევდა“ [Матве, 1936:363],

რომი ტოლერანტული იყო სხვა კულტურების მიმართ, მაგრამ ფრთხილი იყო, რომ ბევრი უცხო იდეები არ მიეღო, განსაკუთრებით საბერძნეთიდან [Kuiper, 2011: 11-12]. ვიდრე ლათინური ან ეტრუსკული წარმოშობის მეფეებს შორის განსხვავება იარსებებდა რომში უცხოურ დელეგაციებს მეფე იღებდა, მათ მიერ ძალაუფლების განხორციელება დიპლომატიასაც მოიცავდა [Sautel, 1999:77].

მეფეების მხრიდან წარმოებულ დიპლომატიაში გამოვლინდა „Divide et impera“ პრინციპი, რომელსი პირველი იყო, რომელმაც ეს პრინციპი დიპლომატიურ პრაქტიკაში გამოიყენა. ამის შესანიშნავი მაგალითია: 1) პლუტარქეს ცნობით: „რომულუსმა ჩათვალა, რომ საბინებთან კავშირი იყო საჭირო და საბინი ქალების მოტაცება გადაწყვიტა... საბინებმა რომულუსთან ელჩობა გაგზავნეს და მოტაცებული ქალიშვილების დაბრუნება სთხოვეს. თუმცა რომულუსმა საბინებს მოტაცებული ქალიშვილები არ დაუბრუნა“ (პლუტ., რომულუსი, I. 69-70) და 2) ლივიუსის თანახმად: „ტარკვინიუს ამაციის მიერ, თითქოს მისი შვილი სექსტუსი მამამისის სისასტიკეს გამოექცა და გაბიელებს სთხოვდა თავშესაფარს. სექსტუსმა გაბიელების ნდობის მოსაპოვებლად რომის ძარცვა დაიწყო და ამ მოქმედებით მან გაბიელი უხუცესების ნდობა მოიპოვა, რომლებიც ერთმანეთზე გადაკიდა. საბოლოოდ, დასუსტებული გაბიუმი ადვილად აიღო“ (Liv., Ab urbe condita, I.53.54.55).

მეფეთა ხანის დიპლომატიური საქმიანობები წარმოადგენდა რომის მმართველების იმ მხარეს, რომელიც საგარეო ურთიერთობებში და უცხოელი ელჩების მიღებაში გამოვლინდა [Auliard, 2006:106]. დიპლომატიური გზით კონფლიქტს თავიდან იცილებდნენ, რომელშიც წინდახედულობას და სიფრთხილეს ავლენდნენ, ხოლო „იძულებითი დიპლომატი“-ით საბოლოოდ ომსაც იგებდნენ [Burton, 2018:2].

მეფეთა ხანის დიპლომატიამ გამოიწვია დიპლომატიური პრაქტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ძალაუფლების დელეგირების, საელჩოების მიღების და გაგზავნის მოქმედებებთან იყო დაკავშირებული [Auliard, 2006:101]. რომულუსი ლათინებთან და საბინებთან აგზავნიდა მისიებს, ამ მისიების დამატებითი ფუნქცია იყო ამ ხალხთან კავშირების გაფორმება. მაგრამ ლეგატებისთვის მიცემული პასუხი რომულუსმა შეურაცხყოფილად მიიჩნია და მაშინვე მიმართა ძალადობას. პირველი დიპლომატიური ნაბიჯების გაფართოება ძალის გამოყენებას ასახავდა [Auliard, 2006: 85].

შვიდი მეფიდან სამმა: რომულუსმა, ტულუსმა და ტარკვინიუს პრისკუსმა რეპარაციის ან რესტიტუციის შესახებ წამოყენებული 4 მოთხოვნა დაიკმაყოფილეს. 1) რომულუსის ინიციატივით საბინებიდან გატაცებული გოგონების უკან დაბრუნების მოთხოვნით, რომი იძულებული გახდა ომი დაეწყო; 2) ნათესაობის სახელით ვეიებს რომლებსაც სურდათ ქ. ფიდესის კონტროლი რომულუსმა „შეურაცხყოფელი ზიზღით“ უპასუხა; 3) ტულუსმა ზეწოლა განახორციელა ალბაზე. შესაბამისად, ალბა პასუხისმგებელი გახდა კონფლიქტის ინიციატივაზე. ალბას და რომის ლეგატები, ერთი და იგივე მისიით ერთდროულად გაგზავნეს, რომლებსაც ნადავლის მოპოვება ევალებოდათ [Auliard, 2006:86]. ლივიუსის თანახმად: „ტულუსი დარწმუნებული იყო უარს მიიღებდა. ამის შემდეგ უფლება ექნებოდა გამოეცხადებინა ომი“ (Liv., Ab urbe condita, I.14). ამიტომ ტულუსი თავის პასუხს აყოვნებდა ალბელ დელეგატებზე, რადგან ჯერ საკუთარ მოქმედებაზე ელოდებოდა უარყოფით პასუხს, შემდეგ კი კონფლიქტში ალბას დაადანაშაულებდა; 4) დაბოლოს, ტარკვინიუს პრისკუსის მიმართ ეტრუსკების პრეტენზიაზე, ზავის დადების შემდეგ ტყვეები დაებრუნებინათ. ამის საპასუხოდ ტარკვინიუსმა ლეგატები მძევლად აიყვანა შედეგად, რომმა ომი გამოუცხადა ეტრუსკებს. ეს პროპორცია უნიკალურია, რადგან რომის ისტორიის არცერთ სხვა პერიოდში არ ყოფილა მსგავსი მოქმედება [Auliard, 2006:86]. სამეფო პერიოდში მიღებული 53 დიპლომატიური აქტიდან 21 მიზნად მშვიდობის მიღწევას, ხელშეკრულების დადებას ან განახლებას ითვალისწინებდა [Auliard, 2006:97].

რომის პირველი მეფის რომულუსის (ძვ.წ. 753-716 წწ). დიპლომატია: რომის პირველი მეფე და იმავდროულად ქალაქის დამაარსებელი იყო რომულუსი. იგი ხსნის მეფეთა ხანას [სურგულაძე, 2019:310]. მას მიეწერება სახელმწიფოებრივი წესრიგის იდეა [ქავთარია, 2016: 83] და დიდი ქალაქის დაარსება [Маяк, 2019:15].

რომულუსმა „რომელმაც დააფუძნა ე.წ. „რომა კვადრატა“... სწორედ ამ ადგილზე მოინდომა ქალაქის აგება“ (პლუტ., რომულუსი, I. 64-66). იგი როგორც ქალაქის დამფუძნებელი დიპლომატიის დამფუძნებელიცაა თუმცა, მისი პირველი დიპლომატიური ნაბიჯების გაფართოება ძალის გამოყენებას ასახავდა [Auliard, 2006: 85].

რომულუსი სამხედრო და დიპლომატიური საკითხების ინიციატორია. იგი ბუნებით დიპლომატი და მეზომოლია [Porte, 1981:342], საგარეო ურთიერთობების სფეროში რომულუსის პირველი ინიციატივა დიპლომატიური იყო, რაც მეზობელ ხალხთან მოლაპარაკებასა და მოკავშირეობის მხარდაჭერაში გამოიხატა [Auliard, 2015:58]. აგრეთვე, მან დიპლომატიურ ურთიერთობებში ახლო და შორეულ მეზობლებთან მართვის წესები დაადგინა [Alföldi, 1965:249]. მის მიერ დაფუძნებული დიპლომატიური ურთიერთობები თითქმის არასოდესაა პირდაპირ კავშირში წარმოშობილ კონფლიქტებთან [Martin, 1996:151]. მან რომის და მეზობელ სახელმწიფოებს შორის დროებითი ურთიერთობები ჩამოაყალიბა [Adcock, Mosley, 1975:48-49]. „როგორც კი დააფუძნა ქალაქი... ასი საუკეთესო მოქალაქე რომულუსმა დანიშნა მრჩეველებად, რომელთაც პატრიციუსები დაარქვა. მათ კრებულს კი სენატი უწოდა“ (პლუტ., რომულუსი, I.67), ხოლო „როცა ქალაქი გაიზარდა. მოსახლეობა სამ ფილედ დაყვეს და უწოდეს: პირველს - რამნები რომულუსის სახელისგან, მეორეს - ტატიები ტატიუსის სახელისგან, მესამეს - ლუკერები წმინდა ჭალის წყალობით“ (პლუტ., რომულუსი, I. 78). რადგან ქალები ცოტანი იყვნენ, რომაელებს მშობლიურ ქალაქში დაქორწინების და შთამომავლობის იმედი არ ჰქონდათ. მამებთან კონსულტაციის შემდეგ, მეზობელ ტომებთან ელჩი გაგზავნა. ეს იყო პირველი დიპლომატიური აქტი [Martin, 1996:204-207]. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ კრიტიკულ მომენტში ქალებით პრობლემას გადაჭრა მოხდებოდა, მართლაც „რომულუსი იმედოვნებდა თუ საბინებს ქალებს მოსტაცებდა, ამ უსამართლო საქმით მათგან ერთგვარ კავშირსა და ურთიერთობას დაამყარებდა. ამიტომ საბინთა ქალების მოტაცება მოხდა... რომაელებს განზრახული ჰქონდათ ორივე ტომი შეეერთებინათ და კავშირით შეეკრათ“ (პლუტ., რომულუსი, I. 69-71).

საბინები რომულუსს სთხოვდნენ დაებრუნებინა მათთვის ასულები. რომულუსმა ქალიშვილები არ დააბრუნა (პლუტ., რომულუსი, I. 72-74). საბოლოოდ, მეომარმა მხარეებმა დროებითი ზავი დადეს და მხედართმთავრები მოსალაპარაკებ-

ლად შეიყარნენ ზავის პირობები იყო: „ქალები, სურვილის მიხედვით, რჩებოდნენ თავიანთ ქმრებთან და თავისუფლდებოდნენ... ყოველგვარი საქმისა და გარჯისაგან“. ისტორიკოსის ცნობით: „რომაელები და საბინები დასახლდებოდნენ ქალაქში. ქალაქს რომულუსის სახელის მიხედვით „რომი“, ხოლო „ტატიუსის სამშობლოს პატივსაცემად „კვირიტები“ დაერქმეოდა (პლუტ., რომულუსი, I. 77-78).

ტატიუსის მეფობის მეხუთე წელს მისი ნათესავები გზად წააწყდნენ ლავრენტ-იუმიდან რომში მიმავალ ელჩებს და ძალით ფულის წართმევა დაუპირეს: „ელჩებმა არ დაუთმეს და თავის დაცვა მოინდომეს მაშინ ისინი სულ ერთიანად ამოჟლიტეს...“ პლუტარქეს თანახმად: „ტატიუსის მიზეზით სამართალი რაკილა ვერ იპოვეს... მოკლულთა ნათესავები თავს დაესხნენ მას და სიცოცხლეს გამოასალმეს“ (პლუტ., რომულუსი, I. 82).

რომულუსის მეფობის დროს ლათინ მეზობლებთან მრავალჯერადი დიპლომატიური ურთიერთობები შედგა. ქალაქის საგარეო ურთიერთობების კონტექსტის შესაბამისად, საბინების და ლავინიუმის მისიები მარტივ ინიციატივებს მოიცავდა [Humbert, 1978:180] შევნიშნავთ, დიპლომატიური კავშირები არსებობდა კონფლიქტებამდე და შემდეგაც.გამონაკლისი იყო ძვ.წ. 737 წ. კონფლიქტი ქ. ვეისთან. იგი რომულუსის ბოლო სამხედრო მოქმედებას წარმოადგენდა [Auliard, 2015:60].

რომის მეორე მეფის ნუმა პომპილიუსის (ძვ.წ. 715-672 წწ). დიპლომატია: რომულუსის გარდაცვალების შემდეგ სენატს უნდა გადაეწყვიტა ვინ იქნებოდა რომის შემდეგი მეფე. „საბოლოოდ ასი სენატორ-მამა ათ კაციან ჯგუფებად დაყვეს და თითოეული 10 კაციანი ჯგუფი მეფეს აირჩევდა. თავდაპირველად 10 ადამიანი მართავდა. 5 დღით, ერთი მეფე მეფობდა მისი უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ... მომდევნო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მეფეზე გადადიოდა“. ლივიუსის ცნობით: „ხალხი შეწუხდა და წუწუნნი დაიწყო, რადგან ერთი ბატონი ასმა ბატონმა შეცვალა“. ჩანდა, რომ ხალხი მეფეს თავად აირჩევდა. ამ დროს იტერრექსმა შეხვედრა გამართა სენატში და გამოაცხადა: „დაე, ეს იყოს სიკეთისთვის, სარგებლისთვის და ბედნიერებისთვის! კვირიტებო, აირჩიეთ მეფე“ (Liv., Ab urbe condita, I.17). პლუტარქეს ცნობით: „საბინებმა უწინარეს ყოვლისა რომაელებს მიანდვეს თავკაცის არჩევა და ერთმანეთში მოთათბირების შემდეგ, მართლაც რომაელებმა მეფედ აირჩიეს საბინე-ელი ნუმა პომპილიუსი“ (პლუტ., ნუმა, II. 344).

ტრადიცია ნუმას საბინს უწოდებს [Ковалев, 2002:81]. თუმცა, ანკუსის წარმომავლობასთან დაკავშირებით რომაელები თვლიდნენ, რომ მარციუსების პლებეური ოჯახის სახელი იყო [Niebuhr, 2011:301]. ნუმა პომპილუსი „საბინებმა ამრჩეველ რომაელებზე უფრო მეტი ხალისით მიიღეს მისი მეფედ გამოცხადება“. „ნუმას უკვე ორმოცი წელი უსრულდებოდა, როცა რომიდან ელჩები ეახლნენ და აუწყეს: წამოზრდანი და სამეფო ჩაიბარეო“ (პლუტ., ნუმა, II. 344-347). საბოლოოდ, „მან სამეფო ძალაუფლება მიიღო“ (Liv., Ab urbe condita, I.18).

ნიშანდობლივია, რომ „ნუმა დიპლომატიურ საქმიანობაში რომულუსის საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებდა და ემყარებოდა მშვიდობიანი და ღვთისმოსავი მონარქიის იდეას“ [Hinard, 2000:37]. იგი ღვთისმოსაობით პატივს სცემდა ყველას და უარს ამბობდა ძალის გამოყენებაზე [Briquel-Chatonnet, 2000:220]. მემატიანეს ცნობით: „თავისუფალ დროს განცხრომასა და მომხვეჭელობას კი არ ანდომებდა, არამედ გონებით ბუნებისა და ძალის განჭვრეტაში ატარებდა“ (პლუტ., ნუმა, II. 345). იგი რომულუსივით არ იბრძოდა და ახალი მიწები არ შეუერთა რომს [Маяк, 2019:17]. ისტორიკოსის ცნობით, „უსაქმურობით ვინმე რომ არ გაფუჭებულიყო უხემ და გაუნათლებელ ხალხში შიშის ჩანერგვა გადაწყვიტა (Liv., Ab urbe condita, Перихи, I. 19). ნუმა „ომის მოტრფიალე რომაელებს ღვთისგან მოვლენილ საშიშროებაზე ესაუბრებოდა...და მათ სულისკვეთებას ღვთისმოშიშობით აჩიავებდა“ (პლუტ., ნუმა, II. 351). ცხადია, ასეთი რელიგიური სიახლეები გულისხმობდა საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემის გარანტიასაც [Lévêque, 1992:16]. ძალაუფლების მიღების შემდეგ ნუმამ ყველა მეზობელთან მშვიდობიანი ხელშეკრულება დადო...“ [Auliard, 2015:69].

ნუმას მიეწერება უზენაეს ქურუმთა ანუ ე.წ. პონტიფექსების თანამდებობის დაწესება. იგი თვითონვე იყო პირველი პონტიფექსი. მასვე მიეწერება ვესტალეზად კურთხევის წესი (პლუტ., ნუმა, II. 353-354). ვესტალები მანვე შეარჩია (Liv., Ab urbe condita, I.20.21). პლუტარქეს ცნობით: „ვესტალებს ოცდაათი წლით მეფის მიერ განესაზღვრათ უბიწოების ვადა. ნუმას სხვა ღონისძიებიდან გვინდა აღვნიშნოთ სალიებისა და ფეციალების სამსახურების შექმნა (პლუტ., ნუმა, II. 355-358). ლივიუსის თანახმად: „ხალხი ამ საქმეების განხილვასა და შესრულებაზე გადავიდა, დაივიწყეს ომი და იარაღი. ყველას გული ისეთი ღვთისმოსაობით აივსო, რომ სახელმწიფოს ერ-

თვლება და ფიცი და არა კანონების მორჩილება და სასჯელის შიში მართავდა“ (Liv., Ab urbe condita, I. 20. 21).

ზედიზედ ორი მეფე, თითოეულმა თავისებურად, ერთმა ომით, მეორემ მშვიდობით, გააძლიერა და განადიდა რომი. სახელმწიფო არა მარტო ძლიერი იყო, არამედ თანაბრად მომზადებული იყო ომისა და მშვიდობიანი ცხოვრებისთვის (Liv., Ab urbe condita, I. 21).

რომის მესამე მეფის ტულუს ჰოსტილიუსის (ძვ.წ. 672-640 წწ). დიპლომატია: ნუმა პომპილიუსის გარდაცვალების შემდეგ „მგლის ნაშიერებმა“ მეფედ აირჩიეს ჰოსტილიუსთა განთქმული გვარის წარმომადგენელი ტულუსი [სურგულაძე, 2019: 315].

მეფეების მშვიდობიანი მეფობის შემდეგ, ტულუს ჰოსტილიუსის მეფობა აშკარად განსხვავდება, რადგანაც რომის მესამე მეფე ტრადიციით არის წარმოდგენილი. მისი იდეა იყო დიპლომატიაზე დაფუძნებული მშვიდობა [Auliard, 2006: 78]. ახალგაზრდა მეფის კრედიო იყო: სახელმწიფო რომელიც ეწევა მშვიდობიან ცხოვრებას სუსტდება და კარგავს სამხედრო ძლიერებას [სურგულაძე, 2019: 315]. ტ. ჰოსტილიუსის კანონით, სენატის გადაწყვეტილების გარეშე საომარი მოქმედების დაწყება ითვლებოდა უსამართლოდ [ქავთარია, 2016:88], მას შემდეგ რაც ელჩების მეშვეობით გაგზავნილ მოთხოვნაზე უარი მიიღო, მან ამ მიზეზით ომი გამოუცხადა ალბელს [Маяк, 2019:18].

რომაელმა ელჩებმა პირველებმა გამოუცხადეს ომი ალბელს, რომელიც 30 დღეში უნდა დაწყებულიყო (Liv., Ab urbe condita, I. 22). ტულუსმა ალბა ლონგელი ელჩები დაიბარა და განუცხადა: „უთხარი შენს მეფეს, რომელიც არ ითვალისწინებდა ჩემს თხოვნას...“ ორივე მხარემ ომისთვის მზადება დაიწყო. როდესაც მტერს მიუახლოვდა მეტიუსმა მასთან ელჩი იმ დავალებით გაგზავნა, რომ ბრძოლის დაწყებამდე ტულუსთან მოლაპარაკება დაეწყო. ისტორიკოსის ცნობით: „ალბელმა მეტიუსმა თქვა: „მიყენებული შეურაცხყოფა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება არის მიმდინარე ომის მიზეზი...“ (Liv., Ab urbe condita, I. 23).

ტულუსმა განაცხადა: „მეტიუს ფუფეტ თუ თქვენ ისწავლით ერთგულებას და ხელშეკრულებების დაცვას...დაე, შენმა აღსრულებამ ასწავლოს კაცობრიობას პატივი სცეს თქვენს მიერ დაბინძურებულ სიწმინდეს. ტულუსის გამარჯვების შემდეგ რომში

მოქალაქეების რაოდენობა გაორმაგდა“ (Liv., Ab urbe condita, I. 28.29).

ტულუსის მეფობიდან სამეფო დიპლომატიის ფუნქციები გაფართოვდა და განმტკიცდა რომის ლათინურ ლიგაში ინტეგრაციით [Auliard, 2006:80], რომელიც ხელშეკრულებაზე იყო დაფუძნებული [Liou-Gille, 1997:729-764], ხოლო „ნებისმიერი ომი, რომელიც არ იყო გამოცხადებული რელიგიას და სამართლიანობას ეწინააღმდეგებოდა“ (Cic., De re publica, II. 31).

ლათინებთან ურთიერთობის დროს ტულუსს გარკვეული პოლიტიკური, და რელიგიური ზომების მიღება მოუწია, ხოლო მისი მეფობის ბოლო ორი მოქმედება ლათინურ ლიგაზე რომაული ჰეგემონიის დაწესებას ადასტურებს. ტულუსის საქმიანობიდან გამომდინარე ელჩების სამი გაცვლა მოხდა, რომსა და ფიდეს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არაპირდაპირი გზითაც დასტურდება [Auliard, 2006:79-81].

რომის მეოთხე მეფის ანკუს მარციუსის (ძვ.წ. 640-616 წწ). დიპლომატია: ტულუს ჰოსტილიუსის გარდაცვალების შემდეგ რომაელებმა მეფედ აირჩიეს ნუმა პომპილიუსის შვილიშვილი ანკუს მარციუსი. ახალი მეფის არჩევა ჰოსტილიუსის საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას ნიშნავდა. მართლაც, თავისი წინაპრის მსგავსად [სურგულაძე, 2019:317-318]. „ყველაზე მეტ დროს საკურთხეველთან ატარებდა“ (Liv., Ab urbe condita, I. 32).

ანკუს მარციუსი მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრე იყო, მაგრამ იმავდროულად მას შესანიშნავად ესმოდა, რომ მეზობელი ტომების თავდასხმის შემთხვევაში აუცილებელი იყო საკადრისი პასუხის გაცემა [სურგულაძე, 2019:317-318]. მან ტულუსისგან ისესხა ომის გამოცხადების წესი [Liou-Gille, 2000:275-277]. იგი ცდილობდა განესახიერებინა მეფე-დიპლომატის ფუნქცია [Briquel, 1996:114-115]. მისი მეფობისას ომები გარკვეული წესის მიხედვით ცხადდებოდა. ელჩი მიდიოდა საზღვართან და ამბობდა: „ისმინე, იუპიტერო ისმინეთ ამ ქვეყნის საზღვრებო, შეიძლება უზენაესმა კანონმა მომისმინოს. მე ვარ მთელი რომაელი ხალხის მაცნე“ შემდეგ ელჩი ამბობდა: „თუ მე არასწორად და უსამართლოდ ვითხოვ, რომ ეს ხალხი და ეს ნივთები მომეცეს, შეგიძლიათ სამუდამოდ წამართვათ ჩემი სამშობლო.“ ელჩს უფლება ჰქონდა 32 დღის შემდეგ ომი გამოეცხადებინა სიტყვებით: „ისმინე, იუპიტერო და შენ იანუსს ქვირინო და შენ მიწიერო და ქვესკნელო მისმინე! მემოგიყვანო მოწმედ იმისა, რომ

ამ ხალხმა უფლება დაარღვია“ (Liv., Ab urbe condita, I. 32).

მეშვიდე საუკუნის ბოლოს ანკუსმა შემლო ლაციუმის რეგიონის ქალაქებთან დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობები, რომელიც რომის ძალაუფლების განმტკიცებაში იყო გადამწყვეტი ფაქტორი. აღსანიშნავია, რომ „ვეის და ფიდეს წინააღმდეგ ჩარევას არ ახლავს რაიმე ქმედება, რომელიც მკვეთრად განასხვავებდა“, ხოლო „მის მიერ ეტრუსკებთან დადგენილმა ურთიერთობებმა“ [Rebuffat, 1974 :631]. „სრულყოფილი ადამიანი“ გახადა [Dubuisson, 1978:28-30].

მეფე ეკითხებოდა სენატორებს: „სენატორებო... მე ვაძლევ ჩემს თანხმობას. დანარჩენი თანმიმდევრობით გამოიკვეთა. სამი ზრდასრული მოწმის თანდასწრებით განაცხადა: ვინაიდან ძველ ლათინთა ხალხი და თითოეული ძველი ლათინი დამნაშავეა და შესცოდა რომაელი ხალხის მიმართ... რომაელი ხალხის გულისთვის ვაცხადებთ ომს. ამის თქმისას მტერს შუბი ესროლა“ (Liv., Ab urbe condita, I. 33).

ანკუსმა რომაული ნავსადგურის აგებით და ზღვისკენ გაფართოებით ეტრუსკებთან რეალური ურთიერთობები დაიწყო [Ковалев, 2002:83]. მან ლათინთა მიწები, ავენტინისა და იანიკულის ბორცვები შეუერთა ქალაქს [ქავთარია, 2016: 88], ხოლო „მისი სიკვდილით დასრულდა ლათინურ-საბინური მეფობა“ [Маяк, 2019:19].

რომის მეხუთე მეფის ლუციუს ტარკვინიუს (ძვ.წ. 616-578 წწ). პრისკუსის დიპლომატია: ისტორიკოსის ცნობით: „ანკუსის გარდაცვალების დროს ტარკვინიუსი მკაცრად მოითხოვდა, რომ რაც შეიძლება მალე ჩატარებულიყო სახალხო კრება, რომელიც ირჩევდა მეფეს...“. ტარკვინიუსმა თქვა: „რომის სამეფოს ძალაუფლებაზე არ მაქვს პრეტენზია...“ ამის შემდეგ რომაელი ხალხი დათანხმდა მის გამეფებას (Liv., Ab urbe condita, I. 35).

ტრადიცია ხაზს უსვამს მის ეტრუსკულ წარმომავლობას [Ковалев, 2002:85]. ასევე იგი იყო პირველი რომაელი მმართველი, რომელმაც „რომში ტრიუმფი ეტრუსკული სტილით ოქროს ეტლზე მიჯაჭვული ოთხი ცხენით იზეიმა“ (Flor., Epitomae, I.5). მან ბრძოლის გარეშე დანებებულებისთვის პრაქტიკაში შემოიღო რომის მოკავშირის სტატუსის მიცემა [სურგულაძე, 2019:319], ხოლო „სენატს 100 ადამიანი დაუმატა და 300-მდე გაზარდა რომლებიც „უმცროს თაობად იწოდებოდნენ“ (Liv., Ab urbe condita, I. 35). მათ შორის იყო „ოქტავიუსთა გვარი“ (სვეტ., ღვთაებრივი ავგუსტუსი, I.63).

რომის შვიდ მეფეთაგან რომის დიპლომატიურ სფეროში პირველი ეტრუსკი მეფის დიპლომატია ეწინააღმდეგებოდა ტარკვინიუსების უკანასკნელ დიპლომატიას ხოლო „დიპლომატიურ ინიციატივებში თითქოს სრულ კონტროლს ინარჩუნებდა. როგორც ჩანს, ლათინების წინააღმდეგ ომი, ტარკვინიუსის ერთადერთი დიპლომატიური ინიციატივაა“ [Auliard, 2015:78-80], ხოლო „ცენტრალური იტალიის ხალხთან ურთიერთობები გაფართოვდა კერძოდ: ლაციუმის მიღმა ჰერნიკებთან და ეკვებთან, რომელიც დინამიკურ ევოლუციას აღნიშნავდა“ [Briquel, 1999:118-120].

რომის მეექვსე მეფის სერვიუს ტულიუსის (ძვ.წ. 578-534 წწ). დიპლომატია: სერვიუს ტულიუსის მმართველობა აღინიშნა ტრადიციული მოწინააღმდეგეების ეტრუსკების და ქ. ვეის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლებით. ლათინ ქალაქებთან უპირატესობის შენარჩუნებისთვის. სერვიუსმა დააწესა სამოკავშირეო დღესასწაულები [სურგულაძე, 2019:320-321; Ковалев, 2002:86]. მან დაამარცხა ვეიები და ადამიანები კატეგორიების მიხედვით დაყო (Liv., Ab urbe condita, Перихи, I). მეფე რეფორმატორმა რომი დაყო სამ ტერიტორიულ ოლქად [ქავთარია, 2016:90], რომელიც რეგულარული და დიფერენცირებული გახდა [Маяк, 2019:23-24].

სერვიუსი ეტრუსკთა დინასტიის უნიკალური წარმომადგენელია, რომელიც დიპლომატიური საქმიანობის მოქმედებებში იყო ჩართული [Auliard, 2015:80]. მისი მეფობა პოლიტიკური და სამხედრო რეფორმების განმტკიცებაა [Cels-Saint-Hilaire, 1995:86], ხოლო „საგარეო პოლიტიკური საქმიანობა მდიდარია, მაგრამ ელჩების გაცვლითი ურთიერთობების რაოდენობა მცირეა. ამის მიუხედავად, ეტრუსკულ დინასტიაში სერვიუსის საქმიანობა განსაკუთრებული დიპლომატიით გამოირჩევა“ [Auliard, 2015:65]. „მეფე ძალაუფლების გასაძლიერებლად ყოველთვის არ მიმართავდა იარაღს“ (Liv., Ab urbe condita, I. 45).

ისტორიკოსის თანახმად: „სერვიუსმა ძვ.წ. 578 წ. ვეისთან გამოუცხადებელი ომით დაიწყო მეფობა. მაგრამ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი გაუგებარია. მან დამყარებული სიმშვიდის შესანარჩუნებლად სამხედრო მოქმედებები დაიწყო, რადგან ვეიებთან უკვე ამოწურული იყო ზავი. თუმცა, მან ამ ომში ბრწყინვალედ დაამარცხა მტრის ჯარი“ (Liv., Ab urbe condita, I. 42). [Auliard, 2015:80-82].

ლივიუსი აღნიშნავს: რომ „რომულუსის მიერ ვეისთან დადებული ზავის დრო ამოიწურა“ (Liv., Ab urbe condita, I. 42). დ. ჰალიკარნასელი უფრო აზუსტებს და

სერვიუსის მიერ ვეისთან გაგზავნილ დიპლომატიურ მისიას ახსენებს, „პირველები ვინც რომს გამოეყვნენ ვეიები იყვნენ, ტულუსისგან გამოგზავნილ ელჩებს უპასუხეს: რომ არ ჰქონდათ რომაელებთან ალიანსზე და მეგობრობაზე დადებული შეთანხმება“ (Halicarn., *Antiquitatum romanarum*, I.27). რაც იმას ნიშნავდა, რომ ტრადიცია ლათინ და ეტრუსკ მეფეებს თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდა. დიპლომატიური ვალდებულების დაცვა და შესრულება იყო პირადი საქმე [Auliard, 2015:70].

სერვიუსმა ლათინების შეწყალებაზე იმ მოტივით თქვა უარი, რომ ისინი პატივს არ სცემდნენ ხელშეკრულებებს. ამის მიუხედავად, მათთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა [Liou-Gille, 2000:366-368], რომელიც არასაომარ კონტექსტში სერვიუსის დიპლომატიის ერთ-ერთ ძლიერ პუნქტს, წარმოადგენს რომელსაც „დიპლომატიური იარაღი“-ს ექსკლუზიური გამოყენებით ადასტურებს“ [Liou-Gille, 1997: 761].

რომის მეშვიდე მეფის ლუციუს ტარკვინიუს (ძვ.წ. 534-509 წწ). „ამაყის“ დიპლომატია: იგი რომის მეხუთე მეფის ტარკვინიუს ძველის ვაჟი იყო [სურგულაძე, 2019: 322]. მისი მეფობით დამთავრდა ეტრუსკთა ბატონობის ეპოქა [ქავთარია, 2016:93]

ლივიუსის თანახმად: „ტარკვინიუსის „პირველი საზრუნავი იყო სერვიუსის წინააღმდეგ ძალის გადატრიალების შემდეგ სენატის მოწესრიგება. მეფეებიდან პირველი იყო, რომელმაც გააუქმა თავისი წინამორბედებისგან მემკვიდრეობით მიღებული ტრადიცია“ (Liv., *Ab urbe condita*, I. 49). მან რომში ტერორისტული რეჟიმი დაამყარა. თუმცა, ლათინურ ქალაქებთან მოკავშირეობას და მეგობრულ ურთიერთობებს ამყარებდა [Маяк, 2019:25]. მისი დიპლომატიური პრაქტიკა კონფლიქტში გადადგმული ნაბიჯების შედარებაში გამოვლინდა [Auliard, 2015:78] „ის ცდილობდა უცხოელების მხარდაჭერას და მათი ყურადღების მიპყრობას“ (Liv., *Ab urbe condita*, I.49), ხოლო „ლათინებთან ალიანსმა საშუალება მისცა „ომი უცხოელებთან გაემართა, ამიტომ მეზობელ ხალხთან დაპირისპირება იყო ერთადერთი ინიციატივა. დიპლომატიური საქმიანობა კი ლოგიკურად ასახავდა მტკიცე და დამპყრობელი მეფის იმიჯს“ [Auliard, 2015:78].

მეფობის დასაწყისში მისმა დიპლომატიურმა ინიციატივამ მოიცვა: ლათინებთან დაახლოება ჰერნიკებთან და ვოლსკებთან ალიანსების ძიება, ეკვებთან მშვიდობაზე და ეტრუსკებთან ხელშეკრულების განახლება [Martin, 1996:172-174]. თუმცა ეს მოქმე-

დებები დაკავშირებული იყო ტარკვინიუსის მიერ დაწესებულ ძალთა ბალანსის ევოლუციაზე. ლივიუსის თანახმად: „მოვლენების თანმიმდევრობა ასეა წარმოდგენილი: როდესაც მას „გაბიელები ჰყავდა, ეკვებთან მშვიდობა გააფორმა და ეტრუსკებთან განაახლა ხელშეკრულება“ (Liv., Ab urbe condita, I.52.55). აქ კავშირი გამოხატულია დიპლომატიურ ინიციატივას და სამხედრო გამარჯვებას შორის, როგორც არ უნდა ყოფილიყვნენ საბინებთან და ლათინებთან ტარკვინიუს ამაყი ყოველთვის დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებდა [Auliard, 2006:80].

ლივიუსის თანახმად: „ომის წარმოების ხელოვნებაში არ ჩამოუვარდებოდა წინა მეფეებს. მაგრამ უზნეობით თვითონვე წინ აღუდგებოდა საკუთარ დიდებას. მან პირველმა დაიწყო ომი ვოლსკებთან. ომი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ ორას წელზე მეტხანს გაგრძელდა და აიღო მათი ქალაქი სუესა პომეცია. გაბიუმის დაუფლების შემდეგ, ტარკვინიუსმა ეკვებთან ზავი დადო და ეტრუსკებთან განაახლა ხელშეკრულება“ (Liv., Ab urbe condita, I. 53-55).

ტარკვინიუსმა მისი პოლიტიკით აამხედრა რომელი ხალხი, რასაც მოჰყვა სახელმწიფო გადატრიალება, ხოლო მისმა დესპოტურმა მმართველობამ რომიდან გაძევება გამოიწვია [Ковалев, 2002:88]. იგი გაბიუმში მისგან დატანჯულმა მცხოვრებლებმა მოკლეს [Маяк, 2019:25.].

ჟ. ჰეურგონის მტკიცებით: „ტარკვინიუს ამაყის ეპოქა მართლაც, არის ის რაც ფორმისა და შინაარსის მიხედვით ყველაზე მეტად შეეფერებოდა მას“ [Heurgon, 1993:393], ხოლო მ. გრასი ადასტურებს: რომ „პირველი ხელშეკრულება შეიძლება ყოფილიყო მეფის პირადი ნამუშევარი რომელიც ხელსაყრელი იყო ალიანსისათვის“ [Gras, 1985:258].

რომულუსისგან განსხვავებით, ტარკვინიუსის დიპლომატია, უკავშირდება არა მხოლოდ სამხედრო ჩართულობას, არამედ ომის კონტექსტსაც [Dumézil, 2000:207].

ტარკვინიუს ამაყმა 9 მისია განახორციელა. მათგან 5 რომთან დიპლომატიურ ურთიერთობებში პირველად აღმოჩნდა. 4 (გაბიუმის, ლათინური ლიგის, ჰერნიკების, და ვოლსკების) შემთხვევაში იტალიურია. მისმა საგარეო პოლიტიკამ მკვეთრი გავლენა და გაფართოება გამოიწვია [Martin, 1996:283]. მისი ინიციატივით დამყარებულმა ურთიერთობამ საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელ დიპლომატიას. ტრადიციამ ვერ შეძლო წაეშალა მისი საგარეო დიპლომატიური პოლიტიკა [Auliard, 2015:57].

ამრიგად, შეიძლება ვისაუბროთ მეფეთა პერიოდში დიპლომატიის არსებობასა და განვითარებაზე. რა თქმა უნდა, მაშინ დიპლომატია იყო უნიკალური რადგან მეფის, სენატის, ფეციალების კოლეგიის და ლეგატების დიპლომატიურ ფორმებს და პროტოკოლს ჩაეყარა საფუძველი [Шмелева, 2010:150].

მეფეები მართავდნენ რომს ქალაქის დაარსებიდან 244 წლის განმავლობაში ცენტურიების კომიციაზე გამართულ შეხვედრაზე, ქალაქის პრეფექტმა, სერვიუს ტულიუსის ჩანაწერების შესაბამისად, ორ კონსულად აირჩია ლუციუს იუნიუს ბრუტუსი და ლუციუს ტარკვინუსი (Liv., Ab urbe condita, I. 60).

თავი IV. რესპუბლიკის პერიოდის რომის დიპლომატია

4.1 რომის დიპლომატიური ინსტიტუტები და საერთაშორისო

კავშირების გაფართოება ძვ.წ V-I სს-ში.

მეფის ავტოკრატიის დამხობის შემდეგ, ახლად შექმნილი სახელმწიფო ჯერ არ იყო საკმარისად ძლიერი, ხოლო საკონსულო ხელისუფლება ერთწლიანი გახდა. მეფის უფლებები პირველმა კონსულებმა შეინარჩუნეს. პირველი კონსული იყო ბრუტუსი (ძვ.წ. ? - გ. 509), რომელმაც უზენაესი ძალაუფლება მიიღო და აიძულა მოქალაქეები დაეფიცებინათ, რომ მეფეს რომში არავის შეეგუებოდნენ. ამ დროიდან, ჩვეულებრივი იყო, რომ სენატის მოწვევისას, როგორც პატრიციებს, ისე „დანიშნულ“ სენატორებს იწვევდნენ. ეს კი ძალიან სასარგებლო იყო, რადგან იგი ხელს უწყობდა სახელმწიფოში ჰარმონიას და უბრალო ხალხის სენატორებთან ურთიერთობებს (Liv., Ab urbe condita, II. 1, 2).

თ. მომზენი შენიშნავდა, რომ „რომაული რეფორმების და რევოლუციის სიდიადე, არასოდეს იყო ძალაუფლების ჩამორთმევით ან საზოგადოების უფლებების შეზღუდვით გამიზნული“ [Моммзен, 1997:247], რადგან განსხვავებული კულტურული ელემენტების ნაზავისგან შედგებოდა [Momigliano, 1989:110-111]. ამიტომ „მის გვერდით გაჩნდა კიდევ ერთი პოლიტიკური მოძრაობა, არამოქალაქეების სურვილი გამხდარიყვნენ პოლიტიკურად თანასწორნი... და თუ ვინმეს არ თვლიდნენ მოქალაქეებად ისინი პოლიტიკური თანასწორობისთვის აგრძელებდნენ ბრძოლას“ [Моммзен, 1997:247]. ამ პერიოდის რომს შეეძლო მნიშვნელოვანი დიპლომატიური აქტივი და მიმზიდველი პოლიტიკური მოდელი შეეთავაზებინა ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებისთვის [Cébeillac-Gervasoni, 2006:68].

ვ. პოტემკინას თანახმად: „უძველესი ქალაქის პოლიტიკის დიპლომატიური აქტიურობა მოლაპარაკებებში და საელჩოების უწყვეტ გაცვლაში და ხელშეკრულებებში გამოიხატა“ [Потемкина, 1941:16], ხოლო „საერთაშორისო ურთიერთობებში რომისა და ვასალური სამეფოების ურთიერთობებია საინტერესო, რადგან რომი ყველა ვასალურ სახელმწიფოს არ მიიჩნევდა თანასწორად [Ростовцев, 2013:84].

ა.ბ. ეგოროვის თანახმად: „რომის რესპუბლიკა ერთ-ერთი უძველესი რესპუბლიკაა მსოფლიო ისტორიაში“ [Егоров, 2010:59].

ადრეული რესპუბლიკის პერიოდში (ძვ.წ. 510-264 წწ). რომი ნამდვილ სამოქალაქო საზოგადოებად, პოლისად ან, როგორც ამ ერთობას ლათინურად უწოდებენ, „civitas“ იქცა. ამის პარალელურად რომაელთა ბატონობა ან გავლენა ვრცელდებოდა აპენინის ნახევარკუნძულზე, სადაც იქმნებოდა ახალი რომაულ-იტალიკური ფედერაცია [Ковалев, 2002:7].

ამავე პერიოდში რომი განაგრძობდა ბრძოლას და განვითარებას. იმის მიუხედავად, რომ რომაელთა შორის ცვლილებები იყო ევოლუციის შედეგი, ვიდრე ინდივიდუალური და მიზანმიმართული რეფორმა [Grant, 1979: 54].

ძვ.წ. IV-III სს-ში. რომს იტალიაში შეეძლო გაეგრძელებინა არა მხოლოდ გავლენა და მისი კანონები, არამედ მათი რასა და ენა. რომმა ძვ.წ. 334-264 წწ. 18 ლათინური კოლონია დააარსა [Ферреро, 1925:12]. ამ პერიოდიდან იწყება რომის დაპირისპირება აპენინზე მდებარე ელინურ ქალაქ-სახელმწიფოებთან, შიდა კლასობრივი წინააღმდეგობები, სამოქალაქო ომები და მისი ლოგიკური დასასრული რესპუბლიკის კრიზისი და მისი კრაზი. მმართველობის პოლუსური სისტემის არაეფექტურობამ და სოციალურმა გარემოებებმა საბოლოო ჯამში ძვ.წ. II-I სს-ში, ნიადაგი მოამზადეს ახალი პოლიტიკური რეჟიმის დამყარებისთვის [სურგულაძე, 2019:21].

რომის რესპუბლიკის პერიოდში რომაელებმა გამოავლინეს რეალური პოლიტიკის წარმოების ხელოვნება, რომლებმაც პოლიტიკურ პრაქტიკასა და დიპლომატიურ პრინციპს შორის შექმნეს საყოველთაო კონტრასტი [Mouritsen, 2001:2].

რომაელებმა ოსტატურად შექმნეს „ორმაგი დიპლომატიის“ მოდელი, სადაც ყველაზე კარგად გამოჩნდა, დიპლომატიური მოქმედებები. როდესაც მტერი ცუდ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, მისი ნებისმიერი საპასუხო მოქმედება ან თუნდაც უმოქმედობა რომს უპირატესობას უქმნიდა [Беликов, 2003:120]. მაგ., სელევკიდების სამეფოს (ძვ.წ. 312-64 წწ). მოეთხოვებოდა ყველა იმ სპილოს განადგურება, რომლებიც ომში მონაწილეობდნენ. რომის სარგებელი აშკარა იყო, რადგან სამეფო მნიშვნელოვნად დასუსტდებოდა ან უარის შემთხვევაში, „ჯიუტ“ მეზობელთან ომისთვის ჩნდებოდა „სამართლებრივი“ საფუძველი [Беликов, 2003:417-418].

რომის რესპუბლიკის „ისტორიის ყველა პერიოდში ჩვენ ვხვდებით დიპლომატიური მისიების მუდმივ გაცვლას“ [Буннов, 1998:99]. როდესაც რომი პატარა ქალაქ-სახელმწიფოდან მსოფლიო სახელმწიფოდ გადაიქცა, დიპლომატიურ ფორმალობე-

ბზე სენატი დომინირებდა [Friedlaender, 1908:195], ხოლო „პოლიტიკური ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად, სენატი ზედამხედველობას უწევდა მაგისტრატებსაც“ [Momigliano, 1989:110-111]. შესაბამისად, „სამეფო ძალაუფლების დამხობის შემდეგ იმპერიუმის ძალაუფლებაც სენატზე გადავიდა“ [Grimal, 1981:113-114; Deniaux, 2001:91].

რესპუბლიკის მთავარი ფორმულა იყო: სენატი + ხალხი (სენატი ბრძნულად მართავს და მისი ხელმძღვანელობით სასარგებლო საქმიანობაში ერთვება ხალხი) [Утченко, 1952: 89].

ლივიუსის ცნობით: „კონსულმა (მანიუს აცილიუსმა)რომში გაგზავნა მ. კატონი სენატმა და რომის ხალხმა იცოდნენ, რაც გაკეთდა“ (Liv., Ab urbe condita, XXXVI. 21-4). იგი გამოიხატა ლათინური ფრაზის აკრონიმში „S. P. Q. R.“-ში (ლათ. Senatus Populus Quiritium Romanus, Senatus - Senate. Quiritium Romanus) და ნიშნავს „სენატი და რომის ხალხი“ [Холл, 1996:656].

ნიმანდობლივია, რომ „ჩვენ კარგად არ ვიცით, რომის მთავრობის თეორიული მხარე, თუმცა პრაქტიკული ქმედებების შესახებ ბევრი ინფორმაცია გვაქვს“ [Егоров, 2010:59]. „რესპუბლიკური რომის ცენტრალური მმართველობის ორგანოები: სენატი, სახალხო კრება და მაგისტრატურა“ [Byrd, 1995:44].

სენატი: თავად სიტყვა „Senate“ ლათინური „Senex“ მომდინარეობდა და „მოხუცებულს“ ნიშნავდა [Abbott, 1901:3]. ვ. სერგეევის თანახმად: „რომში საგარეო პოლიტიკის ლიდერი იყო რომაელი მონათმფლობელური თავადაზნაურობის ორგანო სენატი“ [Сергеев, 1959:63], რომელიც რესპუბლიკის პერიოდის ისტორიაში საშინაო და საგარეო საქმეებში პირველ ადგილზე იყო [Derow, 1979:15].

სენატი ანტიკური რომის დიპლომატიური სტრუქტურებიდან და ორგანოებიდან პოლიტიკური სისტემების თავისებურებებსაც ასახავდა [Сергеев, 1959:63].

ტრადიცია ამბობს, რომ პლებეების დაშვებით გაფართოვდა სენატის უფლებები და ისეთ შემთხვევებს განიხილავდა, რომელიც თავისუფლებას იძლეოდა [Моммзен, 1997:258].

სენატის ევოლუცია პატრიციებსა და პლებეებს შორის კლასობრივი ბრძოლის ეპოქაში ასევე რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბების რთულ პერიოდში მოხდა, ამ დროს სენატი იყო ბრძოლის ცენტრში [Белкин, 2001:1]. იგი უძველესი დროიდან ასრ-

ულეზდა სახელმწიფო საბჭოს როლს [Моммзен, 1997:258]. ამიტომ რომის ადმინისტრაციამ წამყვან როლს ასრულებდა და საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობდა [Гвоздева, Кузищин, Маяк, 2002:25].

ციცერონისთვის (ძვ.წ. 106-43 წწ). რომის სენატი „სახელმწიფოს მმართველი გადაწყვეტილებების და დადგენილი წეს-ჩვეულებების ორგანო იყო“ (Cic., De re publica, II. 32). ითვლება, რომ სამეფო პერიოდის დასაწყისში სენატი რომის პირველმა მეფემ რომულუსმა (ძვ.წ. 771-717 წწ). შექმნა და თავდაპირველად, 100 კაცისგან შედგებოდა. ამ 100 ადამიანის შთამომავლები მოგვიანებით პატრიციები გახდნენ (Liv., Ab urbe condita, I. 8).

სენატის პირველი სხდომა წლის დასაწყისში იმართებოდა იუპიტერ კაპიტოლინის ტაძარში, ნებისმიერ სხვა დროს ფიდესის ან კონკორდის თანხმობის ტაძარში. თუ შეხვედრა იყო ქალაქის ოფიციალურ საზღვრებს გარეთ, მაშინ იგი იმართებოდა აპოლონის ტაძარში, ხოლო ომთან დაკავშირებით შეხვედრა ტარდებოდა ბელონას ტაძარში [Lintott, 1999:72-73].

ლივიუსის თანახმად: „რესპუბლიკის ეპოქაში ელჩების დანიშვნის უფლება ჰქონდა სენატს“ (Liv., Ab urbe condita, VIII. 25. 2. XXX. 25. 2).

რესპუბლიკის პერიოდში საელჩოები იგზავნებოდნენ რომის პროვინციების ზედამხედველობისთვის, ხოლო „საერთაშორისო დავების განსახილველად და რელიგიური საკითხების მოსაგვარებლად ელჩი ვალდებული იყო რომაელთა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ ემოქმედა“ (Liv., Ab urbe condita, XXXIV.57)[Cepreev, 1959:63],

საელჩოს ფუნქციები ძალიან მნიშვნელოვნად ითვლებოდა. რომში საელჩოს მისიის პერსონალის დანიშვნა იყო ძალიან რთული საქმე. ამიტომ საელჩოს მისიაში პერსონალის დანიშვნაზე გამოკითხვას [Cepreev, 1959:63], „სენატი, განიხილავდა და სურვილის შემთხვევაში, ამტკიცებდა რეზოლუციებს“ (Liv., Ab urbe condita, XXIV. 57). ზოგჯერ „ელჩებიც ესწრებოდნენ სენატის გადაწყვეტილებას“ (Liv., Ab urbe condita, VIII. 20.11-12.21.1-10). სენატის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ელჩებს რომის სახელმწიფოს საზღვრები დანიშნულ დროს უნდა დაეტოვებინათ. მაგალითად, მეფე პერსეუსის ელჩებს 11 დღეში უნდა დაეტოვებინათ იტალია (Liv., Ab urbe condita, XLII.36.7). ამიტომ „სენატი საელჩოს იმ ნორმებს ადგენდა, რომლითაც ელჩს, უნდა ემოქმედა“ [Cepreev, 1959:63], როგორც ამას მოითხოვდა „რომაელი ხალხის ღი-

რსების და სარგებლობი“-ს პირობა (Liv., Ab urbe condita, XXX. IV. 57). ელჩების არჩევანში სენატის თავმჯდომარე-კონსული ან პრეტორი მონაწილეობდა. ზოგჯერ ელჩებს წილისყრით ირჩევდნენ [Cepreev, 1959:63], (Liv., Ab urbe condita, XXXIV. 57).

საელჩოში მისიის მონაწილეობაში უარის თქმის უფლება არავის ჰქონდა [Шмелева, 2010:154]. ელჩებს ჩვეულებრივ სენატორის კლასიდან ირჩევდნენ [Cepreev, 1959:63], შესაბამისად, ელჩებიც ძირითადად სენატორები იყვნენ (Liv., Ab urbe condita, XL. III. 1. 10).

რომის საელჩოები ერთი ადამიანისგან არასოდეს შედგებოდა, რადგან ეს რომის რესპუბლიკის სამართლის სულს ეწინააღმდეგებოდა [Cepreev, 1959:63], (Liv., Ab urbe condita, XXXIV.57). საელჩო ორი, სამი, ოთხი, ხუთი და თუნდაც ათი ადამიანისგან შედგებოდა [Cepreev, 1959:63], (Liv., Ab urbe condita, XXXIV.57.58). საელჩოებს თავმჯდომარე, ან ხელმძღვანელი ჰყავდათ, რომელიც წოდებით იყო უმაღლესი სენატორი. ელჩის ვინაობა ჩვეულებებით და კანონით იყო დაცული [Cepreev, 1959: 63], ხოლო „ლათინი ელჩები რომის ხელისუფლებას ვოლსკებს და სხვა იტალიკებისგან საომარი მოქმედების შესახებ გამუდმებით აცნობებდნენ ინფორმაციას“ [Данилов, 2011:37].

რომზე დამოკიდებულ სახელმწიფოებში სენატს ყველაფერზე ჰქონდა ინფორმაცია, ცნობილია, რომ ისინი რომის სენატის „გავლენის აგენტები“ იყვნენ. ამის გარდა, არსებობდა რეალური აგენტებიც, რაც ნათლად ჩანს, შემდეგი მაგალითებიდან: პოლიტიკა ბალკანეთში (კალიკრატე - აქეიის კავშირში არის სენატის მორჩილი და მისი ნების გამტარებელი) და რომის სასარგებლოდ სამეფო ანდერძები. აქ მხედველობაში გვაქვს პერგამონის მეფის ატალუს III-ის (ძვ.წ. 170-133 წწ.) ანდერძი (რომლებიც იყო დახვეწილი რომაული დიპლომატიის ერთ-ერთი საშუალება) [Беликов, 2003:143]. მეფემ თავისი სამეფო პერგამონი, ე.ი. აზიის მომავალი პროვინცია [Беликов, 2008:16]. რომის რესპუბლიკას სამეფო ანდერძით უბოძა [Allen, 1983:84-85]. [Shipley, 2000:318-319]. ატალუსმა, ევმენესის ძემ, პერგამონის მეფემ, მომაკვდავმა, მემკვიდრეობა დაუტოვა რომაელ ხალხს (Liv., Ab urbe condita, Периохи. 58).

დიპლომატიური საქმეების მართვაში სენატი აქტიური იყო და იგი ზედამხედველობას უწევდა უცხო ელჩების მიღებას [Nicolet, 1991:375]. სენატს ჰქონდა ელჩის არა მარტო გაგზავნის, არამედ მიღების უფლება. რომში ჩასული უცხო ქვეყნის ელჩები ორ კატეგორიად იყოფოდნენ: 1) მტრული სახელმწიფოს ელჩები და 2) მეგობარი

სახელმწიფოს ელჩები. მტრის ელჩებს სახელმწიფოში არ უშვებდნენ, ან მათ ქალაქის საზღვარს იქით ხვდებოდნენ, სადაც სენატისგან მოწვევას ელოდებოდნენ. აუდიენცია ბელონას ტაძარში მიმდინარეობდა. იყო შემთხვევები, როცა მტრული ძალების ელჩებს უარს ეუბნებოდნენ მიღებაზე. სხვანაირი დამოკიდებულება იყო მეგობარი სახელმწიფოს მიმართ, პირველი რანგის სახელმწიფო დელეგაციებს იწვევდნენ დღე-სასწაულზე, საცირკო სპექტაკლებზე და საუკეთესო საპატიო ადგილებით უზრუნველყოფდნენ [Сергеев, 1959:64].

სენატმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მმართველობის სისტემაში არა თუ შეინარჩუნა არამედ იგი რომის რესპუბლიკის ისეთ ცენტრალურ ორგანოდ იქცა, რომელსაც უმაღლესი კონტროლი ეკუთვნოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში. ძვ.წ. 339 წლამდე სენატს ეკუთვნოდა აგრეთვე სახალხო კრების დადგენილებათა დამტკიცების უფლება. თავდაპირველად სენატორების დანიშვნის უფლება მეფეებს ეკუთვნოდა, რესპუბლიკის დროს კონსულებს. ძვ.წ. IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეს უფლება ცენზორებს გადაეცათ [წერეთელი, 1992:41].

რესპუბლიკის პერიოდში სენატმა განახორციელა 56 დიპლომატიური მოქმედება. გაგზავნა 222 და მიიღო 34 ელჩი. ამ დროისთვის სენატი ერთადერთი მომლაპარაკებელი ორგანოა, სადაც ფაქტობრივად, კონსულები დიპლომატიურ გაცვლებში ისე მონაწილეობენ როგორც გადაწყვეტილების მიმღებლები [Auliard, 2006:169-172].

ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ანტიკური რომის რესპუბლიკის სენატმა დიპლომატიურ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. კონფლიქტის მიუხედავად სენატორები ზოგ შემთხვევაში შუამავლის როლსაც ასრულებდნენ, ხოლო მედიატორულმა და დიპლომატიურმა როლმა დისკუსიის ხელოვნება განავითარა, რამაც დიპლომატიური პრაქტიკის განვითარება გამოიწვია. სენატი და სენატორები ყოველთვის თვლიდნენ „სამართლიანად“, ცხადია თავიანთი პოზიციიდან გადაეწყვიტათ ნებისმიერი ე.წ. დიპლომატიური საკითხი, ამიტომ ისინი მკაცრად ეწინააღმდეგებოდნენ ოპონენტებთან თანასწორობას.

მაგისტრატები: რესპუბლიკის დროს მაგისტრატებს რომაელი ხალხი ირჩევდა, რიგითი მაგისტრატი ის ადამიანი იყო, რომელიც კონსულის ან ცენზორის მსგავსად განსაზღვრული ინტერვალებით ირჩეოდა. მათ, ვინც განსაკუთრებული მიზნით ირ-

ჩევდენ, „Magistratus Extraordinarius“ ეწოდებოდა [Abbott, 1901:154-160], როგორც სახელმწიფოს უფლებამოსილი წარმომადგენელი ომის დროს მაგისტრატს სახალხო კრების დამტკიცების პირობით, მტერთან ზავი გამოცხადება და მტრულ სახელმწიფოსთან მშვიდობის დამყარება შეეძლო (Liv., Ab urbe condita, IX. 4).

მაგისტრატს უფლებამოსილება უწყდებოდა, როდესაც მოქმედების დრო გაუვიდოდა, დაკისრებულ დავალებას შეასრულებდა და ძალით ან ნებაყოფლობით იტყოდა უფლებამოსილებაზე უარს [Bauman, 1968:49-50], „იმპერიის პერიოდში მაგისტრატის უფლებამოსილების დასრულება არ მომხდარა იმის მიუხედავად, რომ მაგისტრატის ძალაუფლება წყდებოდა იმპერიისგან დაშორების მიზნით, მაგისტრატს უნდა გადაეცელო პომერეუმის საზღვარი და ისე შესულიყო რომში [Hodgson, 2014: 255].

ადრეული რესპუბლიკის დიპლომატიის ისტორიაში მაგისტრატების როლი რაოდენობრივად უმნიშვნელოა: უცხოური ელჩების და საელჩოების გადაწყვეტილების მიმღებად 31 დიპლომატიური მოქმედებიდან 10 მისია განახორციელეს. ძვ.წ. 465 წლიდან მაგისტრატები თითქმის არასოდეს ყოფილან რომაული დიპლომატიის ოფიციალური აგენტები [Auliard, 2006:172].

ძვ.წ. IV საუკუნის დიპლომატიაში მაგისტრატების მიერ დაკავებული ადგილი სენატის ეკვივალენტურია [Auliard, 2006:259], თუმცა ეს ასევე არის ცალკეული ქმედება, რომელიც მოწმობს ცალკეული პიროვნების ძვ.წ. IV საუკუნის დიპლომატიურ პრაქტიკაზე [აბუსელიძე, 2022:11]. ძვ.წ. V საუკუნესთან შედარებით მათი როლი განსაკუთრებულია. უფროსმა მაგისტრატებმა 47 დელეგაცია მიიღეს. მისიების გამგზავნი იტალიის ქალაქები ნეაპოლი (ძვ.წ. 326 წ.) და ტარანტო (ძვ.წ. 320 წ) იყვნენ [Auliard, 2006:259].

სახალხო კრება: რომის სახელმწიფო სისტემის მესამე ელემენტი იყო სახალხო კრება, ანუ ყველა მოზარდის ან სრული მოქალაქეების შეკრება. სახალხო შეკრების ორგანიზება ემყარებოდა კურიად დაყოფას, რის გამოც თავად შეკრებასაც „კომიცია კურიატა“, (comitia curiata), ხოლო მისი მაცნეების საშუალებით ან მოწვევის მეთოდის მიხედვით „კატალური კომიცია“ (comitia calata) ეწოდებოდა [Покровский, 1999:40]. სახალხო კრების სუვერენიტეტს ან მის წარმომადგენლობით და მმართველი ორგანოების ფუნქციონირებას ამომრჩევლების ხმები წყვეტდა. რომაელებში თავიდანვე არსებობდა სუვერენიტეტის პრინციპი, ხოლო „ამომრჩეველთა საერთო თანასწორობა“

ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებში დამყარდა“ [Маяк, 1983:233-234].

ომისა და მშვიდობის საკითხებთან დაკავშირებით სახალხო კრების როლის შესახებ ბევრი ინფორმაცია გვაქვს. თუმცა საინტერესოა, რომ ლივიუსი ადრეული რესპუბლიკის მოვლენების სიუჟეტში ხშირად არ აკონკრეტებს ომის (სენატმა, მაგისტრატმა თუ კომიციამ) დაწყების შესახებ თუ ვინ მიიღო გადაწყვეტილება [Еропов, 2010:66]. ლივიუსის თანახმად: „ომი გამოვაცხადოთ ხალხის სახელით, თუ სენატის რეზოლუცია საკმარისი იქნება“ (Liv., Ab urbe condita, IV. 30. 15).

პროკონსული: ძვ.წ. 464 წელს სიტყვა პროკონსული პირველად მოიხსენიება დიონისე ჰალიკარნასელმა (Halicarn., Antiquitatum romanarum, IX. 62. 63). ციცერონი აღნიშნავს, რომ „ეს არ მოიცავდა კონსულტაციის გამართვაზე უფლებას“ იგი წერდა: „ჩვენი წინაპრები რაიმე სამხედრო საქმიანობას არ წამოიწყებდნენ კონსულტაციის გარეშე, მაგრამ ახლა, მრავალი წლის განმავლობაში, ჩვენს ომებს აწარმოებენ პროკონსულები“ (Cic., Div., II. 76).

რ. საიმი აღნიშნავდა, რომ „კეისარი პროკონსულის საქმის ერთგული იყო“ [Syme, 1939:65], ხოლო „კეისარის დიქტატორობის დროს განვითარდა პროკონსულის სამდივნო“ [Syme, 1939:71]. რომელი იურისტის ულპიანეს თანახმად: „პროკონსული პროვინციაში შესვლის შემდეგ ლეგატს ანიჭებდა იურისდიქციას და არ მოქმედებდა სანამ პროვინციაში იქნებოდა, რადგან სრულიად აბსურდი იყო, რომ თავად პროკონსულმა, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა იურისდიქცია მიღებული, ლეგატი დაეჯილდოებინა“ (Ulp., De officiis proconsulis, I. 2143).

რესპუბლიკის პერიოდში პროკონსულობა ხშირად განიხილებოდა, როგორც კონსულის ვადის გაგრძელება. ამ დროის გაგრძელება შეიძლებოდა მხოლოდ რომის გარეთ საბრძოლო კამპანიის დროს. ეს იყო „კონსულის სამხედრო სარდლობის გაგრძელება, მაგრამ არა მისი თანამდებობის გაგრძელებისა“ (Liv., Ab urbe condita, VIII. 22, 23; IX. 42. XVI. 1.2).

იმპერიის პერიოდში რომის პირველმა იმპერატორმა (ძვ.წ. 63 - ახ.წ.14 წ.) ავგუსტუსმა მუდმივი ჯარი იმპერიული არმიით შეცვალა, რითაც კონსულებმა და პროკონსულებმა დაკარგეს სამხედრო ავტორიტეტი, თუმცა ტიტულებმა მნიშვნელობა შეინარჩუნა [Lord, 2012:24].

ავგუსტუსის გადაწყვეტილებით პროვინციების მმართველები პროკონსულის

ტიტულს მიიღებდნენ, იმის მიუხედავად, ისინი პრეტორად თუ კონსულად მსახურობდნენ (Cass., *Historia romana*, LIII. 13).

რომაელებს ძვ.წ. II საუკუნის ბოლოს, ხმელთაშუა ზღვის დაუფლების შედეგად შეექმნათ კრიზისი, რომელიც ფართო გამოცდილების და ინტელექტუალური ურთიერთობის შედეგად, მიღებული პოლიტიკური ცნობიერებით იყო გამოწვეული [Lintot, 2008:1].

ტრადიციულად, რესპუბლიკის პერიოდის ისტორიაში საშინაო და საგარეო საქმეები წინა პლანზე იყო. თუმცა, რომში და აპენინის ნახევარკუნძულზე განვითარებულმა მოვლენებმა ყველაფერი დაჩრდილა. რომაელები იმ სამყაროს ბატონ-პატრონები გახდნენ, რომლებთანაც ისტორია შექმნეს. თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ ისინი მართავდნენ მთელ ტერიტორიას, რადგან მათ არ აინტერესებდათ რა ხდებოდა ყველა ნაწილში [Derow, 1979:15].

ძვ.წ. 148 წლამდე აღმოსავლეთში ფორმალურად არც ერთი რომაელი მაგისტრატის არ იყო ამიტომ იქ კონტროლის მთავარი არხი იყო საელჩოები. ზამთარში უცხოელი ელჩები რომში ჩადიოდნენ და დაზარალებულებისგან საჩივრები ჩაჰქონდათ. გაზაფხულზე რომაელი ელჩები უცხო ტერიტორიებზე პრობლემების გამოსაძიებლად, საჭიროების შემთხვევაში, იძულების მიზნით მოკავშირეების შესარიგებლად მიემგზავრებოდნენ [Sherwin-White, 1984:291].

ძვ.წ. 116 წლიდან რომაელების მიერ დავის მოსაგვარებლად გაგზავნილი ელჩები ნუმიდიაში იუგურტასა და მის ძმებს შორის ჰგავს იმ ელჩობას, რომლებიც მათ პერგამონსა და ბითვინიას შორის ომის შესაჩერებლად გაგზავნეს [Crawford, Hassall, Reynolds, 1974:202].

ანტიკური რომის კავშირები, რესპუბლიკის პერიოდშიც სხვადასხვა ფორმით აგრძელებდა განვითარებას. მათგან აღსანიშნავია ეტრუსკებთან კავშირი; ლათინური კავშირი; იტალიაში და სამნიტურ ომებში რომაული კავშირები; აგრეთვე, რომისა და კართაგენის კავშირი ძვ.წ. III ს-ის და ძვ.წ. IV-I ნახევარში და კავშირის მიზეზები. განსაკუთრებულია ისიც, რომ ანტიკური რომი არცერთ ხალხთან და სახელმწიფოსთან ერთი და იგივე პრინციპით არ ხელმძღვანელობდა [აბუსელიძე, 2022:15]. [Tremblay, 2004:1]. [Dridi, 2006:33]. სწორედ, ამ კავშირების განვითარების პერიოდში ჩაისახა რომაული პოლიტიკის ცნობილი პრინციპი: „Divide et Impera“. ეს პოლიტიკა, პირველ

რიგში დამორჩილებული ქალაქების ტერიტორიაზე რომელი კოლონისტების დასახლებებში გამოიხატებოდა. ძვ.წ. 390 წელს გალიიდან კელტური ტომების შემოჭრამ რომს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ამის მიუხედავად, მან ისინი დაამარცხა და აიღო მათი ქალაქი. ძვ.წ. 338 წელს რომაელებმა დაამარცხეს ლათინები [Mousouraki, 2007:9], ხოლო „ძვ.წ. 326 ნეაპოლი, ძვ.წ. 310 წელს კამერინი, კორტონი, პერუსია, არეცო. ძვ.წ. 305 წელს მარუცინსი, მარსი, პელინი, ფრენტანი. ძვ.წ. 302 წელს ვესტინები და ცოტა მოგვიანებით, ანკონასა და ტარენტუმი საკუთარი ძალით ან ნებით შეიერთა. ამ ქალაქების გაერთიანებაში მყოფმა ერებმა საკუთარი კანონები შეინარჩუნეს“ [Dionysius, 1925:9].

ძვ.წ. 299 წ. გალებმა შეკრეს კავშირი ეტრუსკებთან და რომს შემოუტოეს. ამით ისარგებლეს სამნიტებმა და კვლავ დამკვიდრდნენ ლუკანიაში, რომელიც ამ დროისათვის რომის მოკავშირედ... ითვლებოდა. ეს გახდა საბაზი მესამე სამნიტური ომისა (ძვ.წ. 298-290 წწ). შეიქმნა საშიშროება რომის წინააღმდეგ, სამნიტების გალებისა და ეტრუსკების გაერთიანებისა, მაგრამ რომმა დაასწრო და ეტრუსკიაში შეიჭრა, აიძულა ეტრუსკული ქალაქები გალებთან კავშირს ჩამოსცილებოდნენ [წერეთელი, 1992:54-55].

ძვ.წ. 280 წ. ტარენტინებმა და მისმა მოკავშირეებმა მეფის დახმარებით პიროსი ეპიროსელი (ძვ.წ. 319-273) მოიწვიეს. პიროსს რამდენჯერმე ჰქონდა რომაელებზე გამარჯვება მოპოვებული. თუმცა, იგი საბოლოოდ ძვ.წ. 275 წელს იტალიიდან გააძევეს და ტარენტუმი იძულებული გახდა დანებებულიყო, ძვ.წ. 272 წელს ტარენტუმიც რომის მოკავშირე გახდა [Mousouraki, 2007:9].

ძვ.წ. 270 წელს რომაელებმა რეგიუმი აიღეს. ძვ.წ. 265 წელს რომაელებს დანებდა ეტრუსკული ქალაქი ვოლსინი და ამით დამთავრდა იტალიის დაპყრობა [წერეთელი, 1992:60]. ამის მიუხედავად, „განსაკუთრებული იყო რომის მეზობელ ხალხს შორის ურთიერთობები, რადგან ზოგჯერ მისიის გარეშე აგზავნიდნენ დროებით ელჩებს“ [Millar, 1977:363-364].

რომი პირველი პუნიკური ომიდან (ძვ.წ. 264-241 წწ). ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე ახლა შემოდიოდა [Еропов, 1985:25], თუმცა სენატს ჰქონდა შეზღუდული მიზნები, რაც განპირობებული იყო სამხრეთ იტალიის აგრესიის პირდაპირი გაგრძელებით. ამ დროს რომაელების უძლეველობის და რჩეულობის შესახებ დაიბადა

იდეა [Беликов, 2003:45].

ესპანეთი იყო მეორე პუნიკური ომის (ძვ.წ. 218-201 წწ). ერთ-ერთი ნადავლი.

ძვ.წ. 155 წელს ომი დაიწყო ნახევარკუნძულის დასავლეთით „ავტონომიურ ლუზიტანელთა“ წინააღმდეგ. ვირიატუსის (ძვ.წ. II ს). ხელმძღვანელობით ვაკაების და საბოლოოდ ნუმანტინების ჩრდილოეთით. საბოლოოდ, ძვ.წ 134 წელს ჰოსტილუს მანცინიუსმა (ძვ.წ. II ს). სციპიონ ემილიანუსის (ძვ.წ. 185-129 წწ). კონსულობის დროს ნუმანტიის ალყით და განადგურებით დაასრულეს. ახლა რომაელებს ექვემდებარებოდა მთელი იბერიის ნახევარკუნძული [Melero, 1984:193], სადაც გაბატონდა რომაული იდეები და მეთოდები [Richardson, 1983:227].

სიცილიაში II პუნიკური ომის (ძვ.წ. 218-201 წწ). დროს სირაკუზის განდევნის შემდეგ რომაულ დაპყრობით პოლიტიკაში ერთგვარი შინაგანი სტაბილიზაცია. რომს უკვე აღარ ჰყავდა ხმელთაშუაზღვისპირეთში რეალური კონკურენტი. რომი მსოფლიო სახელმწიფოდ იქცა, მაგრამ ამის მიუხედავად, რომის საზოგადოებაში დაგროვილმა გადაუჭრელმა პრობლემებმა მძლავრი ბიძგი მისცა მონათა აჯანყებებს [სურგულაძე, 2013:65].

ჩვენ ვიცით, სიცილიაში მეორე პუნიკური ომის დროს (ძვ.წ. 218-201 წწ). რომაული ადმინისტრაციის კონკურენტი არ არსებობდა. საბოლოოდ, სიცილიის პროვინციაში რომაელები გაბატონდნენ [Verbrugghe, 1972:30].

აფრიკაში, სციპიონ ემილიანუსმა (ძვ.წ. 185-129 წწ). კართაგენის საბოლოო დამარცხების (ძვ.წ. 146 წ). შემდეგ, რომს შეუერთა ის, რაც გადარჩა პუნიკური ტერიტორიიდან. ქალაქები, რომლებიც რომის დაქვემდებარებაში გადავიდნენ თავისუფლება მიეცათ. ძვ.წ. 148-145 წწ-ში. მას საბერძნეთის მნიშვნელოვანი ნაწილიც დაემატა. ძვ.წ. 167 წელს, რომაელებმა მაკედონია ოთხ ნაწილად დაყვეს და რომაული ადმინისტრაციის ქვეშ მოაქციეს [Lintot, 2008:28].

საბერძნეთში, აქეიის ქალაქის გაერთიანება 128 ბერძნულ კოლონიებს შორის ყველაზე კონცენტრირებული და დახურული იყო, აქედან წარმოიშვა აქეიის ქალაქების გაერთიანება [Моммзен, 1997:143]. რომლებიც ძვ.წ. 147 წელს აჯანყდნენ. საბოლოოდ, მუმიუსმა ჩაახშო აჯანყება და რომაელებს დარჩათ გამარჯვება. აქელების, ბეოტიელებისა და ფოკიელების ლიგის საბჭოები დაიშალა და რომაული მმართველობის ქვეშ მოექცია [Robinson, 1954:8], ხოლო „საბერძნეთის იმ მხარეებმა რომლებიც

აჯანყებაში არ ჩართულან შეინარჩუნეს ადრინდელი მდგომარეობა“ [ქავთარია, 2016:286]. ძვ.წ. 146 წელს აზიაში საბერძნეთსა და პართიის იმპერიას შორის, რომელიც კონცენტრირებული იყო მეფეებზე და ხალხზე, ნომინალურად რომელი ხალხის მეგობრები და მოკავშირეები იყვნენ, თუმცა ერთმანეთის მეგობრები არ იყვნენ. ძვ.წ. 133წ. სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, როდესაც პერგამონელი ატალუს III(ძვ.წ.170-133 წწ).გარდაიცვალა[Robinson,1954:8].ატალუსის გარდაცვალებისთანავე პერგამონში გავრცელდა ანდერძი [ქავთარია, 2016:289].

კოლოზოვის თანახმად: „ანდერძი ნებაყოფლობით არ შექმნილა, იგი რომაული „მშვიდობიანი“ ექსპანსიის განსაკუთრებული ფორმა იყო“[Колобова, 1962:545], ხოლო „ანდერძის აღსრულება სენატის ნებაზე იყო დამოკიდებული“ [Беликов, 2008:18].სენატმა ბრძანა ანდერძის შესრულება (Liv., Ab urbe condita, Периохи. 58). თუმცა რთული კითხვაა, ატალუსმა კონკრეტულად რა უანდერძა რომს მხოლოდ სამეფო ხაზინა, სამეფოს მიწებთან ერთად, თუ ბოლოს და ბოლოს, მთელი სამეფო? [Беликов, 2008:18]. დ. მაგის თანახმად: „სამკვიდრო მოიცავდა მეფის სამფლობელოს“ [Magie, 1950:32].

თუ გავითვალისწინებთ ატალუსის გამოკვეთილ პროპერგამონულ პოლიტიკას წარმოდგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ქვეყანა ნებაყოფლობით იმას დაუტოვო, ვისაც ებრძოდა. რომს გამოკვეთილი ჰქონდა აზიის დაპყრობის გეგმა. პერგამონი უკვე ხელისშემშლელი იყო. ასეთ სიტუაციაში ასპარეზზე გამოვიდა [ქავთარია, 2016: 289] რომაული დიპლომატიის ენერგიული ძალისხმევა [Манандян, 1943:13], რომლითაც პერგამონის დიდებულებთან შეთანხმებით, შესანიშნავად გაითამაშა ატალუსის ტახტიდან ჩამოგდების სცენა [ქავთარია, 2016:289]. მემკვიდრის გარეშე დარჩენილი სამეფო რომელი ხალხის სასარგებლოდ რომთან გაერთიანდა. ამიერიდან პერგამონის სამეფოს პოლიტიკა განიხილებოდა რომის საშინაო პოლიტიკაზე გავლენად [Robinson, 1954:8].

რომმა საბოლოოდ გაიმარჯვა პერგამონში, რომელიც რელიგიური კულტის მიმღები გახდა [Robert, 1989:172]. რომის მმართველობის კონსოლიდაცია აზიაში გაფართოვდა ლიკონიის და პამფილიის ჩათვლით. რომაულმა ძალამ მცირე აზიაში სელევკიდების გარდა, ეგვიპტის სამეფო მოიცვა[Lintot, 2008: 36].

ძვ.წ. II საუკუნეში უზარმაზარი ფართობის უმეტესი ნაწილი, რომელიც რომის ძალას გრძნობდა პროტექტორატებისგან ან გავლენის სფეროებისგან შედგებოდა, ხო-

ლო ვასალები დე იურე თუ დე ფაქტო მას ჯერჯერობით სერიოზულ საფრთხეს არ უქმნიდნენ [Homo, 1968:345; Chapot, 1997:4]. მაგრამ უპრეცედენტო გამართლებამ რომს ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე მისცა იტალიკური ფედერაციის ფართობის დიდი ნაწილი [Foucart, 1904:297].

გვიანი რესპუბლიკის პერიოდი II-I სს. მრავალფეროვანი ფაქტებით გამოირჩეოდა. რომი ჰეგემონობისთვის იბრძოდა. პოლიტიკური ლანდშაფტი დიპლომატიაზე იყო დაფუძნებული და საგარეო პოლიტიკაზე მიუთითებდა [Rodgers, 2006:92]. ამ დროიდან რომის დიპლომატია ელჩის მიერ ხორციელდებოდა, რომელიც სენატის მიერ კონტროლდებოდა [frey, frey, 2018:39].

ძვ.წ. III-II სს-ში რომის დიპლომატიამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეს დაემთხვა ბრძოლის ყველაზე ინტენსიურ პერიოდს, მეორე და მესამე პუნიკურ და ელინისტურ სამეფოებთან რომის ომებს [Сергеев, 1959:66],

ელინური სახელმწიფოებიდან იტალიასთან ახლოს მდებარეობდა მაკედონია. [Сергеев, 1959:66], თავისთავად „მაკედონია არ იყო რომისთვის საშიში. თუმცა იმ დროს მაკედონიასთან ომი იქნებოდა სახელმწიფოების უმეტესობასთან ომი“ [Моммзен, 1997:546]. დაბოლოს, რომის პრეტენზია, იყო გამხდარიყო ყველა ელინის მფარველი. ამიტომ ეს არ იყო ცარიელი ფრაზა, რადგან უდავოა, იმ დროს რომაელები მჭიდრო ურთიერთობებში იმყოფებოდნენ ბერძნებთან, ვიდრე სხვებთან [Моммзен, 1997:547].

რომაული თემი ნომინალურ მეგობრობაში იყო ყველა იმ სახელმწიფოსთან, რომლებიც მონაწილეობდნენ აღმოსავლეთის ომში. რა თქმა უნდა, როდოსი და პერგამონი, რომლებიც არ აყოვნებდნენ თავდასხმას, რომაელებს დახმარებისთვის მიმართეს, არადა ფორმალურად ისინი იყვნენ თავდამსხმელი მხარე [Моммзен, 1997:548].

ესპანეთის, სიცილიის, საბერძნეთის და ელინისტური სახელმწიფოების შემდეგ რომი კავშირებს აფართოებდა აფრიკაში, სადაც არაერთ ტომთან დადო ხელშეკრულება. რომის ურთიერთობა მავრიტანულ ტომებთან პოლიტიკურ და დიპლომატიურ სისტემებს მოიცავდა. ისინი იყენებდნენ ინტეგრაციის პოლიტიკას [Bensoussan, 2012:75].

რომაელები დაინტერესებულნი იყვნენ სასაზღვრო ტომებით: პოკატიელებით [Cascou, Christol, 1972:185-186], კეცალებით, ზაგრებიანებით და სილეზიელებით. რომს

არ სურდა უშუალოდ შებრძოდა სხვადასხვა ტომებს, ამიტომ ისინი მათთან დიპლომატიური ქმედებებს ამჯობინებდნენ, რომელიც რომაულ ინტერესებს ემსახურებოდა [Mansour, 2016:60], ხოლო „მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რეუსის სამეფოსა და გარამანტელებთან. რომაელთა ბატონობამ ლიბიაში საზღვაო ქალაქებთან საბრატასთან, და“ [Brogan, 2012: 821] ოეასთან [Hosawi, Hosawi, 2018:334] კავშირი გამოიწვია. შესაბამისად, რომს ლიბიის სამხრეთით მდებარე სამეფოებთანაც მოუწია ურთიერთობები [Bartoccini, 1924:59-61].

რომაული პოლიტიკა ჩრდილოეთ აფრიკაში ემყარებოდა იმ აზრს, რომ რომაელები ერთადერთი ძალა იყვნენ რეგიონში [Bovill, 1968:35-36].

გარამანტელებმა რომში საელჩო გაგზავნეს. ელჩებმა მოახერხეს სენატის დარწმუნება რადგან კარგი ურთიერთობები დაეწყოთ. გარამანტელები ეხმარებოდნენ ოიას ლემბდას ალყის წინააღმდეგ, რაც ნიშნავდა გარამანტელების ჩარევას რომაულ საქმეებში. ამიტომ გადაწყვიტეს ახ.წ. 70 წელს გაეგზავნათ კამპანია (Tac., Annalium, IV. 26). რომმა მიიღო გარამანტეს ელჩი, მათ შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. გარამანტელების დახმარებით პირველად რომაელები შევიდნენ საჰარაში [Bovill, 1968:39].

რომსა და კეცალიებს შორის ურთიერთობა ჩამოყალიბდა ედემონის რევოლუციის დროს, (ახ.წ. 40-44 წწ). რომი ცდილობდა გაემარჯვა და კეცალიის ტომთან რომანიზაციის პოლიტიკის დანერგვით მეგობრობა გადაწყვიტა [Casco, Christol, 1972: 191]. საბოლოოდ კი კეცალიებს რომის მოქალაქეობა მიენიჭათ [Lemousse, 1967:125].

ზაგრენებთან ურთიერთობები მსგავსი იყო რომაელებსა და კეცალიებს შორის ურთიერთობისა, რომელიც დაფუძნებული იყო დიპლომატიური ინსტრუმენტებზე, ხოლო ზაგარნების ტომებში რომანიზაციის პოლიტიკის გავრცელება ხდებოდა პიროვნებიდან ოჯახზე [Euzennat, Seston, 1980:83-85; Frezouls, 1980:83].

რომაელებმა პოკატიელების გასაკონტროლებლად და რეგიონში ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამოიყენეს ტომობრივი სტრუქტურების დესტაბილიზაცია. დიპლომატიური ურთიერთობის გათვალისწინებით, პოკატიელები მონაწილეობდნენ რომის ხელისუფლებასა და სასაზღვრო ტომებთან შუამავლობით [Rebuffat, 1975:285]. მათ შორის დიპლომატიურმა ურთიერთობებმა სავაჭრო წყაროების და სამხედრო ძალების გამოყენება გამოიწვია [Bouaghaz, 1984:105].

სილეზიის ტომები რომაულ ქ. სალესთან იყვნენ დაკავშირებული [Gzell, 1971: 135]. რომმა გაამართლა თავისი სამხედრო კამპანიების ლეგიტიმურობა, რადგან სილეზიის თხოვნით განახორციელეს რომლებიც რეგიონში სტაბილურობისთვის იბრძოდნენ [Hosawi, Hosawi, 2018:342].

რესპუბლიკის პირველი წლების დიპლომატიაში ძვ.წ. V საუკუნე შეიძლება განისაზღვროს არათანაბარი ხანგრძლივობის ორი თვალსაჩინო დიპლომატიური მოვლენით: 1) ძვ.წ. 486 წელს ჰერნიკებთან დადებული ხელშეკრულებით, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ იშვიათ ხელშეკრულებას, რომელსაც მომდევნო ათწლეულებში იცავდნენ და 2) ძვ.წ. 454 წ. დეცემვირატის დროს. ამავე პერიოდის პირველი 25 წლის მანძილზე 59 დიპლომატიური გაცვლა განხორციელდა, ხოლო „ბოლო ტარკვინიუსის მმართველობის დროს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება აძლიერებდა იმ აზრს, რომ ქალაქის მმართველობაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებამ გადაწყვიტა არ დაერღვევინებინა დიპლომატიური პრაქტიკა, თუმცა იტალიის გარეთ 5 გაცვლის დროს, 3 გეოპოლიტიკური ჯგუფი დაუკავშირდა კართაგენს დასავლეთ ბერძნებს და დელფოს“ [Auliard, 2006:113].

ომსა და მოლაპარაკებაში ჩართულმა დიპლომატიურმა მისიებმა თანასწორობა გამოავლინეს, ხოლო დახმარების მოთხოვნა და სამშვიდობო მისია იყო არათანაბარი. ამრიგად, 16 ურთიერთობა 7 სხვადასხვა მისიას შეესაბამებოდა. ძვ.წ. 486 წ. შემდეგ ლათინებმა და ჰერნიკებმა ერთად გაგზავნეს საელჩოს დელეგაციები, რომლებიც საფრთხეებზე იყვნენ პასუხისმგებელნი. ამიტომ დუბლიკატი გახდა ყველა ეს მისია [Auliard, 2006:139].

ამრიგად, რომაულმა დიპლომატიურმა მისიებმა, რომლებიც ჰერნიკებმა ჯერ კიდევ ძვ.წ. 480 წ. მიიღეს, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინეს დიპლომატიაზე და მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი. როგორც არ უნდა ყოფილიყო ფაქტობრივ გარემოებებიდან გამომდინარე, სენატს შეეძლო პასუხი გაეცა ან დაუყოვნებლივ ჩარევის გადაწყვეტილება მიეღო [Auliard, 2006:140].

4.2 აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობა და რომის დიპლომატია

აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობის საქმეში მთავარი ლაიტმოტივი იყო რომი - ეტრუსკების დაპირისპირება. დიპლომატიის ერთ-ერთი მიღწევა კი ქალაქებისთვის რომის მოქალაქეობის მინიჭება იყო. მაგალითად: ნეაპოლს მიანიჭეს რომის მოქალაქეობა და ამით თავი გაიმართლეს.

დაახლოებით იმ დროს, როდესაც ტარკვინიუსები რომიდან განდევნეს, ეტრუსკების ძალაუფლებამ ზენიტს მიაღწია. ამ დროს, შიდა არეულობის გამო რომის სახელმწიფო იყო დასუსტებული. ამიტომ ეტრუსკების ალიანსმა ისარგებლა და მეფე ლარს პორსენას ხელმძღვანელობით, განაახლეს შეტევა [Моммзен, 1997:316-317]. შედეგად, ეტრუსკებმა აპენინის ნახევარკუნძულის დიდ ნაწილზე გააფართოვეს გავლენა და იტალიაში დომინანტური ძალა გახდა [Irollo, 2010:160-161].

დამაბული ურთიერთობა ეტრუსკებთან მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა გარდამავალი უპირატესობით. უნდა აღინიშნოს, რომ ძვ.წ. IV საუკუნე რომისა და ეტრუსკების ურთიერთობაში გადამწყვეტი იყო, რაც „მარადიული ქალაქის“ სრული უპირატესობით დამთავრდა. ომები ეტრუსკებთან საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა [ქავთარია, 2016: 123-124].

ნიშანდობლივია, რომ „ძვ.წ. IV საუკუნეში რომის მოწინააღმდეგეები იყვნენ ეტრუსკები. მათთან დაპირისპირებაში რომი იყენებდა დიპლომატიას. ჩვენი აზრით, კაპუას ხელში ჩაგდება რომაული დიპლომატიის გამარჯვება იყო, რომელიც კაპუელებისთვის მოქალაქეობის მინიჭებაში გამოიხატა. ამის შემდეგ რომს ჰქონდა სამართლიანი მიზეზი მის დაცვაზე. რომის ექსპანსიის დროს, აპენინის ნახევარკუნძულზე იტალიის გაერთიანება ერთ ერთეულში მოხდა, როდესაც რომმა ადგილობრივ ტომებთან და ქალაქებთან მუდმივი ფედერაციები შექმნა“ [Моммзен, 1997:520]. შესაბამისად, იტალიის კონფედერაციის სიძლიერე იყო გადამწყვეტი ფაქტორი. ხმელთაშუა ზღვის პროვინციების დაარსების შემდეგ, იტალიამ შეინარჩუნა სპეციალური სტატუსი, რამაც „პროვინციების მმართველი“ (Domina Provinciarum) გახადა [Keaveney, 1987:154]. როგორც ჩანს, შორს არ იყო ის დრო, როდესაც ეტრუსკების მმართველობის ქვეშ იტალია გაერთიანდებოდა. ამის მიუხედავად, ეტრუსკულმა არმიამ რომელმაც რომის დაცემის შემდეგ შეაღწია ლაციუმში, გამარჯვების გზაზე პირველ

დაბრკოლებას არიციის კედლებთან შეხვდა [Моммзен, 1997:317].

რომაული დაპყრობების ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო კამპანიის საკითხებში აქტიური ჩარევით. კამპანიის დიდი ნაწილი დაკავებული ჰქონდათ მთებიდან ტირენის ზღვის სანაპიროზე ჩამოსახლებულ სამნიტებს [ქავთარია, 2016:129].

სამნიტები სამხედრო წამოწყებებში ცდილობდნენ ნეიტრალიტეტის დაცვას კამპანიელების წინააღმდეგ [Ковалев, 2002:164]. ამის მიუხედავად, ხელშეკრულების დადების მთავარი მიზეზი ორივე მხარის ინტერესთა კონფლიქტი იყო ვოლსკის ტერიტორიებთან მიმართებაში [Salmon, 1967:191]. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო ურთიერთობა მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ინტერესთა დაპირისპირება, რის შედეგადაც რომი მზად იყო კომპრომისზე წასულიყო [Forsythe, 2005:284-285].

ტრადიციის მიხედვით რეგილიუსის ტბასთან ძვ.წ. 496 წელს რომაელებმა ლათინები დაამარცხეს. მაგრამ ორივე მხარე იძულებული იყო ძვ.წ. 493 წელს ურთიერთშორის სამოკავშირეო ხელშეკრულება დაედო. ძვ.წ. 486 წელს კავშირს შეუერთდნენ ჰერნიკები. მაგრამ საქმეს ართულებდნენ რომაელების და ლათინების საერთო მტრები ეკვები და ვოლსკები. ლათინებს და რომაელებს შორის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, ვოლსკებმა დაიკავეს უკვე ლათინთა ფედერაციაში შემავალი კორა და პომეციუმი [წერეთელი, 1992:41].

ტრადიციის თანახმად, რომმა გაიმარჯვა ლათინებზე რასაც მოჰყვა მოკავშირის ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც სპურიუს ვეცელინის სახელით არის ცნობილი. ხელშეკრულება კონფედერაციებს შორის ადგენდა მუდმივ მშვიდობას და ომში დახმარებას [Heurgon, 1993:291]

ვოლსკებისა და ეკვების წინააღმდეგ ბრძოლების პარალელურად მიმდინარეობდა პერიოდული ხანგრძლივი ომი რომის მთავარ მოწინააღმდეგე ეტრუსკულ ქალაქ ვეისთან, რომელიც კონსულ მარკო კამილუსის (ძვ.წ. 446-ძვ.წ. 365 წწ). მეთაურობით რომაელებმა მოახერხეს ვეის აღება [წერეთელი, 1992:41-42].

დაახლოებით ძვ.წ. IV საუკუნეში ეტრუსკები იძულებულნი გახდნენ იმ ტერიტორიით დაკმაყოფილებულიყო, რომელიც მის სახელს ატარებს დღემდე [Моммзен, 1997:321-324].

აღმოსავლურ იტალიკური ტომების პოლიტიკურ განვითარებაში, სამნიტებმა იგივე როლი შეასრულეს, რაც ლათინებმა დასავლურ ტომებში. ადრეული დროიდან,

შესაძლოა პირველი მიგრაციის დროიდანაც კი სამნიტები შედარებით ძლიერი პოლიტიკური კავშირებით იყო შეკრული, რამაც საშუალება მისცა იტალიაში პირველი ადგილისთვის რომის წინააღმდეგ ებრძოლა. რომაელებისგან განსხვავებით სამნიტების ალიანსი აგრესიულ პოლიტიკას არ ატარებდა [Моммзен, 1997:126]. ამიტომ „რომაული დაპყრობების მთავარი მოწინააღმდეგე სამნიტური კონფედერაცია იყო“ [Forsythe, 2005:281].

ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებში რომის რესპუბლიკა გაფართოების შედეგად სამნიტების მეზობელი გახდა. ძვ.წ. 354 წ. რომსა და სამნიტურ ფედერაციას შორის დაიდო პირველი ოფიციალური ხელშეკრულება (Liv., Ab urbe condita, VII. 2). ჩვენი აზრით, ეს იყო დიპლომატიური ურთიერთობების დასაწყისიც, რადგან „ორივე მხარეს ბევრი მიზეზი ჰქონდა დიპლომატიური კავშირების დასამყარებლად. რომაელები დაინტერესებულნი იყვნენ საპირწონე ჰქონოდათ არა ლათინების მიმართ“ [Нетушил, 1912:71-72], ხოლო პირდაპირი ჩარევა დაარღვევდა მათ შორის დადებულ ხელშეკრულებას (Flor., Epitomae, Bellum samniticum, I.11), რომლის არსი იყო მდინარე ლირისის გასწვრივ გავლენის სფეროების დელიმიტირება [Forsythe, 2005: 284].

ნიბური თვლის: „რომის და სამნიუმის ალიანსი არ იყო სამხედრო ხასიათის არამედ იგი იყო ორ მხარეს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეთანხმება“ [Niebuhr, 2010:114].

ე.სალმონის თანახმად: „რომის ტერიტორიული გაფართოება სამხრეთით აჩენდა კითხვას თუ ვინ დაიკავებდა დასუსტებული ვოლსკების ადგილს ლირის ხეობაში?“ [Salmon, 1967:191]. ჩვენი აზრით, გალის ტომებიდან არსებობდა თავდასხმის საფრთხე რომელიც მუდამ აშფოთებდა სამნიტებს. რომის ნეიტრალიტეტი სამნიტებს სჭირდებოდათ, რადგან სადიცინელებთან და კამპანიელებთან მარტივად ეწარმოებინა ბრძოლები.

უკვე რამდენიმე წელია, რაც რომსა და სამნიუმს შორის უთანხმოება მიმდინარეობდა, ომის მიზეზი იყო კუმას და კაპუას რომაულ ქალაქებად გადაქცევა [Моммзен, 1997:357]. მდიდარი და ნაყოფიერი კამპანია, რომელსაც კაპუა ხელმძღვანელობდა, „ოდესღაც იტალიის სამ უდიდეს ქალაქს შორის იყო“ (Flor., Epitomae, Bellum samniticum, I.11).

რომაული დიპლომატია ნათლად გამოვლინდა შემდეგში. კორნელის თანახმად:

„სენატი ცდილობდა თავიდან აეცილებინა სამნიტების გავლენის გაძლიერება კამპანიაში“ [Корнелл, 2015:429]. ამის მიუხედავად, შესაბამისად, „სამნიტების აგრესიული ქმედებებით შეწუხებულმა კაპუის მოქალაქეებმა დახმარება სთხოვეს რომს“ [ქავთარია, 2016:129], რადგან „ისინი მუდმივად ანადგურებდნენ რეგიონს ახალი შემოსევებით და იქ დამკვიდრებით იმუქრებოდნენ. კაპუელებმა თავდაპირველად მოთხოვნილ კავშირზე რომაელებისგან უარი მიიღეს, შემდეგ კამპანიელმა ელჩებმა თავიანთი ქალაქი შესთავაზეს, რომელიც რომის უზენაესობას დაემორჩილებოდა. რომაელებმა ვერ გაუძლეს ასეთ ცდუნებას“ [Моммзен, 1997:348]. საბოლოოდ, რომის ხელისუფლებამ კაპუა მიიღო თავის შემადგენლობაში შინაგანი ავტონომიის შენარჩუნებით [ქავთარია, 2016:129].

ჩვენი აზრით, რომის რესპუბლიკამ გააფართოვა თავისი ინტერესი მდინარე ლირისის მეორე მხარესაც. რომსა და სამნიუმს შორის ომი არ იყო რომის მიზანმიმართული პოლიტიკა. ამის საფუძველზე არ შეიძლება ითქვას, რომი რომელიმეს იცავდა რადგან აშკარად ერეოდა კაპუას საშინაო საქმიანობაში. რომის მიზანი ამ ომში საკმარისად ნათელია - ეს არის კამპანიის მიწის დაცვა, რომელიც ახლა იყო ლათინური კავშირის ნაწილი, ხოლო სამნიტების მიზანი ნაყოფიერი მიწების თუ ტერიტორიის დაპყრობაა არ იყო გამოკვეთილი.

ნიშანდობლივია, რომ „ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, სადიცინელებთან და კამპანიელებთან ომი იყო ტერიტორიის გაფართოების გაგრძელება. რომელი ელჩები სამნიტებთან მიდიოდნენ შეტყობინებით და მოთხოვნით, რომ მეგობარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ძალით არ შეჭრილიყვნენ“ [Моммзен, 1997:348]. ამის მიუხედავად, „სამნიტებმა გააგრძელეს კამპანიის დარბევა“ [ქავთარია, 2016:129] და მოიწადინეს კამპანიის ტომთა ზღვის სანაპირო ადგილების ხელში ჩაგდება [წერეთელი, 1992:54].

ლივიუსის ცნობით: „როდესაც ისინი დაუცველ სადიცინელებს დაესხნენ მათ კამპანიელებს სთხოვეს დახმარება, მაგრამ არც ამ უკანასკნელებს ჰქონდათ სამნიტებთან ბრძოლის გამართვის ძალა რაც უკანასკნელთან ორჯერ წაგებულ ბრძოლაში გამოვლინდა“. ამ მიზეზებით კამპანიელებმა რომის სენატში ელჩები გაგზავნეს და მოსთხოვეს: „სენატორ-მამებო კამპანიელმა ხალხმა სამუდამო მეგობრობის და დახმარების სათხოვნელად თქვენთან გამოგვგზავნა ჩვენ თქვენს კეთილდღეობაში ვეძებთ მეგ-

ობრობას და მოკავშირეობა როგორც ახლა, ჩვენ თანაბრად ვიმეგობროთ ოღონდ, არ დავემორჩილოთ ერთმანეთს. თუმცა, სამნიტებთან დადებული შეთანხმება არ ითვალისწინებს იმას, რომ თქვენ ახალი ხელშეკრულებები აღარ დადოთ“ (Liv., Ab urbe condita, VII.30). კამპანიელებმა დახმარებისთვის კაპუას მიმართეს, უკანასკნელმა კი რომს [წერეთელი, 1992:54].

ლივიუსს დაცული აქვს პასაჟი: „თქვენ რომაელებო, უკეთესი იქნება, რომ აიღოთ კაპუა თქვენი კეთილი საქმისთვის, მაგრამ ნუ მისცემთ სამნიტებს უფლებას დაეპატრონონ მას თავიანთი ბოროტი განზრახვებისთვის! მე ვფიქრობ, რომ თქვენ ომი არც კი დაგჭირდებათ, გთხოვთ გაგვიწიოთ შუამდგომლობა. სამნიტები ყველას ზემოდან უყურებენ, მათ შორის თქვენც, მაგრამ ისინი არ ილაშქრებენ თქვენს წინააღმდეგ. თქვენი დაცვის ჩრდილშიც კი შეგვიძლია თავშესაფარი მივიღოთ“ (Liv., Ab urbe condita, VII. 31).

ისტორიკოსის ცნობით, ძვ.წ. 343 წ. როდესაც ელჩები გაემგზავრნენ სენატმა სხდომა გამართა და კონსულმა სენატის სახელით გასცა შემდეგი პასუხი: „კამპანიელებო, სენატი მიიჩნევს, რომ შენ შუამდგომლობას იმსახურებთ მაგრამ თქვენთან მეგობრობის დამყარება შეუძლებელია... სამნიტები ჩვენთან ხელშეკრულებით არიან შეკრული“. ჩვენ გავგზავნით ელჩებს ჩვენს მოკავშირეებთან ამის შემდეგ ელჩმა განაცხადა: „სანამ არასწორი ძალა ჩვენი ქონების დაცვას ძლიერისგან არ მოინდომებს, მაშინ აუცილებლად დაიცავით თქვენი საკუთრება“ (Liv., Ab urbe condita, VII. 31).

ლივიუსის ცნობით: „გადაწყდა, სასწრაფოდ გაეგზავნათ ელჩები სამნიტებთან. მათ დაევალოთ, სენატის პასუხის შესახებ და სამნიტებთან ერთგული მეგობრობისა და სამუდამო ჩაბარების შესახებ, მეგობრობის ნიშნად ითხოვდა კავშირს და არ წასულიყო საომრად მის მიწებზე...“ თუმცა ელჩებმა, რომლებმაც სამნიტთა კრებაზე ზემოთქმული განაცხადეს, ყველაზე თავხედური პასუხი გასცეს: სამნიტებმა უთხრეს: „არა მხოლოდ იბრძოლებდნენ ომში, არამედ მათი მაგისტრატები, კურიას დატოვებდნენ“ პასუხად რომაელებმა სამნიტებთან ომი წამოიწყეს (Liv., Ab urbe condita, VII. 32. 33). ამას მოჰყვა ე.წ. პირველი სამნიტური ომი (ძვ.წ. 343-341 წწ). რომლის შედეგად რომაელებმა შემოიმატკიცეს კამპანია და სამნიტები იძულებული გახდნენ ამას შერიგებოდნენ. სამნიტებთან ომის შემდეგ რომის წინააღმდეგ გამოვიდა ლათინური ქალაქების ფედერაცია. მათ „მიემხრნენ კაპუელები, ავრუნკებისა და ვოლსკების

ტომები. ასე დაიწყო „დიდი ლათინური ომი“ (ძვ.წ. 340-338 წწ), რომელიც რომის გამარჯვებით დამთავრდა [წერეთელი, 1992:54].

ძვ.წ. 343 წ. კაპუა და რომი იყვნენ თუ არა მოკავშირეები ნაკლებად საკამათოა, რადგან ასეთი ურთიერთობა სამნიტურ ომებს ამართლებს. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმაში თუ როგორ შეიძლებოდა ძვ.წ. 343 წელს მდიდარი კაპუა სამნიტებს ისეთ მძიმე მდგომარეობაში ჩაეგდო, რომ კაპუა მზად იყო რომისთვის ყველაფერი გადაეცა [Oakley, 1998:286] მაგრამ, მეორე პუნიკური ომის დროს (ძვ.წ. 218-201 წწ). კაპუა კართაგენის მხარეზე იყო თუმცა რომის ხანგრძლივი ალყის შემდეგ მას მოუწია უპირობოდ დანებება და ძვ.წ. 211 წელს რომაელებმა კაპუელები სასტიკად დასაჯეს [Salmon, 1967:197]. ამიტომ მიიჩნიეს, რომ კამპანიელთა დანებება ძვ.წ. 343 წელს ორმაგ მიზანს ემსახურებოდა რომისგან გათავისუფლებას ხელშეკრულების დარღვევის მიზნით ძვ.წ. 343 წელს და ამართლებდა ძვ.წ. 211 წელს გამოტანილ სასჯელს. რომი ძვ.წ. 343 წელს დათანხმდა ისეთ პირობებს, როგორიც მას ჰქონდა ლათინებთან და ჰერნიკებთან [Cornell, 1995:347], მიიღო დანებების გადაწყვეტილება. ასეთი ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება იმ პერიოდის დიპლომატიისთვის საერთო მახასიათებელია ასევე, რომმა უარი თქვა დახმარების თხოვნაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ძვ.წ. 343 წელს რომაელებს ჰქონდათ არჩევანი კამპანიის უარყოფაზე [Oakley, 1998:286-289].

საბოლოოდ, რომის არმიამ შეძლო სამნიტების დამარცხება [Фронтин, 2002:164]. ასევე ნაკლებ სავარაუდოა, რომაელებს შეეძლოთ, ისეთი დომინანტური პოზიციის დამყარება კამპანიაში, როგორიც ჰქონდათ ძვ.წ. 341 წლის შემდეგ სამნიტების წინააღმდეგობის გარეშე [Salmon, 1967:200].

რომის საგარეო პოლიტიკის გააქტიურებამ და კამპანიაში გაბატონებამ სამნიტების მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. ურთიერთობა გამწვავდა მას შემდეგ, როდესაც რომაელებმა დაიკავეს ნეაპოლი [ქავთარია, 2016:132]. თუმცა შინაგანი ავტონომია შეუნარჩუნა. ახლა უკვე რომს მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული კამპანიაში, რაც სამნიტებისათვის არასასურველი და ამავე დროს საშიშიც იყო. მათ ნეაპოლის დაპყრობა საბაზად გამოიყენეს და დაიწყო მეორე სამნიტური ომი. (ძვ.წ. 326-304 წწ). პირველ ომში დამარცხების გამო, სამნიტებმა არ დაკარგეს საბოლოო გამარჯვების იმედი და ძვ.წ. 326 წელს დაიწყო მეორე სამნიტური ომიც. „სამნიტების მხედართმთავარი გაიუს

პონტიუსი (ძვ.წ. IV ს.) ჯარებით საიდუმლოდ დაბანაკდა კავდიუმთან...“ ლივიუსის ცნობით: „რომაელთა მორალური მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. სამნიტებმა გადაწყვიტეს მიეწერათ მხედართმთავრის მამისთვის გერენიუს პონტიუსისთვის. როდესაც მან შეიტყო რომაული ლეგიონების ამბავი, მან მიწერა თავის ვაჟს: „რაც შეიძლება სწრაფად გაუშვით რომაელები და არაფერი არ ავნოთ მათ“. ეს რჩევა უარყვეს (Liv., *Ab urbe condita*, IX. 1).

ისტორიკოსი აღნიშნავს: „ხეობაში ტყვეობა რომაელებისთვის გაუსაძლისი გახდა, ამიტომ ზავი მოითხოვეს. უარის მიღების შემდეგ სამნიტებს, ბრძოლა შესთავაზეს, რაზეც სამნიტმა მხედართმთავარმა უპასუხა, რომ ომი დამთავრებულია და რადგან რომაელი ტყვეები ვერ ეგუებიან თავიანთ მდგომარეობას, მათ შიშვლებს და იარაღაყრილებს უღელქვეშ გაატარებენ“ (Liv., *Ab urbe condita*, IX.1.2).

აპიანეს თანახმად: „პონტიუსმა გააღო გასასვლელი, მიწაში ჩასვა ერთი შუბი, მეორე კი ზემოდან დადო, რადგან რომაელები მის ქვეშ ჩასულიყვნენ სათითაოდ“ (App., *Historia romana*, *Bellum samniticum*, III. 6).

რომში უკვე იცოდნენ მომხდარი ამბების შესახებ. როდესაც კი სამარცხვინო ზავის შესახებ გაიგეს ყოველგვარი ბრძანების გარეშე მთელმა ქალაქმა გლოვა დაიწყო. მძევლად გადაცემულმა ყოფილმა კონსულმა სპურიუს პოსტუმიუსმა მაშინვე მიაყენა შეურაცხყოფა რომის ელჩს და წიხლი ჰკრა მას, რითაც რომაელებს საბაზი მისცა დაერღვიათ სამშვიდობო ხელშეკრულება და გაეახლებინათ ომი (Liv., *Ab urbe condita*, IX. 20).

ძვ.წ. 314 წლიდან რომაელებმა შეძლეს საომარ ოპერაციებში გარდატეხა და ძვ.წ. 304 წელს სამნიტებმა ზავი ითხოვეს [წერეთელი, 1992:54].

საზავო პირობები იყო სამარცხვინო, რომაელებს უნდა დაეტოვებინათ სამნიტების მიწა, გაეყვანათ კოლონიები, აეღოთ ვალდებულება, რომ არ განახლებდნენ ომს. ხელშეკრულების დასკვნითი ეტაპი იყო: რომის არმიისთვის სამარცხვინო ცერემონი-ალის ჩატარება. რომის სენატი იძულებული გახდა კავდიუმის დამამცირებელი ზავი ეღიარებინა [ქავთარია, 2016:132].

ხელშეკრულებაში მეგობრობა მტრობის არარსებობის ან სამხედრო დახმარების გაწევის დროს მოქმედებდა. რაც იდენტურია ალიანსის კონცეფციისა [Хрусталеv, 2016 :80-81].

მესამე სამნიტური ომის (ძვ.წ.298-290 წწ).დროს რომს რამდენიმე მიმათულებით ერთდროულად მოუწია საომარ მოქმედებათა წარმართვა. გააქტიურდნენ გალები და ეტრუსკები. ისინი გაერთიანებული ძალებით შეიჭრნენ რომის საზღვრებში. სამნიტებმა ისარგებლეს ამ მომენტით, განსაზღვრეს, რომ რომაელთა ყურადღება მიპყრობილი იყო ჩრდილოეთისკენ და შეიჭრნენ ლუკანიაში. ეს გახდა ომის გამოცხადების საბაზი [ქავთარია, 2016:134].

თავდაპირველად, კოალიცია წარმატებით იბრძოდა, მაგრამ ძვ.წ. 295 წელს სანტინიუმთან დამარცხდნენ რამაც აიძულა ეტრუსკები შეთანხმებულიყვნენ მშვიდობაზე, ხოლო გალებს ჩრდილოეთით დაეხიათ. მარტო დარჩენილმა სამნიტებმა რომის ძალას ვეღარ გაუძლეს [Бокщанин, Кузищин, 2005:383].

ძვ.წ. 90 წ. კონსულმა მანიუს კურიუს დენტატუსმა საბოლოოდ დაამარცხა სამნიტები, რის შემდეგაც ამ უკანასკნელებმა ომის დასრულება მოითხოვეს.ეს იყო სამნიტებზე უკანასკნელი გამარჯვება (Liv., Ab urbe condita, X. 45).

მესამე სამნიტური ომის (ძვ.წ. 298-290 წწ). დროს ეტრუსკების უკანასკნელი იმედიც ამოიწურა და ოდესღაც იტალიაში პირველობის ამბიციით შეპყრობილნი, რომაელთა სრულ მორჩილებაში მოექცნენ. ეტრუსკებმა პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად დაკარგეს თვითმყოფადობაც [ქავთარია, 2016:135]. რამაც საბოლოოდ უზრუნველყო რომის ბატონობა ლათინურ ქალაქებზე [Heurgon, 1993:290], ხოლო ლაციუმში ალბას მთების ირგვლივ, ტოლერუს ჰერნიკულის ხეობაც რომაელთა მმართველობის ქვეშ გადავიდა [Cébeillac-Gervasoni, 2006:67].

ამრიგად, რომის მიერ აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობა, რომელიც დიპლომატიური და სამხედრო საქმიანობით გამოირჩეოდა [Hinard, 2000: 270], ზოგიერთი იტალიკური ტომების გაქრობა გამოიწვია. ეკვებმა, ჰერნიკებმა, ფალისკებმა და რამდენიმე ეტრუსკულმა ქალაქმა ავტონომიის უფლებები გამოიყენა და რომთან კავშირს დიპლომატიური ურთიერთობებით ამყარებდა. დიპლომატიის ერთადერთი ფუნქცია იყო უზრუნველყო ძალაუფლების აღიარება [Auliard, 2006:210-213].

4.3 პუნიკური ომები და რომის დიპლომატია

რომი და კართაგენი პუნიკურ ომებამდე: ჩვენ ვიცით, პუნიკურ ომებამდე კართაგენის სახელმწიფო სისტემა იყო მონათმფლობელური, თუმცა სამოქალაქო საზოგადოებაში საშუალო კლასი არ იყო აყვავებული, რომელიც ერთი მხრივ, ღარიბი ურბანული მოსახლეობისგან შედგებოდა და მეორე მხრივ, ვაჭრებით [Моммзен, 1997:482].

კართაგენი სავაჭრო ურთიერთობებით ხმელთაშუა ზღვის ბევრ რაიონთან იყო დაკავშირებული [Кузищина, 2003:197].

კართაგენის პოლიტიკური სისტემა [Кузищина, 2003:200], „ოლიგარქია იყო მმართველობის ასეთი სისტემის გვერდით, რა თქმა უნდა, არსებობდა დემოკრატიული ოპოზიციაც, რომელიც პირველი პუნიკური ომის დროსაც კი იყო სრულიად უძლიერი. ჰანიბალის ომის დასრულების შემდეგ, მისი წინადადებით, გადაწყდა კიდევ, რომ ასეული საბჭოს არც ერთ წევრს არ შეეძლო ზედიზედ ორი წლით დარჩენილიყო თანამდებობაზე. ამ რეფორმით დაინგრა დემოკრატია, რომელიც მაშინდელ მდგომარეობაში მყოფი კართაგენის გადარჩენა შეიძლებოდა თუ უკვე გვიანი არ იქნებოდა“ [Моммзен, 1997:482].

ძვ.წ. III საუკუნის 60-იანი წლებისთვის კართაგენი შეხვდა ახალ ძალას, რომელიც დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე გაჩნდა. ეს ძალა იყო რომის ძლიერი სახელმწიფო [Кузищина, 2003:201], ხოლო კართაგენი როდესაც იმარჯვებდა ყველაფერს იღებდა დამარცხებული სავაჭრო ქალაქებისგან, რომის დიპლომატია გამოვლინდა მაშინ, როდესაც „რომი მუდმივად არც კი ბეგრავდა დამარცხებულ ქალაქებს“. მაშასადამე, კართაგენულ-აფრიკის სახელმწიფო კავშირში, უტიკის გარდა არ არსებობდა არც ერთი საზოგადოება, რომლის მდგომარეობაც არ გაუმჯობესებულიყო კართაგენის დაცემით და რომაულ სახელმწიფო გაერთიანებაში არ არსებობდა არც ერთი საზოგადოება, რომელიც იმაზე მეტის დაკარგვას არ რისკავდა ვიდრე მოიგებდა [Моммзен, 1997:486], ხოლო რომის დიპლომატიის „მტკიცებულება რომაულ-იტალიური კონფედერაციის და სამი სავაჭრო ხელშეკრულებით კართაგენთან იმას ადასტურებს, რომ პუნიკური ომების დროს დიპლომატიამ შეიძინა დიდი მნიშვნელობა“ [Сергеев, 1959:66].

ძვ.წ. 513 წელს რომთან დადებულმა ხელშეკრულებამ მშვიდობა მოუტანა

კართაგენლებს, მაგრამ მათ ის ძვირად დაუჯდათ, რადგან სიცილიის უმეტესი ნაწილიდან შეგროვებული ხარკი ახლა მტრის ხაზინაში მიდიოდა და არა კართაგენში. გაცილებით ხელშესახები იყო ფაქტი, რომ საჭირო იყო არა, მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილიდან დასავლეთისკენ მიმავალი ყველა სავაჭრო გზის წართმევის იმედი, არამედ სავაჭრო სისტემაც [Моммзен, 1997:540-541]. შესაბამისად, რომის დიპლომატიამ კართაგენი იძულებული გახადა, არა მარტო დასავლეთით ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ურთიერთობიდან, არამედ „პოლიტიკური სისტემიდანაც გაეყვანა“ [Моммзен, 1997:540-541].

ძვ.წ. 348 წელს გაფორმდა მეორე ხელშეკრულება, რომელიც მხოლოდ ვაჭრობის საკითხებს აწესრიგებდა. ძვ.წ. 279 წელს იტალიაში პიროსის შეჭრასთან დაკავშირებით, რომს და კართაგენს შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ორივე მხარე ურთიერთდახმარებას კისრულობდა [ქავთარია, 1979:14].

ძვ.წ. 280-275 წლებში რომსა და კართაგენს ძლიერი კომერციული კავშირებიც ჰქონდათ და ოფიციალური ალიანსებით ურთიერთმეგობრობა გამოაცხადეს და დაახლოებით [Miles, 2011:164]. ამ დროს ძვ.წ. 272 წლისთვის, რომმა აპენინის ნახევარკუნძული მდინარე არნოს სამხრეთით დაიპყრო, ხოლო პიროსის ომის დამთავრების შემდეგ სამხრეთ იტალიის ბერძნული ქალაქებიც [Bagnall, 1999:21-22], დაიმორჩილა. რ. მაილსის თანახმად: „სიცილიაში რომის გაფართოებამ ორ ძალას შორის ომი გამოიწვია“ [Miles, 2011:175-176].

ომის უშუალო მიზეზი იყო დამოუკიდებელი სიცილიური ქალაქ-სახელმწიფოს მესანას კონტროლის საკითხი [Goldsworthy, 2006:74-75].

ჩვენი აზრით, რომმა ომის მიმდინარეობის პერიოდში შეძლო და მის მხარეზე გადაიყვანა სირაკუზის მმართველი, ცხადია ეს იყო რომაული დიპლომატიის დამსახურება. შესაბამისად, ქ. მესანას დაპყრობამ რომაელების მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვალა. „ძვ.წ. 262 წელს ექვსთვიანი ალყის შემდეგ რომის არმიამ აიღო ქ. აგრიგენტი“ [ქავთარია, 1979: 15].

რომმა ძვ.წ. III საუკუნის ბოლო მეოთხედში უზარმაზარ ტერიტორიაზე მიაღწია ბატონობას და იტალიაში დომინირებდა [Феппепо, 1925:12].

პირველი პუნიკური ომის (ძვ.წ. 264-241 წწ). დასაწყისში რომაელები უკვე ბატონობდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე [Coco, 2019:13]. რომი უკვე ჩვეულად ქცეულ

იძულებით და ძალაზე დამყარებულ დიპლომატიას აწარმოებდა“. ამ პერიოდში კართაგენი, სამხრეთ ესპანეთში, ჩრდილოეთ აფრიკის, კუნძულების: ბალეარის, კორსიკას, სარდინიას და სიცილიის დასავლეთ ნახევარში დომინირებდა“ [Goldsworthy, 2006:29-30]. თუმცა მტრულად იყო განწყობილი დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაში რომაული და ბერძნული გემების მიმართაც [Chester, Starr, 1965:123], ხოლო „კუნძულ სიცილიაზე ეპირიის მეფე პიროსი რომს იტალიაში და კართაგენს სიცილიაზე მონაცვლეობით ებრძოდა“ [Miles, 2011:165]. ამის მიუხედავად, „ძვ.წ. 264 წელს დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის ორ მთავარ სახელმწიფოს კართაგენსა და რომს შორის დაიწყო, როგორც მცირე დიპლომატიური ბრძოლა რომლის დროსაც ერთ-ერთი მათგანი ბევრად უფრო მცირე ძალას, სიცილიის ქ. მესანას დაეხმარა“ [Burton, 2018:2]. რომლის თავისუფლებას საფრთხეს უქმნიდა [Coco, 2019:23] უფრო ძლიერი რეგიონული ძალაუფლების მქონე სირაკუზას მეფე ჰიერონ II-ს [Burton, 2018:2].

ეპირიის მეფემ პიროსმა დასახული დიდი გეგმის განხორციელებისას დამარცხება განიცადა: იტალიაში მისი იძულებითი დაბრუნების შემდეგ კართაგენლებმა კვლავ აღადგინეს თავიანთი მეუფება სიცილიის მნიშვნელოვან ნაწილში. სირაკუზში ხელისუფლებას ცნობილი სარდალი ჰიერონ II დაეუფლა. როცა აგათოკლე კამპანელმა მოქირავნეებმა მამერტინელებმა რომლებიც თავს მარსის შვილებს უწოდებდნენ, მისი სიკვდილის შემდეგ ქალაქი დაიკავეს, ქალაქის დასახმარებლად გაილაშქრა ჰიერონმა. მაშინ მამერტინელების ერთმა ნაწილმა, როგორც ისტორიკოსი პოლიბიოსი გადმოგვცემს [წერეთელი, 1992:70]. „ზოგმა მამერტინელმა გადაწყვიტა მიემართა კართაგენლებს დახმარებისათვის... და მათი ქალაქის შეთავაზებით რომაელებს ელჩი გაუგზავნა“. რომის სენატი თავიდან ყოყმანობდა ამ საკითხის გადაწყვეტაში, რა გაეკეთებინათ არ იცოდნენ, რადგან აშკარად შეუსაბამო იქნებოდა მამერტინელებზე დახმარება (Polyb., *Historia universalis*, I.10).

რომაელებმა მოგვიანებით, თავიანთი ქმედებები ორი გზით გაამართლეს. ყველაზე პრიმიტიული დასაბუთება იყო წინა ძვ.წ. VI საუკუნეში და ძვ.წ. 306 წლის ხელშეკრულების არსებობის უარყოფა [Шкраби, 2002:3]. თავიანთი საქმეების გაუმჯობესების სურვილმა, კონსულების წინადადებით გადაწყვიტეს მამერტინელებს დახმარებოდნენ. სახალხო კრებამ დაადგინა მამერტინელების დასახმარებლად კონსულის მეთაურობით მესანაში ჯარი გაეგზავნათ. რომაელებმა კონსულად აპიუს

კლავდიუსი აირჩიეს, და უბრძანეს მესანაში წასულიყო (Polyb., *Historia universalis*, I. 11).

სიცილიაზე კონტროლი კართაგენის საუკუნოვანი ოცნება იყო. რაც შეეხება რომს, იტალიაში გაბატონების შემდეგ კუნძულის მიერთება გზას უხსნიდა მას დაპყრობითი პოლიტიკის გასაფართოებლად. საკითხი, რომელიც სენატმა ვერ გადაწყვიტა, მიიღო სახალხო კრებამ. მამერტინელები გამოცხადდნენ მოკავშირეებად. მესანა გახდა რომის მსოფლიო სახელმწიფოდ დაბადების პირველი მერცხალი [ქავთარია, 2016:160].

მამერტინელებმა მუქარით და ეშმაკობით, სიცილიიდან კართაგენელი სარდალი გააძევეს და აპიუსს გადასცეს ქალაქი. კართაგენლებმა თავიანთი წინამძღოლი ჰანონი უგუნურებისა და სიმხდალეში დაადანაშაულეს (Polyb., *Historia universalis*, I. 11).

კართაგენი და რომი ამ მომენტამდე მოკავშირეებად ითვლებოდნენ. მოლაპარაკების წარმართვა მშვიდობიანი გზით შეუძლებელი გახდა, სადავო საკითხების გადაწყვეტა ომს მიანდევს [ქავთარია, 2016:161]. ამ დროს, ჰიერონი კართაგენლებთან ალიანსში გაერთიანდა (Polyb., *Historia universalis*, I.11). მალე სირაკუზა რომის მთავარი სამიზნე გახდა, რადგან იგი მთავარი მტერი იყო და რომს კართაგენის გვერდით ებრძოდა [Coco, 2019:23].

პიროსთან ბრძოლის პროცესში, რომმა და კართაგენმა საკავშირო ხელშეკრულება დადეს, მაგრამ შემდეგ ისეთი სიტუაცია წარმოიქმნა, რომ მათ შორის საომარი შეტაკება აუცილებელი გახდა. ჰიერონ II იძულებული გახდა რომაელებთან სამშვიდობო ხელშეკრულება დაედო [წერეთელი, 1992:72]. ჰიერონთან მშვიდობა შემდეგი პირობებით დამყარდა: „კართაგენლებსა და რომაელებს შორის უნდა არსებობდეს მეგობრობა: კართაგენლები ვალდებულნი არიან მთელი სიცილია გაათავისუფლონ და ჰიერონთან არ იბრძოლონ. არ წავიდნენ სირაკუზელებისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ“ (Polyb., *Historia universalis*, I. 87). ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ჰიერონ II რომს დანებდა. ა. გოლდსვორთის თანახმად, „სიცილიაში, ჰიერონს გარეშე რომაელთა ლაშქრობები შეუძლებელი იქნებოდა, რადგან სწორედ სირაკუზამ უზრუნველყო რომი საკვებით და პორტით“ [Goldsworthy, 2000:73]. სირაკუზის ჩამოშორებამ კართაგენის მდგომარეობა გაართულა რომელებმა შეტევები განაგრძეს [ქავთარია,

1979:15]. ყველა მხრის დიპლომატიური ინციდენტების და პოლიტიკური მანევრების გამო, კართაგენი და რომი 23 წლიან ბრძოლაში სიცილიის კუნძულის დიდი ნაწილისა და დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის საზღვაო ძალაუფლებისთვის ჩაკეტილი აღმოჩნდნენ [Burton, 2018:2].

I პუნიკური ომის უკანასკნელი ბრძოლა ძვ.წ. 241 წელს გაიმართა ეგატის კუნძულებთან, სადაც რომის ფლოტმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. დამარცხებამ კართაგენის ხელისუფლება აიძულა, ზავზე ეფიქრა. შესთავაზა კიდეც მოწინააღმდეგეს ზავი რომი დათანხმდა [ქავთარია, 1979:16] და ძვ.წ. 241 წელს საბოლოოდ ომი „ლუტაციუსის ხელშეკრულებით“ დასრულდა, რომელიც სიცილიიდან კართაგენლების განდევნას ავალდებულებდა [Burton, 2018:2]. ასევე, კართაგენმა დათმო სიცილია, რომს ტყვეები დაუბრუნა და კონტრიბუციის გადახდაც იკისრა. ეს იყო პირველი სერიოზული მარცხი კართაგენის ისტორიაში [ქავთარია, 1979:16].

კართაგენთან ხელმოწერილი ამ ხელშეკრულების დარღვევა მიჩნეულია ომის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, რომელიც კვლავ დაიწყო ძვ.წ. 218 წელს მეორე პუნიკური ომის დროს [Hoyos, 2015:211].

I პუნიკური ომი დამთავრდა. რომი იმკიდა გამარჯვების ნაყოფს. კართაგენის საშინაო საქმეები კი ომის შემდეგ მეტისმეტად დაიძაბა, ქვეყანაში დაიწყო აჯანყება, რამაც კართაგენის ყოფნა არყოფნის საკითხი სასწორზე დადო [ქავთარია, 1979:16].

რომმა პირველი პუნიკური ომის დასრულების შემდეგ ხანგრძლივი კონფლიქტი დაიწყო გალებთან და მისი ძალაუფლება ადრიატიკის გავლით ილირიაში გააფართოვა თუმცა, მეორე მხრივ [Bagnall, 2002:111]. ძვ.წ. 240 წელს კართაგენლებმა ადგილობრივი კონტროლი დაკარგეს აფრიკაში, შესაბამისად კართაგენის აფრიკული კოლონიები აჯანყდნენ. კართაგენი ცდილობდა ამ აჯანყებების ჩახშობას, თუმცა ძვ.წ. 238 წელს რომმა სარდინია და კორსიკის კუნძულები წაართვა [Goldsworthy, 2000: 133]. კართაგენმა რომის მიერ სარდინიასა და კორსიკის დაპყრობა ღალატად მიიჩნია [Coco, 2019:30]. მაშასადამე, ამ ორივე კუნძულის დაკარგვა სერიოზული დარტყმა იყო კართაგენისთვის [Miles, 2011:179] თუმცა კართაგენმა თავისი ძალისხმევა ესპანეთის დაპყრობაზე გაამახვილა. ძვ. 230 წელს ჰამილკარის პრიორიტეტი იყო იმის უზრუნველყოფა, რომ შეენარჩუნებინა პოლიტიკურად დამოუკიდებლობა. როდესაც იგი გარდაიცვალა ჰამილკარ ბარკას კართაგენი სამხრეთ და აღმოსავლეთ ესპანეთზე იყო

გაბატონებული [Coco, 2019:31].

მეორე პუნიკური ომი: (ძვ.წ.218-201 წწ). ამ ომს პუნები ჰანიბალის მეთაურობით ეწეოდნენ რომაელების წინააღმდეგ. ლივიუსის ცნობით „მანამდე არასოდეს შეჰბმიან ერთმანეთს ესოდენ მძლავრი და საუკეთესოდ შეიარაღებული სახელმწიფოები ანდა ტომები“. ისტორიკოსის ცნობით „მოწინააღმდეგენი იცნობდნენ ერთმანეთს პირველი პუნიკური ომის დროიდან, ოცდასამი წელი რომ გაგრძელდა და რომის გამარჯვებით დამთავრდა. პირველ და მეორე პუნიკურ ომებს შორის შუალედიც ასევე ოცდასამი წელიწადს მოიცავდა“. მემატიანე აღნიშნავს, რომ ბრძოლის „ბედი იმდენად ცვალებადი იყო, ხშირად ესა თუ ის გამარჯვებული უფსკრულის პირას დამდგარა. ორივე მხარეს ძალები განუზომელი ჰქონდა, ურთიერთსიძულვილი კი ამ ძალებზე აღმატებული“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 3).

ნიშანდობლივია, რომ მეორე და მესამე პუნიკური ომების დროს, რომის რესპუბლიკაში დიპლომატიის უდიდესი აქტივობა დაფიქსირდა, რადგან „რომის რესპუბლიკა ჰანიბალის პიროვნებაში არა მარტო სამხედრო, არამედ დიპლომატიურ სფეროშიც ხვდება უდიდეს მტერს“ [Потемкина, 1941:16].

ქალაქურმა რესპუბლიკამ რომმა დაიწყო რომის იმპერიის სახელმწიფოდ გარდაქმნა. შესაბამისად, რომის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაც გაფართოვდა. დიპლომატიაც როგორც სახელმწიფო პოლიტიკის უცხოური ინსტრუმენტი უფრო მნიშვნელოვანი გახდა [Сергеев, 1959:66],

რომაული პოლიტიკა გამძლეობით, ეშმაკობით და თანმიმდევრულობით გამოირჩეოდა ვიდრე მოქმედების სისწრაფით [Моммзен, 1997:548]. თუმცა, სასტიკი ომით რომმა კონსერვატიული ცრურწმენები დაივიწყა და უარი თქვა მრავალი კანონის დაცვაზე [Ферреро, 1925:15].

ჰანიბალთან ომმა მრავალი სხვა ომი უკან დატოვა. რომი იძულებული გახდა კართაგენტთან მშვიდობის დადებისთანავე ებრძოლა: ესპანეთში, ბარბაროსებთან. მდინარე პოს ხეობაში, სადაც პუნიკების შემოსევამ გააცოცხლა მეგრძოლების სული. ლიგურიელები თავს ესხმოდნენ იტალიასა და ესპანეთს შორის საზღვაო გზებს, რომლებიც გალიის და იბერიის სანაპიროებს ძარცვავდნენ. ბრძოლები განუწყვეტლივ ახლდებოდა. საბოლოოდ, მთელი მოსახლეობა დახოცეს და გადარჩენილები რომს დაემორჩილნენ (Liv., Ab urbe condita, XXXI.10.21; XXXII. 7. 26. 29-32; XXXIII.22.23.36.

XXXIV.22. 46; XXXV.3.22; XXXVI. 38). [Феппео, 1925:16.].

კართაგენის არმიის ერთ-ერთ მთავარ ბირთვს მოქირავნეები შეადგენდნენ. მეომართა შეგროვება სენატის გადაწყვეტილებით ხდებოდა. საჭიროების შემთხვევაში სენატორები მიემგზავრებოდნენ სხვადასხვა მხარეს, დებდნენ ხელშეკრულებას ტომის ბელადებთან, უთანხმდებოდნენ მეომართა რაოდენობაზე, გასამრჯელოს და სამსახური ხანგრძლივობაზე [ქავთარია, 1979:16].

ჩრდილოეთ ესპანეთში კართაგენლების წარმატებებმა რომაელები დიდად შეაშფოთა. რომის სენატმა წარგზავნილი მოციქულების პირით მოსთხოვა ჰასდრუბალს ჯარებით არ გადასულიყო მდინარე იბერის აღმოსავლეთ ნაპირას. ჰასდრუბალის თანხმობით ძვ.წ. 226 წ. დაიდო ხელშეკრულება [წერეთელი, 1992:77]. აპიანეს თანახმად: „იბერიაში მდ. ებრო არცერთ მხარეს არ უნდა გადაელახა, რადგან ეს რომაელთა და კართაგენელთა ხელშეკრულებაში შედიოდა“ (App., *Historia romana*, VII.2). ამ ხელშეკრულებით რომაელების მიზანი საკუთარი ტერიტორიიდან პუნიკების საქმიანობა გაეკონტროლებინათ [Goldsworthy, 2000:149].

ჰამილკარ ბარკას სიკვდილის შემდეგ, პუნთა არმიის მოთხოვნით, კართაგენის სენატმა ესპანეთში მოქმედი ჯარების მთავარსარდლად დანიშნა ჰასდრუბალი [სურგულაძე, 2019:366-368]. ლივიუსის ცნობით „ჰასდრუბალი უფრო ჭკუას ეყრდნობოდა ვიდრე, იარაღის ძალას“. ისტორიკოსის აღნიშნავს ჰასდრუბალი „კართაგენისათვის ახალ-ახალ მოკავშირეებს ეძებდა. იმეგობრებდა მეზობელ ხალხებს, მათ მეფეებს თუ ბელადებს“ (ლივიუსი, *ომი ჰანიბალთან*, 4-5). ამკარაა, რომ ჰასდრუბალს სამშვიდობო პოლიტიკამ ვერ გაამართლა. იგი ერთ-ერთმა მონამ ხალხის თვალწინ მოკლა.

ანტიკურ წყაროებში შენიშნულია, რომ „რომაელები ხედავდნენ, როგორი ხელოვნებით უძღვებოდა ჰასდრუბალი სახელმწიფო საქმეებს და მასთან ხელშეკრულება დადეს რომის და კართაგენის სახელმწიფოების საზღვრად მდინარე იბერი დააწესეს“. ლივიუსის ცნობით რომაელებმა „გადაწყვიტეს, ქალაქ საგუნტს თავისუფლება შეენარჩუნებინა, რადგან იმ ადგილას იყო გაშენებული, რომელიც არცერთ მხარეს არ ნიშნავდა“ (ლივიუსი, *ომი ჰანიბალთან*, 5). ბრძოლებსა და გამარჯვებებში შერჩეულ კართაგენის ჯარს აკლდა ლიდერი, რომელიც ომის დაწყებისთვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტის დაჭერას შეძლებდა და მისცემდა სათანადო მიმართულებ-

ას, ასეთი იყო ჰანიბალი, მისი დროის ისტორიის ყოველი ფურცელი მოწმობს არა, მხოლოდ მის სტრატეგიულ გენიოსობაზე, არამედ მის პოლიტიკურ გენიალურობაზეც, რომელიც გამოიხატა. რომთან ზავის დადების შემდეგ და მის მიერ განხორციელებული კართაგენის სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმაში [Моммзен, 1997: 549]. მან თავისი გეგმების დახვეწა და ძალაუფლების უზრუნველსაყოფად დაიწყო მზადება [Coco, 2019:31].

ძვ.წ. 221 წელს არმიამ მთავარსარდლად ჰანიბალი დაასახელა. კართაგენის სენატმაც დაადასტურა ლაშქრის გადაწყვეტილება. სამოღვაწეო ასპარეზზე ჰანიბალის გამოსვლით ახალი ეპოქა დაიწყო კართაგენის ისტორიაში. ეს იყო ყველაზე საინტერესო და დამაბული, დიდებითა და მწუხარებით აღსავსე ეპოქა კართაგენ-რომის ურთიერთობაში [ქავთარია, 1979:25].

ჰანიბალს მიაჩნდა, რომ რომაელებსა და კართაგენლებს შორის ომი დიდხანს გაგრძელდებოდა. ომის მოგების შემთხვევაში უკვდავების სახელს მოიხვეჭდა და კართაგენს გადააქცევდა მსოფლიო მბრძანებლად, ხოლო მარცხის შემთხვევაშიც მისი წამოწყება მაინც დიდ სახელს მოუხვეჭდა (App., Historia romana, VII. 3). ამიტომ ძვ.წ. 221 და 220 წწ. ჰანიბალმა ცენტრალური ესპანეთის რამდენიმე ტომის დაპყრობას მოანდომა [წერეთელი, 1992:78].

ძვ.წ. 221 წლიდან ჰანიბალი იწყებს პირენეს ნახევარკუნძულის მოსახლეობის საბოლოო დამორჩილებას. იგი თავიდანვე ფართო მასშტაბის საომარ სამზადისს შეუდგა, ვინაიდან, მისი აზრით, დაყოვნებას მხოლოდ ზიანის მოტანა შეეძლო [ქავთარია, 1979:25].

ძვ.წ. 221 წელი ჰანიბალმა ბრძოლებში გაატარა [ქავთარია, 1979:25]. პირველ წელს ოლკადების ტომი დაიმორჩილა (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 7). რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახლომახლო მცხოვრებ ტომებზე. ბევრმა, მტრის სიძლიერით დამფრთხალმა, ნებაყოფლობით ცნო კართაგენის ბატონობა [ქავთარია, 1979:25].

ძვ.წ. 220 წლის გაზაფხულზე ჰანიბალმა [ქავთარია, 1979:25]. დაიმორჩილა ვაკცეები (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 7). ვაკცეების მეორე ქალაქი არბოკალა მტერს ღირსეულად დაუხვდა, მაგრამ გამარჯვება მაინც კართაგენელებს დარჩათ [ქავთარია, 1979:25]. ამ გამარჯვებამ არსებითი როლი შეასრულა პირენეს ნახევარკუნძულზე კართაგენის პოზიციების განმტკიცების საქმეში. მდ. იბერის დასავლეთით არსებული

ყველა ქალაქი და ტომი ჰანიზალს დაემორჩილა გამონაკლისი იყო, მხოლოდ ბერძნული ქალაქი საგუნტი. ჰანიზალმა კარგად იცოდა, რომ საგუნტის საქმეებში ჩარევა კართაგენს უშუალოდ რომთან დააპირისპირებდა, ვინაიდან ქალაქი რომაელთა მოკავშირე იყო. იბერი ტომების დაპყრობით საგრძნობლად განთავისუფლდა რომისაკენ მიმავალი გზა. საგუნტის გარდა ჰანიზალს წინ არავითარი დაბრკოლება აღარ ელოებოდა. ამავე დროს, ჰანიზალის აზრით, სწორედ საგუნტი იყო საუკეთესო ასპარეზი რომთან ომის წამოსაწყებად [ქავთარია, 1979:27].

ლივიუსი შენიშნავდა, რომ საგუნტელებს ესმოდათ, პუნებთან ომი გარდაუვალი იყო და ამიტომაც მათ რომში ელჩები გაგზავნეს, ჰასდრუბალის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით. მემატიანეს ცნობით: „სენატმა დაადგინა ელჩები გაეგზავნათ ესპანეთში და მოეთხოვათ, რომელი ხალხის მოკავშირე საგუნტის წინააღმდეგ ყოველგვარი მტრული მოქმედების შეწყვეტა“ (ლივიუსი, ომი ჰანიზალთან, 8-9). აშკარა იყო, რომ ჰანიზალმა არ გაითვალისწინა გეოპოლიტიკური ვითარება, საგუნტს ალყა შემოარტყა, რითაც დაბნეულობა შეიტანა რომის სენატში.

მართლაც, ძვ.წ. 219 წელს, ჰანიზალის მეთაურობით კართაგენის არმიამ ალყა შემოარტყა, საგუნტს [Collins, 1998:13]. რომში მხოლოდ მაშინ დაინტერესდნენ საგუნტის საკითხით, როდესაც გაიგეს, ქალაქი უკვე ალყაში იყო მოქცეული. სენატმა დიპლომატიური გზით. სცადა საქმის მოწესრიგება. ჰანიზალთან ელჩობა გაგზავნა, რათა კართაგენის სარდლისათვის ძვ.წ. 226 წელს დადებული ხელშეკრულების დაცვა მოეთხოვა [ქავთარია, 1979:27]. რომლის თანახმად, რომი იცავდა საგუნტს. შესაბამისად, რომმა კართაგენს ალყის შეწყვეტის შესახებ გაფრთხილება გაუგზავნა. ჰანიზალმა საგუნტის მიტოვების შესახებ „ამპარტავანი რომაული მოთხოვნა“ უგულვებელყო და შესაბამისად დადებული ხელშეკრულებაც უარყო და თქვა, რომ კართაგენი არასოდეს მოახდენს მის რატიფიცირებას (App., Historia romana, VII. 2). [Goldsworthy, 2000: 150].

რომის წარმომადგენლები გამოცხადდნენ ესპანეთში, მაგრამ საგუნტის ალყით გართულმა ჰანიზალმა ისინი არ მიიღო [ქავთარია, 1979:29]. „იმის გამო, რომ ირგვლივ ამდენი სხვადასხვა ტომის გამძვინვარებული ჯარისკაცია. სარდალი თქვენს სიცოცხლეზე პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს. გარდა ამისა, ჰანიზალს თქვენთან სასაუბროდ დრო არ აქვს ვითარება ძალზე რთული და დამაბულიაო“ (ლივიუსი, ომი

ჰანიბალთან, 11-12). ასეთი არაფრისმოქმელი პასუხით განაწყენებულმა ელჩებმა კართაგენს მიაშურეს [ქავთარია, 1979:29].

ფაქტია, რომ რომაელმა ელჩებმა ჰანიბალამდე ვერ მიაღწიეს. ჰანიბალმა ასევე წერილი გაუგზავნა კართაგენის სენატში, მოწინააღმდეგე პარტიასთან საბრძოლველად მოემზადეთ და რომაელი ხალხის სასარგებლოდ არაფერი დათმოდით. ლივიუსის ცნობით „კართაგენში ელჩები მიიღეს... მაგრამ შედეგი იგივე იყო. ერთადერთმა ჰანონმა გამოიღო თავი რომაელებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დასაცავად. სენატორები უსმენდნენ მაგრამ დუმდნენ, რადგან აშკარად უკმაყოფილოები იყვნენ. ვიდრე იქნება ბარკას სახსენებელი და იარსებებს თუნდა ერთი წვეთი მისი სისხლი, რომაელებთან მშვიდობა არ გვიწერია მეთქი. მაგრამ თქვენ ყური არ დამიგდეთ, თვითონ გააღვივეთ ცეცხლი, თვითონვე გააჩაღეთ ის ხანძარი, ახლა რომ გიზგიზებს. თქვენმა მეომრებმა დაარღვიეს ხელშეკრულება, რომელიც მათ საგუნტთან მიახლოებას უკრძალავდა და ქალაქს ალყა შემოარტყეს. მაგრამ მალე რომის ლეგიონები ალყას შემოარტყამენ კართაგენს“. ჰანონს არავინ შეჰკამათებია სენატი ისე ერთსულოვნად უჭერდა მხარს ჰანიბალს, რომ ყოველგვარი დავა ზედმეტი იყო. რომაელებს ასეთი პასუხი მისცეს: ომი საგუნტელებმა დაიწყეს და არა ჰანიბალმა, რომელი ხალხი უსამართლოდ იქცევა, რაკი საგუნტელების გულისათვის კართაგენლებთან ძველისძველ მეგობრობასა და კავშირს ღალატობსო (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 12-13).

ლივიუსის თანახმად: „ჰანიბალმა გადაწყვიტა, ეს ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა. მან მთელი ჯარი წინ დაძრა და წუთში ქალაქი ხელთ იგდო“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 15-17). მიუხედავად ასეთი საარაკო თავგანწირვისა რვა თვის ალყის შემდეგ ქალაქი დაეცა [ქავთარია, 1979:30]. საგუნტის დაცემის ამბავმა რომში თითქმის იმ დროს ჩააღწია, როცა კართაგენიდან ელჩები დაბრუნდნენ. დიდად დამწუხრდნენ სენატორები, შერცხვით თავიანთი უგერგილობისა. კართაგენლების მიმართ რისხვით აივსნენ, მომავალს შიშით დაუწყეს ცქერა თითქოს მტერი უკვე კარიბჭესთან იდგა. ასე ფიქრობდნენ შეძრწუნებული სენატორები (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 18).

ჰანიბალი უკვე დიდების ზენიტში იყო და კართაგენის სენატმა მას მიანიჭა უფლება, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ განეხილა რომთან მომავალი ურთიერთ-

ბების საკითხი. ჰანიბალმაც არ დააყოვნა და მან წამოიწყო ახალი ომი, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა კართაგენის ისტორიაში. მაშ, დაიწყო „მარადიულ ქალაქზე“ ლაშქრობა [სურგულაძე, 2019:371]. ისტორიკოსის თანახმად: „ამასობაში სენატმა უკვე განსაზღვრა რომელ მხარეებში იბრძოლებდა რომის ჯარი...“. კორნელიუსს ესპანეთი ერგო, სემპრონიუსს კი აფრიკა და სიცილია. შემდეგ მოიწვიეს სახალხო კრება. კონსულების შეკითხვაზე, რომაელებს სურთ თუ არა ომი გამოუცხადონ კართაგენლებს, ხალხმა უპასუხა: „გვსურს!“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 19).

სენატმა რომელსაც სურდა ომი ყველა წესისა და სამართლიანობის დაცვით გამოეცხადებინა, აფრიკაში მეორე ელჩობა გაგზავნა. რომის ელჩები კართაგენის სენატმა მიიღო. ელჩების მეთაურმა კვინტუს ფაბიუსმა იკითხა: (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 20).

ისტორიკოსის ცნობით: „ბატონო სენატორებო, ჰანიბალმა თქვენი თანხმობითა და მხარდაჭერით შემოარტყა ალყა საგუნტს, თუ საკუთარი თაოსნობით? ამაზე ერთ-ერთმა კართაგენელმა მაშინვე უპასუხა: რომაელებო, თქვენი პირველი ელჩობის დროს, როცა ჰანიბალის გაცემას მოითხოვდით, საკმაოდ უხეშად და წინდაუხედავად მოიქეციით...“, რაც შეეხება ჩვენი მოქალაქის დანაშაულს ამას ჩვენ თვითონ განვსჯით, თქვენთან კი მხოლოდ ერთ საკითხს განვიხილავთ, დაირღვა თუ არა თქვენსა და ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულება (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 20-21).

გაიხსენეთ, რომ ხელშეკრულებაში რომსაც და კართაგენსაც უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი მოკავშირეები, საგუნტელები კი იქ ერთი სიტყვითაც არ არიან მოხსენებულნი, რადგან მაშინ საგუნტელები თქვენი მოკავშირეები არ იყვნენ. „მართალიაო, იტყვიან თქვენ, ეს ძველი ხელშეკრულებაა, მას მერე ჰასდრუბალთან ახალი დაიდო. ასე, რომ დაეხსენით საგუნტს და მდინარე იბერს და ბოლოსდაბოლოს გვითხარით, რაც დიდი ხანია გულში გაქვთ“. მაშინ კვინტუს ფაბიუსმა თავისი ტოგას კალთა აიკეცა და მკვახედ განაცხადა: შეხედეთ, ამ ტოგაში მიძევს ომი და მშვიდობა, რომელიც თქვენ ჩამოგიტანეთ აირჩიეთ! არანაკლებ უკმები იყო სენატორთა პასუხი: რაც გსურს, ის მოგვეცი! მაშინ ომს გარგუნებთ! - თქვა რომაელმა და აკეცილ კალათას ხელი გაუშვა. ყველამ ერთხმად შესძახა: ვღებულობთ! და ვიბრძოლებთ ისეთივე შემართებით, როგორითაც მივიღეთ თქვენი ძღვენი! (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 21).

ძვ.წ. 218 წლის გაზაფხულზე ჰანიბალმა არმიით დატოვა ახალი კართაგენი და გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო [Лансель, 2002:106]. ამასობაში, რომაელი ელჩები კართაგენიდან ესპანეთში გაემგზავრნენ, რომ იქაური სახელმწიფოები და ტომები რომის მოკავშირეებად გაეხადათ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 21-22).

ესპანეთსა და გალიაში მოგზაურობის შემდეგ ელჩები რომში დაბრუნდნენ, სადაც ყველა შიშსა და დამაბულ მოლოდინს მოეცვა. ხმები დადიოდა, რომელიც სარწმუნოდ მიაჩნდათ პუნებმა იბერი გადმოლახესო (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 23). ჰანიბალის გეგმის თანახმად, კართაგენის არმია იტალიაში ჩრდილოეთიდან უნდა შეჭრილიყო. ამ მიზნით მის ლაშქარს უნდა აეარა მთელი გალია და ალპების მთები გადაელახა. თანაც აპენინის ნახევარკუნძულს იგი თავს იმ მხრიდან უნდა დასხმოდა, საიდანაც რომაელები ნაკლებ ელოდნენ. მისი ვარაუდით, კართაგენის არმიის იტალიაში გამოჩენა ადგილობრივ მოსახლეობას ანტირომაული მოძრაობის სულს შთაბერავდა და ჰანიბალის ბანაკს გააძლიერებდა. ამაში იგი ღრმად იყო დარწმუნებული. იტალიკების სულისკვეთება მისთვის კარგად იყო ცნობილი [ქავთარია, 1979:32].

ჰანიბალმა მდინარე ებროს გადალახვით. კიდევ ერთ პუნიკურ ომს მისცა დაწყების ნიშანი [Coco, 2019:34]. მისთვის რომის დამარცხება რომში ბევრად უფრო ღირებული იქნებოდა ვიდრე ესპანეთში ან გალიაში გამარჯვება. ჰანიბალს არ სურდა რომის განადგურება, უბრალოდ სურდა მისი დასუსტება, რადგან მოკავშირეების თვალში დამცირებული გახდებოდა [Goldsworthy, 2000:155]. ჰანიბალმა რომისკენ ლაშქრობის დროს გალიური ტომებიდან თავდასხმები გადაიტანა და სავარაუდოდ, ძვ.წ. 218 წლის ნოემბერში მიაღწია ალპებს [Coco, 2019: 35].

ჰანიბალის მიერ აპენინის წარმატებით გადალახვა გაუგონარ ამბად, აღიქვა რომის სენატმა [Goldsworthy, 2000:161], ხოლო „კართაგენის პლუტოკრატია იმედოვნებდა, რომ დაამარცხა მათი დიდი მეტოქე“ [Феппепо, 1925:14], ამის მიუხედავად, რომის სენატმა მასთან შესახვედრად მაშინვე არ გაგზავნა ჯარები, რადგან მათ ჯერ კიდევ არ სჯეროდათ, რომ ის იქ იყო [Goldsworthy, 2000:161]. ამის სანაცვლოდ, სენატმა ესპანეთში ლაშქრობისთვის ადრე შექმნილი ჯარი გაგზავნა. რომელთაგან ერთი რომაელების და ერთიც მოკავშირე ლეგიონი გამოყო [Zimmerman, 2011:283].

ესპანეთიდან იტალიაში ჩასვლას ხუთ თვეს მოუწოდნენ, ალპებზე გადასვლას,

თხუთმეტ დღეს (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 38).

პირველი შეტაკება რომაელებსა და კართაგენლებს შორის ძვ.წ. 218 წლის ოქტომბერში მოხდა მდ. ტიცინუსის ნაპირზე [ქავთარია, 1979:47]. კონსულმა კორნელიუსმა თავისი ხალხის გასამხნეველად ასეთი სიტყვა წარმოთქვა: მე ის მამინებს, ჩვენი გამარჯვების შემდეგ არა თქვან, ჰანიბალი რომაელებმა კი არა ალპებმა დაამარცხაო. ჰანიბალმაც მიმართა თავის ჯარს სიტყვით. მარცხნივ და მარჯვნივ ორი ზღვა გვაკრავს, ჩვენ ზურგს უკან ალპებია, წინ კი ბობოქარი, განიერი პადუსი, პირველსავე ბრძოლაში ან უნდა გავიმარჯვოთ, ან დავიხოცოთ, სხვა გამოსავალი არ არის (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 40-41). პუნებმა ტაცინიუსის ველზე დიდი მორალური გამარჯვება მოიპოვეს [სურგულაძე, 2019:375].

ამასობაში, მდ. პადუსის ნაპირზე მყოფ ჰანიბალთან გამოცხადდნენ ციხალპელი გალების წარმომადგენლები და მეგობრობა და თანამშრომლობა შესთავაზეს [ქავთარია, 1979:48]. ამის მიუხედავად, გალების მეორე მხარეს „კართაგენლების თავდასხმამ მყის ზღვარი დაუდო გალების ყოყმანს, ისინი კონსულებთან გაიქცნენ და მოითხოვეს, დაგვიცავითო, თანაც ირწმუნებოდნენ, ჰანიბალის რისხვა რომისადმი ჩვენი ერთგულებითაა გამოწვეულიო“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 46).

ტრებიის ბრძოლა (ძვ.წ. 218 წ). ლივიუსის ცნობით როდესაც მაგონი ჰანიბალს კარავში ეახლა ჰანიბალმა მას მიმართა „ვატყობ, თქვენზე ყოჩაღნი მთელ ჯარში არავინაა“, გენიალურმა კართაგენელმა მაგონს ურჩია „ცხრა-ცხრა კაცი აიყვანეთ და ჩაუსაფრდით მტერს, რომელსაც სამხედრო ეშმაკობის არაფერი გაეგება“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 46). ცხადი იყო, რომ გამარჯვების უპირატესობა ჰანიბალისკენ იყო. ტრებიასთან ბრძოლაში კარგად გამოჩნდა ჰანიბალის, როგორც დიდი სარდლის ღირსებანი ძირითადად, ესა მისი სამხედრო ვერაგობა, რომელმაც აქაც და შემდეგაც რომაელები მრავალჯერ შეიყვანა შეცდომაში. მდ. ტრებიასთან გამარჯვებამ ჰანიბალს რომისაკენ მიმავალი გზა გაუხსნა. ასეთმა წარმატებამ განამტკიცა მისი პოლიტიკური და სტრატეგიული მდგომარეობა. ანტირომაული კავშირი გაფართოვდა [ქავთარია, 1979:53-54]. ტრებიის ბრძოლაში „დამარცხებამ რომი შეაძრწუნა, რადგან ყოველ წუთს რომის გალავანთან ჰანიბალის გამოჩენას ელოდებოდნენ“. რომის საბედნიეროდ ჰანიბალის ნაცვლად კონსული სემპრონიუსი გამოჩნდა (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 51).

ტრაზიმენის ბრძოლა: (მვ.წ. 217 წ). გადალახა თუ არა აპენინები, ჰანიზალმა შეიტყო, ფლამინიუსი უკვე ქალაქ არეციუმის მახლობლად იმყოფებო (ლივიუსი, ომი ჰანიზალთან, 57). მისთვის კარგად იყო ცნობილი რომაელთა ძალა. ამიტომ ამჭიდროვებდა თავისი არმიის რიგებს ფართოდ უღებდა კარს ყველა გალსა და იტალიკს, თუმცა უცხო ტომელებთან დამოკიდებულებაში იგი მაინც სიფრთხილეს იჩენდა. მას ეშინოდა როგორც გალების და იტალიკების მოულოდნელი შეთქმულების ისე რომაელი შურისმაძიებლებს ჰანიზალმა კარგად იცოდა რომაელთა თავგანწირვის ამბავი, ამიტომ სიფრთხილე იყო საჭირო [ქავთარია, 1979:53-54]. გალების ის ტომები, რომლებიც ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ ახლა უკვე განუდგნენ რომს [წერეთელი, 1992:79]. ტომის ბელადები დაუფიქრებლად ებმებოდნენ შეთქმულებაში და ასევე განუსჯელად ასმენდნენ ერთმანეთს მტერთან. თვითონ ჰანიზალიც ყოველნაირად იცავდა საკუთარ თავს. ხშირად იცვლიდა გარეგნობას, ხან ახალ ყველასათვის უცხო ტანსაცმელში გამოჩნდებოდა, ხანაც პარიკს ატარებდა (ლივიუსი, ომი ჰანიზალთან, 57).

მვ.წ. 217 წლის გაზაფხულზე ჰანიზალმა: არმია აპენინის მთების მიმართულე-ბით დაძრა [ქავთარია, 1979:55]. ტრაზიმენის გააფთრებული ბრძოლა განსაკუთრე-ული ძალით იქ იფეთქებდა, სადაც კონსული გამოჩნდებოდა [Кораблев, 1976:108].

ლივიუსის ცნობით: „ჰანიზალმა გამოარკვია კონსული ფიცხი და ქედმაღალი კაცია, არ ეშინია არც კანონების არც სენატის. ჰანიზალმა გადაწყვიტა, ესარგებლა მოწინააღმდეგის თანდაყოლილი ნაკლით ამიტომ ხელი მიჰყო ეტრურიის მარცვას. ჰანიზალი შორიდან აღიზიანებდა კონსულს“ (ლივიუსი, ომი ჰანიზალთან, 58).

ფლამინიუსმა შეკრიბა სამხედრო საბჭო. საბჭოზე ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა: მეორე კონსულის მოსვლას უნდა დაველოდოთ და ერთობლივად ვიმოქმედოთ. მანამდე კი იმ მხარეში გავგზავნოთ ცხენოსნებისა და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარის რაზმები, ისინი მოუღებენ ბოლოს თავზე და დაუსჯელ მოთარეშე მძარცველებსო (ლივიუსი, ომი ჰანიზალთან, 58).

ისტორიკოსის ცნობით: „კონსული იმდენად განარისხა ამ ერთსულოვნებამ, რომ იგი კარვიდან გაიჭრა და ბრძანა ერთბაშად ორი სიგნალი მიეცათ: სალაშქრო და საომარი.მერე საბჭოს წევრებთან დაბრუნდა და შესძახა აბა, რა საჭიროა რაღაც რაზმების გაგზავნა?! უმჯობესია არეციუმის კედლებში მშვიდობიანად ვიჯდეთ. ეს

ხომ ჩვენი სამშობლოა...იგი ისევ გარეთ გაიჭრა ბრძანება გასცა, საჩქაროდ ამოიღეთ დროშებიო და ცხენს მოახტა...უცებ მოვარდა მაცნე და მოახსენა, ერთ-ერთი მეზაირ-აღე თავს არ იზოგავს, მაგრამ დროშას ადგილიდან ვერ ძრავს“. კონსული მაცნეს მიუბრუნდა და ჰკითხა: იქნებ სენატისგან წერილიც მომიტანე, რომ ბრძოლა არ გავბედო? „უკან გასწი! დაე, დროშის ტარი ბარით ამოთხარონ...“ამასობაში ჰანიბალი ტრაზიმენის ტბის იმ ადგილს მიადგა, ფლამინიუსი მზის ჩასვლისას გამოჩნდა (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 59-60). სისხლისმღვრელ ბრძოლაში რომაელთა არმიის ნახევარი დაიღუპა [Кораблев, 1976:108].

ლივიუსის თანახმად: „ბოლოს ერთმა ინსუბრმა, რომელსაც დუკარიუსი ერქვა... თავის მეტოქეებს გასძახა: აგერ, ჩვენი მეომრების მკვლელი, ჩვენი მიწების ამაოხრებელი. ახლავე შეეწირავ ჩვენი ახლობლების აჩრდილებს...“ და ფლამინიუსი შუბით განგმირა. ბოლოს კურიის წინ შეგროვდა უამრავი ხალხი. მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა პრეტორი მარკუს პომპონიუსი და გამოაცხადა: დიდ ბრძოლაში ჩვენ დავმარცხდით (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 62-63).

ტრაზიმენტთან ტრიუმფის შემდეგ რომისაკენ გზა გაკვალული. იყო, მაგრამ ჰანიბალმა ბრძოლის გაგრძელების სულ სხვა გზა აირჩია რომზე პირდაპირ შეტევას თავი აარიდა და იტალიის საბოლოო და სრულ აოხრებას შეუდგა. მისი აზრით, ეს გარე სამყაროსაგან რომის იზოლაციას გამოიწვევდა და დაასუსტებდა მას, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ეფიქრა ქალაქზე საიერიშოდ [ქავთარია, 1979:60].

რომში სენატი რამდენიმე დღე თათბირობდა შექმნილი მდგომარეობის შესახებ. სენატმა გადაწყვიტა დიქტატორის დანიშვნა და კანდიდატად ქვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი წამოაყენა [წერეთელი, 1992:81].

ლივიუსის ცნობით: „საბოლოოდ, გადაწყვიტეს დიდი ხნის გამოუყენებელი, საშუალებისათვის მიემართათ დიქტატორი დაენიშნათ. დიქტატორის დანიშვნის უფლება მხოლოდ კონსულს ჰქონდა, მაგრამ სერვილიუსის რომში გამოძახება ან მასთან წერილის გაგზავნა შეუძლებლად მიაჩნდათ. ამიტომაც დაარღვიეს წესი და დიქტატორი ხალხმა აირჩია. ხალხის არჩევანი კვინტუს ფაბიუს მაქსიმეზე შეჩერდა“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 64). რომაელთა აზრით, ეს იყო ერთადერთი გზა, რომელსაც ხსნა შეეძლო [ქავთარია, 1979:61].

კაზინიუმთან ბრძოლა: (მვ.წ. 209 წ). კამპანიაში გადასასვლელად აუცილებელი

იყო კაზინუმის გზის ჩაკეტვა, რათა რომი კამპანიელ მოკავშირეებს ვერ დახმარებოდა. ჰანიბალმა მეგზურებს უბრძანა, კაზინუმისაკენ გასძლოლოდნენ. ლაშქარი გზას გაუდგა. დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ კართაგენის არმია კაზინუმის ნაცვლად კაზილინუმში აღმოჩნდა [ქავთარია, 1979:63].

ლივიუსის თანახმად: „პუნი ცუდად წარმოთქვამდა ლათინურ სიტყვებს და მეგზურმა „კაზინუმის“ ნაცვლად „კაზილინიუმი“ გაიგონა (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 67). როცა ჰანიბალმა დაინახა, საქმე კარგად ვერ მიდიოდა, გამცილებელს ჰკითხა [ქავთარია, 1979:63]. ეს სად მოვედით? საღამო ხანს კაზილინუმში ვიქნებით, მიუგო მეგზურმა. ჰანიბალი მიხვდა შეცდომას და სხვების ჭკუის სასწავლებლად ბრძანა მეგზური გაეროზგათ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 68). ჰანიბალს საქმის გამოძიება არ დაუწყია, ახლა იმასლა ცდილობდა, არმია როგორმე გაეყვანა კაზილინუმის ვიწრო ხეობიდან. ფაბიუს მაქსიმეც არ ღალატობდა დაყოვნების პოლიტიკას, მან ჯამუშები-საგან უკვე იცოდა, რომ ჰანიბალს ზამთრისათვის საკმარისი მარაგი არ ჰქონდა და იგი აუცილებლად აპულიაში უნდა გადასულიყო. ამიტომ მოხერხებულად ჩაუკეტა უკან დასაბრუნებელი გზა. ამრიგად, ჰანიბალის მთელი ძალები ალყაში მოექცა [ქავთარია, 1979:63-66].

დიქტატორი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ჰანიბალი მოწყვეტილი იყო ზურგს და არსაიდან არავითარ დახმარებას არ ღებულობდა. გარე სამყაროს მოწყვეტილ ჰანიბალს, სანამ მის არმიას სული ედგა, აუცილებლად უნდა გაეწვია რომაელები ბრძოლის ველზე. რომაული დიპლომატია ფაბიუსს მაქსიმეს მეთაურობით, კარგად ხვდებოდა ჰანიბალის ამ გასაჭირს და მოხერხებულად უქმნიდა მას უომრად დამარცხების საფრთხეს: ამ ფაქტის ბრწყინვალე დადასტურებაა რომაელ დიპლომატთა გარკვეული ნაწილის მთელი ყურადღების ესპანეთზე გადატანა, რათა ჰასდრუბალისათვის იტალიაში შეჭრის შესაძლებლობა მოესპოთ. გამოცდილმა სარდალმა თავისი საქმე გააკეთა. მისი მოწინააღმდეგენი აცხადებდნენ, დიქტატორმა მთელი ექვსი თვე სრულ უმოქმედობაში გაატარაო. სინამდვილეში ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი II პუნიკური ომის მსვლელობაში. რომმა პირველად იგრძნო საკუთარი ძალა და აუჩქარებელი მოქმედების ნამდვილი ფასი [ქავთარია, 1979:66-67].

ამგვარად, ამ ბრძოლაშიც დამარცხდნენ რომაელები, ხოლო „ამ მძიმე ომის

მიუხედავად, რომაელები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ არც ერთ საქმეს, არც ერთ საზრუნავს“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 68).

კანეს ბრძოლა: (ძვ.წ.216 წ). ამასობაში ფაბიუს მაქსიმეს დიქტატორობის ვადა გავიდა.რომში ბრძოლა გაჩაღდა უმაღლესი ხელისუფლების დასაკავებლად რამდენიმე კანდიდატი ესწრაფოდა კონსულის თანამდებობას. ბოლოს ისინი შეთანხმდნენ და კონსულებად აირჩიეს გაიუს ტერენციუს ვარონი დემოკრატიის წარმომადგენელი და ლუციუს ემილიუს პავლე არისტოკრატთა ლიდერი[ქავთარია, 1979:67]. პავლე და ვარონი სამხრეთისკენ დასაპირისპირებლად გაემართნენ [Fronza, 2011:245].

ტერენციუს ვარონი მოითხოვდა, კართაგენლებს დაუყოვნებლივ შეჰბმოდნენ, ემილიუს პავლე ფაბიუს მაქსიმე კუნქტატორის ტაქტიკის მომხრე იყო. ფაბიუსსაც მხოლოდ ის მიაჩნდა ღირსეულ სარდლად. ამას ადასტურებს მისი მიმართვა (თუ დარიგება) ემილიუსისადმი [ქავთარია, 1979:68]. ლივიუსის თანახმად: „შენ და ვარონი ერთმანეთს რომ ჰგავდეთ, რჩევა-დარიგებით თავს არ შეგაწყენდი.გონიერ ხალხს იგი არ სჭირდება, ხოლო უგუნურნი, სხვისი რჩევისადმი, საერთოდ ყრუნი არიან. მაგრამ ახლა ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სახელმწიფო ერთი ფეხით დაკოჭლდა და უგუნურ გეგმებს გონიერთან ერთად თანაბარი ძალა და პატივი ენიჭება, შენ ხომ მტერს მხოლოდ მწყობრში შეებრძოლები, ამხანაგს კი ყველგან და ყველა დროს. ჰანიბალის წინააღმდეგ შენ ცხენოსანი და ქვეითი ჯარი გყავს, ტერენციუსის წინააღმდეგ კი უიარაღო ხარ“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 80). ასე დაარიგა გამოცდილმა ფაბიუსმა კონსული ემილიუს პავლე. ეს არ იყო შემთხვევითი ლამაზსიტყვაობა. ფაბიუსი ასრულებდა ყოველივე მისგან თქმულს. ფაბიუსმა და ემილიუს პავლემ იცოდნენ ჰანიბალის აქილევსის ქუსლი, ყველაზე უკეთ ეს თვით ჰანიბალმა იცოდა და ამიტომაც ცდილობდა და ისწრაფოდა, გაიმართა გენერალური ბრძოლა [ქავთარია, 1979:68]. ამ ბრძოლაში რომაელები დამარცხდნენ.

ნიშანდობლივია, რომ გენერალურ ბრძოლაში „დამარცხება რომისთვის ყველა უწინდელ დამარცხებაზე საშინელი იყო. ამ დამარცხების შემდეგ შეირყა მოკავშირეთა ერთგულება. წინათ მათ სჯეროდათ რომის სახელმწიფოს შეურყევლობა, ახლა ეს რწმენა გაუქრათ. პუნის მხარეს გადავიდნენ ჩრდილოეთი, მთელი სამხრეთი და შუა იტალიის მრავალი ტომი და ხალხი“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 98).

ცხადია, ამის შემდეგ ჰანიბალის მთავარი საზრუნავი იყო მოლაპარაკებებით

მშვიდობის დამყარებაზე რომაელების დაყოლიება. თუმცა ამაო გამოდგა ჰანიბალის მცდელობა, რადგან რომაულ დიპლომატიას ამაზე არც კი უფიქრია „რომში არავის ფიქრადაც კი არ მოსვლია მტრისთვის ზავი ეთხოვა“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 98).

კანესთან ბრძოლის შემდეგ რომაული დიპლომატიის მანევრები აშკარად გამოიკვეთა. რომი იძულებით დიპლომატიასთან ერთად კამპანიელებს ვალდებულს ხდის ელჩები რომაელ კონსულთან გაგზავნოს.

ისტორიკოსის ცნობით: „კანესთან ბრძოლის დამთავრებისთანავე კაპუელები ალაპარაკდნენ, დროა რომთან კავშირი გავწყვიტოთ...რომის ჯარში ძალზე ბევრი კამპანიელი იყო., რომელთაგან ყველაზე მეტად საუკეთესო ოჯახებიდან გამოსული სამასი ჭაბუკის ბედი აფიქრებდა: რომაელებმა ისინი საგუშაგო რაზმებში გაამწყესეს და სიცილიის სხვადასხვა ქალაქებს იცავდნენ. სინამდვილეში რომაელები მათ მძევლად იტოვებდნენ. ამ სამასი ჭაბუკის მშობლებმა დაარწმუნეს თანამოქალაქეები, რომ კონსულთან ელჩები გაეგზავნათ“ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 100-101).

ლივიუსის ცნობით: „ელჩებმა კონსულ ვარონს ვენუზიუმში მიაგნეს..კონსულმა მათ გული გადაუშალა, რაც სრულიად უადგილო იყო, ელჩებმა სენატისა და კამპანიელი ხალხის სახელით რომაელებს ყოველგვარი დახმარება რომ აღუთქვეს“, შესძახა: „ჩვენ ყველაფერი გვესაჭიროება, რადგან არაფერი გაგვაჩნია გაიგეთ კამპანიელებო, რომ ჩვენი დამარცხება თქვენი დამარცხებაცაა...“ ვიბიუს ვირიუსმა თქვა: „დრო დაგვიდგა! ჰანიბალთან ხელშეკრულება უნდა დავდოთ. კაპუაში ამ აზრს აღტაცებით შეხვდნენ და ელჩები ჰანიბალთან გაგზავნეს“. დაიდო ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: „კაპუაში მართვა-გამგეობა საკუთარი კანონების საფუძველზე ექნებოდათ (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 101-102).

ჰანიბალის და ფილიპეს კავშირი. მეორე პუნიკურ ომებში ჰანიბალის მოქმედებებს ყურადღებით ადევნებდა თვალს მაკედონიის მეფე ფილიპე V, რომელმაც გადაწყვიტა, რომის საწინააღმდეგოდ შეექმნა ალიანსი. ამიტომ კართაგენსა და მაკედონიას შორის შეტევითი ალიანსის დადება დიდი ხნის განმავლობაში იყო მოლაპარაკების საგანი, რადგან ჯერ ანტიგონოსის უცარი სიკვდილით შენელდა, შემდეგ კი ანტიგონოსის მემკვიდრე ფილიპეს გაურკვევლობით და ელინური ომით [Моммзен, 1997:583], ხოლო „ფილიპე V-ს ძალიან აფიქრებდა ბალკანეთში რომაელთა

გავლენის გაძლიერება. ამიტომ იგი კართაგენლებზე უკეთეს მოკავშირეს ვერც ინატრებდა“ [ქავთარია, 1979:91].

თავდაპირველად, „რომაელები ყურადღებას არ აქცევდნენ მაკედონიის მეფე ფილიპეს, რომელმაც მათთან ომი დაიწყო და საერთოდ არ უფიქრიათ მასზე, რადგან იტალია ჰანიბალის დარტყმის ქვეშ ჯერ კიდევ იტანჯებოდა. გარდა ამისა, რომაელებს ამ დროს ლიბია, კართაგენი და იბერია უკვე დაკავებული ჰქონდათ“ (App., *Historiae romanae*, IX.1).

როცა დარწმუნდა, რომ კართაგენელთა გამარჯვება საეჭვო აღარ იყო, გადაწყვიტა, მაკედონიაც ჩაერთო ომში. ამ მიზნით, ფილიპე V-მ ძვ.წ. 215 წელს [ქავთარია, 1979:91]. იტალიაში ელჩები ქსენოფანეს მეთაურობით ჰანიბალთან გაგზავნა (App., *Historiae romanae*, IX.1). ელჩობა გადავიდა იტალიაში, საკმაო სიფრთხილედ გამოიჩინა, მაგრამ [ქავთარია, 1979:91]. გზად რომის საგუშაგოს გადააწყდნენ და ისინი პრეტორ მარკუს ვალერიუსს მიჰგვარეს (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 113). ელჩები შეიპყრეს და ლუცერიაში მდგომ პრეტორს მიჰგვარეს. მისია თითქმის განწირული იყო, მაგრამ მისმა მეთაურმა ქსენოფანემ გამოსავალი გამონახა [ქავთარია, 1979:91]. ელჩების მეთაურმა ქსენოფანმა იცრუა, მეფე ფილიპემ დამავალა, რომის სენატთან და ხალხთან კავშირი დაამყარეო. პრეტორს ძალიან გაუხარდა და მტერს, რომელიც მეგობრად მიიჩნია, გამცილებლები და მცველები გააყოლა (ლივიუსი ომი ჰანიბალთან, 113-114). პრეტორმა დელეგაციას ძირითადი ტაქტიკური ინფორმაცია გადასცა იმის შესახებ [Robinson, 1932:310], რომ კართაგენლებს არ ჩავარდნოენ ხელთ. ქსენოფანტემ უმტკივნეულოდ დააღწია თავი რომაელთა ტყვეობას, გაითვალისწინა პრეტორის მითითება და სულ ადვილად მიაღწია კართაგენელთა ბანაკს [ქავთარია, 1979:91] და დაასრულეს დაკისრებული მისია [Robinson, 1932:310]. ამ ხრიკის წყალობით, ფილიპე V-ის ელჩებმა უსაფრთხოდ მიაღწიეს ჰანიბალს [Шофман, 1963:434].

ჰანიბალმა სიხარულით მიიღო ფილიპე V-ს წარმომადგენლები გაფორმდა კავშირი [ქავთარია, 1979:91]. ფილიპე V დაჰპირდა ჰანიბალს, რომ თუ იგი ელადის დამორჩილებაში დაეხმარებოდა მას მაშინ ფილიპე იტალიის წინააღმდეგ იქნებოდა მისი მოკავშირე (App., *Historiae romanae*, IX.1). მათ შორის შეთანხმებამ შემფოთება გამოიწვია რომში, რადგან მაკედონიურ-კართაგენელთა მეგობრული შეთანხმება მთელი ხმელთაშუა ზღვის სამყაროს გავლენის ორ სფეროდ დაყოფას ნიშნავდა

აღმოსავლეთი ნახევარი ფილიპეს გავლენის ქვეშ გადავიდოდა, ხოლო დასავლეთი ჰანიზალის. ასეთი დაყოფით რომს ადგილი არ ჰქონდა მსოფლიოში [Cepreev, 1959: 67-68].

ძვ.წ. 215 წ. ფილიპეს და ჰანიზალს შორის დადებული ხელშეკრულება „ზოგადი წესის თანახმად, იწყებოდა ფიცით და დაპირებებით“ [Cepreev, 1959:67], ჰანიზალმა დაიფიცა, რომ დაიცავდა ხელშეკრულებას და თავის მხრივ, ფილიპესთან ელჩები ფიცის მისაღებად გაგზავნა (App., *Historiae romanae*, IX. 1).

პოლიბიოსის თანახმად: „კართაგენის არმიის მთავარსარდალი ჰანიზალი ჰამილკარის ძე და ყველა კართაგენის უმაღლესი საბჭოს წევრები, ერთის მხრივ, და მაკედონიის მეფე ფილიპე, დემეტრეს ძე, მეორე მხრივ ფიცს დებენ ყველა ღვთაების წინაშე“ (Polyb., *Historiae universales*, VII. 9).

ლივიუსი აღნიშნავს: „მეფე ფილიპეს კავშირი შესთავაზეს, თან ასეთი პირობები წამოუყენეს: ფილიპე დაეხმარებოდა პუნებს ბრძოლაში, სამაგიეროდ, ჰანიზალი მთელს იტალიას და ქალაქ რომს რომ დაიპყრობდა და კართაგენის ხელისუფლებას დაუმორჩილებდა, შემდეგ საბერძნეთში გადავიდოდა და თავის მხრივ დაეხმარებოდა მეფეს მაკედონიის მომიჯნავე მიწებისა და კუნძულების დამორჩილებაში. ჰანიზალმა კავშირის პირობები მიიღო და ქსენოფანე ამხანაგების თანხლებით უკან გაბრუნდა“ (ლივიუსი, ომი ჰანიზალთან, 113-114). მაგრამ უკან დაბრუნებისას კართაგენის წარმომადგენლები რომაელებმა შეიპყრეს. ელჩებმა წამებას ვერ გაუძლეს და აღიარეს თავიანთი მისიის მიზანი. რომისათვის ნათელი გახდა საიდუმლო მოლაპარაკების არსებობა [ქავთარია, 1979:92-93].

მაკედონელებმა გაქცევა დააპირეს, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომის სწრაფ გემებს ვერსად წაუვიდოდნენ, დანებდნენ, ელჩები ფლოტის უფროსთან მიიყვანეს. „მან გამოჰკითხა ვინ არიან, საიდან მოდიან და სად მიდიან ქსენოფანემაც ისევ იცრუა, რომში მივდიოდით...“, მაგრამ კართაგენელთა გარეგნობამ და ტანსაცმელმა რომაელები დააეჭვა, ხოლო მათმა ბარბაროსულმა კილომ ისინი გასცა. როგორც საჭიროა, ისე დააშინეს და მალე უპოვეს ფილიპესადმი მიწერილი ჰანიზალის წერილიცა და მასთან ერთად კართაგენელთა ბანაკში დადებული ხელშეკრულებაც. გადაწყვიტეს, ტყვეები და მათი მსახურები დაუყოვნებლივ რომში ან ერთ-ერთ კონსულთან მიეყვანათ (ლივიუსი, ომი ჰანიზალთან, 114-115). ისტორიკოსის ცნობით:

„საჩქაროდ გაამზადეს ხუთი საუკეთესო ხომალდი, ჩასვეს მტრის ელჩები... ახალი ომის მოახლოებამ უკიდურესად შეაშფოთა სენატორები“, მაგრამ სენატმა გადაწყვიტა, ელჩები ციხეში ჩაესვათ, მათი მსახურები კი მონებად გაეყიდათ. მეფემ შეიტყო, რომ მისი ელჩები და ჰანიზალის საპასუხო წერილი მტრის ხელში იყო. ლივიუსის ცნობით, „დაბნეულმა ფილიპემ ახალ ელჩებს იგივე დავალება მისცა...“ ჰანიზალი ამჯერადაც დაეთანხმა ფილიპეს წინადადებას მაგრამ სანამ ელჩები პასუხს მიიტანდნენ, ზაფხულიც მიიწურა. ერთი გემის ასე შემთხვევით დატყვევებამ, თუ მთლად არ გაფანტა რომის თავზე ჩამოწოლილი საშიშროება, დროებით მაინც შეაჩერა იგი (ლივიუსი, ომი ჰანიზალთან, 115).

ზამას ბრძოლა: (ძვ.წ. 202 წ).იტალიაში მეორე პუნიკური ომისგან განსხვავებით რომაელებმა წარმატებას მიაღწიეს აფრიკაში.ზამას ბრძოლაში [Coco, 2019:39].

ისტორიკოსის ცნობით: „კართაგენში დაბრუნებულმა ჰანიზალმა სენატს აუწყა, წაგებულია არ თუ ბრძოლა წაგებუ ღია მთლიანად ომი... და ხსნა მხოლოდ ზავში უნდა ვეძებოთ“ პუნებს განუცხადეს, „მუხანათობისათვის სასჯელად ზავს მეტად მკაცრ პირობებში დაგიდებთო. რომაელების თანხმობისა და ნებართვის გარეშე არ იომებენ არც აფრიკაში და არც მის საზღვრებს გარეთ...“ ელჩები სციპიონთან დაბრუნდნენ და აუწყეს, რომ კართაგენი იღებს მის პირობებს. გამოაცხადეს დროებითი ზავი სამი თვით, კართაგენის ელჩებს სციპიონმა ლურციუს ვეტურიუს ფილონი გააყოლა, სენატმა დიდი აღტაცებით მოუსმინა ფილონს, ხოლო „ელჩების მიღება იმ დრომდე გადასდო, სანამ ახალი კონსულები თავიანთი მოვალეობის შესრულებას არ შეუდგებოდნენ“ (ლივიუსი, ომი ჰანიზალთან, 368-370).

ძვ.წ. 202 წელს „ზამაში ჰანიზალსა და სციპიონს შორის გამართულ ბრძოლაში ჰანიზალი დამარცხდა“ [Септеев, 1959:68].

ძვ.წ. 201 წელს კართაგენთან მეორე პუნიკური ომის დასრულებამ რომი დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ დაადგინა. ომი იმისათვის იმართებოდა, რომ მეორე მხარე დაემორჩილებინა და ხელშეკრულება დაედო, რომელიც ხელს უწყობდა გამარჯვებულს [Goldsworthy, 2006:248].

მესამე პუნიკური ომი: (ძვ.წ. 149-146 წწ). რომისა და კართაგენის საბოლოო დაპირისპირება, რომელიც მთლიანად აფრიკაში მიმდინარეობდა ოთხი წელი გაგრძელდა და ძვ.წ. 146 წელს დასრულდა კართაგენის სრული განადგურებით.

ექვგარეშეა, რომ მესამე პუნიკური ომი იყო გადაწყვეტილება, გაენადგურებინათ ძველი მტერი [Coco, 2019:40].

კართაგენსა და რომს შორის ძვ.წ. 149-146 წწ. მესამე პუნიკური ომი იყო უკასკნელი სამშვიდობო ხელშეკრულება საბოლოოდ უკრძალავდა კართაგენს რომის ნებართვის გარეშე ომის წარმოებას [Kunze, 2015:398].

ლივიუსის თანახმად: „კატო მოითხოვს კართაგენის საბოლოო განადგურებას“ (Liv., Ab urbe condita, Перियों, 150-149).

უფროსი სენატორი კატონის მიერ კართაგენის ზიზღი იმდენად კარგად იყო ცნობილი, რომ მე-18 საუკუნიდან მას მიაწერეს თავისი ყველა გამოსვლის დასრულება „Carthago delenda est“ „კართაგენი უნდა განადგურდეს“ [Vogel-Weidemann, 1989: 79].

სენატში ამ პოლიტიკის ბევრი მოწინააღმდეგე იყო მაგრამ კატონის სიმტკიცე სჯობნიდა. ომის მიზეზის პოვნა ძნელი არ იყო: მასინისა კართაგენელთა წინააღმდეგი იყო ხოლო „კართაგენი რომთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, რომელთა ნებართვის გარეშე არ შეეძლო ვინმესთან ომის გამოცხადება“ [Немировский, 2000:29-30].

კართაგენის ელჩებმა სცადეს მოლაპარაკება რომთან, თუმცა უკვე უშედეგო იყო დიპლომატია [Le Bohec, 2015:431].

კართაგენის სამფლობელო რომის აფრიკულ პროვინციაში ჩაირიცხა. ასე ალიგავა დედამიწის პირიდან ოდესღაც ცნობილი კართაგენის მონათმფლობელური რესპუბლიკა“ [წერეთელი, 1992:102-104].

ამიერიდან რომაული კართაგენის მიმართ სამუდამოდ დარჩა [Harris, 2006: 156].

ამრიგად, ამასთან ერთად, იწყება მისი ექსპანსიის ახალი პერიოდი ელინისტური აღმოსავლეთის მხარეებში შეღწევა, რაშიც მას ელინისტური სახელმწიფოების რთული საერთაშორისო მდგომარეობა და შინაგანი კრიზისი უწყობს ხელს [წერეთელი, 1992:86-87].

4.4 „აღმოსავლური პოლიტიკა“ და რომის დიპლომატია

რომის აღმოსავლური პოლიტიკის ძირითადი ობიექტები იყვნენ: ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბერძნები და ელინისტური სახელმწიფოები. ელინისტურ სამყაროსთან ურთიერთობები იყო გადამწყვეტი. ამიტომ დიქტომია რომი-ელინიზმი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი იყო ახალ სამყაროში [Беликов, 2003:3]. ამის გარდა, „რომმა დიპლომატიის ინტერვენციით დაიწყო აღმოსავლეთის დაპყრობა“ [Моммзен, 1997:35]. შესაბამისად, „რომმა თავისი აგრესია ბალკანეთის ნახევარკუნძულისკენ მიმართა, ეს იყო აღმოსავლური პოლიტიკის დასაწყისი“ [ქავთარია, 2016:250]. აღსანიშნავია, რომ „აღმოსავლეთის ომში მონაწილე ყველა სახელმწიფოსთან რომაული თემი ნომინალურ მეგობრობაში იმყოფებოდა და მათზე განხორციელებული თავდასხმისგან დაცვა შეეძლო“ [Моммзен, 1997:35].

ნიშანდობლივია, რომ „ძვ.წ. III-II საუკუნეებში რომაულმა დიპლომატიამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეს დაემთხვა ბრძოლის ყველაზე ინტენსიურ პერიოდს, მეორე და მესამე პუნიკურ ომებს და რომის ომებს ელინისტურ სამეფოებთან. მისი შედეგი ნეიტრალური ქვეყნების, განსაკუთრებით ბერძნულ-ელინური სახელმწიფოების მიმართ იყო დამოკიდებული“ [Сергеев, 1959:69].

რომი აღმოსავლეთში ეყრდნობოდა არა სოციალურ, არამედ პოლიტიკურ სტრუქტურებს, არა ფენებად და კლასებად დაყოფას არამედ სახელმწიფოებს. თუმცა სენატს არ აინტერესებდა დემოკრატიული, მონარქიული თუ ოლიგარქიული სახელმწიფოები, რადგან სენატი პოლიტიკურ მომენტებს განსაზღვრავდა და ნებისმიერი მოკავშირე იყო ღირებული [Беликов, 2003:257]. ამიტომ „მაშინდელი სამყარო სავსე იყო დიპლომატიური საქმიანობით, რასაც უსასრულო რაოდენობის ხელშეკრულებები და ალიანსები მოჰყვა“ [Ростовцев, 2013:79].

აღმოსავლურ პოლიტიკაში „რომმა თავის უძლეველ მახვილს გვერდით დაუყენა მრავალგზის ნაცადი დიპლომატიური, „divide et impera“ („გაჰყავი და იბატონე“). რომელი დიპლომატები საუკეთესოდ იყენებენ მუდმივ მტრობას მაკედონელებსა, ბერძნებსა, ილირიელებსა, დარდანებსა, ათამანებსა სხვ. შორის“ [სანიკიძე, 1970:6].

რომი ელინისტურ მონარქიებში აქტიურად იყენებდა ურთიერთობების ასპექტებს [Куликов, 2004:5]. აღსანიშნავია, რომ „რომი უმეტეს შემთხვევაში იცავდა ხელშე-

ეკრულებების პირობებს, თუმცა ხელშეკრულების დარღვევას აჯანყებად თვლიდა [Ростовцев, 2013:82-83], ხოლო „დიპლომატიაში იყენებდა „ამიციტურ“ ურთიერთობებსაც, თუმცა ილირიული ომების დასაწყისიდან და ეტოლიასთან ალიანსის შემდეგ ეს ურთიერთობები შეცვალა“ [Vasilev, 2018:221].

რომაული დიპლომატიის ახალი პრინციპი იყო, ელადის თავისუფლების იდეა.

ბარბაროსობიდან თავდაღწეულ რომზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენდა „დამოუკიდებელი“ ელადის დამოუკიდებლობა [ქავთარია, 2016:285]. ბერძნებს დღეიდან შეუძლიათ „იცხოვრონ მამაპაპეული კანონებით...საკუთარი წესებით“. ამიტომ სრულიად ბუნებრივი, სარწმუნო და გასაგებია ბერძენთა აღტაცება [სანიკიძე, 1970:43]. თუმცა „თავისუფალი“ ბერძნები მალე დარწმუნდნენ, რომ რომაელების მიერ მინიჭებული თავისუფლება არაფრით განსხვავდებოდა იმ უფლებებისაგან, რომლებითაც მაკედონიის უღელქვეშ იტანჯებოდნენ. საბერძნეთის გათავისუფლების პოპულარული იდეა რომაული დიპლომატიის კარგად გათვლილი პროპაგანდისტული ნაბიჯი იყო რათა, ეჩვენებინა აღმოსავლეთის ხალხებისათვის რომაული წესრიგის უპირატესობა [ქავთარია, 2016:254].

ჩვენც ვიზიარებთ ლიტერატურაში დომინირებულ აზრს, რომ რომაული დიპლომატია ელადის „თავისუფლების“ იდეაში გამოვლინდა. რომაელებმა და მისმა მოკავშირეებმა ელადის თავისუფლება დიპლომატიური და სამხედრო მოქმედებების გასამართლებლად გამოიყენეს. რომი ეშმაკური დიპლომატიით თავისუფლების სანაცვლოდ გარკვეულწილად მხარს უჭერდა ელადას. სინამდვილეში კი ეს იყო რომაული დიპლომატიის ერთ-ერთი ხერხი, რომელმაც საბოლოოდ ელადის დაპყრობა გამოიწვია.

რომაული დიპლომატიის მანევრი მაშინ გამოვლინდა, როდესაც „მაკედონიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს რომი გამოდიოდა ელადის დამოუკიდებლობის დამცველად, რაც მის პოპულარობას ელინურ პოლისებში საოცრად ზრდიდა“ [ქავთარია, 2005:434].

ნიშანდობლივია, რომ „საბერძნეთი და აზიის ბერძნული ქალაქები, რომლებიც ადრე მაკედონიას ექვემდებარებოდნენ თავისუფლად გამოცხადდა“. ფილიპე V იძულებული გახდა მთელი ფლოტი და ჯარი გაენადგურებინა. „ანტიოქოსთან ომი (ძვ.წ. 193-189 წწ.) რომელიც მაკედონიასთან ომით იყო გამოწვეული, გალათიის ომი

მოჰყვა. ანტიოქესგან მიღებული მიწები როდოსსა და პერგამონის მეფეს შორის გაიყო“. დიპლომატიურმა მოლაპარაკებებმა და დიდსულოვანმა ილუზიებმა პოლიტიკა იდეალურ ფერში დახატა: რომი იბრძვის არა საკუთარი თავისთვის არამედ ჩაგრული ხალხების თავისუფლებისთვის! ფაქტობრივად, სამხედრო ინტერვენციისა და დიპლომატიური ინტრიგების პოლიტიკა აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების დასუსტების მიზნით განვითარდა [Feppepo, 1925:17].

რომაული დიპლომატიის პრინციპი იყო: „ყველა უცხოელის მიმართ ზიზღი და თვითნებური გადასახადის დაწესება, რომელმაც მოღალატე და მზაკვრული ინტრიგებით მოკავშირე სახელმწიფოები როდოსი, პერგამონი და ეგვიპტე ვასალების პოზიციამდე დაიყვანა...“ ამავე დროს რომაელები ცივილიზებულ სახელმწიფოებს, არჩევანის წინაშე აყენებდნენ“ [Feppepo, 1925:21-22].

უნდა ითქვას, რომ ციცერონის შეხედულებებში ასახული, ის ქედმაღლური დამოკიდებულება, რაც დამახასიათებელი იყო რომაელებისათვის საერთოდ დაპყრობილი არა რომაელი ხალხის მიმართ. კარგად ჩანს მის მიერ თუნდაც აზიის მოსახლეობის უარყოფითი შეფასებითაც, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ამ ხალხთაგან რომის „მოკავშირედ და მეგობრად“ ითვლებოდა. აი ციცერონის სიტყვებიც [სურგულაძე, 1993:56] „განა ფრიგიელი ცემით უკეთესი გახდება? აბა რა ვთქვათ კარიის შესახებ? თუ გსურს ჩაატაროთ სახიფათო ცდა, ეს უნდა გააკეთოთ კარიელის მიმართ. არის კი ბერძნულ ენაში უფრო მოარული გამოთქმა ზიზღის გამოსახატავად, ვიდრე „ყველაზე უკანასკნელი მისიელი“? ლიდის შესახებ კი ლაპარაკიც არ ღირს. არსებობს კი ისეთი ბერძნული კომედია, სადაც მონად არ იყოს გამოყვანილი პირველ რიგში ლიდელი? (Cic., Pro flacco, XXVII).

ციცერონს მიაჩნდა, რომ რომაელები სხვებზე ბატონობისათვის იყვნენ გაჩენილნი. თავადაც აღნიშნავდა: რომაელების გადაქცევა სხვის, ვინც არ უნდა იყოს იგი, მსახურად არის სამყაროს დარღვევა რადგანაც ღმერთების ნებით ისინი შექმნილია ყველა სხვა ხალხზე მბრძანებლობისათვის [სურგულაძე, 1993:56].

ინგლისელი მკვლევარი ერინგტონი მიიჩნევდა: „არც ერთ ბერძნულ სახელმწიფოს არ შეეძლო უარი ეთქვა რომის არბიტრაჟზე ყოფნის“ [Errington, 1972: 238] და ელჩებიც წინააღმდეგობას არ ელოდნენ. ამიტომ ყველა შემთხვევაში რომისთვის „ორმაგი დიპლომატია“, იყო სასარგებლო ან გაერთიანდებოდნენ მასთან ან უარის

შემთხვევაში რომი გაანადგურებდა [Беликов, 2003:257]. ამ დროს აღმოსავლეთში ძალაუფლების პოლიტიკაც მუდმივ ევოლუციაშია [Eckstein, 2008:8-9]. ამის მიუხედავად, ელინისტურ სამყაროშიც კი საღი აზრი და დიპლომატიური უნარი გადარჩენისთვის იყო საჭირო, რადგან ელინ მეფეს თავისი პოზიცია, რომ შეენარჩუნებინა მას გამჭირაობა სჭირდებოდა [Evans, 2012:24].

ბერძნებს და რომაელებს უფრო მეტი საერთო ჰქონდათ კულტურაში, ვიდრე სხვებს [Evans, 2012:25]. ამის მიუხედავად, „რომმა, ბერძნული სამყაროს გავლენის გარეშე, მოახერხა საკუთარი ნორმების შექმნა“ [Ростовцев, 2013:81].

აღსანიშნავია, რომ „ატალუსი არ იყო პირველი ელინი მონარქი, რომელიც რომთან მეგობრობა სურდა. ძვ.წ. 272 წელს პტოლემე II ფილადელფოსმა რომის სენატში საელჩო გაგზავნა“. აღმოსავლეთ საბერძნეთისა და ეპირიის სხვადასხვა ქალაქები რომაელებთან ცდილობდნენ კავშირის დამყარებას. ეს განსაკუთრებული მას შემდეგ გახდა, როდესაც რომმა ძვ.წ. 241 წელს კართაგენზე გაიმარჯვა. „ელინისტური სამყაროს საგარეო ურთიერთობებში კავშირები დამყარების შეთანხმება არ იყო უაზრო მიღწევა, რადგან რომის მიერ სამხრეთ იტალიის დაპყრობამ ნებისმიერ შემთხვევაში, მის მმართველობაში მრავალი ბერძნული ქალაქი მოიყვანა“ [Evans, 2012:25], რომელმაც ხელი შეუწყო რომაული დიპლომატიის მანევრს, რადგან რომაელებმა დაამყარეს პოლიტიკური გავლენა ბერძნულ ქალაქებზე „რომლებსაც საბერძნეთსა და ეგეოსთან კავშირი ჰქონდათ. ამიტომ, მცირე აზიის ბერძენი მკვიდრნი ამ პერიოდში რომაელებს დაუახლოვდნენ. ატალუსის თვალსაზრისით, შორეული მოკავშირე ბევრად უფრო მიმზიდველი იყო, ვიდრე ნებისმიერი ახლო“. ფაქტობრივად, მაშინ პერგამონს გალათიური ტომები განადგურებით ემუქრებოდნენ. თუმცა ისინი თვით ატალუსმა დაამარცხა. ჩრდილოეთით მდებარე ბითვინია იყო საშიშროების მუდმივი წყარო, ხოლო მაკედონია და სელევკიდები პერგამონს უფრო მეტად თვლიდნენ დასაპყრობად, ვიდრე პოტენციურ მოკავშირედ. „რთულად გასაგებია, რომ ატალუსი ამ პირობებში უფრო შორს უნდა იყურებოდეს. პტოლემე IV ეგვიპტელმა ერთგვარმა მფარველმა დაამარცხა ანტიოქე III. მაგრამ ატალუსისთვის უფრო მიმზიდველი, იყო სირაკუზის მეფის ჰიერონ II-ის მაგალითი“, რომელმაც რომთან ალიანსში პირველი პუნიკური ომის პირველი წლებიდან გამოძებნა საერთო ენა და იგი ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებში გავლენიანი ფიგურა იყო ხმელთაშუა ზღვაში [Evans, 2012:25].

კანეს ბრძოლის, „ჰანიბალსა და ფილიპე V-ს შორის შეთანხმების შემდეგ, რომის პოზიცია შესაძლოა დამარცხებისა და კატასტროფის ზღვარზე ჩანდეს“. ხმელთაშუა ზღვაზე მდებარე სხვა სახელმწიფოები შეიძლება უყურებდნენ და ელოდნენ, თუ რა მოხდებოდა ამ შეთანხმების შემდეგ. „თუმცა რომი არც ისე სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილა, რადგან რომაელებს ცოცხალი ძალის უზარმაზარი რეზერვები გააჩნდათ და ამ დროისთვის ნებისმიერი სახელმწიფოს, ყველაზე ცუდად ინფორმირებულ ლიდერსაც კი არ შეიძლებოდა, რომ ეს არ სცოდნოდა“ [Evans, 2012: 25].

ჰანიბალთან შეთანხმება: „პირველ რიგში, აჩვენებდა იმას, რომ რომაელები ჯერ კიდევ მართავდნენ საზღვაო გზებს... და მეორეც, რომ ახალგაზრდა ფილიპე შეიძლება არც ისე უხერხულად ყოფილიყო განწყობილი რომთან ომის საწინააღმდეგო პერსპექტივის შესახებ“. შესაძლოა მას კონტინენტური ბერძნების ბედი ახსოვდა, რომლებსაც საბრძოლო კამპანია ჰქონდათ განსაკუთრებით პიროსში, თუმცა მან სამ მთავარ სახმელეთო ბრძოლაში წარმატების შემდეგაც კი ვერ შეძლო რომთან მშვიდობის მოპოვება. რომის დამარცხების მიუხედავად, ძვ.წ. 215 წელს რომაული სახელმწიფო ჯერ კიდევ განუზომლად ძლიერი იყო ვიდრე ძვ.წ. 275 წელს [Evans, 2012: 25].

რომაულ-ილირიული ომები: (ძვ.წ. 229-219 წწ). ძვ.წ. III საუკუნის 40-30-ან წლებში ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში უკვე დაშლილ-დაქუცმაცებული და პოლიტიკურად დასუსტებული ბერძნული სამყაროს ჩრდილოეთის საზღვარზე ილირიის სახელმწიფო ბატონობდა [სანიკიძე, 1963:39].

პირველი პუნიკური ომის შემდეგ რომის პოლიტიკური ასპარეზიც ფართო სივრცეში გადავიდა. „ამ დროს სენატს შეზღუდული მიზანი ჰქონდა, რომელიც იყო სამხრეთ იტალიის აგრესიის პირდაპირი გაგრძელება“, ხოლო „სამხედრო ოპერაციები შედარებით მცირე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ალბათ ამავე დროს იზადება რომაელების უძლევლობისა და რჩეულობის შესახებ იდეაც“. მაგრამ უბრალო ხალხს გამარჯვებისგან თითქმის არაფერი მიუღია, „გალიურ ველზე“ მიწების დაპყრობა იყო ზღვაში წვეთი. ამიტომ საჭირო იყო ახალი მიწები და შესაბამისად, ახალი ომები. სწორედ „რომაული იმპერიალიზმი“ აქედან იღებს სათავეს [Беликов, 2003:45].

ილირიის ექსპანსიას დაემთხვა რომის ინტერესები [Dell, 1967:358]. რომაელებმა ილირიული ომის დროს ძვ.წ. 229 წელს პირველად გამოიყენეს „amicus populi romani“

ანუ რომელი ხალხის მეგობრის ტიტული, რომელმაც რომთან დიპლომატიური მასშტაბები განსაზღვრა [სანიკიძე, 1970:5].

პირველი ილირიული ომი (ძვ.წ. 229-228 წწ.). გაგრძელდა პირველი პუნიკური ომის შემდეგ. ამ დროს, დედოფალ ტევტას მმართველობის დროს არდიების ძალაუფლებაც გაიზარდა [Wilkes, 1992:120].

ილირიას ძალას მატებდა მაკედონიის ძლიერ მეფე დემეტრე II-თან კავშირი. რომს, სანამ მას ჩრდილოეთ იტალიის დამორჩილება დამთავრებული არ ჰქონდა, მანამ ბალკანეთის საქმეებში ჩარევის სურვილიც არ უნდა გასჩენოდა. მაგრამ [სანიკიძე, 1963:40]. პოლიბიოსის თანახმად: „ილირიელების ფლოტმა უამრავი იტალიელი ვაჭარი გაძარცვეს, ზოგი გაძარცვული მოკლეს“ (Polyb., *Historiae universales*, II. 8).

იტალიის გემებზე ილირიელთა სისტემატურმა თავდასხმებმა რომი გადამჭრელ ღონისძიებათა მიღების გზაზე დააყენეს [სანიკიძე, 1963:40].

ძვ.წ. 230 წელს რომის ხელისუფლებამ ელჩები გაუგზავნა ილირიის დედოფალ ტევტას და მოითხოვა მეგობრეთა ალაგმვა [სანიკიძე, 1970:4-5].

პოლიბიოსის ცნობით: რადგან „ილირიელები გამუდმებით თავს ესხმოდნენ იტალიის ვაჭარ ხალხს...“ როცა „სენატში ჩივილები უფრო ხშირად მოდიოდა, ილირიაში ელჩები გაიუს და ლუციუს კორუნკანიუსები გაგზავნეს...“ ისტორიკოსის ცნობით: „ამასობაში ტევტა ეპიროსიდან ნავებით მიტანილი ნადავლის სიმრავლითა და სილამაზით იყო აღფრთოვანებული. დედოფლის სურვილით ელინური ქალაქების მარცვა გააორმაგეს. ანტიკური წყაროების მიხედვით, „სწორედ ამ დროს მასთან რომელი ელჩები მივიდნენ და მათ მიმართ გამოწვეულ წყენებზე დაიწყეს საუბარი. ელჩები საუბრობდნენ, დედოფალი მკაცრად და ამპარტავნულად იქცეოდა. ტევტამ უპასუხა, ილირიაში წესად და ჩვეულებად არ არის ვინმეს დავუშალოთ ზღვაზე ნადავლის მოპოვებაო...“ ამ „სიტყვებმა ელჩებიდან ყველაზე ახალგაზრდა გაალიზიანა, რომელმაც თავს უფლება მისცა ასეთი პასუხი გაეცა: ჩვენ შევეცდებით ილირიელთა ასეთი ადამ-ჩვეულებანი უკეთესით შევცვალოთ. სახელმწიფო სჯის კერძო პირების მიერ გამოწვეულ შეურაცხყოფას და იცავს შეურაცხყოფილს. ღვთის შემწეობით რომი ეცდება ამ ჩვევის ილირიაში დანერგვას“ (Polyb., *Historiae universales*, II. 8).

აქედან გამომდინარეობს, რომ „ომის მიზეზი იყო ლუციუს კორუნკანიუსის

„ტაქტიკურობა“ [Беликов, 2003:51; Oost, 1954:11]. რაც იმას ნიშნავდა, რომ რომაელებმა დაიწყეს სხვის საქმეებში ჩარევა [Малеванный, 1969:21].

გაბრაზებულმა დედოფალმა შეწყვიტა მოლაპარაკება, მან ბრძანა ელჩებს დასდევნებოდნენ და მოეკლათ თავზედი ელჩი ლუციუსი. ეს სრულად საკმარისი იყო იმისათვის, რომ რომს ილირიისათვის ომი გამოეცხადებინა (Polyb., *Historiae universales*, II. 8).

ამგვარად, ელჩის სიკვდილმა რომის სენატი აიძულა რომაული არმია კონსულების ლუციუს პოსტუმიუს ალბინუსისა და გნეუს ფულვიუს ცენტუმალუსის მეთაურობით გაეგზავნა [Wilkes, 1992:120]. ილირიელებმა რომაელთა მიახლოების შესახებ რომ შეიტყვეს, გაიქცნენ (Polyb., *Historiae universales*, II. 11).

კერკირაზე გაბატონებული ილირიული გარნიზონი უფროსი ბერძენი დემეტრე ფაროსელი მაშინვე რომაელთა მხარეზე გადავიდა და კუნძულიც მათ ჩააბარა. მალე ამის შემდეგ რომს მორჩილება გამოუცხადეს აპოლონიამ და კუნძულებმა. ამასობაში ილირის სანაპიროებს მიაღმა მეორე კონსულიც ლუციუს პოსტუმიუს ალბინუსი. პირველი დარტყმებისთანავე ილირიამ იგრძნო თავისი უძლურება რომაული იარაღის სიძლიერის წინაშე. ტევტაც გაიქცა [სანიკიძე, 1963:40].

ისტორიკოსის თანახმად: „ამის შემდეგ, რომაელები ილირიაში წავიდნენ და არდიელების ძალაუფლება მათ ძალაუფლებას დაუმორჩილეს. მათთან უამრავი ელჩობა მივიდა. ისინი რომაელთა დაცვას ენდობოდნენ და მეგობრულ ალიანსშიც მიიღეს“ (Polyb., *Historiae universales*, II. 11).

ტევტას იმედი ჰქონდა მაკედონიის მხარდაჭერისა, მაგრამ ეს იმედებია არ გაუმართლდა. რომაელთა სამხედრო ძალებმა ადრიატიკის ზღვა გადალახეს და ბალკანეთს მიაღწენ. სწორედ მაშინ მოკვდა მაკედონიაში ილირის მოკავშირე მეფე დემეტრე მეორე და პელას სასახლის კარზე ჯერ არავინ იცოდა ვის ჩაუვარდებოდა ტახტ-გვირგვინი. ამ დროს ბერძნები რომაელთა მხარეზე დადგნენ. მომდევნო ძვ.წ. 228 წელს ტევტამ [სანიკიძე 1970:5]. საზავო მოლაპარაკების გამართვა ითხოვა [სანიკიძე, 1963:41].

ჩვეულებამ მკაცრი მითითებით კომპენსაციის მოთხოვნით, ელჩების გაგზავნა მოითხოვა [Бокшанин, 1945:51]. შესაბამისად, „ეს ისეთი ვალდებულების შესრულება იყო, რომელიც მომგებიანი იყო რომისათვის რაც იყო რომაული დიპლომატიის ერთ-

ერთი მთავარი პრინციპი“ [Беликов, 2003:48].

პოლიბიოსის თანახმად: „ტევტამ რომაელებს საელჩო გაუგზავნა და მათთან ზავი დადო, რომლის მიხედვითაც ტევტა ინარჩუნებდა ილირიის დედოფლობას...“ ამის საფასურად მას რომისთვის უნდა: დაეთმო ადრიატიკის ზღვის სანაპირო ქალაქები და კუნძულები, რომლებიც რომაელებს უკვე ხელთ ეპყრათ (Polyb., *Historiae universales*, II. 12).

საბოლოოდ, რომმა ამ რეგიონში გაანადგურა მეკობრეობა [Stobart, 1962:44] და ადრიატიკის ორივე ნაპირზე მოიპოვა კონტროლი [Walbank, 1940:12]. რომს ჯერჯერობით ილირია პროვინციად არ გამოუცხადებია. ამის ძირითადი მიზეზი უთუოდ. კელტებთან ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ბრძოლები და კართაგენთან მოსალოდნელი ახალი დიდი ომი უნდა ყოფილიყო. რომს ჯერჯერობით ლოიალური დიპლომატიით უნდა დაეჭირა აღმოსავლეთის ქვეყნები [სანიკიძე, 1963:41]. ამასობაში „რომმა განდევნა ილირიული გარნიზონები საბერძნეთის რამდენიმე ქალაქიდან, მათ შორის ეპიდამნიდან, აპოლონიიდან, კერკირადან, ფაროსიდან და დაამყარა პროტექტორატი ამ ბერძნულ ქალაქებზე“ [Wilkes, 1992:120] და ილირიის სამხრეთი ოლქები. ყველა ესენი სამმართველოდ გადასცეს რომის მხარეზე გადასულ დემეტრე ფაროსელს. ეს პირველი „*Socius et amicus populi romani*“ (მოკავშირე და მეგობარი რომელი ხალხისა). აღმოსავლეთში ვალდებულებას კისრულობდა საჭირო შემთხვევაში სამხედრო ძალით მიშველებოდა რომს [სანიკიძე, 1970:5].

მეორე ილირიული ომი (ძვ.წ 220-219 წწ). ძვ.წ. 219 წელს რომის რესპუბლიკა ებრძოდა ციხალპური გალიის კელტებს და კართაგენთან იწყებოდა მეორე პუნიკური ომი [Dodge, 1995:164].

ბალკანეთზე განვითარებული მოვლენები რომს დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა. ტევტას გარდაცვალების შემდეგ... დემეტრიოს ფაროსელი მაკედონიის მხარდაჭერით შეუდგა დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას. ჩაერთო ბერძნების წინააღმდეგობაში, რომელსაც აწარმოებდა ანტიგონე დოსონი. ანტიგონე მალე გარდაიცვალა და ტახტი დაიკავა... ფილიპე V-მ. საერთო დამაბულობით ისარგებლა დემეტრიოსმა და ძვ.წ. 219 წელს მეკობრული ფლოტით თავს დაესხა ელინურ ქალაქებს“ [ქავთარია, 2016:175].

რომს და მის მოკავშირეებს სამხრეთ იტალიაში მეკობრეების თავდასხმები აწ-

უხეზდა [Boak, Sinnigen, 1965:127; Chester, 1965:482].

აპიანეს თანახმად: „ამ ყურადღების გაფანტვამ დემეტრეს მისცა დრო და ფლოტის სათავეში მყოფმა დემეტრემ ლისუსის სამხრეთით გაცურა და დაარღვია ადრე დადებული ხელშეკრულება“ (App., *Historiae romanae*, X. 8).

რომს „მოკავშირეობის“ ხელშეკრულება ავალდებულებდა დაეცვა თავისი ქვეშევრდომები. [ქავთარია, 2016:- 175].

ძვ.წ. 219 წელს რომაული ფლოტი და კონსულთა ორივე არმია ხელახლა მიაღწა ბალკანეთის დასავლეთ სანაპიროებს. ფილიპე მეხუთე მაკედონელმა, საბერძნეთის გართულებული საქმეებით ხელებშეკრულმა, ვერ მოახერხა დახმარებოდა მოკავშირეს. დემეტრე დარცხდა და მაკედონიაში გაიქცა. ილირია რომის მორჩილებაში შევიდა [სანიკიძე, 1970:5].

მესამე ილირიული ომი (ძვ.წ. 181-180 წწ). ძვ.წ. 171 წელს ილირიის მეფე გენტიუსი მაკედონელების წინააღმდეგ რომაელების მოკავშირე იყო. მაგრამ ძვ.წ. 169 წელს მან შეიცვალა მხარე და პერსევს მაკედონელს შეუერთდა [Montagu, 2000:47].

ისტორიკოსის თანახმად: „ილირიელების მეფე გენტიუსი მოკავშირეობდა პერსევთან. იგი რომაელების მმართველობის ქვეშ მყოფ ილირიელებს თავს დაესხა, ხოლო მასთან მისული რომაელი ელჩები ჯაჭვებით დააბა, რადგან ისინი არა ელჩებად, არამედ მზვერავებად იყვნენ მოსულებიო. რომაელმა სარდალმა ანიკიუსმა შეებრძოლა გენტიუსს და დაამარცხა“ (App., *Historiae romanae*, X. 9).

პერსევსმა პირველი საელჩო გაუგზავნა გენტიუსს, რომელიც ილირიელი დევნილი პლევრატუსისაგან და მაკედონელი ადეუსის და ბერეასგან შედგებოდა. მათ იპოვეს გენტიუსი ლისუსში. რომაელებთან და დარდანებთან და პენესტაებთან ბოლო გამარჯვების წარმატებები მოახსენეს. გენტიუსმა უპასუხა, „რომ მას აკლდა არა რომაელებთან ბრძოლის შესაძლებლობა, არამედ მხოლოდ ფული. ამ საკითხზე არანაირი დაპირება არ მიუღია საელჩოსგან. პერსევსმა განაგრძო გენტიუსის ომში ჩართვის მცდელობა“ [Wilkes, 1992:120]. ამასობაში, „იქ მყოფმა მეფე გენტიუსმა მშვიდობის თხოვნით ანიკიუსს მიმართა“ (App., *Historiae romanae*, X. 9).

რომაული დიპლომატია მაშინ გამოჩნდა, როდესაც „ანიკიუსმა უბრძანა რომაელებისთვის დანებება, გენტიუსმა მოსაფიქრებლად სამი დღე მოითხოვა და ამის ნებართვაც მიიღო. როდესაც ამ ხნის განმავლობაში მისი ქვეშევრდომები ანიკიუსის

მხარეს გადავიდნენ, მან ანიკიუსს შეხვედრის ნებართვა და პატიება სთხოვა. ანიკიუსმა გაამხნევა, წამოაყენა და სუფრასთან მიიპატიჟა კიდეც, მაგრამ სადილზე მსახურებს უბრძანა მისი დაპატიმრება. ასე რომ, ომი გენტიუსთან დასრულდა“ (App., *Historiae romanae*, X. 9).

ილირიის საგარეო პოლიტიკაში ახალმა ანტირომაულმა ორიენტაციამ და გენტიუსის ღონისძიებებმა არდიის ძალაუფლება გააძლიერა. ამის შემდეგ, გენტიუსმა და პერსევსმა ერთობლივი საელჩო გაგზავნეს, რადგან რომის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მისაღებად როდოსი მიეწვიათ [Ceka, 2005:108].

ძვ.წ. 168 წელს რომაელებმა დაამარცხეს გენტიუსი. ამის შემდეგ გენტიუსმა გაგზავნა ორი გამოჩენილი ტომის ლიდერი ტევტიკუსი (ძვ.წ. II ს) და ბელუსი (ძვ.წ. II ს), როგორც ელჩები რომაელ სარდალთან მოსალაპარაკებლად, თუმცა ამაოდ“ [Hammond, Walbank, 1988:167].

რომი-მაკედონიის ომებში გამოვლინდა რომაული დიპლომატია. რა თქმა უნდა დიპლომატიის წარმართვის უფლება იმ დროისთვის, ძირითადად რომაელ სარდლებს და სენატს ჰქონდა.

მეორე პუნიკური ომის შემდეგ რომაელები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ თავიანთი გავლენა ბალკანეთში და შეეკავებინათ ფილიპე V მაკედონელის ექსპანსია [Green, 2008:102-103]. ამიტომ, მაკედონია-კართაგენის ალიანსის სახიფათო შედეგების თავიდან ასაცილებლად რომაელებმა მაშინვე ომი გამოუცხადეს ფილიპეს.

პირველ მაკედონიურ ომში (ძვ.წ. 214-205 წწ). დიპლომატია არანაკლებ როლს თამაშობდა. რომაელებმა იშვიათი ხელოვნებით მოახერხეს და ერთი მხრივ, მაკედონიას და საბერძნეთს შორის უძველესი მტრობა და მეორე მხრივ, საბერძნეთისა და მთელი ელინისტური სამყაროს შიდა წინააღმდეგობები მათ სასარგებლოდ გამოიყენეს [Cepreev, 1959:67],

რომაელებმა მთავარი კურსი აიღეს ბერძნულ პოლიტიკურ ერთეულებში ყველზე ძლიერ ეტოლიის კავშირზე, რომელსაც გაუთავებელი ომები ჰქონდა მაკედონიასთან.“ „ძვ.წ. 212 წელს დაიდო კავშირი რომსა და ეტოლიას შორის, ამ შეთანხმების საფუძველზე ცხადდებოდა ერთიანი შეტევები მაკედონიის წინააღმდეგ ზღვაზე (რომაელები) და ხმელეთზე (ეტოლიელები)“. შემდეგ, რომმა. „მაკედონიასთან ბრძოლაში ჩაითრია დანარჩენი ბერძნებიც ხოლო აზიიდან პერგამონის მეფე ატალ პირვე-

ლი. მაკედონია სრული განადგურებისაგან იხსნა იტალიაში ჰასდრუბალის შეჭრამ (ძვ.წ. 207 წ).“ როცა რომი იძულებული გახდა მთელი ძალები დაეძაბა ახლი „ფინიკიური პანდორის“ გასანადგურებლად. ეტოლის კავშირმაც რომი მიატოვა და მაკედონიასთან შერიგების ცდას შეუდგა. რომს აღმოსავლეთში გენერალური შეტევებისათვის არ ეცალა. მართალია, ჰასდრუბალი განადგურდა, მაგრამ ჰანიბალი ჯერ კვლავ ფეხზე იდგა ამიტომ რომი თანხმობით შეხვდა მაკედონიის საზავო სურვილს. დამთავრდა (ძვ.წ. 205 წ). „პირველი მაკედონიური ომი“. რომმა მიაღწია იმჟამინდელი გეგმის განხორციელებას: მაკედონიისა და კართაგენის კავშირი სავსებით ფიქტიური გახდა [სანიკიძე, 1970:6-7].

პირველ მაკედონიურ ომში (ძვ.წ. 214-205 წწ). „ფილიპე V-ს ნეიტრალიზება რომაული დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. განცდილი წარუმატებლობისა და ბერძენთა არეულობის გამო, ფილიპე იძულებული გახდა, ძვ.წ. 205 წელს რომს დაზავებოდა“ [ქავთარია, 1979:93].

რომაელებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ფილიპესთან ომის დასრულებაც“ [Моммзен, 1997:594].

საბოლოოდ, ეპირუსის ქალაქ ფოინიკაში რომსა და მაკედონიას შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. ფილიპე დათანხმდა ტერიტორიულ დათმობებს და რაც მთავარია უარი თქვა ჰანიბალთან ალიანსზე [Сергеев, 1959:68].

ხელშეკრულების თანახმად: ფილიპე ტერიტორიულ დათმობებს დათანხმდა და ომიც დასრულდა (Liv., Ab urbe condita, XXIX. 12.12.15) და აღდგა ომამდელი მდგომარეობა [ქავთარია, 1979:93].

მეორე მაკედონიური ომი (ძვ.წ. 200-197 წწ). „როცა რომაულმა იარაღმა ილირიიდან ატლანტის ოკეანემდე და ალპებიდან საჰარის უდაბნომდე ყველა ქვეყანა დაიმორჩილა, რომაულმა დიპლომატიამ საბოლოოდ გასწმინდა ნიადაგი აღმოსავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომების გაჩაღებისათვის რომი უკვე ერთ-ერთი უძლიერესი მსოფლიო სახელმწიფო იყო“. მას აღარ აკმაყოფილებდა ხმელთაშუა ზღვის აუზის მხოლოდ დასავლეთი ნაწილი. „მისი მთავარი მიზანი, ნამდვილად მსოფლიო სახელმწიფოდ გახდომა, მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა განხორციელებულად, როცა ის აღმოსავლეთის ქვეყნებსაც დაიმორჩილებდა. პირველი რომაული საექსპანსიო გზა საბერძნეთის გავლით მაკედონიისაკენ მიემართებოდა“ [სანიკიძე, 1963:175]. თუმცა

„რესპუბლიკის პოლიტიკოსები კარგად გრძნობდნენ მაკედონიის ძალას და მთელი დიპლომატია გადატანილი ჰქონდათ მის სუსტ მეზობლებთან კავშირზე“. ფაქტი იყო, რომ ფილიპე V-მ რომთან პირველი ომის დამთავრების შემდეგ ყურადღება გადაიტანა აღმოსავლეთზე. „დაიპყრო პტოლემაიოსების სამფლობელოები თრაკიასა და კარიაში. მცირე აზიაში იგი შეეჯახა რომის მოკავშირეების პერგამონისა და როდოსის ინტერესებს“ [ქავთარია, 2005:435]. ამ დარღვევის შესახებ, რომაელები ომის მიზეზებს ეძებდნენ [Моммзен, 1997:33].

ლივიუსის თანახმად: „ფილიპე ჩვენს მოკავშირეებთან ამ მიწებზე დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას მუდმივად არღვევდა. ამგვარად მან დაიმსახურა რომაელთა სიძულვილი“ (Liv., Ab urbe condita, XXXI. 9).

ამრიგად, „რომაელები პოლიტიკურმა, სავაჭრომ და მორალურმა ძალისხმევამ აიძულა ფილიპესთან მეორე ომი გაემართათ, რომელიც რომის ოდესღაც წარმოებულ ომებში იყო ერთ-ერთი ყველაზე სამართლიანი, ხოლო ეს სენატისთვის იყო დიდი პატივი“ [Моммзен, 1997:36].

ნიშანდობლივია, რომ „მეორე მაკედონიურ ომში (ძვ.წ. 200-197 წწ). სენატს სურდა ფილიპესთან მშვიდობა“ [Badian, 1958:63]. თუმცა დიპლომატიამ ვერ შექმნა მშვიდობა [Lepper, 1956:193]. რადგან „საბერძნეთზე გაბატონების პრეტენდენტი ფილიპე V ჰანიბალის მოკავშირედ გამოდიოდა, მაგრამ რომაულმა დიპლომატიამ ელადაში შეუქმნა პრობლემები და მოკავშირეს დახმარება ვერ გაუწია. რომს არ შეეძლო მტრულ ბანაკში გაერთიანებული მაკედონია უყურადღებოდ დაეტოვებინა, რადგან ბალკანეთის გავლენა მცირე აზიის გარკვეულ ნაწილზე სახიფათო ხდებოდა“ [ქავთარია, 2016:250].

მაკედონიის მეფის აგრესიულმა ღონისძიებებმა შეაშფოთა და ფეხზე დააყენა ეგვიპტის, როდოსის და პერგამონის სახელმწიფოები. ესენი აღმოსავლეთში ვერ ხედავდნენ ისეთ ძალას რომლისთვისაც უნდა ეთხოვათ დახმარება მაკედონელი „ურჩხულის“ წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ მათ მიმართეს რომს [სანიკიძე, 1963: 175-176]. რომელიც მეორე პუნიკური ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ელოდებოდა მომენტს აღმოსავლეთის საკითხებში ჩასართველად [ქავთარია, 2005: 435].

თავდაპირველად რომი არ აპირებდა ომს მაკედონიის წინააღმდეგ, ამიტომ

ცდილობდა დიპლომატიური გზით ჩარეულიყო მათ საქმეებში [Eckstein, 2008:43]...და აი ძვ.წ. 201 წელს, სასტიკი „ჰანიბალის ომის“ დასასრულს მომდევნო დღეებში, რომის ფორუმზე გამოჩნდნენ ელჩები აღმოსავლეთიდან...“ [სანიკიძე, 1970:25].

ლივიუსის თანახმად: „რომში ჩავიდნენ როგორც მეფე ატალის, ისე როდოსის ელჩები და სენატს აცნობეს, რომ ფილიპე აზიის ქალაქებს ომში უბიძგებდა. ელჩებს უთხრეს, რომ სენატი აზიის საქმეებზე განსაკუთრებულად იზრუნებდა, ხოლო მაკედონიასთან ომის შესახებ ყველა მოსაზრება კონსულებს მოახსენეს“ (Liv., Ab urbe condita, XXXI. 1. 2).

რომიდან მაკედონიაში გაემურა ელჩობა, რომლის მთავარი ამოცანა იყო, რომის მხარეზე უზრუნველყო „ჩაგრული საბერძნეთის“ კავშირი და ფილიპესთვისაც ისეთი ულტიმატური ხასიათის მოთხოვნები წაეყენებინა რომლის მიღებას მეფე კატეგორიული უარით შეხვდებოდა. სანამ რომაელი ელჩები [სანიკიძე, 1970:25]. (დე-სპანები) მარკუს ემილიუს ლეპიდე, (ძვ.წ. 230-152 წწ). გაიუს კლავდიუს ნერონი (ძვ.წ. 237-189 წწ.) და პუბლიუს სემპრონიუს ტუდიტანი (ძვ.წ. III-II სს.) (Liv., Ab urbe condita, XXXI.3). ფილიპესთან გამოცხადდებოდნენ, მანამდე პროპრეტორმა მარკუს ვალერიუს ლევინმა (ძვ.წ. 260-200 წწ). ხომალდი შეიყვანა ეგეოსის ზღვაში „მოკავშირე“ ბერძნების დასახმარებლად და მაკედონიასთან საომრად. ეს იყო თავისებური პრელუდია ომისა. რომელიც ჯერ ფორმალურად არც კი გამოცხადებულა. რომაული ელჩობის მოსვლამდე ფილიპემ უკვე მოასწრო რამდენიმე ბრძოლის გადახდა ბერძნებთან და მათ მოკავშირე მცირე აზიელებთან რომის ხელისუფლებას აღმოსავლეთში ელჩობისა და დიპლომატიურ მოლაპარაკებათა შედეგებისათვის არ დაუცდია ელჩობას ფეხდაფეხ მოჰყვებოდა კონსული პუბლიუს სულპიციუს გალბა (ძვ.წ. III-II სს) [სანიკიძე, 1970:25].

ისტორიკოსის ცნობით: „პუბლიუს სულპიციუსის წინადადებით, შემდეგი ლოცვა უნდა წაიკითხოთ“: „სენატმა და რომის ხალხმა რაც ახალ ომში მონაწილეობა დაიწყეს ყველაფერი რომაელი ხალხის სასიკეთოდ იქნება“. რომაელები ომისკენ იყვნენ მიდრეკილნი და მათი გაღიზიანება კიდევ უფრო გაიზარდა მაშინ, როცა ლეგატის ავრელიუსის და პროპრეტორის ვალერიუს ლევინის, ასევე ათენელთა ახალი საელჩოდან წერილები გამოგზავნეს ელჩებმა (Liv., Ab urbe condita, XXXI. 4.8).

ლივიუსის თანახმად: „ელჩები წერდნენ, რომ მეფე უკვე უახლოვდებოდა მათ

საზღვრებს და, თუ რომაელები მათ დასახმარებლად არ მივიდოდნენ, არა მხოლოდ ათენის მინდვრებს და მიწებს, არამედ თავად ქალაქსაც მალე დაიპყრობდნენ“. წაიკითხეს ვალერიუსის და ავრელიუსის წერილები და ათენის ელჩებს მოუსმინეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კონსულებმა განაცხადეს, რომ ყველა რიტუალი ჩვეულების მკაცრი დაცვით შესრულდა და ღმერთებმა მიიღეს მათი ლოცვები (Liv., Ab urbe condita, XXXI. 4.8).

ლივიუსის ცნობით: „სენატმა გადაწყვიტა, რომ რომისადმი ერთგულებისთვის მადლიერება გამოეხატა მოკავშირეებისათვის...“ მაკედონია წილისყრით პუბლიუს სულპიციუსს გადაეცა. მან მოიწვია Comitia centuriata-ს ასამბლეა, ორგანო, რომელსაც ომის გამოცხადებისთვის კანონიერი უფლება ჰქონდა. მან თქვა: „თქვენ არ უნდა აირჩიოთ ომი და მშვიდობა, რადგან ფილიპემ არ დაგიტოვათ ასეთი არჩევანი და ხმელეთზე და ზღვაზე მან უკვე დაიწყო დიდი, რთული ომისთვის მომზადება“ სულპიციუსმა მეორე სესიაზე კომიცია დაარწმუნა ომის დასაწყებად მიეღო მხარდაჭერა. ამ გამოსვლის შემდეგ ჩატარდა კენჭისყრა.რისი შედეგითაც „სენატს ომის გამოცხადება უბრძანეს“. „ამის შემდეგ სენატმა ნება დართო კონსულს აერჩია ელჩი ფეციალებიდან, რომელიც მეფესთან ომის გამოცხადებისთვის წავიდოდა“ (Liv., Ab urbe condita, XXXI.4. 8). მან ფლოტით ბრუნდიზიუმიდან გადალახა ადრიატიკის ზღვა და ფეხი შედგა ბალკანეთის მიწაზე, აპოლონის მახლობლად. ომები ბალკანეთზე დუნედ და უშედეგოდ მიდიოდა ძვ.წ. 198 წ. რომში გადაწყდა საგანგებო ზომების მიღება მაკედონიის განადგურების მიზნით. ამ დროის რომში, სციპიონ აფრიკელის შემდეგ, ტ. კვინტიუს ფლამინიუსი (ძვ.წ. 226-174 წწ). ყველაზე ღირსეული პიროვნება იყო მათ შორის, ვისაც უნდა შესძლებოდა აღმოსავლეთის გართულებული პოლიტიკური სიტუაციისთვის თავის გართმევა [სანიკიძე, 1970:26].

ფლამინიუსი „დახელოვნებული დიპლომატი იყო და იგი მრავალი თვალსაზრისით კარგად ერგებოდა საბერძნეთის რთულ საკითხებს [Моммзен, 1997:45].

ფლამინიუსი გამოირჩეოდა დიპლომატიური უნარითაც. ვიდრე საომარ მოქმედებას დაიწყებდა, დიპლომატიური გზებით მოსინჯა ზავის დადება იმ შემთხვევაში, თუ მაკედონია დატოვებდა ელადას. კონსულის წინადადება ფილიპემ უარყო, რადგან დარწმუნებული იყო თავისი პოზიციების უპირატესობაში [ქავთარია, 2016: 252].

მკ.წ. 198 წელს ფლამინიუსსა და ფილიპეს შორის რამდენიმე შეტაკება მოხდა, მაგრამ ამას გადამწყვეტი შედეგი არ მოჰყოლია [სანიკიძე, 1970:27].

აღმოსავლეთის საკითხი შემდგომ წელს კიდევ უფრო მწვავედ დაისვა სენატსა და კომიციებზე. მაგრამ ახლა აღმოსავლეთის საკითხმა ისევ მოითხოვა „ჩვეულებრივი კონსტიტუციის“ დარღვევა და ახალი „არაჩვეულებრივი“ ღონისძიების გატარება. მოვუსმინოთ ტ. ლივიუსს [სანიკიძე, 1970:27]. „როცა კონსულები (იგულისხმებიან ახლად არჩეული კონსულები, გაიუსი კორნელიუსი და გაიუს მინუციუსი ლ.ს.) კენჭის საყრელად ემზადებოდნენ იტალიასა და მაკედონიასთან დაკავშირებით, სახალხო ტრიბუნები, ლ. ოპიმიუსი და გ. ფულვიუსი, წინ აღუდგნენ და ამბობდნენ: ისტორიკოსის ცნობით: „მაკედონია ძალიან შორეული პროვინციაა და აქამდე მასთან ომში მთავარი დაბრკოლება ის იყო, რომ კონსული დაიწყებდა თუ არა მოქმედებას, მაშინვე უკან ვიძახებდით ომის მთელის ძალებით წარმოების პერიოდში“. უკვე მეოთხე წელია, რაც მაკედონელებს ომი გამოვუცხადეთ. ვილიუსი სწორედ იმ დროს იქნა გამოწვეული, როცა მზად იყო მტერს შეჰბოდა. ასე, რომ ვერც მან მოასწრო რაიმეს გაკეთება (Liv., Ab urbe condita, XXXII. 28).

ახლად არჩეულ კონსულებს, გაიუს კორნელიუსს და გაიუს მინუციუსს, სამმართველოდ მისცეს მხოლოდ იტალია [სანიკიძე, 1970:28-29]. კვინქციუს კი ძალაუფლება გაუგრძელეს მანამ სანამ მას სენატის დადგენილებით კონსულობის შემცვლელი არ დაენიშნება (Liv., Ab urbe condita, XXXII. 28).

ფლამინიუსს ორი ლეგატიც დაუნიშნეს. ესენი იყვნენ წინა წლის კონსულები, პ.სულპიციუს გალბა და პ.ვილიუსი. ორთვიანი ზავი იჭურებოდა. „ფილიპეს განსაკუთრებით აფიქრებდა მისგან გეოგრაფიულად და პოლიტიკურად დაშორებული სამხრეთ საბერძნეთი... ამიტომ „მაკედონიის მეფემ ჯერ არგოსის საკითხის გადაჭრით ორი კურდღლის მოკვლა სცადა: ჩამოეშორებინა იგი რომის კავშირისგან და მისი მეოხებით, პელოპონესში მისთვის დაკარგული აქეის ნაცვლად, ახალი მოკავშირე გაიჩინა. მან არგოსი ლაკედემონელ ტირანს, ნაბისს შესთავაზა...“ „ნაბისმა არგოსი მართლაც ჩაიბარა, მაგრამ ეს მოხდა თვით არგოსელთა სურვილის წინააღმდეგ...“ [სანიკიძე, 1970:29-30].

ნაბისმა „ელჩები გაუგზავნა კვინქციუსს ელატეაში...“ „აცნობა მათ: რომ არგოსი მის ხელში იმყოფება, და თუ კვინქციუსი მოვა თათბირზე, მაშინ ნაბისსაც ეჭვი არ

ეპარება, რომ ისინი მორიგდებიან“ (Liv., Ab urbe condita, XXXII. 39).

ამრიგად, „ამ წელს (ძვ.წ. 197 წ). ტ. კვინქციუს ფლამინიუსი ნატრობდა, მოწინააღმდეგე იმას უსრულებდა. უკეთესს რას ისურვებდა: აქეის კავშირის მიმხრობის შემდეგ მას პელოპონესში ლაკედემონი აფიქრებდა და ახლა თვით ლაკედემონის მბრძანებელი ითხოვდა რომაელ სარდალთან კავშირს, თუნდაც ეს კავშირი მორჩილებასაც უდრიდეს“ [სანიკიძე, 1970:30].

ფლამინიუსმა, ატალის რჩევით, თავი არ დაიმდაბლა და არგოსში არ ეახლა ნაბისს. მან სიკიონში დაუნიშნა პაემანი ლაკედემონელ ტიტანს. მოლაპარაკებაში ფლამინიუსსა და ნაბისს გარდა მონაწილეობდნენ ატალი და აქეის არქონტი ნიკოსტრატე. მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელებულა და მისი შინაარსი მოკლედ, სპარტელთათვის საყვარელი ლაკონიურობით გამოხატა რომაელმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა [სანიკიძე, 1970:30].

ლივიუსის ცნობით: „რომაელი მოითხოვს ორ რამეს: პირველი, რომ შეწყვიტოს ომი აქეელებთან და მეორე, გაუგზავნოს მას დახმარება მეფე ფილიპეს წინააღმდეგ“ (Liv., Ab urbe condita, XXXII.39).

კიდევ უფრო „ლაკონიური“ იყო ნაბისის პასუხი: „იგი ასე მოიქცევა და ასეც მოიქცა: აქეასთან ზავი დასდო, ხოლო რომაელებს დამხმარა ძალად კრეტელთა რაზმები მისცა [სანიკიძე, 1970:31].

სამხრეთ საბერძნეთში ერთადერთი ქალაქი, რომელიც ჯერ კიდევ იდგა რომის მოწინააღმდეგე ბანაკში, იყო კორინთო. კორინთომ მოახერხა კიდევ უფრო გაეფართოებინა თავისი პოლიტიკური გავლენა შუა საბერძნეთში. იგი რომაული კოჰორტების თანხლებით შევიდა ბეოტიაში, რომელსაც ნეიტრალური პოზიცია ეჭირა. მივიდა ბეოტიის ცენტრალურ ქალაქ თებეში, სადაც მისი მოთხოვნით მოწვეული იქნა კრება, რომელზედაც დაისვა საკითხი რომის ხალხთან ბეოტიის „მოკავშირეობამეგობრობისა“ და ფილიპეს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. დასასრულ დიკეარქე პლატეელმა წარმოადგინა პროექტი კანონისა [სანიკიძე, 1970:31]. „რომაელებთან მტკიცე კავშირის დადების შესახებ საწინააღმდეგო სიტყვის თქმა ვერავინ გაბედა (Nullo contra dicera audente) და პროექტმაც კანონის ფორმა მიიღო“ (Liv., Ab urbe condita, XXXIII. 2).

პირველ ღონისძიებათა ჩაშლის შემდეგ, იმედგაცრუებული ფილიპე მხნეობას

მაინც არ კარგავდა და კვლავ თავგამოდებით ემზადებოდა ომის განახლებისათვის [სანიკიძე, 1970:31], რადგან „ფილიპეს რომის სიძლიერეში ეჭვი ეპარებოდა. ამიტომ ფილიპემ თხოვნა არაფრად ჩააგდო, რამაც რომაელები გააოცა“ [Matyszak, 2004:49].

მცირე შეტაკების შემდეგ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ გადამწყვეტ ბრძოლაში [სანიკიძე, 1970:31].

საბოლოოდ, ძვ.წ. 197 წელს რომაელებმა გადამწყვეტ კინოსკეფალეს ბრძოლაში დაამარცხეს ფილიპე [Grant, 1979:117]. მაგრამ მაინც მთავარი ის იყო, რომ ფლამინუსი ფიქრობდა: [სანიკიძე, 1970:34].

ლივიუსის თანახმად: „ფილიპეს დამარცხების გამო, როცა განადგურებულია მაკედონიის სამეფოს ძლიერება ეტოლიელები იქნებიან მბრძანებელი საბერძნეთის“ (Liv., Ab urbe condita, XXXIII. 11). მაგრამ ახლა, როცა მაკედონია დამარცხებულია და მისი ბატონობის პრეტენზიები ბალკანეთზე მთლიანად მოხსნილია, რომაელები არ დაუშვებენ, რომ იმავე ბალკანეთზე იგივე პრეტენზიათა კავალერები გამოჩნდნენ, თუნდაც ასეთ პრეტენდენტებად რომაელთა გუშინდელი „მოკავშირეებიც“ იყვნენ ეტოლიელებს პირველი სილა იმიტომ მოხვდათ, რომ სწორედ ისინი პირველნი გაიძახოდნენ, მაკედონია ჩვენ დავამარცხეთ და მისი მბრძანებლობის შემცვლელნი ბალკანეთზე ჩვენ უნდა ვიქნეთო მათი მიამიტური მსჯელობით გამოდის, რომ რომაელები, ჰანიზალის ომში დაღლილ-დაქანცულნი, აღმოსავლეთში მიტომ ჩამოსულან, ფილიპეს ბალკანეთზე მბრძანებლობის კვერთხი წაართვან და ეტოლიას მიართვან. ცუდად უფიქრიათ! რომი ბალკანეთზე ბალკანეთის დასამორჩილებლად ჩამოვიდა და იგი ყველას დამსხვრევს, ვინც ამ საქმეში წინ აღუდგება მაკედონიასაც, ეტოლიასაც და ყველას [სანიკიძე, 1970:35].

რომი აქაც ჩვეულებრივი ნაცადი დიპლომატიით მოქმედებს: მისგან დასაპყრობად ხელდადებულ ქვეყანაში არ დაუშვას რომელიმე პოლიტიკური ერთეულის აღზევება და გაძლიერება, „დაჩაგრულთა მფარველის“ დროშით ებრძოლოს გაძლიერების პრეტენდენტს სულ ერთია, ვინც უნდა იყოს იგი, მაკედონია თუ ეტოლია. მაშ, ეტოლიამაც თავისი დამოუკიდებლობით პასუხი უნდა აგოს იმ პრეტენზიებისათვის, რაც მას წამოსცდენია იმავე მისწრაფებებისათვის განადგურებული მაკედონიის შემდეგ [სანიკიძე, 1970:36].

ლივიუსის თანახმად: „კონსული მრავალ შემთხვევაში განგებ იქცეოდა ისე, რომ

ეტოლიელები კიდევაც ყოფილიყვნენ და კიდევაც მოსჩვენებოდნენ როგორც ყველაზე მეტად არარაობა და უმნიშვნელონი“ (Liv., Ab urbe condita, XXXIII. 11). მაგრამ ფლამინიუსს არც ის ავიწყდებოდა, რომ ეტოლიის კავშირისათვის ერთბაშად ხელის კვრაც არ გამოდგებოდა, რადგან ეს რომაულ-„გამათავისუფლებლურ“ პოლიტიკას სახელს გაუტეხდა. ამიტომაც ის ჯერჯერობით „სულგრძელობითი დიპლომატიით“ ვითომ უყურადღებოდ არ ტოვებს ეტოლიელთა პრეტენზიებს [სანიკიძე, 1970:36].

სინამდვილეში ისტორიკოსის ცნობით, „ფლამინიუსი თვლიდა, რომ არც რომაელებისთვის და არც ელინებისთვის არ იყო მომგებიანი, თუ ფილიპეს განადგურების შემდეგ ეტოლიელების ძალა გაიზრდებოდა“ (App., Historiae romanae, IX. 1).

ასეთივე დიპლომატიური ტაქტიკით „ელინი ხალხების გამათავისუფლებელმა და მეგობარმა“, მას შემდეგ რაც მოწინააღმდეგეს წინასწარ თხუთმეტდღიანი დაზავება უწყალობა. მაკედონიის მეფესთან საზავო მოლაპარაკების გამართვამდე, წინასწარი თათბირი გამართა „მოკავშირეთა წარმომადგენლებთან“ [სანიკიძე, 1970:36].

ლივიუსის თანახმად: „მტერთან თხუთმეტდღიანი ზავი დაიდო და მეფესთან დაინიშნა მოლაპარაკება...“ კვინქციუსმა ყველა მათგანს შესთავაზა მშვიდობის პირობებზე ესაუბრათ. რომლის მიხედვით უნდა დადებულიყო ზავი ფილიპესთან. ათამანის მეფე ამინადერმა მოკლედ გამოთქვა თავისი აზრი: „ასეთი ხელშეკრულება საჭიროა, რათა საბერძნეთმა რომაელთა არყოფნის შემთხვევაშიც შეძლოს მშვიდობის დაცვა და თავისუფლება“. ეტოლიელმა ალექსანდრემ მოკლე სიტყვით შეაქო რომელი გენერლის სამართლიანობა და თანმიმდევრულობა. მერე დაუმატა, რომ „რომაელი გენერალი სრულებით არ იცნობს საქმის ვითარებას...“ (Liv., Ab urbe condita, XXXIII. 12).

ეტოლიელი ალექსანდრე ცდებოდა, როცა ამბობდა, რომ [სანიკიძე, 1970:37]. „ფლამინიუსმა, როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ რომაელებს და ელინებს ფილიპეს განადგურების გარდა სხვა არაფერი მოუტანდა სარგებელს“ (App., Historiae romanae, IX. 1). პირიქით, ფლამინიუსი ყველაზე კარგად ერკვეოდა მდგომარეობაში. მან მხოლოდ ფორმალურად მიიწვია და მოესმინა თავის „მოკავშირეებს“. ნამდვილად კი მან მაინც ის ქნა, რაც თავის დიპლომატიური ცბიერებით სავსე სიტყვაში თქვა: [სანიკიძე, 1970:37].

აპიანეს თანახმად: „ფლამინიუსმა თქვა: რომაელებს ჩვევად არა აქვთ გაანად-

ურონ მტერი პირდაპირ, ომის დაწყებისთანავე“ (App., *Historiae romanae*, IX. 2).

ისტორიკოსის ცნობით, „ეტოლიელები რომაულ წეს-ჩვეულებებსაც და საკუთარ განსჯას ივიწყებდნენ რადგან ისინი ყველა წინა საბჭოებზე და მოლაპარაკებებზე საუბრობდნენ მშვიდობის პირობებზე და არა დამანგრეველ ომზე, ხოლო რომაელები უძველესი დროიდან მიდრეკილნი იყვნენ, იმისკენ, რომ არ გაეწირათ დამარცხებულები. ამის მაგალითია ჰანიბალი და კართაგენლები“. კართაგენლებსაც რომ თავი დავანებოთ, მოკავშირეები ფილიპესთან ზავის პირობებზე რამდენჯერაც არ უნდა მოლაპარაკებოდნენ მისი ტახტიდან გადადგომაზე არასოდეს ყოფილა საუბარი. პირიქით რომაელი გენერალი მზად იყო შეეწყვიტა საომარი მდგომარეობა (Liv., *Ab urbe condita*, XXXIII. 12).

ლივიუსის თანახმად: „იგი ამბობდა: „შეიარაღებულ მტერთან უნდა იყო დაუნდობელი, მაგრამ დამარცხებულ მტერთან ყველაზე მნიშვნელოვანია კეთილშობილება“. ამის საპასუხოდ კვინქციუსს ეტოლიელების პრეტორმა ფენეასმა. უპასუხა რომ „ფილიპე თუ ახლა გაქცევას მოახერხებდა ომს დაუყოვნებლივ დაიწყებდა“. კვინქციუსმა ასეთი პასუხი გასცა: „შეწყვიტე უთანხმოება იქ, სადაც უნდა იყოს კონსულტაციები! - ამოიოხრა კვინქციუსმა და თქვა: „მშვიდობა (ზავი) დაიდება ისეთი პირობებით, რომ ის ვეღარ შეძლებს ომის დაწყებას“ (Liv., *Ab urbe condita*, XXXIII. 12).

მაკედონიის არსებობის შენარჩუნება თრაკიელების, გალატების თუ ილირიელების შემოჭრის საშიშროებაზე მითითებით საფუძვლიანი მოტივი იყო. მაგრამ უსაფუძვლოა, საერთოდ, ფლამინიუსის დიპლომატიური გადაწყვეტილებიდან გამოტანილი დასკვნა. ფლამინიუსს არ შეეძლო დათანხმებოდა იმას, რომ დიდი რომის სახელმწიფოს თავის თავზე აეღო ჯალათის როლი ეტოლიის კავშირის მრისხანების დასაშოშმინებლად. მეორეც. ამ შემთხვევაში ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულია დამარცხებული მაკედონიის მიმართ რომაული პოლიტიკური კურსი ავხსნათ ფლამინიუსის პირადი თვისებებით, მისი „ელინური სიმპათიებით“. ეს უკანასკნელი რომაელ სარდალს რომაულ-დიპლომატიური მანევრირებისათვის სჭირდებოდა [სანიკიძე, 1970:38-39].

საბოლოოდ დაიდო ზავი და ფილიპემ მიიღო დადებული ზავის ყველა პირობა და ზავი სენატმაც დაამტკიცა (App., *Historiae romanae*, IX. 3).

ამრიგად, ძვ.წ. 196 წ. ფილიპე V-ს ტემპის ხელშეკრულებით, მის საზღვრებს გა-

რეთ არსებულ საქმეებში აეკრძალა ჩარევა და უარი ეთქვა ბერძნულ დაპყრობებზე [Eckstein, 2008:48].

ფლამინიუსი სრული გამოხატულება იყო რომის დიპლომატიის ნაცადი პრინციპებისა. ამიტომ მოხერხებულ დიპლომატს ჩვეულებრივი რომაულ-დიპლომატიური კომედია უნდა გაეთამაშა და ამით მოედუნებინა თავისუფლებისმოყვარე ბერძნების სიფხიზლე [სანიკიძე, 1963:178-179].

რომმა ძვ.წ. 196 წლის ოლიმპიადაზე „ბერძნების თავისუფლება“ გამოაცხადა, რაც წარმოადგენდა რომის ახალ პოლიტიკას საბერძნეთის მიმართ [Eckstein, 2008:48].

აპიანეს თანახმად: „სენატმა ფლამინიუსს მრჩევლად ათი ადამიანი გაუგზავნა, როგორც ამას რომაელები ჩვეულებრივ აკეთებდნენ ომების ბოლოს, ხოლო რაც ამ ომებში იყო შეძენილი ფლამინიუსს ყველაფერი უნდა გაენაწილებინა. როდესაც მან და მაცნებმა ეს ყველაფერი გააკეთეს. ფლამინიუსი წავიდა ისთმოს დღესასწაულებზე და, როდესაც სტადიონი ხალხით იყო სავსე, მან საყვირით ბრძანა ყველა გაჩუმებულიყო. მაცნემ გამოაცხადა: „რომაელმა ხალხმა და სენატმა და გენერალმა ფლამინიუსმა, მაკედონელები და მეფე ფილიპე დაამარცხეს და ბრძანეს, რომ ელადა უცხო გარნიზონებისგან გათავისუფლებულიყო, არ გადაეხადა გადასახადები და თავისი წეს-ჩვეულებებისა და კანონების მიხედვით ეცხოვრა“ (App., *Historiae romanae*, IX. 3. 4).

ფილიპეს „სენატის ნებართვის გარეშე მაკედონიის გარეთ ომის წარმოება აეკრძალოს“ (Liv., *Ab urbe condita*, XXXIII. 30). ეს რომაელებსა და ფილიპეს შორის იყო მეორე ომის დასასრული (App., *Historiae romanae*, IX. 4). ეს იმას ნიშნავდა, რომ საბერძნეთი ახლა სტაბილური იყო და რომს შეძლო რისკის გარეშე მთლიანად განთავისუფლებულიყო საბერძნეთის საქმეებიდან [Eckstein, 2008:48].

მესამე მაკედონიური ომი (ძვ.წ. 171-168 წწ). ფილიპე მაკედონელი ღრმად იყო განაწყენებული იმით, თუ როგორ ექცეოდნენ მას რომაელები ანტიოქოსთან ზავის დადების შემდეგ [Моммзен, 1997:84]. ამიტომ „როგორც კი ფილიპემ თავი ძლიერად იგრძნო, შეუდგა მეზობელ ოლქთა მთლიანად დაპატრონებას. მან ხელთ იგდო სამხრეთ-თრაკიული ქალაქები ენოსი, მარონეა შემდეგ თესალია ათამანია, პერიბელთა და მაგნეტთა ტერიტორიები. ამ ქვეყნებმა მაშინვე რომს მიმართეს, როგორც „ჩაგრულთა აღიარებულ მფარველს“. მათ გარდა, რომში ელჩები აფრინეს პერგამონელებმა,

რადგან ევმენ მეორე ძალიან შეაშფოთა მაკედონელი გვირგვინოსნი წინსვლამ. თავის მხრივ, ფილიპემაც გაგზავნა ელჩობა რომში“ [სანიკიძე, 1970: 89].

რომაელები კარგად ხვდებოდნენ მეფის განზრახვას მაგრამ დიპლომატიას სულ სხვა კუთხით მიმართავდნენ. კერძოდ, მათ ორიენტაცია აიღეს რომაელთა მომხრე ფილიპეს შვილზე, დემეტრიოსზე [ქავთარია, 2016:261].

მაშინდელ მაკედონიაში უკვე ჩამოყალიბებული ჩანს ორი პოლიტიკური დაჯგუფება-პრორომაული და ანტირომაული. პირველს სათავეში ედგა დემეტრიოსი, მეორეს პერსევსი, ფილიპეს უფროსი ვაჟი. მალე პერსევსის მაქინაციებით დემეტრიოსი მოკლეს ბალკანეთის საკითხი კვლავ იარაღს უნდა გადაეწყვიტა [სანიკიძე, 1970:88-89].

ფილიპე ყოველგვარი შესაძლებლობით ცდილობდა დაწესებული ზღვრის გადალახვას მაკედონიის აქტიურობას რომაელები უპროტესტოდ არ ტოვებდნენ [ქავთარია, 2016:261].

ხელშეკრულების დარღვევისთვის მაკედონიის მეფემ პასუხი უნდა აგოს [Моммзен, 1997: 84]. მაგრამ სადავო საკითხები დიპლომატიური გზებით გვარდებოდა [ქავთარია, 2016:261]. თუმცა, ამ დროს ფილიპესაც აღარ დასცალდა სათავეში ჩასდგომოდა მაკედონელთა უკანასკნელ დიდ ომს. იგი გარდაიცვალა (ძვ.წ. 179 წ.) და ტახტი დაიჭირა მისმა ერთადერთმა მემკვიდრემ პერსევსმა [სანიკიძე, 1970:89].

პერსევსმა პირველი მარცხი აქეელების საკითხში განიცადა. საბერძნეთში იმ დროს აქეიის ლიგა იყო ყველაზე ძლიერი, რომელსაც ქალაქი კორინთო ედგა სათავეში. ამ ალიანსის თავის მხარეზე გამარჯვების მსურველმა პერსევსმა საკავშირო ასამბლეას წერილი გაუგზავნა და მასთან მეგობრულ კავშირში შესვლა შესთავაზეს. ამავდროულად, მან აქეელებს ქალაქების დაბრუნებას დაჰპირდა. მაგრამ პერსევსის მცდელობას რომის გამოცდილი და დახვეწილი დიპლომატია დაუპირისპირდა. პერსევსის ასეთმა საქციელმა ხალხში მწვავე დებატები გამოიწვია და გაიმართა სხდომა რომელზეც უმრავლესობა პერსევსის მაკედონიასთან ალიანსის განახლების შესახებ წინადადებაზე იყო მიდრეკილი. მაგრამ ბოლო მომენტში რომის მხარდამჭერებმა ეს წინადადება და აქეელთა არქონტების (უზუცესების) ჭკვიანურმა მანევრმა ჩაშალა და აღნიშნეს, რომ პერსევსი, რომლის წერილი მხოლოდ რამდენიმე სტრიქონ შეიცავდა, აქეელებს ზიზღით ეპყრობა. პერსევსის წინადადებასთან დაკავშირებით

კრების ეს გადაწყვეტილება გადაიდო. ამრიგად, პერსევსის ეს დიპლომატიური ნაბიჯი არ იყო წარმატებული [Cepreev, 1959:71].

პერსევსის ეს წარუმატებელი ნაბიჯი რომაელებმა „არანაკლებ ოსტატურად გამოიყენეს და მაკედონიასა და პერგამონს შორის კონფლიქტი გააჩაღეს. მაკედონიის მიერ ადგილების წართმევის შიშით პერგამონიის მეფემ ევმენესმა რომს შუამავლობით მიმართა [Cepreev, 1959:71], რადგან მას პერსევსის ფილიპესთან მტრობის გამო ემინოდა (App., *Historiae romanae*, XI. 1).

რომში ენთუზიაზმით მიიღეს ევმენესი და სენატის რიგგარეშე სხდომა დანიშნეს [Cepreev, 1959:71], სენატის სხდომაზე მისულმა ევმენესმა რომაელებთან მუდამ მტრულად განწყობაში პერსევსი ღიად დაადანაშაულა (App., *Historiae romanae*, XI. 1).

ისტორიკოსის თანახმად: „ევმენესის გამოსვლამ სენატორებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. თუმცა იმ დროს არავინ არაფერი იცოდა თუ რა ხდებოდა. იმის გარდა, რომ სენატში იმყოფებოდა მეფე ევმენესი: თუმცა ევმენესის გამოსვლაში თუ რა თქვა მეფემ და რა უპასუხეს, მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ გახდა ცნობილი“ (Liv., *Ab urbe condita*, XLII. 14. 1).

აპიანეს თანახმად, „პერსევსმა ამის შესახებ რომ შეიტყო, რომში ელჩი გაგზავნა, რადგან რომისთვის შეეტყობინებინა, რომ იგი გაუგებარ მდგომარეობაში იყო და სურდა გაეგო, რომაელები რატომ აგზავნიდნენ მის წინააღმდეგ ელჩებს, რომელიც იყო მათი მეგობარი, ხოლო თუ რაიმეს საყვედურობენ, ეს ურთიერთ საუბარში უნდა გადაწყდეს. პერსევსის ასეთი მცდელობის მიუხედავად, სენატმა მისი დადანაშაულება ყველაფერ იმაში დაიწყო რის შესახებაც ევმენესმა ისაუბრა (App., *Historiae romanae*, XI).

რამდენიმე დღის შემდეგ სენატში მიიღეს მეფე პერსევსის ელჩები. თუმცა, ვინაიდან ევმენესმა მოახერხა მსმენელთა არა მარტო ყურადღების მიპყრობა, არამედ თანაგრძნობაც, ამიტომ წარუმატებელი აღმოჩნდა ელჩების ყველა გამართლება და ვედრება. ამის გარდა, სენატორებს საელჩოს უფროსის ჰარპალის გადაჭარბებული ქედმაღლობა აღიზიანებდა. ჰარპალმა განაცხადა, რომ მეფეს (პერსევსს) სურდა და ცდილობდა, რომ მისი სიმართლე დაეჯერებინათ, რადგან მას რომის მიმართ მტრულად განწყობილების შესახებ არაფერი გაუკეთებია და არც არაფერი უთქვამს. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მეფე (პერსევსი) დაინახავს, რომ რომაელები დაჟინებით ებ-

ებენ ომის საბაბს მაშინ ის თავს დაიცავს და უცნობია თუ რა შედეგი მოჰყვება ბრძოლას (Liv., *Ab urbe condita*, XLII. 14. 2. 3. 4).

ევმენესი დაჟინებით ურჩევდა სენატს სიფრთხილით მოეკიდოს ახალგაზრდა მტერს, ასე ცნობილ და ასე ახლო მეზობელს (App., *Historiae romanae*, XI). თუმცა, ამავდროულად „იგი აქტიურად მოუწოდებდა რომს, შეიარაღებული ჩარევით შეეჩერებინა მაკედონიის მზარდი აღმავლობა“ [ქავთარია, 2016:262].

ლივიუსის თანახმად: „როდესაც საელჩოები განთავისუფლდნენ, ჰარპალუსი მაკედონიაში დაბრუნდა და თავის მეფეს შეატყობინა, რომ რომაელები ჯერ არ ემზადებიან ომისთვის, მაგრამ იმდენად იყვნენ მტრულად განწყობილნი, რომ ომის დაწყებას არ დააყოვნებდნენ. პერსევსს, რომელსაც თვითონ სურდა ომი. თვლიდა, რომ ახლა თავისი ძალაუფლების უმაღლეს დონეს მიაღწია და მას სურდა, რომ ომის დაწყებისას ევმენესი ყოფილიყო მისი პირველი მსხვერპლი“ (Liv., *Ab urbe condita*, XLII. 15. 1). შესაბამისად, „ამ მიზნით მან რამდენიმე პირი დაარწმუნა, იმაში, რომ ევმენესი რომიდან დაბრუნებისას მოეკლათ. ამ მცდელობის შედეგად ევმენესი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ არ მომკვდარა, ასე, რომ შეთქმულება ჩაიშალა. ცხადია, რომ ამ მცდელობამ ხელი არ შეუწყო პერსევსის პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებაში და მის მეგობრული ურთიერთობების დამყარებას და პერგამონთან კავშირს. პერსევსს ახლა ორი მტერი რომი და პერგამონი ჰყავდა“ (Liv., *Ab urbe condita*, XLII. 15. 16). (App., *Historiae romanae*, XI. 4). [Сепреев, 1959:72],

ამ ამბავმა დააჩქარა პერსევსის მტრად აღიარება. „რომაელები დარწმუნდნენ, რომ მაკედონელი არა მხოლოდ ემზადებოდა ნამდვილი ომისთვის, არამედ მიმართავდა ბოროტმოქმედებასაც“ (Liv., *Ab urbe condita*, XLII. 18.1).

პერსევსი ცდილობდა აღედგინა მაკედონიის საერთაშორისო გავლენა. იგი აგრესიულად იქცეოდა მეზობლების წინააღმდეგ [Grant, 1979:120]. რომაელებს ეჭვი ეპარებოდათ სწრაფად გაძლიერებულ პერსევსში. რომაელებს განსაკუთრებით პერსევსის ელინებთან მეგობრობა და სიახლოვე აღიზიანებდა. თავის მხრივ, რომაელები და მათი მხედართმთავრები მათ მიმართ სიძულვილით აღიძრნენ, ხოლო როდესაც ბასტერნეში გაგზავნილმა ელჩებმა განაცხადეს, რომ გაძლიერებული მაკედონია ნახეს, ამ ყველაფერმა რომაელები კიდევ უფრო შეაშფოთა. პერსევსმა ეს რომ შეამჩნია, სხვა ელჩები გაგზავნა, რომლებიც ეჭვის განმუხტვას ცდილობდნენ (App., *Historiae*

romanae, XI. 1). ამის გარდა, „სენატს ჰქონდა ცნობა იმისა, რომ პერსევს კართაგენტ-ანაც გაუბამს ურთიერთობა“ [სანიკიძე, 1970:90].

ომის შესახებ გადაწყვეტილება უკვე იყო მიღებული, მაგრამ ჯერ არ გამოცხადებულა, რადგან სენატი ელოდებოდა, თუ რომელი მეფე აირჩევდა რომაელებთან მეგობრობას და რომელი პერსევსთან (Liv., Ab urbe condita, XLII. 19. 3).

რომაელებმა პერსევსის წინააღმდეგ ომის სხვა მიზეზებიც წამოაყენეს, თითქოს ომის დაწყება ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი ამიტომ მეგობარ მეფეებს: ევმენესს, ანტიოქეს, არიარატის და ეგვიპტის მეფეს პტოლემეს ელჩები გაუგზავნეს, ხოლო სხვა ელჩები ელადაში, თესალიაში, ეპიროსსა და აკარნიაში გაგზავნეს. რადგან რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი მოეზიდათ (App., Historiae romanae, XI. 4).

ისტორიკოსის ცნობით: „რომაელებმა თრაკიის ტომების - მედების, კეპნატების და ასტების საელჩოს თხოვნაც დააკმაყოფილეს, რომლებსაც მოკავშირეობა და მეგობრობა სურდათ რომთან. რომაელებს განსაკუთრებით გაუხარდათ ამ ხალხებთან მოკავშირეობა, რადგან თრაკია მდებარეობდა მაკედონიის უკანა ნაწილში, ხოლო იმისთვის, რომ ყველაფერი გაეგოთ თუ რა ხდებოდა აზიასა და კუნძულებზე, იქ ელჩები ტიბერიუს კლავდიუს ნერონი და მარკუს დეციმიუსი გაგზავნეს მათ უბრძანეს, რომ კრეტასა და როდოს სწვოდნენ და მეგობრული კავშირი განეახლებინათ და გაერკვიათ შეაწუხა თუ არა პერსევსმა რომაელი მოკავშირეები“ (Liv., Ab urbe condita, XLII. 19. 7).

ნიშანდობლივია, რომ პერსევსმა „ელჩობა გაგზავნა როდოსში, რადგან თავის მხრივ, როდოსი კრეტის ქალაქებთან მოკავშირეობდა. შემდეგ როდოსელი ელჩები გაემგზავრნენ მაკედონიაში“ [Will, 2003:276.].

პერსევსის ასეთი დიპლომატიური მანევრი წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან „დიპლომატიურმა კომისიებმა ადგილებზე სასწრაფოდ მოსპეს ანტი რომაული სულიკვეთების ყველა ნიშანწყალი“ [სანიკიძე, 1970:90], ხოლო „სენატმა, პასუხის გაცემის გარეშე, ღიად გადაწყვიტა ომის გამოცხადება“ (App., Historiae romanae, XI. 6).

ძვ.წ. 171 წელს დაიწყო მესამე მაკედონიური ომი რომელიც სამ წელს გაგრძელდა, რომი განსაკუთრებით სერიოზულობით მოეკიდა ამ ომს [სანიკიძე, 1970:90].

აქტიური მოქმედებების მიუხედავად, პერსევსი რომთან ომს საკმაოდ მოუმზადებული შეხვდა. მაკედონიის მეფის იმედები არ გამართლდა. მან ვერ გაუკეთა

ორგანიზება ბერძენთა ერთიან ფრონტს. პერსევსს მხარი არ დაუჭირა ბეოტიამ და თესალიამ. მოკავშირეებმა რომის შიშით უარი თქვეს მაკედონიის მხარდაჭერაზე. პერსევსი მარტო დარჩა რომაელების პირისპირ, ამის მიუხედავად ომის პირველ ეტაპზე ბრძოლები მაკედონიელების გამარჯვებით მთავრდებოდა რაც საბერძნეთში ანტირომაულ განწყობებს ქმნიდა. მაგრამ პერსევსი, ნაცვლად იმისა, რომ მოპოვებული წარმატება გამოეყენებინა და შეტევა ახალი ძალით განეხილათ, ცდილობდა საზავო მოლაპ- არაკება გაემართა [ქავთარია, 2016:262].

აპიანე აღნიშნავს: „პერსევსმა ელჩები გაუგზავნა კრასუსს მასთან მშვიდობის მოსალაპარაკებლად და დაჰპირდა, რომ ის რაც ფილიპემ არ მისცა რომაელებს თვითონ დათმობდა. ამაზე კრასუსმა უპასუხა, რომ რომაელებისთვის მანამდე იყო უღირსი მასთან მშვიდობაზე მოლაპარაკება თუ მაკედონელებსაც და თვითონ მის თავსაც (პერსევსს) რომაელებს არ გადასცემდა“ (App., *Historiae romanae*, XII).

ორი წლის (ძვ.წ. 171-168 წწ). განმავლობაში წარმოებულ ცალკეულ ბრძოლებს გადამწყვეტი ცვლილებები არ შეუტანია საომარ მსვლელობაში. რომელი სარდლები მოუქნელად და ზანტად მოქმედებდნენ. პერსევსიც ერიდებოდა გენერალურ ბრძოლას [სანიკიძე, 1970:91].

ვ.სერგეევი აღნიშნავს, რომ „პერგამონთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მიუხედავად, პერსევსი კვლავაც რჩებოდა რომაელების ძალიან სერიოზულ მოწინააღმდეგედ, რომელთანაც ისინი არ რისკავდნენ მასთან ღია ბრძოლაში შესვლას. შედეგად, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ომის გადადებას, რადგან „მომავალი სამხედრო კამპანიისათვის უკეთ მომზადებულიყვნენ. პერსევსმა არ გაითვალისწინა შექმნილი გარემოება და არ დაიწყო სამხედრო მოქმედებები.“ ამის სანაცვლოდ მან კონფლიქტის მშვიდობიან მოსაგვარებლად რომაელ ლეგატ კვინტუს მარციუს ფილიპთან დაიწყო მოლაპარაკება. მარციუსმა, სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების შესახებ რა თქმა უნდა, მიიღო მაკედონიის მეფის წინადადება და შეხვედრის ადგილი დანიშნა. „მოლაპარაკებები ფორმალურ საკითხებზე კამათით დაიწყო: ვინ და რამდენ ადამიანთან უნდა გადაეცლო პირველი მდინარე. ზოგი თვლიდა, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს სამეფო ღირსებას, ზოგი კი - რომელი ხალხის სახელს...“ საბოლოოდ საკითხი კომპრომისით გადაწყდა. ამის შემდეგ მარციუსი და პერსევსი მიესალმნენ ერთმანეთს არა მტრებად, არამედ როგორც მეგობრებად და საუბრის დრ-

ოს ინიციატივა რომის წარმომადგენელს დარჩა, და პერსევს უთხრა: თქვენ განდევნეთ რომაელი მოკავშირე აბრუპოლუსი, თქვენ თავშესაფარი მიეცით არქიატავრის მკვლელებს, თქვენ ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ, იომეთ თესალიაში და ა.შ. [Cepreev, 1959:72-73].

პერსევსმა ყველა ამ კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა [Cepreev, 1959:72], „მე არაფერი გამიკეთებია გამოუსწორებელი, რისთვისაც შური უნდა ვიძიო ომით“, (Liv., Ab urbe condita., XLII. 42).

ასეთი იყო პერსევსის პასუხები. მარციუსმა მოწონებით მოისმინა პერსევსის პასუხები და თითქოს თანაგრძნობის ნიშნად, რომში ელჩების გაგზავნა შესთავაზა და პასუხის მიღებამდე ზავი დაედო. პერსევსი დათანხმდა. სინამდვილეში, ეს იყო ის რაც მარციუსს სურდა. ზავი იყო რომაელებისთვის აუცილებელი რადგან იმ დროს ისინი ჯერ კიდევ არაფერი იყვნენ, რადგან ომისთვის არ იყვნენ სათანადოდ მომზადებული. რომელმა ლეგატმა ძალიან მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. რომში დაბრუნების შემდეგ მარციუსი და მისი კოლეგა ატილუსი ამაყოფნენ თავიანთი მიღწევებით, რადგან ყოველივე ეს იყო ცრუ იმედის მომცემი (Liv., Ab urbe condita, XLII. 40.43.47). [Cepreev, 1959:73].

ძვ.წ. 168 წლის 22 ივნისს მოხდა სახელოვანი პიდნას ბრძოლა [სანიკიძე, 1970: 91]. ბრძოლის დროს კატასტროფა დააჩქარა მაკედონელი მეფის უმოქმედობამ და სიმხდალემ. კავალერიას, რომელსაც თვით მეფე უდგა სათავეში. ბრძოლაში არც კი მიუღია მონაწილეობა. ის მდინარის მეორე ნაპირიდან უცქერდა ფალანგების განადგურებას და პირველი გაიქცა ბრძოლის ველიდან. ასე გადაწყდა მაკედონიის ბედი ბრძოლაში, რომელიც ერთი საათიც არ გაგრძელებულა. სულ ერთი კვირა იყო გასულ ემილიუს პავლეს მთავარსარდლად დანიშვნიდან და ალექსანდრე მაკედონელის სამშობლო უკვე რომაელთა ფეხქვეშ იყო გართხმული [სანიკიძე, 1970:93].

საბოლოოდ, პიდნას (ძვ.წ. 168 წ.) ბრძოლაში რომაულმა ლეგიონებმა მაკედონია გაანადგურეს [Matyszak, 2004:53] და რომაელებმა პერსევსი დაამარცხეს.

ეს იყო პერსევსის დიპლომატიური შეცდომების შედეგი. მაკედონიამ წააგო და მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც ბოლო მოეღო. იგი გახდა რომზე დამოკიდებული [Cepreev, 1959:73],

ამრიგად, რომაელები „გამათავისუფლებლის“ დროშით მიდიოდნენ აღმოსავლ-

თში საომრად, რომელი დიპლომატიის ფორმულით. *socius et amicus populi romani* შეყავდათ დამარცხებული ქვეყანა. მაკედონია პროვინციად არ გამოაცხადეს [სანიკიძე, 1970:94-95].

მაკედონია 4 რესპუბლიკურ-ფედერალურ გაერთიანებად, დაყვეს [Моммзен, 1997:99]. მათ უწოდეს „პელაგონიის, ამფიპოლისის, თესალონიკის და პელას რესპუბლიკები“ [სანიკიძე, 1970:94-95].

მკ.წ. 168 წელს რომაულმა დიპლომატიამ, ანტიოქოს IV-ზე მოიპოვა კიდევ ერთი დიდი გამარჯვება. ანტიოქოსი ჩაერია ეგვიპტის საქმეებში და დაიპყრო დიდი ნაწილი [Сепреев, 1959:73],

ლივიუსის ცნობით, „ანტიოქოსსა და ეგვიპტის მეფე პტოლემეოსს შორის უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მშვიდობის ხელმოწერის და ეგვიპტის ტერიტორიის ნაწილის დათმობაზე თუმცა ანტიოქოსის მიერ შემოთავზებული პირობა ეგვიპტისთვის დამამცირებელი იყო და არ მიიღეს“ (Liv., *Ab urbe condita*, XLII.51).

ანტიოქოსი ეგვიპტის დედაქალაქ ალექსანდრიაში ჯარით გაემგზავრა, მაგრამ ქალაქიდან 4 კმ-ს დაშორებით მას მოულოდნელად რომის საელჩო შეხვდა [Сепреев, 1959:74], მისიის ხელმძღვანელმა გაიუს პოპილიუსმა ლენატმა სალამზე არ უპასუხა და ისე გააცნო, რომის სენატის აზრი, რომ ეგვიპტე დაეტოვებინა [ქავთარია, 2016: 265].

ისტორიკოსის ცნობით: „სენატის განკარგულება გადასცა. ანტიოქემ ელჩს უბრძანა ჯერ მას წაეკითხა და ამის შემდეგ დაფიქრებოდა თუ რას გააკეთებდა“. სენატი ანტიოქეს სთხოვდა, რომ მაშინვე დაენებებინა თავი ეგვიპტისთვის. ანტიოქემ დაფიქრების შემდეგ უპასუხა: „ყველაფერს გავაკეთებ, რაც სენატს საჭიროდ მიაჩნია. ამის შემდეგ, პოპილიუსმა ხელი გაუწოდა ანტიოქეს, როგორც რომაელი ხალხის მოკავშირეს და მეგობარს“ (Liv., *Ab urbe condita*, XLV.12).

ანტიოქოსმა დრო ითხოვა რომის ელჩმა ხელჯოხით წრე შემოავლო სირიის მეფეს და უთხრა: პასუხს გამცემ ისე, რომ წრეს არ გადაკვეთო, ანტიოქოსის იძულებული გახდა პოპილიუს ლენატის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა [Сепреев, 1959:74],

დანიშნულ ვადაში ანტიოქემ ეგვიპტის საზღვრები დატოვა და რომაელმა ელჩებმა გავლენითა და წონით პტოლემეაიოსებს შორის მშვიდობა განამტკიცეს (Liv., *Ab urbe condita*, XLV. 12).

ამრიგად, ეგვიპტე კვლავ დაუბრუნდა ძველი რომის დიპლომატიას. ამ დროიდან ეგვიპტე რომაული გავლენის სფეროში ხვდება და თანდათან კარგავს თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას [Сергеев, 1959:74].

მეოთხე მაკედონიური ომი (ძვ.წ. 150-148 წწ). პიდნას ბრძოლიდან ოცი წლის შემდეგ რომაულ ლეგიონებს კვლავ მოუხდათ აღმოსავლეთში სალაშქროდ წასვლა. მაკედონიაში იფეთქა აჯანყებამ რომელიც ისტორიაში ცნობილი გახდა ანდრისკეს, ანუ ფსევდოფილიპეს აჯანყების სახელწოდებით (ძვ.წ.149-148) [სანიკიძე, 1970:99].

ძვ.წ. 149 წლის გაზაფხულზე ანდრისკე თრაკიელთა მხარდაჭერით მიაღწა მაკედონიის სასაზღვრო ხაზს მდინარე სტრიმონთან. აქ მან ორჯერ დაამარცხა პრო რომაული პოლიტიკის დამცველთა ძალები და შევიდა მაკედონიაში. მალე მის ხელში აღმოჩნდა მთელი მაკედონია. მაკედონიიდან ანდრისკე დაიძრა საბერძნეთისაკენ, სადაც ამ დროს უკვე იწყებოდა ბერძნული მოსახლეობის განმათავისუფლებელი მოძრაობა რომაელთა წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ეტყობა, ანდრისკემ ვერ დაამყარა კავშირი მაშინდელი საბერძნეთის ყველაზე აქტიურ ძალებთან აქეის კავშირთან. პირიქით, ბერძნული ოლქების ნაწილი, განსაკუთრებით ჩრდილოეთი რაიონები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დავიწყნოდათ მაკედონიური უღლის სიმძიმე, მტრულად შეხედნენ მაკედონიური ტახტის უზურპატორს [სანიკიძე, 1970:100-101].

ცხადია, ამ გარემოებამ გავლენა იქონია და საბოლოოდ, ანდრისკე დამარცხდა. მაკედონიის დაცემის შემდეგ რომაული დიპლომატია „უფრო გაბედული, სასტიკი და თავდაჯერებული გახდა“ [Феппепо, 1925:24]. საბოლოოდ, (ძვ.წ. 148 წ). გამოცხადდა „პროვინცია მაკედონია“ [სანიკიძე, 1970:102].

ამრიგად, მაკედონიის რომაულ პროვინციად გადაქცევა იყო რომაული დიპლომატიის უდიდესი გამარჯვება, რომლის წყალობითაც რომმა მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა. ამის შემდეგ, ჯერი დადგა აქეის კავშირზე, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა დამოუკიდებლობა. აქეის კავშირისთვის ბრძოლა იყო ხანგრძლივი და უკიდურესად დამაბუღი. გარეგანი და შინაგანი წინააღმდეგობები იყო ჩახლართული. რომაელები დიპლომატიურად თამაშობდნენ და ზოგჯერ აქედან ოლიგარქებს, მსხვილ მონათმფლობელებს და დემოკრატიულ ელემენტებს შორის აკეთებდნენ არჩევას. საბოლოოდ, მათ მოახერხეს აქეის ლიგის სრულად დასუსტება და დამარცხება [Сергеев, 1959:74-76].

ომი საბერძნეთთან: კართაგენის და მაკედონის დაცემის შემდეგ რომის საგარეო აგრესიის ყურადღებამ საბერძნეთის გარშემო მოიყარა თავი. ელინური ქალაქები და კავშირები ბალკანეთის პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელები იყვნენ. პოლისებში მწიფდებოდა და ვრცელდებოდა საერთობერძნული კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური იდეები [ქავთარია, 2016:285].

„ბერძნული ომის“ დაწყების საბაზი დაკავშირებულია აქეის კავშირის და სპარტის კონფლიქტთან. ძვ.წ. 149 წელს აქეის ლიგის კრებაზე არქონტმა დიეოსმა აღძრა საკითხი სპარტისადმი რომაელთაგან მინიჭებული განსაკუთრებული „პრივილეგიების“ შეკვეცის შესახებ. „კრებამ მხარი დაუჭირა დიეოსს და გადაწყვიტა რამდენიმე სპარტელის მძევლად აყვანა. სპარტამ სასწრაფოდ აფრინა ელჩები რომში. რომმაც აღუთქვა, რომ კომისიას გაგზავნიდა საბერძნეთში...“ ბოლოს, როგორც იქნა, პელოპონესში ჩამოვიდა რომაული კომისია ავრელიუს ორესტეს მეთაურობით. მან კორინთოში მოიწვია აქელთა ყრილობა, სადაც გამოაცხადა რომის სენატის ბრძანება: „გამოყოფილი იქნეს აქეის კავშირიდან სპარტა, კორინთო, ორქომენი, არგოსი, პლეგრონი და ეტოსი“ [სანიკიძე, 1970:104].

მაშასადამე, „აქეის კავშირს უნდა ჩამოერთვას ყველა ქალაქი და ოლქი, რაც მან რომაელთაგან მიიღო. მეორე მაკედონიური ომის შედეგად და დაკმაყოფილდეს იმ ტერიტორიით, რაც მას ჰქონდა მეორე პუნიკური ომის ბოლოსათვის“. სენატის ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი მღელვარება გამოიწვია აქაელთა შორის. ხალხი არ მოერიდა რომაელ ელჩებსაც ლანძღავდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ. რომში დაბრუნებულმა კომისიამ ყველაფერი შეატყობინა სენატს [სანიკიძე, 1970:104].

რომიდან კომისია გაგზავნეს სექსტუს იულიუს კეისრის მეთაურობით (ძვ.წ. 147 წ.). ეგონში მოწვეულ აქელ დაპუტატთა შეკრებაზე კეისარმა კვლავ ამცნო სენატის ურყევი გადაწყვეტილება. აქელთაგან გამოცხადდა მარტო კრიტოლაოსი, რომელმაც რომაელებს ამცნო: „ამ საკითხის გადაჭრა შეუძლია აქეის კავშირის მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ...“ რომთან ურთიერთობის საკითხში როცა კრიტოლაოსი გამოვიდა და განაცხადა, საბერძნეთს რომისგან კავშირი სჭირდება და არა მბრძანებლობაო. ცეცელიუსის ელჩები ამაოდ ცდილობდნენ აქაელთა „გონზე მოყვანას“. ყრილობამ მხარი დაუჭირა კრიტოლაოსის მოწოდებას და გამოცხადდა ომი, [სანიკიძე, 1970:104-105].

პოლიბიოსის თანახმად: „სიტყვით მიმართული იყო ლაკედემონელთა წინააღმდეგ საქმით რომაელთა წინააღმდეგ“ (Polyb., Historia universalis, XXXIII. 12).

რომის სენატის ნაბიჯს დიპლომატიური გზებით მოეგვარებინათ ელადის პრობლემები მოლაპარაკების ნაცვლად საოცარ სამზადისს შეუდგნენ. აქეის კავშირს მხარი დაუჭირა ბეოტიამ, ფოკიდამ, ქალკიდამ. წინააღმდეგობას საფუძვლად პოლიტიკურთან ერთად, სოციალური საკითხების ამოძრავებდა [ქავთარია, 2016:285].

ძვ.წ. 146 წლის გაზაფხულზე რომის სენატმა სარდლობა კონსულ მუმმიუსს დააკისრა. ვიდრე კოსული თავის არმიით საბერძნეთში გადავიდოდა, მაკედონიიდან დაიძრა პრეტორი მეტელუსი დაამარცხა კოალიციის ძალები და მივიდა ისთმოს ყელამდე. კონსულ მუმმიუსის ლეგიონებს ბერძნები თავგანწირვით ებრძოდნენ მაგრამ დამარცხდნენ. აქეის კავშირის ქალაქები რომაელებს დანებდნენ [ქავთარია, 2016:286].

აღსანიშნავია, რომ მუმმიუსი თან ომობდა და თან დიპლომატიურ საქმიანობასაც ეწეოდა. მალე მუმმიუსთან გაჩნდა სენატის კომისია. ხანმოკლე ბჭობის შემდეგ: აქეის, ბეოტიის, ევბეის, ფოკეის, და ლოკრიდის კავშირები გაუქმდა (გადარჩა მხოლოდ ეტოლის კავშირი, რომელსაც ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია) და აჯანყებულ ქალაქებთან ერთად, მძიმედ დახარკულნი შეუერთდნენ მაკედონიის პროვინციას [სანიკიძე, 1970:106].

ამრიგად, „ბოლოს კორინთოს ნაფუძვარი დასწყევლეს და მასზე კაცთაგან ცეცხლის დანთება ისევ აკრძალეს, როგორც იმ წელს ძირ-ფესვიანად ამოგდებული კართაგენის მიწაზე“ [სანიკიძე, 1970:107].

კორინთოსადმი გამოვლენილი სისასტიკე გამოწვეული იყო იმით, რომ ის წარმოადგენდა ანტი რომაული მოძრაობის ცენტრს [ქავთარია, 2016:286].

ასე დაიშრიტა „ელადის თვალისჩინი“ [სანიკიძე, 1970:107]. უკანასკნელი მცირე-ასი სამკაული ოდესღაც ქალაქებით მდიდარი საბერძნეთის მიწისა [Момзен, 1937:51].

რომაულმა პოლიტიკამ საბერძნეთსა და მცირე აზიაში პოლიტიკურ ჰეგემონობასთან ერთად მოიპოვა დიპლომატიური გამარჯვება [Сепреев, 1959: 77].

4.5 „აფრიკული პოლიტიკა“ და რომის დიპლომატია

რომის რესპუბლიკის გულგრილი მმართველობა და უხეშობა ისე არსად გამოჩნდა როგორც აფრიკაში. აფრიკის პროვინცია შეიქმნა არა ძალაუფლებისადმი ლტოლვით არამედ, შურით და შიშით. პატარა რომაული პროვინცია ყველა მხრიდან გარშემორტყმული იყო ნუმიდიის დამოკიდებული სამეფოთი, რომელიც რომაელებს ეხმარებოდა კართაგენის განადგურებაში. ამავე დროს, ნუმიდიის მეფემ მიიღო ისეთი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა, რაც რომზე დამოკიდებულ სხვა სახელმწიფოთა მმართველებს არასოდეს ჰქონიათ. უკვე, რომის რესპუბლიკა უზენაეს ძალაუფლებას აცხადებდა მთელ ჩრდილოეთ აფრიკაზე. როგორც კართაგენის მემკვიდრეობის ნაწილზე და ალბათ, იმიტომ, რომ ადრეული დევიზი „ჩვენი ზღვა“ რომის სახელმწიფოს ერთ-ერთი პრინციპი გახდა [Моммзен, 1997:510].

რომაული პოლიტიკა აფრიკაში არაკეთილსინდისიერ განზრახვაზე ჩამოყალიბდა, რაც კართაგენის ძალაუფლების თავიდან აცილებაში გამოიხატა [Моммзен, 1997:10].

რომაული აფრიკის საფუძველი და ბირთვი იყო ნუმიდია [Моммзен, 1997:518].

მეორე პუნიკური ომი იყო სტიმული, რომელმაც რომში ინტერესი წარმოიშვა ნუმიდიით [Wingate, 1971:47].

რომი იძულებული გახდა ნუმიდიელებთან ჰქონოდა დიპლომატიური ურთიერთობები [Warmington, 1964:48; Nickerson, 1961:11].

რომის საგარეო პოლიტიკის უუნარობა და გაბატონებული წრეების მომხვეჭელობა დღის სინათლეზე გამოიტანა ნუმიდიაში დატრიალებულმა ამბებმა [ქავთარია, 2016:350].

მეფე მასინისა, რომელიც რომის ურყევი მოკავშირე იყო [Froude, 1903:33-34] მესამე პუნიკურ ომში კი (ძვ.წ. 149-146 წწ). მასინის თითქმის არ ეხმარებოდა რომაელებს. რადგან უკმაყოფილო იყო მათი მოქმედებით და თვითონ ფიქრობდა კართაგენის დაპყრობას [წერეთელი, 1992:177].

ამავდროულად რომის დიპლომატიამ ნუმიდიის ერთ-ერთ მეფესთან, სიფაქსთან მოახერხა მეგობრული ალიანსის დადება, რომელიც ჰანიბალისთვის იყო დიდი დანაკარგი. რომაელმა დიპლომატებმა აფრიკაში ნუმიდიის მეფეებს სიფაქსის და

მასინისას შორის არსებული დაპირისპირება მათ სასარგებლოდ გამოიყენეს. ნუმიდიაში ორივე მეფე პირველობისთვის იბრძოდა. მასინისას კართაგენლების არისტოკრატია უჭერდა მხარს, ხოლო სიფაქსი, რომელიც იყო მასინისას ყველაზე დიდი მტერი. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ და რომაელების წარმატებებმა მაკედონიაში საბოლოოდ, რომაელების მხარეზე გადასვლა გადააწყვეტინა [Cepreeb, 1959: 68].

რომის მხარდაჭერით სიფაქსმა კართაგენის წინააღმდეგ ომი დაიწყო და რამდენიმე გამარჯვებაც მოიპოვა. რაც მთავარია, სიფაქსის წარმატებებმა და კართაგენის დამლუპველმა მდგომარეობა მასინისაც დიდი ფიქრის შემდეგ რომის მხარეზე გადავიდა [Cepreeb, 1959: 68].

ჩვენი აზრით, ნუმიდიის მეფე მასინისა მეორე პუნიკურ ომში (ძვ.წ. 218-201 წწ). ჰანიბალის მხარეზე იყო. ტრაზიმენის და კანეს ველზე ბრძოლები მასინისას მეშვებით მოიგო. ურთიერთობების გაფუჭების მიზეზი მთლად ნათლად არ სჩანს. მე მიმაჩნია, რომ 1) ან ჰანიბალსა და მასინისას შორის კონფლიქტი მოხდა, 2) ან მასინისას მოჰბეზრდა და ვერ მიიღო ის რაც უნდოდა. 3) მიმაჩნია, რომ რომაელებმა მასინისას დაჰპირდნენ კართაგენის ტერიტორიები, რაც ნაწილობრივ მისცეს და გადაიბირეს.

მასინისა ძვ.წ. 149 წლამდე მეფობდა [ქავთარია, 2016:350], უკვე ღრმად მოხუცებულმა მასინისამ ნუმიდიის სამეფო მემკვიდრეობის გასანაწილებლად მოიწვია კართაგენის კედლებთან ლაშქრად ჩამოსული სციპიონ ემილიანე დიდი სციპიონის მემკვიდრე. სციპიონ ემილიანემ... გარდაცვლილი მეფის ანდერძი აღასრულა და ნუმიდიის სამბრძანებლო მასინისას სამ შვილს ასე გაუნაწილა: უფროს ვაჟს, მიციპსას ხელმწიფობა უბოძა, შუათანას გულუსას მთავარსარდლობა, უმცროსს, მასტანაბალს უმაღლესი მოსამართლეობა. ბოლოს უმცროსი ძმები დაიხოცნენ და მიციპსა ერთპიროვნულ მბრძანებლად შერჩა ნუმიდიას [სანიკიძე, 1970:8-9].

სალუსტიუსის ცნობით: „მიციპსამ მიიღო ერთადერთი სამეფო ძალაუფლება“, (Sall., *Bellum iugurthinum*, 6).

მიციპსას „ორი ვაჟი ჰყავდა ადჰერბალი და ჰიემპსალი, ტახტის მემკვიდრეთა გვერდით მეფე ზრდიდა უმცროსი ძმის, მასტანაბალის შვილს, იუგურტას [სანიკიძე, 1970:9]. „ინახავდა თავის სახლში და საკუთარ ვაჟებთან ერთად ზრდიდა“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 6).

მიციპსა ხედავდა, რომ მის ვაჟებს ტახტისაკენ მიმავალ გზაზე ავი საფრთხე ელოდებოდა. მიუცილებლად საჭირო გახდა იუგურტას განადგურება. და, აი, როცა სციპიონ ემილიანემ ესპანეთში ნუმანციის წინააღმდეგ გამგზავრების წინ ნუმიდის მეფეს დახმარება სთხოვა, მიციპსამ სიხარულით მიიღო თხოვნა, „ესპანეთში გასაგზავნად კავალერია გამოყო და მისი სარდლობა „საყვარელ ძმისწულს“ იუგურტას ჩააბარა [სანიკიძე, 1970:9]. „იქნებ სადმე ესპანელის ხელით ნასროლმა შხამიანმა ისარმა განგმიროს!“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 7).

სიკვდილის პირში მიცემული ვაჟკაცის საქმე წაღმა დატრიალდა. იუგურტამ ესპანელებთან ომში ერთბაშად გაითქვა სახელი, როგორც უპირველესმა მეომარმა და გონებაგამჭრიახმა სტრატეგოსმა [სანიკიძე, 1970:9].

სალუსტიუსის თანახმად: „იუგურტამ ნუმანტიელებს შორის უდიდესი საშინელება გაჩინა, რადგან უაღრესად რთულია იყო მამაცი ბრძოლაში და ბრძენი რჩევებში“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 7).

ნუმანტიის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ „პუბლიუს სციპიონმა ურჩია რომაელ ხალხთან ოფიციალური მეგობრობა შეენარჩუნებინა და არავის მიმართ ყოფილიყო გულუხვი, რადგან სახიფათოა რამდენიმე ადამიანისგან იყიდო ის, რაც ბევრს ეკუთვნის (Sall., *Bellum iugurthinum*, 8).

როცა იუგურტა ესპანეთიდან უაღრესად სახელმოხვეჭილი დაბრუნდა... მეფემ ისღა მოახერხა, ძმისწული თავისი ღვიძლი ვაჟების, ადჰერბალისა და ჰიემპსალის გვერდით, სამეფო ტახტის თანამემკვიდრედ გამოაცხადა“ [სანიკიძე, 1970:8-10].

სამეფო ძალაუფლება ადჰერბალს, ჰიემპსალს და ძმისწულ იუგურტას უანდერბა [წერეთელი, 1992:177].

სალუსტიუსის ცნობით „თუ თქვენ ხართ პატიოსანი ხალხი მე, ჩემი მხრივ, თქვენ გადმოგცემთ სამეფოს (Sall., *Bellum iugurthinum*, 10:3. 11).

მიციპსას გარდაცვალების შემდეგ [Momsen, 1958:94]. გაიმართა ბრძოლა ბიძაშვილთა შორის. ადჰერბალი დამარცხდა...იუგურტა დაეუფლა მთელ ნუმიდურ მემკვიდრეობას, ჭკვიანმა და ცბიერმა ნუმიდელმა ესპანეთის მიწაზე განლაგებულ სამხედრო ბანაკებში გაიცინო რომაელ მმართველთა, არისტოკრატთა, დიპლომატთა და სამხედრო მოღვაწეთა იმდროინდელი ბუნება. მარტო სციპიონ ემილიანეს პატიოსნება ანგარიშში ჩასაგდება არ, იყო [სანიკიძე, 1970:10].

ასეთი პირების ახლოს გაცნობის შედეგად იგი დარწმუნებულა, რომ ქრთამის საშუალებით რომში ყველაფრის მიღწევა შესაძლებელი [წერეთელი, 1992:177].

ისტორიკოსის ცნობით: „იუგურტამ რომში ოქრო-ვერცხლით ელჩები გაგზავნა და მათ უბრძანა საჩუქრები მიეცათ მისი ძველი მეგობრებისთვის. როგორც კი რომში ელჩები ჩავიდნენ და მეფის ბრძანების შესაბამისად, გადასცეს მდიდარი საჩუქრები, რომლებსაც სენატზე დიდი გავლენა ჰქონდათ. ისეთი გასაოცარი ცვლილება მოხდა, რომ იუგურტას მიმართ დიდებულთა სიძულვილი კეთილგანწყობით შეიცვალა“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 13.6.7.8).

როცა მიციპსას მემკვიდრეებს შორის დავა ამტყდარა, მათ ურთიერთობაში რომი ჩარეულა [წერეთელი, 1992:177].

ადჰერბალი შესაბრალო სიტყვებით ცდილობდ სენატის გულის აჩუყებას. მაგრამ რომში ადჰერბალზე ადრე იუგურტას ოქრომ ჩააწრო. იუგურტას სენატი მოლიანად ნაყიდი ჰყავდა [სანიკიძე, 1970:10].

სალუსტიუსის თანახმად: „როდესაც მეფემ ლაპარაკი დაასრულა იუგურტას ელჩებმა..უპასუხეს: ჰიემპსალი იუგურტას კი არ მოუკლავს, ნუმიდელიებმა მოკლეს და ისიც სამართლიანად. მერე, შენს წინააღმდეგ იუგურტას კი არ დაუწყია ომი, შენ თვითონ დაესხი მას თავს და იმანაც,იმ „უცოდველმა კრავმა“, თავი დაიცვა და მოგიგერია“. სენატმა დაუყოვნებლივ განიხილა საკითხი. სენატორების უმრავლესობამ ადჰერბალის სიტყვაზე ზიზღით ლაპარაკი დაიწყეს და იუგურტას ვაჟკაცობა შეაქეს“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 15. 1.2).

სენატში მაინც გამოჩნდა ორიოდე კაცი, რომელთაც იუგურტას ოქრო ვერ მისწვდნოდა [სანიკიძე, 1970:10].

სალუსტიუსი აღნიშნავდა, რომ „ამიერიდან ნუმიდის ის ნაწილი, რომელიც ესაზღვრება მაგრიტანიას... ეკუთვნის იუგურტას, ხოლო დანარჩენი ცირტასთან ერთად ადჰერბალის საკუთრება გახდა“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 16. 1. 5).

რომის დიპლომატიამ, ნუ სენატმა ასე ჩათვალა.

ადჰერბალი დაემორჩილა რომაულ უსამართლობას, იუგურტამ კი არ იკმარა რომაული „სამართლიანობა“, დეცემვირთა კომისიამ ძლივს მოასწრო აფრიკის მიწიდან ფეხის გადგმა, რომ იუგურტამ ჯარი შეუსია ადჰერბალის სამფლობელოებს. მაშინ იუგურტამ ყოველგვარი საბაზის გარეშე დაიწყო ომი (ძვ.წ. 113 წ). იგი პირდაპირ

დაიდრა ცირტას მიმართულებით [სანიკიძე, 1970:11], ხოლო „როგორც კი ადჰერბალმა გააცნობიერა...“ შექმნილი მდგომარეობა „აღჭურვა ჯარები და იუგურთასთან შესახვედრად გაემართა“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 21. 1).

ადჰერბალი „დამარცხდა. მას სამარცხვინო ტყვეობა და სიკვდილი არ ასცდებოდა, რომ იუგურთას იერიში არ შეეკავებინათ ცირტაში იმ დროს მყოფ რომაელი იტალიელ ვაჭრებსა და მხედარპუბლიკანებს. იუგურთამ ცირტას ალყა შემოარტყა. ადჰერბალმა მოასწრო საჩივრის გაგზავნა რომში [სანიკიძე, 1970:11].

იუგურთამ გაიგო, რომ ადჰერბალმა რომში ბრძოლის წინ ელჩები გაგზავნა“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 21. 3). ოქროს ნაზიარები სენატი კვლავ ითრევდა ფეხს. როგორც იქნა. ისევ გამოჩნდნენ რომაელი ელჩები აფრიკაში, მაგრამ იუგურთამ ახლოსაც არ გაიკარა ისინი. ადჰერბალი კი შიკრიკს შიკრიკზე გზავნიდა რომში [სანიკიძე, 1970:11].

როცა სენატმა მათ შორის ომის შესახებ შეიტყო, სამი ახალგაზრდა გაგზავნა აფრიკაში, რადგან „მათ ორივე მეფისთვის ეცნოთ, რომ სენატი და რომაელი ხალხი ბრძანებენ, რომ მეფეებმა საომარი მოქმედებები შეწყვიტონ და კანონით მოაგვარონ დავა და არა ომით“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 21. 4).

სალუსტიუსის ცნობით: „ელჩები სასწრაფოდ გაემართნენ აფრიკაში...იუგურთამ ელჩების მოსმენის შემდეგ უპასუხა, რომ მისთვის სენატის ნებაზე დამორჩილება იყო უფრო მნიშვნელოვანი“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 22.1.2).

ისტორიკოსის ცნობით: „იუგურთამ, რომელმაც დაადგინა ელჩების გამგზავრება. ცირტაზე დღედაღამ ძალით მოქმედებდა. როგორც კი ადჰერბალმა გააცნობიერა, რომ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. შეუძლებელი იყო ომის გახანგრძლივება, მან ორი მამაცი შეარჩია და რომში გაგზავნა (Sall., *Bellum iugurthinum* 23.1.2).

სალუსტიუსი აღნიშნავს, რომ ადჰერბალის წერილი სენატში წაიკითხეს შემდეგი შინაარსით: „სენატორ მამებო ჩემი ბრალი არ არის, რომ ასე ხშირად მოგმართავთ, ვედრებით... მე რომაელი ხალხის მოკავშირე და მეგობარი, მეხუთე თვეა ვარ ალყაში... მახვილით თუ შიმშილით ვიტანჯები. თუმცა, მე როგორც მესმის, ჩემი სამეფოს დაუფლება უნდა“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 24. 1. 2. 3. 4. 5).

სალუსტიუსის თანახმად, „გევედრებით, (იუგურთა) ნუმიდიის სამეფოდან

განდევნეთ, რომელიც თქვენ გეკუთვნით“. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ზოგიერთმა სენატორმა აფრიკაში დასახმარებლად შესთავაზა ჯარის გაგზავნა (Sall., *Bellum iugurthinum*, 24.6.7.8.9.10. 25.1).

რამდენიმე თვის ბჭობის შემდეგ, როგორც იქნა, შესდგა ყველაზე უფრო „ავტორიტეტული“ კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოს თავკაცი... მაშინდელი რომაული მიწისა [სანიკიძე, 1970:11]. კონსული და შემდეგ სენატის უფროსი მარკუს სკავრუსი [სანიკიძე, 1970:11].

სალუსტიუსის ცნობით: „იუგურთა ამბიციამ, დააბრმავა და დანაშაულებამდე მიიყვანა და კვლავ შემოარტყა ცირტას ალყა როდესაც ეშმაკობით ვერ შეასრულა თავისი განზრახვა, ანუ ადჰერბალის დაჭერა ელჩებთან შეხვედრამდე, თუმცა მას არ სურდა სკავრუსი კიდევ უფრო დაყოვნებით გაელიზიანებინა. ამის მიუხედავად, იუგურთა ალყის მოხსნაზე უარს თუ არ იტყოდა მაშინ ელჩები, მას სენატის სახელით, მკაცრი სასჯელით დაემუქრებოდნენ. მათ ბევრი სიტყვა დახარჯეს, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდათ“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 25. 6. 9. 11).

რაკი რომიდან არავითარი ხსნა აღარ ჩანდა... ადჰერბალმა იუგურთასგან სიცოცხლის შენარჩუნების პირობა მიიღო და ქალაქი ჩააბარა, იუგურთასთვის აღთქმას არავითარი ფასი არ ჰქონდა. იგი შეიჭრა ცირტაში და საშინელი ხოცვა ჟლეტა გააჩაღა. ადჰერბალი სასტიკად აწამა [სანიკიძე, 1970:11-12].

როდესაც რომმა შეიტყო მომხდარის შესახებ „ცდილობდნენ მომხდარის სისასტიკე შეემსუბუქებინათ. სენატი თავის დანაშაულს აცნობიერებდა“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 27.1). რომელი ხალხი ფეხზე დადგა. იგი მუქარით მოითხოვდა თავგასული მეფის დასჯას [სანიკიძე, 1970:12].

„იუგურთას საქმეზე“ საგანგებოდ შეიყარა კომიცია, იუგურთას ელჩები ოქროვრცხლით დატვირთულნი რომში არ შეუშვეს. მრისხანე სიტყვით გამოვიდა ნიჭიერი და გაბედული სახალხო ტრიბუნი გაიუს მემიუსი. მან გადაჭრით მოითხოვა იუგურთას წინააღმდეგ ომის გამოცხადება და მისი სასტიკად დასჯა [სანიკიძე, 1970: 12]. სალუსტიუსის ცნობით: „მკაცრად გირჩევთ, დაუსჯელი არ დატოვოთ ასეთი მძიმე დანაშაული, რადგან აქ საუბარი არ არის სახელმწიფო ხაზინიდან ქურდობაზე ან მოკავშირეებიდან ფულის იძულებით ჩამორთმევაზე“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 31. 26).

რომში დიდი მღელვარებით შეხვდნენ ნუმიდიაში მიმდინარე მოვლენებს. განსაკუთრებით შეურიგებელი პოზიცია ეკავათ მხედრებს. მათი გავლენით [ქავთარია, 2016:351].დაიწყო „იუგურთას ომი“(ძვ.წ.111-ძვ.წ.105 წწ). [სანიკიძე,1970:12].კონსულმა ლუციუს კალპურნიუსმა წარმატებით დაიწყო შეტევა, მაგრამ იუგურთამ მოსყიდვით... დაზავებას მიაღწია. დაზავების შემდეგ სახალხო ტრიბუნმა გაიუს მემიუსმა მხედრების მხარდაჭერით მიაღწია იუგურთას დაბარებას რომში. სახალხო კრებაზე გამოცხადებულ იუგურთას ტრიბუნმა მემიუსმა დაუსვა კითხვა მაგრამ მისმა კოლეგა ბებიუსმა მეფის პასუხს ვეტო დაადო [ქავთარია, 2016:351-352].

სალუსტიუსის თანახმად: „ბებიუსი, როგორც უკვე ვთქვით, მოსყიდული იყო. უბრძანა მეფეს გაჩუმებულიყო“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 34.1).

სენატის სხდომაზე დიდი აურზაურით ჩატარდა.კონსული სპურიუს პოსტუმიუს ალბინუსი... დაჟინებით მოითხოვდა, იუგურთას წართმეოდა ნუმიდიის ტახტი და მის ნაცვლად მეფედ დაესვათ მასივა[სანიკიძე, 1970:14].ვიდრე სენატში კამათობდნენ ნუმიდიის პრობლემების გარშემო იუგურთამ მოაკვლევინა რომში მცხოვრები მიციპსას ძმისწული მასივა, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ნუმიდიის ტახტზე, ხოლო მკვლელს დაეხმარა,რომი დაეტოვებინა [ქავთარია, 2016:352].რაკი სხვანაირად ვეღარაფერი მოხერხდა, სენატმა ფიცხელი ბრძანება გასცა: [სანიკიძე, 1970:14]. „იუგურთა დაუყოვნებლივ გაეთრიოს რომიდან, გაუქმდეს მასთან დადებული ზავი და ნუმიდიაში ახალი არმით გაიგზავნოს კონსული სპურიუს პოსტუმიუს ალბინუსი (Sall., *Bellum iugurthinum*, 35.9). მომხდარმა ფაქტმა სენატი აიძულა, გაეუქმებინა სამშვიდობო ხელშეკრულება და იუგურთა გაეძევებინა რომიდან. როდესაც იუგურთა რომს ტოვებდა,წამოიძახა[ქავთარია, 2016:352] „ო, გაყიდულო ქალაქო, შენი არსებობა დასრულდება,როდესაც შესაფერისი მყიდველი გამოჩნდება“(Sall.,*Bellum iugurthinum*, 35.10).

იუგურთა დაბრუნდა ნუმიდიაში და შეუდგა გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადებას [ქავთარია,2016:352].ისე ჩანდა,რომი კარგავდა არა მარტო ნუმიდიასა და თავის გარდასულ სახელ-დიდებას, არამედ ეთხოვებოდა ყველაფერს [სანიკიძე, 1970:15].

ძვ.წ. 109 წელს აფრიკაში ომის წარმოება დაეკისრა კონსულ კვინტუს ცეცილუს მეტელუსს [ქავთარია, 2016:352]. მეტელუსმა, „გახარებასა და სიმკაცრეს შორის იპოვა გონივრული შუალედი“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 45.1). იუგურთამ პირველად იგრძ-

ნო, რომ მის წინ ახლა აღიმართა... ფულით დაუძლეველი საფრთხე. ამიტომ მან სცადა რომთან ზავის ჩამოგდება, [სანიკიძე, 1970:16]. კონსულთან მორჩილების გამოხატვით ელჩები გააგზავნა. „მეტელუსმა თითოეულ ელჩთან ცალკ-ცალკე დაიწყო მოლაპარაკებების წარმოება და ამის შემდეგ, ისინი აიძულა იუგურთა ცოცხლად თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, მაშინ მკვდარი გადაეცა“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 46.1.2.3.4). რაღა გაეწყობოდა, რაკი ფულის ჩხრიალითა და დიპლომატიური თაღლითობით აღარაფერი გამოდიოდა... მან მეტელუსის სამკვდრო-სასიცოცხლო გამოწვევა გაბედულად მიიღო [სანიკიძე, 1970:16]. ამასობაში „იუგურთამ მშვიდობის სათხოვნელად ელჩები კიდევ გაგზავნა და პირობა დადო, რომ მეტელუსს საკუთარი და მისი ვაჟების სიცოცხლის გარდა ყველაფერს გადასცემდა“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 47. 3).

მეტელუსმა იუგურთას განადგურება სცადა თვით იუგურთასეული მეთოდებით. რომაელი სარდლის კარავში საიდუმლოდ მოიწვიეს იუგურთას უახლოესი მრჩეველი და მისი მარჯვენა ხელი ბომილკარი. მეტელუსმა ბომილკარს აღუთქვა უხვი ჯილდო და პატიება მის მიერ ჩადენილი ყველა ბოროტებისათვის, ოღონდ გაეცა თავისი მეფე. ბომილკარი შეუჩნდა იუგურთას და დაარწმუნა კიდევ, რომს სჯობია დამორჩილდეს და შეურიგდეს მტერს [სანიკიძე, 1970:18]. როცა მეტელუსს ეგონა, ნუმიდის დამორჩილებას ვამთავრებო... სწორედ მაშინ იუგურთამ ფეხზე დააყენა ნუმიდის სამხრეთით მცხოვრები გეტულების ტომები. იმავე დღეებში მავრიტანიის მეფემ ბოკხუსმა სიძის დასახმარებლად დაძრა ურიცხვი კავალერია. ამ ორი წლის მანძილზე ერთი სერიოზული ბრძოლა მოიგეს რომაელებმა (მდ. მუთულზე) და ამ გამარჯვებასაც მიაწერდნენ არა არისტოკრატ მეტელუსს, არამედ მის ლეგატს, მდაბიო გაიუს მარიუსს [სანიკიძე, 1970:18-19].

აღსანიშნავია, რომ მარიუსი იყო ვიზირებული სენატისაგან. ე.ი სარდლები დიპლომატიურ საქმიანობასაც ეწეოდნენ. შესაბამისად, „მარიუსმა მოძებნა გამოსავალი. მასთან ურთიერთობა დაამყარა მავრიტანიის მეფემ, იუგურთას სიმამრმა ბოკხუსმა. მარიუსმა იცოდა, რომ მავრიტანიის მეფე ორმაგ თამაშში იყო ჩაბმული“ [ქავთარია, 2016:354]. სალუსტიუსის ცნობით, „იუგურთამ ბოკხუს მიმართ შემდეგი სიტყვებით: რომაელები უსამართლონი არიან, დაუოკებლად ხარბნი. ისინი არიან ყველა ადამიანის მუდმივი მტრები. აგრეთვე, მათი მტერი იქნება ვისაც განსაკუთრებით მდიდრად თვლიან (Sall., *Bellum iugurthinum*, 81. 1). როდესაც იუგურთას პოზიციები შეირყა

ბოკხუსმა გადაწყვიტა, ელაღატა სიძისთვის და მარიუსს აცნობა [ქავთარია, 2016:354]. „ბოკხუსმა არაერთხელ გაუგზავნა ელჩები მარიუსს და დაარწმუნა, რომ იგი რომაელ ხალხთან მეგობრობას ეძებდა და მისი შიში არ იყო საშიში“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 88. 5), რომ მას გადასცემდა იუგურტას თუ ამ საქმის შესასრულებლად მასთან [ქავთარია, 2016: 354] მოსალაპარაკებლად ლუციუს კორნელიუს სულას გაგზავნიდნენ. როგორც ჩანს, ბოკხუსი წინათ იცნობდა სულას თავისი ელჩების ნაამბობით და ამიტომ აირჩია იგი შუამავლად, [წერეთელი, 1992:180].

სალუსტიუსი აღნიშნავდა, რომ „სულას ჰქონდა ლომის მძვინვარება და მელას ცბიერება. იგი იყო მჭევრმეტყველი, მზაკვარი, მეგობრულ ურთიერთობებში ადვილად შედიოდა და იცოდა როგორ მოეჩვენებინა საქმე დახვეწილად“ (Sall., *Bellum iugurthinum*, 95. 3. 96.1). მას მუდამ სჯეროდა, რომ ყველა საქმეში გაიმარჯვებდა და მართლაც იგი არასდროს არ დამარცხდება, მოიგებს ყველა საომარ შერკინებას და ყველა პოლიტიკურ ბრძოლას. ამიტომ მას მალე დაერქმევა „სულა ბედნიერი“ (Sulla felix) [სანიკიძე, 1970:28]. მარიუსს გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება, რადგან ემინოდა, რომ მავრიტანიის მეფე სიტყვას არ შეასრულებდა. საბოლოოდ, კორნელიუს სულამ ბოკხუსის შვილის მეგზურობი გაიარა იუგურტას ბანაკი და გამოცხადა მავრიტანიაში [ქავთარია, 2016:354]. სულა მივიდა ბოკხუსის ბანაკში და დაიწყო მოლაპარაკება. მავრიტანიის მეფემ ბოლოს გადაწყვიტა, მიეხმო თავისი სიძე ვითომც სულას გადასაცემად... სულამ დაბოროტილი იუგურტა რომაელების ბანაკში მიიყვანა“ [წერეთელი, 1992:181]. რომმა აღარ იწეა დაეცადა მისი აბუჩად ამგდების ნებისმიერი აღსასრულისათვის. დილეგში ჯალათი ჩავიდა და იუგურტა დაახრჩო [სანიკიძე, 1970:31].

ამრიგად, ამით დამთავრდა ომი იუგურტასთან ნუმიდიის სამეფო რომაელებმა ორ ნაწილად გაყვეს: დასავლეთი ნაწილი მავრიტანიის მეფე ბოკხუსს მიაკუთვნეს, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი მასტანბალის შვილს და იუგურტას გერ ძმას, გაუდს გადასცეს [წერეთელი, 1992:181].

4.6 „გალიის ომი“ და კეისრის დიპლომატია (ძვ.წ. 58-51 წწ.)

რომის მიერ ხმელთაშუა ზღვის გაერთიანების პერიოდი იყო რომაული დიპლომატიის ყველაზე ბრწყინვალე პერიოდი. ხმელთაშუა ზღვის აუზში, სადაც რომაელებს მაღალი კულტურის სახელმწიფოები უპირისპირდებოდა გამარჯვებით დასრულა. ძვ.წ. II და I სს-ში რომის საგარეო პოლიტიკის მასშტაბი ფართოდ იყო წარმოდგენილი და დიპლომატიის როლიც დიდი იყო. თუმცა დიპლომატიების საქმიანობა შედარებით უფრო ხელსაყრელ და მარტივ პირობებში მიმდინარეობდა, რადგან რომაელი ელჩისა და „ორატორის“ ზურგს უკან ახლა დიდი და გამოცდილი რომის სახელმწიფო იდგა. სწორედ ამ დროის რომაული დიპლომატიის ისტორიაში ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელია გაიუს იულიუს კეისარი [Сергеев, 1959:77], რომლის მთავარი ინტერესი იყო საშინაო პოლიტიკა [Утченко, 1952:93].

იულიუს კეისრის პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისმა, ჯერ კიდევ ძვ.წ. 70-იან წწ-ში მიიპყრო ყურადღება [Машкин, 1949:18-20].

ძვ.წ. 60 წლის ივნისში იულიუს კეისარი ესპანეთიდან მდიდარი დაბრუნდა. თუმცა იქ გამგზავრებამდე იმდენი ვალი ჰქონდა დაგროვებული, რომ რომიდან მისი გასვლა არ უნდოდათ კრედიტორებს [Утченко, 1976:91].

ისტორიკოსის თანახმად: „კეისარმა დაადგინა, რომ კრედიტორს მოვალის შემოსავლიდან ყოველწლიურად აეღო მხოლოდ ორი მესამედი დარჩენილი ნაწილით კი პატრონს ესარგებლა, სანამ ასეთ რიგად მთელი ვალი არ იქნებოდა გასტუმრებული. ამ საქმეთა მოწესრიგების წყალობით დიდად გაითქვა სახელი. ამის შემდეგ მალე დატოვა პროვინცია“ (პლუტ., გაიუს იულიუს კეისარი, 1975:481).

სვეტონიუსის ცნობით: „პროვინციაში წესრიგი, რომ დაამყარა, ტრიუმფისა და კონსულობის საძიებლად რომს მიაშურა. მაგრამ აღმოჩნდა, არჩევნების დრო უკვე დანიშნული იყო და მასში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუ რომში კერძო პირის სტატუსით შევიდოდა“ (სვეტ., კეისრები, ღვთაებრივი იულიუსი, 18).

პლუტარქეს თანახმად: „კეისარმა თხოვნით მიმართა სენატს, ნება მიეცათ მისთვის კონსულობა მოეპოვებინა დაუსწრებლად მეგობართა დახმარებით. ამ თხოვნის წინააღმდეგ პირველად კატონმა გაილაშქრა და ამის დასასაბუთებლად კანონი მოიმ-

ველია. როგორც კი მოვიდა რომში, კეისარმა მყისვე მიმართა ერთ პოლიტიკურ ხერხს და კატონის გარდა ყველა მოატყუა“ (პლუტ., გაიუს იულიუს კეისარი, 1975:481).

ისტორიკოსის თანახმად: „ეს იყო ქალაქში ყველაზე უფრო დიდი გავლენის მქონე პირის, პომპეუსისა და კრასუსის შერიგება. კეისარმა ძველი მტრები მეგობრებად აქცია... ასე იყო თუ ისე, კრასუსის და პომპეუსის მეგობრული მხარდაჭერით გამხმევებული კეისარი კონსულობისათვის ხალხის წინაშე წარსდგა და კალპურნიუს ბიბულესთან ერთად დიდი პატივით იქნა აღიარებული კონსულად“ (პლუტ., გაიუს იულიუს კეისარი, 1975:482).

რუსი მეცნიერის უტჩენკოს აზრით: „რომაული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შეეძლო დაეჯერებინა, რომ კეისარი მოქმედებდა, როგორც რესპუბლიკის აღორძინებისათვის მებრძოლი. მან რომაული საზოგადოების ზოგიერთ ნაწილში იმედებიც გააღვიძა“ [Утченко, 1952:93].

კეისრის შიდაპოლიტიკური საქმიანობის მთავარი იდეა რეფორმატორულ საქმიანობაში იყო გაქლენთილი. მისი სურვილი სახელმწიფოს გაერთიანება და მთელი თავისუფალი მოსახლეობისთვის თანაბარი უფლებების მინიჭება იყო. მას მიაჩნდა რომ საჭირო იყო სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა [Утченко, 1952:99].

რ. საიმის აზრით: „სინამდვილეში კეისარი იყო კონსერვატიული მაგრამ ავტოკრატიულ პოზიციაზე ყოფნას აიძულებდნენ, რაც კანონის უზენაესობის, კონსტიტუციისა და სენატის ნაცვლად ერთი კაცის ხანგრძლივ ბატონობას ნიშნავდა“ [Syme, 1939:59].

რ. საიმი კეისარს „რევოლუციონერის მნიშვნელობას“ არ ანიჭებდა, [Syme, 1939: 18-22].

კეისრის ცხოვრებაში „რომში ძვ.წ. 60 წელს მიმდინარე მოქმედებებმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა“ [Утченко, 1976:91], რადგან შეიქმნა სამი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ფიგურის ალიანსი [Топчий, 2016: 52].

ამავე დროს, „რომელიც თარიღდება (ძვ.წ. 60 წ.) კეისრის ინიციატივით პომპეუსის კეისრისა და კრასუსის საიდუმლო შეთანხმება დაიდო. შეთანხმებას ჩვეულებრივ პირველ ტრიუმვირატს უწოდებენ. მაგრამ ეს სახელი ძვ.წ. 43 წ. ტრიუმვირატის ანალოგიით წარმოიშვა, რომელიც სახალხო კრების მიერ მიღებული კანონის

საფუძველზე მოქმედებდა. ლივიუსი ამას შეთქმულებას უწოდებს“ [Машкин, 1949: 21]. (Liv., ab urbe condita, Периохи, 103).

ნ. მაშკინის აზრით: „ტრიუმვირები თავის გავლენას იყენებდნენ: პომპეუსს ჰქონდა სამხედრო დიდება, რომელსაც მხარს უჭერდა მრავალი ვეტერანი [Машкин, 1949: 22].

გ. ფერეროს თანახმად: „პომპეუსი დარწმუნებული იყო რომ დიდი ადამიანია და მზადაა სამყარო ემართა, იმ პირობით, რომელიც ხელს არ შეუშლიდა მის ჩვევებსა და სიამოვნებებს [Ферpero, 1925:I.185]. შესაბამისად, „კაცი სრულიად საშუალო იყო ყველაფერში, გარდა თავისი პრეტენზიებისა [სანიკიძე, 1989:164-165].

კრასუსს სიმდიდრე ჰქონდა და დაკავშირებული იყო ვაჭრობასთან და უამრავ წრეებთან [Машкин, 1949:22]. თუმცა უფრო მკაცრი და ჯიუტი ადამიანი იყო ამბიციური ძალაუფლებით და სიმდიდრით დაუოკებელი [Ферpero, 1925:186].

კეისარი პლებეებში ავტორიტეტით სარგებლობდა [Машкин, 1949:22] და იყო შესანიშნავი მოლაპარაკე. ამ ხერხით და საღი აზრით სტრატეგიულად მოატყუა ყველა სერიოზული ადამიანი და ასე გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე [Ферpero, 1925: 185-186].

ზემოთქმულიდან, გამომდინარეობს გარკვეული რწმენა, რომ მთელი აზრი არის სახელმწიფო ფორმირების და ურთიერთობების აღდგენა [Утченко, 1952:92].

ნ. მაშკინი მიიჩნევდა, რომ „ტრიუმვირებს თავისუფალი მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის დიდი კლიენტურა ჰყავდათ“ [Машкин, 1949:22].

ტრიუმვირატი „ეს იყო სამი დიდი პოლიტიკური მოღვაწის კერძო შეთანხმება „სამი მმართველობა“ რომში იგი მიაჩნდათ [სურგულაძე, 2000:24-26] „ჭკუის, ძალაუფლების და ფულის კავშირად, რომელსაც შეეძლო მსოფლიოს დაპყრობა და მართვა“ [Вегнер, 1902:94].

გ. ფერეროს თანახმად: „ისინი იმისთვის გაერთიანდნენ, რომ გამხდარიყვნენ იმპერიის მმართველები, ამაში ხელს უწყობდა დიდება, სიმდიდრე, ამბიცია, ინტელექტი და იღბალი“ [Ферpero, 1925:186].

სვეტონიუსის თანახმად, „შეთანხმდნენ, რომ არ დაუშვებდნენ ისეთი სახელმწიფო ღონისძიების გატარებას, რომელიც არასასურველი იქნებოდა რომელიმე მათგანისთვის“ (სვეტ., კეისრები, ღვთაებრივი იულიუსი, 19).

ამრიგად, რომის რესპუბლიკის ისტორიაში, სახელწოდება „პირველი ტრიუმვირატი“ შეიძლება პირობითად მივიღოთ, როგორც დროებითი შეთანხმება, რომელმაც საბოლოო შედეგად, უდიდესი როლი ითამაშა რომის რესპუბლიკის ისტორიაში [Машкин, 1949:21-22].

ტრიუმვირატის ისტორიული მნიშვნელობა ის იყო, რომ იგი განასახიერებდა ყველა ანტისენატური ძალის კონსოლიდაციას [Утченко, 1976:92-96].

ტრიუმვირატის „დევიზი იყო: [სურგულაძე, 2000:26-27] „რესპუბლიკაში არ უნდა მოხდეს ისეთი რაც არ სურს სამივეს. ამის მიუხედავად, ტრიუმვირატში წარმართველნი იყვნენ კეისარი და პომპეუსი, რომლებიც ერთპიროვნული ძალაუფლებისათვის იბრძოდნენ“ [Ковалев, 1986:424].

ციცერონი ტრიუმვირატს დაუპირისპირდა მოგვიანებით, როდესაც აშკარად გამოიკვეთა რესპუბლიკიდან მონარქიაზე გადასვლის კონტურები [სურგულაძე, 2000:29].

ნიშანდობლივია, რომ „ძვ.წ. 59 წლის აპრილში კეისრის მეორე აგრარული კანონი რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე მიიღეს. აგრარული კანონების მიღებისას სენატმა სრული დაბნეულობა და უმწეობა გამოავლინა. ჩანს, ამ მხრივ ყველაზე ოპტიმალურად ესახებოდა ვრცელ გალიაში მმართველობა. ამიტომ ტრიბუნმა პუბლიუს ვატინიუსმა (ძვ.წ. I ს). სენატში შეიტანა კანონის პროექტი (LEX VATINIA) კეისრისათვის ხუთი წლით სამმართველოდ ციხალპური გალიის და ილირიის მიცემის შესახებ. სენატმა თითქოს კეთილი ნება გამოიჩინა და კეისარს დამატებით უბოძა ტრანსალპური გალია ერთი ლეგიონის შექმნის უფლებით. ამით კი კეისრის გამგებლობაში ექცეოდა უზარმაზარი ტერიტორია“ [სურგულაძე, 2000:32].

კეისრის გალიაში ლაშქრობა იყო დიპლომატიის იშვიათი გამოვლინება. კეისარი სიფრთხილით და მოხერხებით იყენებდა გალიაში არსებულ ჭრელ პოლიტიკურ ვითარებას და „Divide et impera“-ს რომაული ლოზუნგის გამოყენებით დიდ შედეგებს აღწევდა, თუმცა თავადაც არა ერთხელ წარუმატებლად დაუსრულებია ბრძოლა. რა თქმა უნდა, იქ, სადაც დიპლომატია არ ჭრიდა იგი ეფექტიანად იყენებდა იარაღს [სურგულაძე, 2000:34-36].

თ. მომზენის აზრით: „კეისარს, პარტის ინტერესებიდან გამომდინარე სჭირდებოდა სამხედრო სიძლიერე, თუმცა მას გალია, როგორც პოლიტიკოს არ დაუპყრია,

არამედ უპირველეს ყოვლისა, იგი პოლიტიკურად რომისთვის აუცილებლობა იყო [Моммзен, 1997: 180].

კეისარი აღნიშნავდა, რომ „მთელი გალია იყოფა სამ ნაწილად, რომელთაგან ერთი დასახლებულია ბელგებით, მეორე აქვიტანებით, მესამე ხალხი, რომელიც თავის ენაზე კელტებად ჩვენსაზე კი გალებად იწოდება. გალებს აქვიტანიელებისაგან მდინარე გარუმნა ჰყოფს, ხოლო ბელგებისგან მატრონა და სეკვანა. ის ნაწილი რომელიც ვთქვით გალებითაა დასახლებული, იწყება მდინარე როდანუსიდან. შემოსა ზღვრულია მდინარე გარუმნათი, ოკეანითა და ბელგების ქვეყნით. აგრეთვე გამოყოფილია სეკვანებისა და ჰელვეტებისაგან მდინარე რენუსით, რომელიც მიედინება ჩრდილოეთისაკენ. ბელგების ტერიტორია გალიის უკიდურეს საზღვრებთან იწყება, მიემართება ქვემო რენუსისკენ, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით. აქვიტანია არის მდინარე გარუმნადან პირინეის მთებამდე და ოკეანის იმ ნაწილიდან, რომელიც ესპანეთს ეხება, ის მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით (კეისარი, კომენტარები გალიის ომის შესახებ, I.1).

მომზენის თანახმად: „გალიის უმეტეს ტომებს რომაელებთან სავაჭრო ურთიერთობები, ხოლო ზოგიერთ ისეთ ტომს, როგორიცაა ედუები რესპუბლიკები და წარსულში რომთან სტაბილური პოლიტიკური ალიანსები ჰქონდათ. ამიტომ რომაელებმა გააცნობიერეს, რომ გალების ზოგიერთი „ბარბაროსული“ ტომი ყველაზე სასტიკ მეომრად თვლიდნენ [Моммзен, 1997:187; Gilliver, 2003:7],

აგრეთვე, ისეთი ღირებულება როგორიცაა: საბრძოლო მამაცობა და ადათები თავისუფლების და დამოუკიდებლობის წინაპირობას წარმოადგენდა“ [Freeman., 2008 :209]. შედეგად „რომაელებმა გადაწყვიტეს, გალიურ ტომებთან დიპლომატია უნდა ყოფილიყო აუცილებელი ფაქტორი“ [Gilliver, 2003:7].

ძვ.წ. 58 წლის გაზაფხულზე სენატმა კეისარი გალიის პროკონსულად დანიშნა. იგი იმავე წელს ჩავიდა ნარბონის გალიაში [Моммзен, 1997:202].

მომდევნო რვა წელი კეისრის ამბიციების განსახორციელებლად იყო საუკეთესო პლაცდარმი [Этхен, 2009: 95]. ამის მიუხედავად, ის მაინც ინარჩუნებდა რომთან უმჭიდროეს კავშირს [სურგულაძე, 2000:34].

კეისრის ჩასვლის დროს გალიაში იყო შიდა კრიზისი. მან ეს კრიზისი რომის სახელმწიფოს ინტერესებისთვის ოსტატურად გამოიყენა. „რომაელი მეგობრების“

დახმარებით გალიური ტომების მეთაურებთან არაერთი დიპლომატიური შეხვედრა მოახერხა [Сергеев, 1959:77], რომელიც იყო ერთგვარი დიპლომატიური ყრილობა [Данилов, 2011:38].

კეისარმა მიაღწია იმას, რომ შეხვედრებმა იგი საერთო გალიური ინტერესების ლიდერად და დამცველად გამოაცხადა. ამ წმინდა დიპლომატიურმა ნაბიჯმა კეისარს გალიის დაპყრობა გაუადვილა. შესაბამისად, გალიური ტომების მეთაურები საჭიროების შემთხვევაში, კეისარს, როგორც მოსამართლეს და მფარველს ისე მიმართავდნენ. ამან კეისარს გალიის შიდა საქმეების სრულად გაცნობის და ტომთა შორის მტრობაში ჩართვის და მათი დიპლომატიური წარმართვის საქმიანობის გაცნობის საშუალება მისცა [Сергеев, 1959:77].

კეისრის დიპლომატიურ წარმატებებში მთავარ როლს ასრულებდა რთულ სიტუაციებში შესაბამის გადაწყვეტილებაში გამოსავლის ძიება. იგი გალიაში მოწინააღმდეგეებს ყოფდა და აერთიანებდა [Сергеев, 1959:77].

კეისარი მოლაპარაკებებზე და შეთანხმების მიღწევებზე იმედებს ამყარებდა. ამიტომ იგი მის მტრებს არასახარბიელო მდგომარეობაში აგდებდა [Balsdon, 1957:19].

კეისარმა გალიაში ომის ყველა შემთხვევით ისარგებლა, რადგან რომისთვის დამტკიცებინა, მარჯვე დიპლომატი და კარგი მხედართმთავარი იყო [ფერერო, 2016: 5].

ტრანსალპურ გალიაში სამხედრო ძალები არავის ჰყავდა [Broughton, 1948:179]. ამიტომ როდესაც კეისარი ამ რეგიონში ჯარით შევიდა აღმოაჩინა მიწა სადაც ცხოვრობდნენ არა მხოლოდ კელტები, რომლებსაც ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ეკავათ, არამედ ბელგიელებიც [Kruta, 2000:457-459].

აგრეთვე, გალიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცხოვრობდნენ ხალხი როგორცაა: ლიგურები და რეტიელები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით იბერიის ნახევარკუნძულთან ახლოს იბერიელები [Carcopino, 1990:236-238].

გ. ფერეროს თანახმად: „რომიდან გამგზავრებისას კეისარმა იცოდა ჰელვეტების გადასახლების შესახებ. ძვ.წ. 62 წელს რომის საზოგადოებას ცნობები მიაწოდა დივიტიაკმა, რომელიც იყო ედუების ელჩი და კანონების მაუწყებელი გალიის იმ პოლიტიკურ ნაწილში, რომელსაც ჰქონდა საფუძველი, წინააღმდეგობა გაეწია ამ მოძრაობისთვის. გავრცელებული ხმების თანახმად, ჰელვეტებს სურდათ, დაუფლებ-

ოდნენ გალიას და სათავეში ჩასდგომოდნენ გალიის ხალხების კოალიციას [ფერერო, 2016:6].

კეისარმა როგორც კი შეიტყო, რომ ჰელვეტები მართლა დაადგნენ იმ გზას, რომელსაც დივიტიაკის მიერ გავრცელებული ცნობები იუწყებოდა, კეისარი ნაჩქარევად გამოვიდა რომიდან. მართალია, დიდი ხანია იცოდნენ ჰელვეტების გეგმის შესახებ, მაგრამ მათ მაინც შეძლეს მოულოდნელად შემოჭრილიყვნენ და თავს დასხმოდნენ [ფერერო, 2016:6]. ამ დროს გალია უკვე შედიოდა რომის პროვინციაში და რა თქმა უნდა კეისარი შეაწუხა ასეთმა მოქმედებებმა [Игоревич, 2013:4].

კეისრის თანახმად: „როდესაც ჰელვეტებმა მისი მოსვლა შეიტყვეს, ელჩებად ნამეიუსი და ვერიკლეტიუსი გაგზავნეს. რომლებსაც უნდა ეთქვათ, რომ მათ ყოველგვარი ავი ზრახვის გარეშე სურთ პროვინციაზე გავლა, რადგან სხვა გზა არ აქვთ და ჰკითხეს თუ აძლევდა ამის ნებას“. კეისარმა, „ელჩებს უთხრა რომ მოფიქრებისათვის დროს საჭიროებდა“ (კეისარი, კომენტარები გალის ომების შესახებ, I.7).

აღსანიშნავია რომ „ელჩების მასთან მიგზავნით კეისარი იქცეოდა, არა როგორც სამხედრო ლიდერი, არამედ გამოცდილი დიპლომატი. მან არც თანხმობა და არც უარი განაცხადა, რადგან მას აპრილის იდეამდე დრო სჭირდებოდა. ამგვარად, კეისარმა დრო მოიგო, რომელიც ჯარების შეკრების და სიმაგრეების ასაგებად იყო საჭირო“ [Игоревич, 2013: 5].

ნიშანდობლივია, რომ „როდესაც დადგა ელჩებისათვის დათქმული დღე და ელჩები მასთან დაბრუნდნენ, უარი უთხრა. რომაელი ხალხის ჩვეულებისა და მაგალითის თანახმად არ შეეძლო პროვინციაზე გავლის უფლება მიეცა ვინმესთვის“ (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I.8).

კეისარი ამ პასუხით, ისტორიული პრეცედენტის მოტივით საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენებით იმუქრებოდა [Игоревич, 2013:5]. „თუ ძალის გამოყენებით შეეცდებოდნენ ცხადი იყო, რომ შეაჩერებდა“ (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I.8).

ეს ინციდენტი აჩვენებს იმას, რომ კეისარი ყოველთვის სამხედრო მეთოდებს და ძალას არ ანიჭებდა უპირატესობას, ამის საპირწონედ იგი ოსტატურად იყენებდა დიპლომატიას. ამის შედეგად ჰელვეტები იძულებული გახდნენ სხვა გზა აერჩიათ, რომელიც არ გადიოდა რომის ტერიტორიაზე [Игоревич, 2013:5]. „რჩებოდა ერთი გზა

სექვანიაზე გამავალი, რომელზეც სექვანების თანხმობის გარეშე, და გზის სივიწროვის გამოც გავლა არ შეიძლებოდა. რადგანაც თავად ვერ შეძლეს სექვანების დაყოლიება, ელჩები გააგზავნეს ედუელ დუმნორიქსთან, რათა მას მოეპოვებინა ნებართვა“. დუმნორიქსმა „სექვანები დაითანხმა, რომ ჰელვეტები თავის საზღვრებზე გაეტარებინათ და მძევლები გააცვლევინა ერთმანეთში, რათა სექვანებს ჰელვეტების ლაშქრობისათვის ხელი არ შეშალათ ჰელვეტებს კი ძალადობის და ავი ზრახვის გარეშე გაევლოთ“.(კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I.9).

კეისარმა შეიტყო, რომ „ჰელვეტები აპირებდნენ სექვანების და ედუების მიწების გავლით საზღვრები გადაელახათ“ (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I. 10).

კეისარი თვლიდა: „ჰელვეტები მაინც საფრთხეს უქმნიდნენ რომის საზღვრების უსაფრთხოებას და დაიწყო მათი დევნა.ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი რომის ინტერესების დაცვის ხელშეუხებლობას იცავდა გალიაში და ცდილობდა რომის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის დაცვას“ [Игоревич, 2013:6].

ჰელვეტებმა ედუების საზღვრებს მიაღწიეს და დაიწყეს მათი მიწების აოხრება... ედუებმა, რომლებსაც საკუთარი თავის და ქონების დაცვა არ შეეძლოთ, კეისარს ელჩები გაუგზავნეს დახმარების სათხოვნელად: ისინი რომაელი ხალხის წინაშე მუდამ თავდაუზოგავები იყვნენ და ლამის რომაული არმიის თვალწინ მათი მიწების აოხრება, ბავშვების მონად გატაცება, ქალაქების აღება არასამართლიანიაო (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I.11).

ამ ვითარებიდან გამომდინარე, კეისარმა გადაწყვიტა აღარ მოეცადა, სანამ ჰელვეტები მოკავშირეთა მთელ ქონებას გაფლანგავდნენ და სანტონებამდე მოვიდოდნენ. საბოლოოდ კეისარმა მრავალი ამოწყვიტა დანარჩენები გაიქცნენ (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I.11.12).

კეისარის ცნობით: „ჰელვეტთა დარჩენილ ძალებს, რომ დასწეოდა არარზე ხიდი გაადებინა და თავისი ჯარი გადაიყვანა ჰელვეტები მისი მოულოდნელი მოახლოებით შეშფოთდნენ და ელჩები მიუგზავნეს. ელჩების მეთაური იყო დივიკო. მან კეისარს ამღვრევად მიმართა: თუ რომაელი ხალხი ჰელვეტებთან ზავს დადებდა, ისინი იქით წავიდოდნენ და დასახლდებოდნენ, საითაც კეისარი მიუთითებდა და მოისურვებდა.მაგრამ თუ ომს ჯიუტად გაგრძელებდა, გაეხსენებინა რომაელი ხალ-

ხის ძველი დამარცხებები და ჰელვეტთა ჩვეული სიმამაცე (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I.13).

ამაზე კეისარმა ასე მიუგო: „რომაელი ხალხი მარცხს არ იმსახურებდა... დივიკომ უპასუხა: ჰელვეტებმა თავისი წინაპრებისგან ისწავლე, რომ მძევლები კი არ მისცენ, არამედ აიყვანონ, ამის მოწმეა რომაელი ხალხი. როცა მიხვდა, რომ მოახლოვდა ჯარისკაცებისათვის პურის განაწილების დღე, შეკრიბა მათი ბელადები, რომლებიც მრავლად ჰყავდა ბანაკში, მათ შორის დივიციაკუსი და ლისკუსი (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I.14.15.16.).

კეისარი ხვდებოდა, რომ ლისკუსის მინიშნება დუმნორიქსს, დივიციაკუსის მძას ეხებოდა, მაგრამ ამდენი დამსწრის წინაშე ამ საკითხების განხილვა არ სურდა, სწრაფად დაითხოვა საბჭო (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I.14. 15. 16.).

რომაული დიპლომატიის მახვილგონიერება აქ ნათლად გამოჩნდა.

კეისარმა ეს წინააღმდეგობა, რომის სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა, ეს იყო ერთგვარი დიპლომატიური კონგრესი, რომელმაც საშუალება მისცა გალების შიდა საქმეებში ჩარეულიყო [Сергеев, 1959:77].

აგრეთვე, ეს იყო დიპლომატიური და სამხედრო წარმოების ზუსტი წარმართვის უნარი [Черняк, 1991:8]. „ჰელვეტებთან ომის დასრულების შემდეგ კეისართან თითქმის მთელი გალიიდან ჩამოვიდნენ ელჩები და ტომების პრინცესები მოსალოცად: ისინი აცნობიერებენ, რომ კეისარმა ჰელვეტებს ძველი დანაშაულის გამო მიუზღო, რაც რომაელი ხალხის წინაშე ჰქონდათ დაშვებული ომებში“ (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I. 30). გარდა ამისა, გალიის ტომების მთავრები კეისარს, როგორც დამცველს ისე მიმართავდნენ [Сергеев, 1959:77].

ჰელვეტების დამარცხება გალებისთვისაც ისეთივე სასარგებლო იყო, როგორც რომაელი ხალხისათვის (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I. 30).

ასეთმა წმინდა დიპლომატიურმა ნაბიჯმა კეისარს გაუადვილა გალიის დაპყრობა [Сергеев, 1959:77-78],

აღნიშნული მოვლენის შემდეგ გალიურმა ტომებმა კეისარს გერმანული ტომების ზარენებისგან დაცვა სთხოვეს [Игоревич, 2013:6]. მათი სახელით ედუელმა დივიციაკუსმა ილაპარაკა: მთელი გალია ორ ნაწილად იყოფა, ერთში პირველობა

უპყრია ედუებს, ხოლო მეორეში არვერნებს. ისინი ერთმანეთს ისე და იმდენ ხანს ებრძოდნენ ძალაუფლებისათვის... დივიციაკუსის ამ სიტყვების შემდეგ ხმამაღალი გოდებით დაუწყო კეისარს დახმარების თხოვნა (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I. 31. 32. 33).

ისტორიკოსის ცნობით: „კეისარმა მეორე ომი, კელტების დაცვის საბაზით, უკვე გერმანელებთან აწარმოვა. იმის მიუხედავად, რომ მათი მეფე არიოვისტი სულ მცირე ხნის წინათ მოკავშირედ გამოაცხადა რომში“ (პლუტ., გაიუს იულიუს კეისარი, 1975:488-489).

სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ყველაფერი იყო თავად კეისრის საგულდაგულოდ გააზრებული დიპლომატიური ქმედება რომელმაც გალებსა და გერმანელებს შორის წინააღმდეგობები ოსტატურად გამოიყენა [Игоревич, 2013:6-7].

კეისრის თანახმად: მან „გადაწყვიტა არიოვისტუსთან ელჩები გაეგზავნა. ელჩობას არიოვისტუსმა უპასუხა, რამე საქმე, რომ ჰქონოდა კეისართან თვითონ მივიდოდა, ხოლო თუ კეისარს სურს მისგან რაიმე თვითონ უნდა მოვიდეს არიოვისტუსთან. არიოვისტუსს აოცებს, რა საქმეები აქვთ კეისარს ან რომაელ ხალხს მის გალიაში, რომელიც ბრძოლით მოიპოვა (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I. 34).

არიოვისტუსის „პასუხი კეისარს მოახსენეს. მან მეორედ გააგზავნა ელჩები შემდეგი შეტყობინებით არიოვისტუსისადმი. „კეისარი მისგან მოითხოვს: პირველ რიგში აღიკვეთოს მასობრივი გადმოსვლა რენუსის გალმიდან გალიაში შემდეგ მძევლები, რომლებიც ედუებისაგან აიყვანა, უკან დაუბრუნოს და იწებოს, სექვანებსაც უფლება მისცეს ედუელი მძევლები გაათავისუფლონ... თუკი არიოვისტი ამ ყველაფერს ადასრულებს, სამუდამოდ შეინარჩუნებს კეისრისა და რომაელი ხალხის კეთილგანწყობასა და მეგობრობას“ (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, I.35).

რეალურად ეს კეისრის მოგონილი იყო რადგან მას შემდეგ რაც გერმანელებმა უარი თქვეს მისი მოთხოვნების შესრულებაზე, ჰქონოდა საფუძველი გალებისა და გერმანელების კონფლიქტში ჩარეულიყო და გამოეცხადებინა არიოვისტუსის წინააღმდეგ ომი [Игоревич, 2013:7].

კეისარს არიოვისტუსმა უპასუხა, ომის კანონის თანახმად, გამარჯვებული ისე ექცეოდა დამარცხებულს, როგორც სურდა (კეისარი, კომენტარები გალიის ომების

შესახებ, 34.35.36).

ამ ომში კეისარმა მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება“ (პლუტ., გაიუს იულიუს კეისარი, 1975:490).

ნიშანდობლივია, რომ „კეისარმა სწორი გათვლა გააკეთა და საბოლოოდ, თავის მიზანს მიაღწია. ამრიგად, კეისარისთვის გალიის ომის პირველი წელი წარმატებული აღმოჩნდა. მან ჰელვეტები და გერმანელები დაამარცხა. რომის საზღვრები და რომის მეგობრებად მიჩნეული ტომების საზღვრების დაცვაც უზრუნველყო [Игоревич, 2013:7].

ძვ.წ. 57 წლის გაზაფხულზე გაილაშქრა ბელგების წინააღმდეგ [წერეთელი, 1992:266].

როდესაც კეისარი იზამთრებდა ახლო გალიაში, მის ყურამდე ხშირად აღწევდა ხმები, ასევე ლაბიენუსის გზავნილებით იღებდა ის ინფორმაციას, რომ რომ ყველა ბელგმა, რომელი ხალხის წინააღმდეგ პირი შეკრა და ერთმანეთში მძევლები გაცვალა. ამ ხმებითა და გზავნილებით შემფოთებულმა კეისარმა ორი ახალი ლეგიონი შეკრიბა ახლო გალიაში და ზაფხულის დასაწყისისათვის შიდა გალიაში გაგზავნა ლეგატ პედიუსისი მეთაურობით (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, II.1.2.3).

რემებმა, გალიასთან ყველაზე ახლოს მოსახლე ბელგმა ტომმა, ელჩებად გაუგზავნეს იკიუსი და ანდეკუმბორიუსი, წინადადებით, რომ „თავიანთ ხალხთან ერთად რომის სიძლიერეს აღიარებდნენ და მის მფარველობას ითხოვდნენ, რომ ისინი არ იყვნენ სხვა ბელგებთან ერთად და არ მონაწილეობდნენ არანაირ შეთქმულებებში რომელი ხალხის წინააღმდეგ“ (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, II.3. 4).

მეორე დღეს... კეისარმა თავისი ჯარი სუასონების ქვეყნისკენ წაიყვანა, კეისარს გაუგზავნეს ელჩები ჩაბარების წინადადებით და რემების წყალობით მათი თხოვნა მიღებული იქნა. სუესონები დანებდნენ და კეისარმა ჯარი ბელოვაკებისკენ დაძრა. ხანდაზმული ხალხი ქალაქიდან გამოეგება, ხელები აღმართეს და შესძახოდნენ, რომ მიიღებდნენ მის მფარველობას და ძალაუფლებას და არ აღმართავდნენ იარაღს რომელი ხალხის წინააღმდეგ (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, II. 5.6.7.11.12. 13.14).

ამ მიღწევების შედეგად მთელი გალია დამორჩილებულ იქნა და ამ ომების დიდება ბარბაროსთა შორის ისე ფართოდ გავრცელდა, რომ რაინის პირას მცხოვრებმა ტომებმა ელჩები გამოუგზავნეს კეისარს და აღუთქვეს, მძევლებს გამოუგზავნიდნენ და მის ბრძანებებს შეასრულებდნენ (კეისარი, კომენტარები გალიის ომების შესახებ, II. 35).

კეისარი ამ ხნის განმავლობაში რომში უფრო და უფრო აძლიერებს თავის გავლენას იგი რომს ერთმანეთის მიყოლებით უგზავნიდა გამარჯვების შესახებ მოხსენებებს. მან რომის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ბარბაროსები განდევნა [Игоревич, 2013:8].

ჰოლმსის აზრით: „კეისარმა გააცნობიერა, რომ არ იქნებოდა რთული ბელგიის გულში ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც მის ინტერესებს გაითვალისწინებდა“ [Holmes, 1911:71].

ბელგების დამარცხების შემდეგ კეისარი მთელი გალიის დაპყრობას შეუდგა. ამაში დახმარებას უწევდნენ თავისი ლეგატები. მისმა ერთ-ერთმა ლეგატმა პუბლიუს კრასუსმა დაიმორჩილა დასავლეთ გალიის ტომები არმორიკები და აკვიტანები. ახლა მთელი გალია კეისარს დაექვემდებარა და რომის პროვინციად გამოცხადდა [წერეთელი, 1992:266].

მვ.წ. 56-55 წლების ზამთარში ტუსიპტების და ტენკტერების ურდოებმა გადმოლახეს ქვედა რეინი [წერეთელი, 1992:274].

როდესაც კეისარმა დანებების მოთხოვნით მათთან მოციქულები გაგზავნა, მათ უპასუხეს: რომელი ხალხის ძალაუფლება მდინარე რაინთან მთავრდება. თუ კეისარი უსამართლოდ მიიჩნევს გერმანელების მიერ მისი ნების საწინააღმდეგოდ გადასლას გალიაში, რატომ სურს მას საკუთარი უფლებებისა და ბატონობის უზურპაცია რაინის მიღმა არსებულ ნებისმიერ მიწებზე? კეისართან ამასობაში მრავალი ტომის ელჩები მეგობრობისა და მშვიდობის შესახებ თხოვნით მივიდნენ, მან ამ თხოვნაზე დადებითი პასუხი გასცა (Caes., Bellum gallicum, IV.16.17.18).

ამგვარად, კეისარმა ეს ტომებიც რომს შეუერთა.

მვ.წ. 54-53 წწ. კეისარმა არაერთხელ გამოაცხადა, რომ წარმატებით დაასრულა ომი გალიაში. მან ტომების ყოფილი ლიდერები აღიარა და ყველაფერი შეუნარჩუნა [Утченко, 1976:148; Игоревич, 2013:10].

გალიის ამ ტომებმაც რომაელი ხალხის მიმართ ურყევი ერთგულება და მეგობრობა აღუთქვეს. კეისარმა ყველა თემიდან მათი მთავრების მოწვევით და დაშინებით გალიის დიდი ნაწილის დამორჩილება შეძლო (Caes., *Bellum gallicum*, V.3.54.58).

კეისარი გულუხვი იყო მათ მიმართ, ვინც მას ემორჩილებოდა და სასტიკი იყო მათ მიმართ ვინც რომის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას ცდილობდა. იმ პირობებში, როდესაც რომაელები გალიაში იმყოფებოდნენ, მას არ შეეძლო ადგილობრივ მოსახლეობას სასტიკად მოჰპყრობოდა, ამიტომ იგი იძულებით რომანიზაციის პრინციპს არ ატარებდა [Утченко, 1976:148; Игореvич, 2013:10].

ძვ.წ. 52 წლის კამპანია გართულდა იმით, რომ აჯანყებულებს შეუერთდა ვერცინგეტორიქსის მეთაურობით არვერნის ტომი, რომელიც გალიის ლიდერად მიიჩნეოდა თავს [Игореvич, 2013:12].

ვერცინგეტორიქსმა თქვა, „ომი განსხვავებულად უნდა წარიმართოს, ვიდრე იყო აქამდე. ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომაელებს საკვების მოპოვება და მიწოდება მოვწყვიტოთ... გარდა ამისა, ყველა კერძო ინტერესი საერთო კეთილდღეობას უნდა შეეწიროს“. კეისარმა ამის შესახებ შეიტყო და მათ წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა და ისინი დაამარცხა (Caes., *Bellum gallicum*, VII. 14. 15. 17. 20. 30. 31. 33).

კეისარი აღნიშნავდა: „ამასობაში არვერნების ქვეყნიდან მოძრავი მტრის ჯარები გაერთიანდნენ მხედრებთან, რადგან რომაელები გალიაში ებრძოდნენ ყველა იმას, ვისაც მომავალში სურდათ თავისუფლება“ (Caes., *Bellum gallicum*, VII. 66).

თ. მომზენის თანახმად: „არვერნიელი პატრიოტების ლიდერმა ხალხს მოუწოდა მმართველი ოლიგარქიისადმი და მტრულად განწყობილი რომაელების საწინააღმდეგოდ აჯანყება დაეწყოთ. ლუერიისა და ბიტურიგების ტახტის აღდგენა, რომის წინააღმდეგ ეროვნული ომის გამოცხადებას ნიშნავდა“ [Моммзен, 1997:226].

ცხადია, კეისარმა აჯანყება ჩაახშო. შემდეგ, ბიტურიგების მიწებისკენ წავიდა, რადგან აჯანყებას ავარიკის ალებით დაასრულებდა. ტაქტიკური მანევრის შემდეგ, აჯანყებულების ჯარები გერგოვიაში შეიკრიბნენ. აქ კეისარი ედუის ლალატის მოწმე გახდა [Игореvич, 2013:12].

კეისარმა “მოღალატეების დასჯის შემდეგ, მან რთულ პოლიტიკურ ვითარებაში არაჩვეულებრივი უნარი გამოავლინა და გამოაცხადა არ აპირებდა ედუის ტომის დასჯას. ამ ნაბიჯით კეისარმა შეძლო რომის პრესტიჟის, როგორც დიპლომატიის და მეთ-

აურის დაცვა“ [Игоревич, 2013:12].

ძვ.წ. 52 წ. კამპანის დასკვნითი ეტაპი მოხდა ალესის მახლობლად. ვერცინგეტორიქსი შეიპყრეს და მოკლეს [Игоревич, 2013:12-14].

ძვ.წ. 52 წლის ბოლოს კეისარმა გალიური ტომები დაიმორჩილა [Сергеев, 1959: 78]. ამის შემდეგ კეისარმა მშვიდობის და შერიგების პოლიტიკა გაატარა, რათა გალეთვის ეჩვენებინა, რომ ისინი არ დაიტანჯებოდნენ. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ძალაგამოცლილ გალებს აღარ ებრძოლათ. კეისარმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გალ-ტომების ლიდერები რომის ხელისუფლებას შერიგებოდა. გალიის ტომები შეთანხმდნენ, როგორც საბოლოო აქტი რომისთვის ავტორიტეტი მიენიჭათ [Billows, 2009: 164-165].

კეისრის გამარჯვების ამბებს რომში სიხარულით შეხვდნენ. სენატმაც კი გამოხატა კეისრისადმი კეთილგანწყობა [Holmes, 1911:71].

ძვ.წ. 58-51 წწ. ბრძოლის შემდეგ გალია, რომაელებმა დაიპყრეს. კეისრის დაპყრობილ მიწებზე ორი: საკუთრივ გალია და ბელგია შეიქმნა, [Моммзен, 1997: 239-240].

ამრიგად, „კეისარმა გალიაში საბრძოლო გამოცდილებაც შეიძინა... და, მტკიცედ დაიმკვიდრა „გამოჩენილი მხედართმთავრის“ სახელიც [სურგულაძე, 2000:93-95].

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვედგინა ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია, ჩვენც ვიზიარებთ ლიტერატურაში დომინირებულ აზრს, რომ იგი თანამედროვე დიპლომატიის მესაძირკვეა. მოცემულ სადოქტორო ნაშრომის ანალიზის საფუძველზე გამოვიტანთ შემდეგ დასკვნებს.

I. ჩვენ სადისერტაციო ნაშრომის-„**ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია**“, მთავარ იდეად განვსაზღვრეთ: თანამედროვე დიპლომატიის კვლევასთან ერთად წარმოვაჩინოთ ანტიკური რომის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის უკანასკნელი საუკუნის ჩათვლით რომაული დიპლომატიის კვლევა. მისი არსი ის გახლავთ, რომ დღეს არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც შეეწინააღმდეგება ანტიკური რომის დიპლომატიის უკვე ტრადიციულად ქცეულ დოგმებს, რადგან ყველა სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოება გარკვეულწილად იზიარებს ძველი რომის დიპლომატიის მექანიზმებს, რომლისთვისაც სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების რეალიზაციის მთავარი საშუალება არის საგარეო დიპლომატია. იგი შექმნილია იმისათვის, რომ უცხო სახელმწიფოებთან დარეგულირდეს ურთიერთობები. იგი მოიცავს საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, ეროვნულ ინტერესებს, სხვადასხვა საშუალებით და მეთოდებით განხორციელებულ ინიციატივებს.

II. ჩვენ ვიცით, თავად „დიპლომატიის“ კონცეფცია, რასაც წარსულის დიდი მოაზროვნეები და ფილოსოფოსები წინასწარმეტყველებდნენ დღეს რეალური ფაქტია, რომელიც ასოცირდება მოლაპარაკების ხელოვნებასთან და ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილების ძიებაში საერთაშორისო კონფლიქტების და ომების თავიდან აცილების, სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და გაფართოებაში ვლინდება.

III. დიპლომატიის არსის შესახებ 50-ზე მეტი განსაზღვრებიდან, ძველ რომაული დიპლომატიის ისტორიის შესწავლისას, ჩვენ პრიორიტეტი მივანიჭეთ ჰ. კისინჯერის პოზიციას. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი დიპლომატიას განმარტავდა „ახალ მსოფლიო წესრიგად“, რომელიც „წარმოიქმნება გამოცდილებისა და ძალისხმევის შედეგად, ომისა და მშვიდობის ძალებს შორის ძალთა ბალანსის დროს“; გარდა

ამისა, ჩვენ სადისერტაციო ნაშრომში ყველა ის უმნიშვნელოვანესი და ძირითადი შეხედულებები და აზრები წარმოვაჩინეთ რომლებიც ქმნიან დღევანდელ დიპლომატიას და რომელსაც იყენებენ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ ველზე.

IV. გლობალისტები აღიარებენ, რომ გლობალურმა დიპლომატიამ მსოფლიოში სუვერენული სახელმწიფოები უფრო მეტად ერთმანეთზე დამოკიდებული გახადა, ამიტომ XXI საუკუნეში გლობალური დიპლომატია ერი-სახელმწიფოების ურთიერთობებში გადამწყვეტი ფაქტორია. ყველა აქტორისთვის იზრდება, როგორც საერთო პრობლემები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირება. მსოფლიო დაახლოება განსაკუთრებით ანტიკური ხანიდან, ძველი რომის მიერ უცხო სახელმწიფოების მასთან გაერთიანებით და მფარველობით დაიწყო, თუმცა ეს პროცესი ყოველთვის არ იყო თანაბრად სწრაფი და ერთგვაროვანი.

V. ანტიკურ რომში დიპლომატია ისტორიის გარდამტეხ მომენტებში ყოველთვის გადამწყვეტ ადგილს იკავებდა, ამიტომ ანტიკური რომაული დიპლომატია, როგორც სტრატეგია არ უნდა ჩაითვალოს დასრულებად, რადგან ძველი რომის დიპლომატიურმა ხერხებმა უდიდესი სარგებელი მოუტანა ანტიკურ რომს და შექმნა დამოუკიდებელი სპეციფიკა. ამიტომაც ვთვლით, რომ ანტიკური რომაული დიპლომატია ყველა საკითხის ცენტრშია და განსაზღვრავს დიპლომატიური პროცესის უნივერსალიზაციას, რომელიც შიდა და გარე კომპონენტებს შორის დამოკიდებულებაში გამოიხატა.

VI. ანტიკური რომის დიპლომატიური ინსტიტუტები გამოვლინდა - სახალხო კრების, სენატის, მაგისტრატების და პროკონსულების მხრიდან კონკრეტულ ქმედებებში, რომელიც ადასტურებდა იმთავითვე ორგანიზებული დიპლომატიური სამსახურის მნიშვნელობის გააზრებას და განსხვავდებოდა, როგორც შექმნის დროით, ასევე წარმოშობით. ამავდროულად, დიპლომატიური სამსახური, სახელმწიფო ინტერესების ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა და იგი ერთი მხრივ, ხასიათდებოდა პროფესიონალიზმით. მეორე მხრივ, პოლიტიკური ამოცანებით. დიპლომატიური მისიების და ინსტიტუტების ორგანიზების ფორმები და მეთოდები განისაზღვრებოდა, ისეთი ფაქტორების მოქმედებით, როგორიცაა: მხარეთა მზადყოფნა და გამოცდილების გათვალისწინება ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები. ამიტომ დიპლომატიური პროცესების გააზრებაში არასოდეს არ იყო გაურკვეველობა,

ხოლო სახალო კრება კანონების მიღების გარდა იხილავდა ომის, მშვიდობის და ზავის საკითხებს. სენატის დიპლომატიური საქმიანობა სამი კატეგორიით შემოიფარგლებოდა: 1) საშინაო დიპლომატია გამოიხატებოდა იტალიკებში საელჩოების გაგზავნით; 2) საგარეო დიპლომატია გამოიხატებოდა აპენინის ფარგლებს გარეთ საელჩოების გაგზავნით და 3) რომში უცხოური დელეგაციების მიღებით.

VII. რომაული აზროვნება პირველი იყო ანტიკურ ეპოქაში, რომელმაც დაამკვიდრა ელჩებისათვის სავალდებულო „დიპლომატიური ფიცის“ და დიპლომატიური საქმიანობის შესრულების პროცესში მათვის სავალდებულო ატრიბუტის – ე.წ. „დიპლომატის ბეჭდის“ ჰქონა. მას რომაელი ელჩები უცხო სახელმწიფოში გაგზავნის და დიპლომატიური მისიის დროს ატარებდნენ, რაც ნიშნავდა, რომ იგი სრულყოფილად ასრულებდა დიპლომატიურ საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიელები, რომლებიც იგივე აღმოსავლეთ რომაელები იყვნენ ოქროს ბეჭედს ატარებდნენ, რაც ნასესხები იყო ანტიკური რომიდან, რაც შემდგომში ფართო გამოყენების საგნად იქცა.

VIII. რომაელებმა იცოდნენ, თუ როგორ უნდა წარმოედგინათ საკუთარი თავი უცხო ხალხთან, ამიტომ ანტიკური რომის დიპლომატია ყველა სახელმწიფოსთვის არ იყო ერთგვაროვანი, თანაბარუფლებიანი და თანასწორი.

IX. მეფეთა ხანის რომაული დიპლომატია, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვითარდებოდა, საფუძველი ჩაუყარა და აპენინის ნახევარკუნძულზე შეცვალა რომის სახელმწიფოს ტრადიციული გაგება. მრავალეროვნული, ანტიკური სახელმწიფოები, თავს ვერ აღწევდნენ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს. აგრეთვე, ანტიკური რომის მეფეთა ხანაში დიპლომატია ჩვენი აზრით გამოიხატება ორი ფორმით: შიდა, ანუ საშინაო და საგარეო საქმეებით. პირველის შემთხვევაში ანტიკური რომის გამოირჩეოდა საკითხების რეგულირებით და მთავარი მიზანის მშვიდობის მიღწევით, ხოლო მეორეს შემთხვევაში ნებისმიერი განხორციელებული მოქმედებები ძირითადად ელჩებზე და საელჩოებზე გადიოდა.

X. მეფეთა ხანის დიპლომატიის საფუძველია მეფის მიერ დამყარებული დიპლომატიური საქმიანობა, რომელიც რეალურად იმდროინდელ პოლიტიკურ რეალობას შეესაბამებოდა.

XI. მეფეთა პერიოდში რომაული დიპლომატიის გეოგრაფია შეზღუდული იყო,

რადგან რომი ხმელთაშუა ზღვისგან იყო იზოლირებული, ხოლო თვითკმარი პოლიტიკის და მრავალმხრივი ინტეგრაციისკენ ფართოდ გადასვლა რესპუბლიკის პერიოდიდან დაიწყო. ამ ვითარებაში ობიექტურად საჭირო იყო დიპლომატიის გაძლიერება. როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის, რომ ამავე პერიოდში თვით რომის რესპუბლიკის სახელმწიფო საგარეო პოლიტიკაში და დიპლომატიაში ტენდენციების გაძლიერება მოხდა.

XII. მეფეთა ხანის დიპლომატიის საფუძველი იყო მეფის მიერ გამყარებული დიპლომატიური საქმიანობა, რაც აპენინის ნახევარკუნძულზე არსებული ტრადიციის კალკირება უნდა ყოფილიყო. მეფეთა ხანაში ჩამოყალიბდა რომაული დიპლომატიის რამდენიმე სახე. მაგ., ნუმას მმართველობისას პრაქტიკაში შემოდის ე.წ. „რელიგიური დიპლომატია“. ანკუს მარციუსის დროს შემოიღეს დიპლომატიური ფიცის დადების პრაქტიკა, ხოლო ტულუს ჰოსტილიუსის დროს განისაზღვრა ელჩად გამოცდილების მქონე პირის დანიშვნა. ამიტომ ელჩად ისეთ პიროვნებას ნიშნავდნენ ვისაც გარკვეული გამოცდილებაც ჰქონდა.

XIII. რომში უკანასკნელი ეტრუსკი მეფის ტარკვინიუს ამაყის მმართველობამ ე.წ. „ეშმაკური დიპლომატი“-ის პრინციპი დააფუძნა. ამის მიუხედავად, სამეფო დიპლომატიამ ევოლუციის გარკვეული ეტაპი გაიარა, რომელიც იცვლებოდა და იხვეწებოდა. რაც შეეხება რომაელ ელჩებს და საელჩოებს მიაჩნდათ, რომ მეფის მიერ წარგზავნილი ელჩები ჯგუფებით უნდა წარსდგომოდნენ უცხო სახელმწიფოს მმართველების წინაშე.

XIV. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეფეთა ხანამ დიპლომატიის ზოგიერთ ასპექტში: ლათინურ ლიგასთან, ეტრუსკებთან, ვოლსკებთან, ექვებთან და სხვა იტალიკ ტომებთან დიპლომატიურ ურთიერთობებში ჩამოაყალიბა და განავითარა დიპლომატიური მისია, რომლებიც უცხო ქვეყნებს სტუმრობდნენ და მმართველამდე მეფის სიტყვა მიჰქონდათ. მათ უფლება ჰქონდათ რომის და რომაელი ხალხის სახელით ხელშეკრულებები დაედოთ.

XV. სამეფო დიპლომატიის ვალდებულება იყო განეხორციელებინა და ჩამოაყალიბა უცხო ქვეყნის მეთაურებთან ურთიერთკავშირები. შესაბამისად, მეფეთა ხანაში დამკვიდრდა უცხო ტომელების რომის „მოკავშირედ“ ან „მფარველობის“ ქვეშ შეყვანის პრაქტიკა. იმდროინდელი დიპლომატიური კონცეფცია მოლაპარაკებებთან

ერთად ურთიერთგამომრიცხავ და მხარეებს შორის მიუღებელი გადაწყვეტილებების პრაქტიკასაც ქმნიდა. ამ პერიოდში ყალიბდება საერთაშორისო დიპლომატიური საქმიანობის საფუძვლები და რეგულაციებია: 1) „Iusfetiale“ - ომის გამოცხადებას, მშვიდობის დამყარებას, ზეპირი ფორმით ხელშეკრულების დადებას და უწყვედა მის სავალდებულოდ შესრულების ზედამხედველობას. 2) „Iusgentium“ - გულისხმობდა ელჩების პირად ხელშეუხებლობას. 3) „Iuslegationis“ - განსაზღვრავდა რომის ელჩების სტატუსს და მოვალეობებს. ასევე ტყვედ ჩავარდნილი რომაელი მოქალაქის დიპლომატიურ საქმიანობას.

XVI. რესპუბლიკის პერიოდის დიპლომატიამ, ხელისუფლების ცვლილება დიპლომატიური ცვლილებების წესად აქცია და წყდებოდა ისეთი ამოცანები, როგორიცაა: რესპუბლიკური დიპლომატიის თავისებურებები და მოქმედებები, „დიპლომატიური კონოტაციის“ მქონე ინსტიტუტების გამოვლენა და რომის სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმში ჩადებული დიპლომატიური ტენდენციები. რომის პოლიტიკურმა ბატონობამ „რომანიზაცია“ გამოიწვია. ხმელთაშუა ზღვის რეგიონში წარმოებული დიპლომატიური ფენომენების ურთიერთკავშირი, რომელმაც ანტიკური რომის პოლიტიკაში და დიპლომატიაში მუდმივი ცვლილებით ვლინდებოდა. ნებისმიერი სტანდარტიზებული დიპლომატიური ურთიერთობები, განისაზღვრება ერთგვარი ნორმით და სისტემური პრინციპით: ნებაყოფლობითი ან იძულებითი დიპლომატიით, ხოლო რომაელი ელჩები სხვებისგან გამოირჩეოდნენ ოქროს ბეჭდის ტარებით.

XVII. რესპუბლიკის პერიოდში დიპლომატიის სხვადასხვა ასპექტები გამოვლინდა ა) დიპლომატიური თავისებურებები და ბ) დიპლომატიურ პრაქტიკაში, რომელიც მოლაპარაკების და დიპლომატიური პერსონალის გამოყენებაში წარმოჩნდა. ფართოდ მკვიდრდება „ორმაგი დიპლომატიის“ პრინციპი, რაც მას დომინირებული პოზიცია მისცა. რაც შეეხება ელჩებს, განსაკუთრებულია ის გარემოება, რომ ანტიკური რომის რესპუბლიკურმა პერიოდმა რომაული დიპლომატიის წარმმართველ ელჩებს სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა და იწოდებოდა „რომის სახელმწიფო ელჩი“, რომელმაც თავის მხრივ, დიპლომატიური მოქმედებების წესს ჩაუყარა საფუძველი, რომელიც არეგულირებდა საელჩოს მიზნებს, წევრობას და სტატუსს, რომლისგან მოგებული რომი რჩებოდა.

XVIII. ანტიკური სახელმწიფოების დიპლომატიური ურთიერთობები აჩვენებს, პოლიტიკურ ინტეგრაციას და გაერთიანებას ძველ რომთან. ამ პროცესის ძირითადი შედეგია დიპლომატიური რესურსების სტანდარტიზაცია და უცხო ქვეყნებთან დაახლოება, რომელმაც თავის მხრივ, საერთაშორისო კავშირების გაფართოება გამოიწვია. ამ პერიოდის დიპლომატიაში ჩანს, ანტიკური ერები ელჩებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ.

XIX. ანტიკური რომის რესპუბლიკამ დაპყრობებით და დიპლომატიით ყველა ანტიკური სახელმწიფო ურთიერთდამოკიდებული გახადა და ფართო საზოგადოება მოიცვა, თუმცა ეს პროცესი არ იყო თანაბარი ისინი ძირითადად სხვადასხვა პერიოდს და ძვ. წ. V-III სს. მოიცავდა. ამ დროს იწყება ურთიერთგაგება, სამხედრო კავშირები, პოლიტიკური პირობებით დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავება. ამავდროულად, რომაელები დიპლომატიას როგორც „ხელოვნებას“ ისე იყენებდნენ, ხოლო დაპყრობილებს რომაულ საზოგადოებაში სთავაზობდა ადგილს და ანიჭებდა მოქალაქეობას, ამის შედეგად რომმა აპენინის ნახევარკუნძულზე და მთლიანად იტალიაში მიაღწია სრულ კონტროლს.

XX. რესპუბლიკურ პერიოდში ხელისუფლების ორგანოების დიპლომატიურ საქმიანობას ახორციელებდნენ ის პირები, რომლებიც იყვნენ რომის და რომაელი ხალხის ინტერესების დამცველი, რომელთა საქმიანობა ისეთ დიპლომატიურ პრინციპებს ეფუძნებოდა როგორიცაა: საერთაშორისო და დიპლომატიური საქმიანობა, ხალხის უფლებები, რომელთა კონტექსტში შეიძლება განისაზღვროს, როგორც დიპლომატიური ურთიერთობების წესების კომპლექსი.

XXI. აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ რომაული დიპლომატია და პოლიტიკა ანტიკურ საერთაშორისო არენაზე იწყებს მჭიდრო დიპლომატიურ ურთიერთობებს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის და კართაგენის სახელმწიფოსთან, ამ დროს რომი უძლიერესი სახელმწიფოა და ცხადია, დიპლომატიასაც ეფექტურ იარაღად იყენებს. ეს განსაკუთრებით პუნიკურ ომებში გამოვლინდა, ხოლო მეორე პუნიკური ომში რომის და კართაგენის დაპირისპირებამ, ჰანიბალის ტაქტიკამ და დიპლომატიურმა სტრატეგიამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა რომაული ალიანსების სისტემას. თუმცა ამის საპირისპიროდ რომაელებმა გამოავლინეს დახვეწილი დიპლომატიის უნარი და ისარგებლეს მტრის ბანაკში არსებული წინააღმდეგობებით და

საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდნენ.

XXII. რესპუბლიკის პერიოდის რომაული დიპლომატიის თანმდევი „Divide et impera“ პრინციპი იყო, რაც საუკუნეების მანძილზე რომაული დიპლომატიის მთავარი დიპლომატიური მახასიათებელი დარჩა;

XXIII. რომის რესპუბლიკის სენატს და სენატორებს აღმოსავლურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა ჰქონდათ და რომი აღმოსავლურ დიპლომატიაში და აღმოსავლეთის ქვეყნებთან „სპორადულ ურთიერთობებს“ და „არაფორმალური მეგობრის“ ინსტრუმენტს იყენებდა, რომელიც გამოირჩეოდა სპეციფიკურობით და საგარეო ურთიერთობების შეურიგებელი ბრძოლებით, წინააღმდეგობებით, ზოგიერთ შემთხვევაში ინტერესთა ერთიანობამ დომინანტის სტატუსი უბოძა, ხოლო პოლიტიკით და დიპლომატიით მასზე დამოკიდებული სახელმწიფოების ჯაჭვი შექმნა.

XXIV. რომაული დიპლომატია აფრიკაში წარმატებებს აღწევს ბარბაროს და მოძალადე ტომებთან. ამ დროს რომაული დიპლომატიის მთავარი ამოცანაა აფრიკულ ტომებში და სახელმწიფოებში ამიციტური ურთიერთობებით და უკვე ნაცადი დიპლომატიური ხერხებით შექმნას კოლონიები. დიპლომატიური პოლიტიკის გატარებით უსაფრთხოების და სტაბილურობის ორგანიზებული მექანიზმების შექმნასთან ერთად, ტომების ბელადებს ლეგიტიმაცია, პრივილეგია და მეგობრობის სტატუსი მიანიჭა.

XXV. რესპუბლიკის პერიოდში დიპლომატიური ნოუ-ჰაუ იყო: ა) ბალკანეთის დაპყრობის პროცესში რომაული დიპლომატიის სლოგანია – „ელადის თავისუფლების“ იდეა, რამაც განსაზღვრა ნახევარკუნძულზე ანტიკური რომის დომინირებული მდგომარეობა და ბ) მილიტარისტულ პოლიტიკაში ე.წ. „კონგრესის“ გაგების შემოტანა. მისი ეფექტურობა გამოჩნდა გალიაში კეისრის პროკონსულობისას, რადგან კეისრის დიპლომატიური მოლაპარაკებები გალიის ტომებთან წარმატებული აღმოჩნდა. გალიის დაპყრობამ კეისარს სტაბილურობა და კეთილდღეობა მოუტანა, ხოლო კეისრის მიერ შექმნილმა გალ ტომთა კონგრესის მნიშვნელობა „რომაელი მეგობრების“ შეხვედრების ორგანიზებაში გამოვლინდა, ფაქტობრივად იგი დიპლომატიური კონგრესის კრებას წარმოადგენდა, რომელმაც კეისარი ლიდერად და გალური ინტერესების დამცველად გამოაცხადა. „კონგრესის“ იდეა რომაული დიპლომატიის მიღწე-

ევა იყო, რომელიც წარმატებით გამოყენებოდა იმპერიის პერიოდში.

XXVI. თუ თანამედროვე ევროპული კანონმდებლობის საფუძველია ნაპოლეონის მიერ 1804–1805 წლებში მიღებული სისხლის და სამოქალაქო კოდექსები, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობოდნენ ძველ რომაულ XII დაფის კანონებს. ჩვენი კვლევის მიხედვით, იგივე თამამად შეგვიძლია ვთქვათ ევროპული დიპლომატიის არსის შესახებ. ვთვლით, რომ ანტიკური სამყაროს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით სწორედ რომში იქმნება ის დიპლომატიური ინსტიტუტები, რომლებიც თავისი პრაქტიკით და სახეებით, საუკუნეების მანძილზე სრულყოფით ხდება თანამედროვე ევროპული დიპლომატიის საფუძველი.

ამრიგად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ანტიკური რომის დიპლომატიური საქმიანობა ეროვნული ინტერესიდან გამომდინარეობდა, ხოლო საუკუნეების განმავლობაში გამოცდილი და დახვეწილი რომაული დიპლომატია უმაღლეს დონეზე იყო, რომელიც საკუთრივ სახელმწიფოს უფრო წარმატებულს ხდიდა.

ბიბლიოგრაფია

I. წყაროები

ა. ქართულენოვანი

1. კეისარი, 2015: გაიუს იულიუს კეისარი. „კომენტარები გალიის ომის შესახებ“, წიგნი I-II. მთარგმნელი: თ. ყარალაშვილი, რედაქტირება, სამეცნიერო კომენტარები და შესავალი ნ. ხოფერია, გამომცემლობა „თბილისი“, თბილისი;
2. ლივიუსი, 1981: ტიტუს ლივიუსი „ომი ჰანიბალთან“, რუსულიდან თარგმნა ლ. ერისთავმა, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი;
3. პლუტარქე, 1975: პლუტარქე ქერონელი. „რჩეული ბიოგრაფიები“, წ.I, რომულუსი, გვ. 64-66; 67; 69-70; 69-71; 72-74; 77-78; 82. გაიუს იულიუს კეისარი, 481; 482; 488-489; 490. ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;
4. პლუტარქე, 1987: პლუტარქე ქერონელი. „რჩეული ბიოგრაფიები წ. II, ნუმა“, გვ. 344-347; 344; 345; 349-350; 351; 353-354; 355-358. ძველბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები: დაურთო ა.ურუშაძემ, „თბილისის უნივერსიტეტის“ გამომცემლობა, თბილისი;
5. სვეტონიუსი, 2011: გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი. „კეისრები, ღვთაებრივი ავგუსტუსი“, თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. გიორგაძემ, გამომცემლობა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, თბილისი;

ბ. ინგლისურენოვანი

6. Appian, 2020: Appian of Alexandria. History of Rome: The Samnite Wars. Publishing: «Livius» , Rome;
7. Cassius, 1930: Dio Cassius. Roman History. Loeb Classical Library. Publishing: «Harvard university press», Cambridge;

გ. რუსულენოვანი

8. Аппиан, 2002: Аппиан Александрийский. Римская история, книга I. О Царях, с. 18. Иберийско-римские войны, с. 107-108. О Войнах с самнитами, III. с. 31-32. Перевод с греческого под редакцией С.А. Жебелева, О.О. Крюгера, Е.С. Голубцовой, Л.Л. Кофанова. Издательство: «Ладомир», Москва;
9. Галикарнасский, 2005: Дионисий Галикарнасский. Римские древности, В 3 томах, т.

- 1, Перевод с древнегреческого Н.Г. Майоровой, Ответственный редактор И.Л. Маяк. Издательство: «Рубежи, XXI», Москва;
10. Ливий, 2002: Тит Ливий. История Рима от основания города, т. III. Периохи. 58. Перевод С.А. Иванова. Комментарий составлен Ф.А. Михайловским, В.М. Смириным. Издательство: «Ладомир», Москва;
11. Ливий, 1989: Тит Ливий. История Рима от основания города, Перевод В.М. Смирин, Комментарий Н.Е. Боданской, Ред. переводов М.Л. Гаспаров и Г.С. Кнабе, Ред. комментариев В.М. Смирин. Отв. ред. Е.С. Голубцова. Издательство: «Наука». Москва;
12. Полибий, 2004: Полибий. Всеобщая история. Перевод и комментарии Ф.Г. Мищенко. Издательство: «Олма-Пресс Инвест». Москва;
13. Саллюстий, 1999: Гай Саллюстий Крисп. Югуртинская война. Перевод с лат., статья и комментарии В.О. Горенштейна. Издательство «АСТ». Москва;
14. Тацит, 1993: Корнелий Тацит. Анналы, т. I. Перевод и комментарий осуществлены А.С. Бобовичем (редакторы переводов Я.М. Боровский и М.Е. Сергеенко). Общая редакция издания С.Л. Утченко. Науч.-изд. центр «Ладомир», Москва;
15. Ульпиан, 1986: Домиций Ульпиан. Об обязанностях проконсула, Перевод с латинского., вступительная статья и примечания А.Л. Смишляева. Вестник древней истории, № 1, с. 194-214. Издательство: «Наука», Москва;
16. Флор, 1977: Луций Анней Флор. Эпитомы, I. XI. Самнитская война, Текст приведен по изданию: Луций Анней Флор-историк древнего Рима/Немировский А.И. Дашкова М. Ф. Издательство: «Воронежский университет», Воронеж;
17. Цезарь, 1993: Гай Юлий Цезарь. Записки Юлия Цезаря и его продолжателей о Галльской войне о Гражданской войне об Александрийской войне об Африканской войне. Кн. IV.V.VII. Перевод и комментарии академика М.М. Покровского. Издательство: «Ладомир; Наука», Москва;
18. Цицерон, 1986: Марк Туллий Цицерон. Речь в защиту Луция Валерия Флакка, Перевод с латинского, вступительная статья и комментарии В.О. Горенштейна. Издательство: «Академии Наук СССР» Москва;
19. Цицерон, 1994: Марк Туллий Цицерон. Философские трактаты, о государстве, первый день II. Диалоги. Перевод с латинского и комментарии В.О. Горенштейна.

Издание подготовили И.Н. Веселовский, В.О. Горенштейн и Утченко. С.Л. Издательство: «Ладомир; Наука». Москва;

20. Цицерон, 1985: Марк Туллий Цицерон. Философские трактаты, о дивинации. кн. II. Отв. редактор, составитель и автор вступит. статьи Г.Г. Майоров. Перевод с латинского и комментарии М. И. Рижского. Издательство: «Наука». Москва;
21. Цицерон, 1994:Марк Туллий Цицерон. Философские трактаты, О законах, Диалоги, Перевод с латинского и комментарии В.О. Горенштейна. Издание подготовили И.Н. Веселовский, В.О. Горенштейн и С.Л. Утченко. Научно-издательский центр «Ладомир; Наука», Москва;

სამეცნიერო ლიტერატურა:

ა. ქართულენოვანი

22. აბუსელიძე, 2021: ჯ. აბუსელიძე. რომულუსის და ნუმას დიპლომატია, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, № VI, გვ. 276-284. გორი (<http://www.sciencejournals.ge>);
23. აბუსელიძე, 2022: ჯ. აბუსელიძე. ბეჭედი-დიპლომატიის ინსტრუმენტი. საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული და ბეჭდური, სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, № 27, გვ. 122-128. ქ. ქუთაისი (<https://journals.4science.ge>);
24. აბუსელიძე, 2022: ჯ. აბუსელიძე. ანტიკური რომის დიპლომატიური პრაქტიკა IV საუკუნეში, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ შრომები, № 27, გვ. 7-12. ქუთაისი (<https://journals.4science.ge>);
25. აბუსელიძე, 2022: ჯ. აბუსელიძე. ანტიკური რომის საერთაშორისო კავშირების გაფართოება ძვ.წ. V-III ს-ში, რეფერირებადი და რეცენზირებადი „სამეცნიერო შრომების კრებული“, № 1, (35), გვ. 15-22. თელავი; (<https://tesau.edu.ge>);
26. ალექსიძე, 2015: ლ. ალექსიძე. „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი;
